ქართველური ენათმეცნიერების სერია
THE SERIES OF THE KARTVELIAN LINGUISTICS

V

მაია ლომია, რამაზ ქურდაძე
ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე

# ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები
# Information Structure and Hypotactic Patterns of Kartvelian Languages

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2026 Tbilisi

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

სამეცნიერო პროექტი – **„ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“** (FR-21-№352) – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს რუსთაველის ფონდის შეხედულებებს.

The scientific project – **“Information Structure and Hypotactic Patterns of Kartvelian Languages”** (FR-21-№352) – was implemented wich the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დამტკიცებულია გამოსაცემად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ

უფასო გამოცემა

© მ. ლომია, რ. ქურდაძე,
ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე

გამომცემლობა **„უნივერსალი“**, 2026

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტყოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი)
ISBN 978-9941-533-83-9 (წიგნი III)

UDC (უაკ) 811’35
ლ – 815

# ანოტაცია

ინფორმაციული სტრუქტურა უნივერსალური ფუნდამენტური საყრდენია მსოფლიო ენათათვის. საკომუნიკაციო აქტი ითვალისწინებს მთავარი და არამთავარი (მეორეხარისხოვანი) ინფორმაციის დიფერენცირებას, რომელიც წინადადებაში არათანაბარი სინტაქსური ღირებულების მქონე კომპონენტების შეპირისპირებით ყალიბდება. ამ კომპონენტების ურთიერთმიმართება ქმნის ჰიპოტაქსურ მოდელებს, რომელთა აგებისა და ჩამოყალიბების სტრატეგია განსხვავებულია სალიტერატურო და არასალიტერატურო ენებში. კვლევის სიახლეა ის, რომ წინამდებარე პროექტის ფარგლებში კომპლექსურად პირველად გაანიხილება ინფორმაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ მოდელებში, რაც გულისხმობს ამ მიმართულებით ქართული სალიტერატურო ენის დიაქრონიული და სინქრონიული მონაცემების, ენის ისტორიის, ქართული ენის დიალექტების, არასალიტერატურო ქართველური ენების – მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ემპირიული მასალის ანალიზს სპეციფიკური კოგნიტური პროცესებისა და ენობრივი სტრატეგიების მიხედვით.

მეთოდოლოგიური მიდგომის თანამედროვე სტანდარტები გამოავლენს ქართველურ ენათა ტიპოლოგიას ენობრივ უნივერსალიებთან მიმართებით და წარმოაჩენს თითოეული ქართველური ენის სპეციფიკურ ვითარებას. რამდენადაც საქმე ენობრივი მსოფლხედვის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევას ეხება, მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია არამარტო ლინგვისტური, არამედ ინტერდისციპლინური კვლევებისა და დარგების განვითარებისთვისაც. ვრცელი ემპირიული მასალის (ბეჭდური ტექსტები, კორპუსული მონაცემები, ველზე მოძიებული ნიმუშები) ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პრობლემათა სისტემურობა, გამოიკვეთოს კვლევის მიმართულებები და გაკეთდეს მეცნიერულად სანდო დასკვნები.

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის.

# ANNOTATION

The structure of information represents a universal basis for all the languages in the world. A communicative act implies differentiation of the main and not main (secondary) information, based on the contrast between the components of unequal syntactic value in the sentence. The relation between these components yields hypotactic patterns, the building and composition of which are different in literary and non-literary languages. The novelty of the research is that, for the first time, the proposed research will make a complex analysis of the rules of development of the informational structure in the hypotactic patterns in Kartvelian languages. The research will embrace the following issues: analysis of the synchronic and diachronic data of Kartvelian languages, language history, the empirical material of the dialects of the Georgian language and non-literary Kartvelian languages – Megrelian, Laz and Svan. The analysis will be based on specific cognitive processes and language strategies.

The contemporary standards of the methodological approach will reveal the typology of Kartvelian languages with regard to language universals and outline the specifics of each Kartvelian language taken separately. As the research embraces the development of linguistic world view, its outcomes will be of great significance not only from the linguistic but also from the interdisciplinary viewpoint. Analysis of the ample empirical material (printed texts, corpus data, and field material) makes it possible to define the systemic nature of problems, outline research directions and draw scientifically reliable conclusions.

The book is aimed at the specialists and students of humanititarian disciplines and other related fields.

# სარჩევი

წინასიტყვაობა ..... 11
Preface ..... 13

შესავალი ..... 15
1. პრობლემატიკის ანალიზი ..... 16
2. ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო ..... 17
3. გენეზისის საკითხი ..... 21
4. სვანური ენისა და ქართული დიალექტური მასალების ანალიზი დამოკიდებული წინადადების გენეზისთან დაკავშირებით ..... 22
5. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ..... 25

თავი I – ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა განვითარებისა და ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში ..... 27
1. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ჩამოყალიბების დინამიკა სალიტერატურო და არასალიტერატურო ენათა მონაცემების მიხედვით ..... 28
1.1. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგების სტრატეგია და განვითარების გზები ქართველურ ენებში ..... 30
1.1.1. „სინტაქსური ასიმილაციის“ პრობლემური საკითხები ..... 31

1.1.2. „სინტაქსური ასიმილაციის“ გაჩენის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ..... 37
1.1.3. მისამართი სიტყვის გამეორება ..... 38
1.1.4. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა თავისებური განლაგების ფორმალური მახასიათებლები..... 41
1.2. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში განსაზღვრებისა და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მიმართების საკითხი მეგრული მასალების მიხედვით ..... 45
შ ე ჯ ა მ ე ბ ა ..... 49
1.3. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური წინადადების აგების სტრატეგია ქართველურ ენებში: სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტები..... 50
1.3.1. პირობისა და შედეგის რაობა, ურთიერთმიმართება და ჩამოყალიბების გზები ..... 51
1.3.2. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შეერთების საშუალებები, სტრუქტურა და გენეზისის საკითხი ..... 52
1.3.3. კავშირის პრედიკატთან შეხამების საკითხი პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში..... 55
1.3.4. ფორმალური და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებანი ქართულ-ინგლისურ შესატყვისობათა კონტექსტში..... 56
1.3.5. პირობა-შედეგის გამოხატვა არქაული ენობრივი მონაცემებით სვანურ ენაში..... 58
1.3.6. პირობითობის გამომხატველი რთული კავშირი სამკომპონენტიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში..... 61

1.3.7. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სემანტიკის გააზრებისათვის ..... 64
1.3.7.1. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში ..... 65
1.3.7.2. უარყოფა და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში ..... 70
შ ე ჯ ა მ ე ბ ა ..... 75
1.4. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განვითარების ადრეული საფეხურის ენობრივი ასახვა ქართველურ ენებში ..... 77
1.4.1. მეგრული დო „და“ კავშირი ჰიპოტაქსურ წინადადებაში და ენობრივი პარალელები .. 78
1.4.2. სვანური ი „-ც“ ნაწილაკიანი წინდებულების როლი უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში ..... 82
1.5. რთულკავშირიანი ჰიპოტაქსური წინადადების აგების სტრატეგია და განვითარების გზები ქართველურ ენებში ..... 85
1.5.1. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და მიზეზის, მიზნის დამოკიდებული წინადადებები ქართულ სალიტერატურო ენაში ..... 85
1.5.2. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და მიზეზის, მიზნის დამოკიდებული წინადადებები სხვა ქართველურ ენებში ..... 87
1.5.3. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და ვითარებით-შედეგობითი დამოკიდებული წინადადება ქართველურ ენებში ..... 92

თავი II – წინადადების სტრუქტურა და შემადგენელ კომპონენტთა პოზიცია: ინფორმაციის მარკირების სტრატეგია ქართველურ ენებში..... 95
1. ინიციალური სახელობითის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში ..... 96
1.1. „ინიციალური სახელობითის“ შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია „ვეფხისტყაოსანში“ ... 98
1.2. „ინიციალური სახელობითის“ შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართულ ზეპირმეტყველებაში, უდამწერლობო ქართველურ ენებში ..... 102
2. ზეპირმეტყველების ჰიპოტაქსური მოდელის ტიპოლოგია ქალაქურ მეტყველებასა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში ..... 106
2.1. საანალიზო საკითხი ქალაქური მეტყველების მიხედვით ..... 108
2.2. პარალელური ჰიპოტაქსური მოდელები მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით ..... 113
2.3. პარალელური ჰიპოტაქსური მოდელები სვანური მასალების მიხედვით ..... 117
2.4. სხვა პარალელური ნიმუშები და დასკვნები ..... 119
3. სინტაქსური საზღვრის გადაწევა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 122
3.1. ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადება ინტერპოზიციაში ..... 122
3.2. მეგრული *-ნი* „რომ“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ძირითადი და ფაკულტატიური მნიშვნელობები ..... 125
3.3. ლაზური *ნა* „რომ“ კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 131
3.4. მეგრული *ნამუდა* „რომ“ კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 132

3.5. სვანური *ერე* „რომ“ კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 136
შ ე ჯ ა მ ე ბ ა ..... 143

თავი III – ფორმალური საშუალებების ინფორმაციული დატვირთვა ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 145
1. პროსოდიული საშუალებების ფუნქცია ზეპირმეტყველებაში ..... 146
2. ნაწილაკითა და ინტონაციით ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ..... 159
3. ლექსიკური გამეორება ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ..... 166
4. „ვიღაცა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში და ჰიპოტაქსთან დაკავშირებული საკითხები ..... 172

თავი IV – ინფორმაციის სტრუქტურირება ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ჭანურის სპეციფიკის გათვალისწინებით ..... 185
1. მიმართვის ადგილისათვის რთულ წინადადებაში (ქართული ანდაზების მაგალითზე) ..... 186
2. და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში ..... 195

ძირითადი დასკვნები ..... 209
Summary ..... 213
Key Conclusions ..... 317
ლიტერატურა ..... 321

წ ყ ა რ ო ე ბ ი:
ლექსიკონები, ტექსტები
ელექტრონული რესურსები

ექსპედიციის მასალები ..... 345
შემოკლებათა განმარტებანი ..... 352
ინფორმატორები ..... 356
დანართი ..... 361
საძიებელი ..... 413

# წინასიტყვაობა

მონოგრაფია „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“ წარმოაჩენს, ქართველური (სამხრეთკავკასიური) ენებისთვის რა ტიპის ჰიპოტაქსური მოდელებია დამახასიათებელი კომუნიკაციისას და რა ფორმალური თუ არაფორმალური საშუალებებით გადმოიცემა ისინი. ამ ტიპის კვლევა მიემართება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ანალიზს, როგორიცაა ჰიპოტაქსის ჩასახვა, განვითარება და ჩამოყალიბება; კერძოდ, ჩნდება კითხვა: სად შეიძლებოდა წარმართულიყო თავდაპირველად და ბუნებრივად ეს პროცესი, სალიტერატურო ენაში თუ ზეპირმეტყველებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად წინამდებარე მონოგრაფიაში სისტემურად პირველად განიხილება ზეპირმეტყველებაში ჰიპოტაქსური მოდელების როლი და მნიშვნელობა ინფორმაციის სტრუქტურირების დროს; ზემოაღნიშნული თავისთავად უკავშირდება ჰიპოტაქსის გენეზისის გარკვევასაც და ზრდის საკვლევი თემის მასშტაბს; სიახლესთან ერთად, მონოგრაფიის აქტუალობას განსაზღვრავს ვრცელი ემპირიული მასალის ანალიზი, რომელიც მოიცავს ქართული ზეპირმეტყველების, კლასიკური მხატვრული ტექსტების, ქართული ენის დიალექტების, არასალიტერატურო ქართველური ენების (მეგრული, ლაზური, სვანური) ბეჭდურ და კორპუსულ მონაცემებს; ცალკეულ საკითხთა მსჯელობისას პარალელები მოხმობილია ქართული სალიტერატურო ენის ადრეული პერიოდიდანაც, რათა დინამიკაში წარმოვაჩინოთ ჰიპოტაქსური მოდელების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა

და გენეზისის საერთოქართველური სურათი. ამგვარი კომპლექსური მიდგომა გვიჩვენებს:

*ა. სოციუმის წევრები ზეპირი კომუნიკაციის დროს როგორ აყალიბებენ აზრობრივი და ლოგიკურ-ინფორმაციული ტევადობით გამორჩეულ ჰიპოტაქსურ მოდელებს.*

*ბ. რა ენობრივი სტრატეგიებია გამოყენებული ინფორმაციულ სტრუქტურულ ერთეულთა აქტუალიზაციისათვის.*

ნაშრომს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს სვანეთსა და სამეგრელოში ველზე ისეთი მასალების მოძიება, რომლებიც თავის დროზე ობიექტური მიზეზების გამო ბეჭდურ გამოცემებში არ ასახულა. მონოგრაფია თეორიული და პრაქტიკული ღირებულებისაა; მისი გამოყენება შესაძლებელია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დანიშნულებით.

ინფორმაციულ სტრუქტურაში ჰიპოტაქსური მოდელების დასახასიათებლად წამყვანი და ძირითადია სპეციალური ლინგვისტური ცოდნა და მეთოდები; ამასთან ერთად, სრულყოფილი ანალიზისთვის გათვალისწინებულია სოციუმის ინფორმაციული გარემოს ფსიქოლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და სტილისტურ-ფუნქციური მახასიათებლები. ნაშრომის შემაჯამებელი და ძირითადი დასკვნების ჩამოყალიბებისას ყურადღება მიექცა საანალიზო ტექსტების ჟანრულ მრავალფეროვნებას. მეგრული, ლაზური და სვანური საილუსტრაციო მასალის ქართული თარგმანი თუკი შემდგენელ-გამომცემლებს ეკუთვნით, მაშინ წყაროს დასახელება მოცემულია თარგმანის შემდეგ, სხვა შემთხვევაში – თარგმანამდე. აღნიშნული პრინციპი გამოყენებულია მაშინაც, როცა მონოგრაფიაში მსჯელობის შესაბამისად იცვლება თარგმანი ან წინადადებაში სასვენი ნიშნის დასმის წესი.

## PREFACE

The monograph *"Information Structure and Hypotactic Patterns of the Kartvelian Languages"* presents the types of hypotactic patterns characteristic of Kartvelian (South Caucasian) languages in communication. The monograph focuses on the formal or informal means of expression. This type of research embraces the analysis of important problems, such as the origin, development and formation of hypotactic constructions. In particular, the research addresses the following question: where might this process have initially and naturally developed – in the literary language or in spoken discourse? The monograph is the first systematic attempt of analyzing the role and significance of hypotactic patterns in the structuring of information in the spoken language. The above-mentioned is inherently linked to the genesis of hypotactic constructions and expands the scope of the research topic. Alongside its novelty, the relevance of the monograph is determined by the analysis of extensive empirical material, which includes data from the spoken Georgian language, Georgian dialects, non-literary Kartvelian languages (Megrelian, Laz and Svan), as well as printed and corpus data from classical literary texts. In discussing specific issues, parallels are also drawn from the early period of the literary

Georgian language in order to present, in a dynamic perspective, the common Kartvelian picture of the origin and development of hypotactic constructions. Such a comprehensive approach demonstrates the following:

*a. How, in oral communication, members of a society construct hypotactic models distinguished by their semantic and logical-informational complexity.*

*b. What linguistic strategies are used to actualize units of informational structure.*

The monograph gains particular value from the field research conducted in Svaneti and Samegrelo. For objective reasons, the obtained material has not previously been reflected in printed publications. The monograph has both theoretical and practical significance; it can be used for scientific research and educational purposes.

To characterize hypotactic patterns within informational structure, specialized linguistic knowledge and methods are primary and essential. At the same time, for a comprehensive analysis, the psycholinguistic, ethnolinguistic and stylistic-functional features of the informational environment of the speech community are also taken into account. In formulating the key and conclusive findings of the research, attention has been paid to the genre diversity of the analyzed texts. If the Megrelian, Laz and Svan illustrative material has been translated into Georgian by the compilers/editors, the source is indicated after the translation; otherwise, it is given before the translation. This principle is also applied in cases where, for the purpose of analysis, the translation has been modified or the rules of punctuation within a sentence have been adjusted.

შესავალი

## 1. პრობლემატიკის ანალიზი

ჰიპოტაქსი (ქვეწყობა), კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების რთული სახეობებით, მხოლოდ სამწერლობო ენის კუთვნილებად და ხალხურ მეტყველებაში აქედან გავრცელებულად მიაჩნდათ. როგორც ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, „ქართული ხალხური მეტყველების უძველესი ნიმუშები, რომლებიც ჩვენამდისაა მოღწეული (ზღაპრები, ანდაზები, ლექსები) ეჭვმიუტანელს ხდის, რომ რთული სინტაქსური კონსტრუქციების პირველი უშუალო წყარო სწორედ ხალხური მეტყველებაა და არა მწიგნობრული ენა“ (ღლონტი 1975).

მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიიჩნევა, რომ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ქვეწყობა, კავშირების დიფერენცირებული სისტემით, დიალექტთა განვითარების კანონზომიერებითაც აიხსნას და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედებით (ძიძიგური 1973), რადგან, როგორც გაირკვა, ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, არამედ ცალკე სისტემაა (Русская разговорная речь 1973; Лаптева 1976); ამის დასტურად ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტების) II ტომის შესავალ ნაწილში ნათქვამი ფრაზაც გამოდგება: მეგრულიდან ქართულად „თარგმნისას ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (გვ.8), თუმცა ეს ორი წყარო (ზეპირი და წერითი მეტყველება) კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ ავსებს (А. Гвоздев, Н. Шведова და სხვ.). ამასთან დაკავშირებით კ. დონდუა აღნიშნავდა: „ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური წინადდე-

ბის სათავე მწერლობა იყოს, სამაგიეროდ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტაქსის სამუდამოდ განმტკიცებასა და პარატაქსისგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი“ (დონდუა 1967).

ექსპერიმენტით დადასტურებულია, რომ წინასწარი მომზადების გარეშე გადმოცემულ ტექსტებს ზედმეტსიტყვიანობა ახასიათებთ (კიზირია 1987:73). ამგვარ ტექსტებში მოცემული ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ასევე შეიცავს ზედმეტ სიტყვებს და ეს არის, ძირითადად, მისამართი სიტყვა, კორელატი ან ორივე ერთად (იხ. ამის შესახებ: ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1991:10).

ამრიგად, ზემოთქმული გახაზავს ზეპირმეტყველებაში ჰიპოტაქსის შესწავლის ინტერესსა და აუცილებლობას სამწერლობო ენის მონაცემებთან შედარებით.

## 2. ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო

ენის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია კომუნიკაციაა, რაც, ჩეულებრივ, სოციუმის წევრებს შორის ხორციელდება; ზოგადად, კომუნიკაცია ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და თანდაყოლილი უნარია, რამაც თავის დროზე ხელი შეუწყო სოციუმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას; ამის გამოა ადამიანი მუდმივად ქმნის ზეპირმეტყველებით თუ წერილობით ტექსტებს, რომელთა საშუალებითაც გადასცემს ინფორმაციას. ინფორმაციის სტრუქტურირებისას, როგორც წესი, გამოიყოფა კომუნიკაციის კონკრეტული აქტისათვის ღირებული აქტუალიზებული ელემენტი, რომლის ფორმალური მარკირება შესაძლებელია სხვადასხვა ენობრივ დონეზე.

*ზეპირმეტყველება* ფართო ცნებაა. „ეს არის არსებითად ხალხური მეტყველება“ (კვანტალიანი 1990:5), იგივე წინასწარ-

მოუმზადებელი, ცოცხალი, სპონტანური მეტყველება. ინფორმაციის სტრუქტურირების ფორმალური მოდელების მოძიებისთვის განსაკუთრებით ღირებულია ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში წარმოქმნილი წინადადებები.

მეტყველების ზეპირ ფორმას ემყარება და საანალიზო **ემპირიულ მასალად** გამოყენებულია: **ქართული დიალექტური ტექსტები**, **ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები**; არასალიტერატურო ქართველური ენების – **მეგრულის**, **ლაზურის**, **სვანურის ტექსტები**, შესაბამისი პარალელები მოხმობილია **მხატვრული თხზულებებიდან** (**მწერალთა შემოქმედებიდან**).

ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა. თხრობის სტილი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დამახსოვრება არ გასჭირვებოდათ ავტორ-მთქმელებს. „მარტივი წინადადებებით თხრობა ეკონომიური, ცოცხალი და საკითხავად სახალისოა, მაგრამ ცოცხალი სალაპარაკო ენისთვის არ არის დამახასიათებელი, რადგან დასამახსოვრებლად ძნელია“ (თოფურია 1960:25). საინტერესოა ფსიქოლოგიური ფაქტორიც: როგორც გაირკვა, მსმენელი განსხვავებულად რეაგირებს მოსაუბრის მოკლე და გრძელ წინადადებებზე. პირველ შემთხვევაში გაუცნობიერებლად უნდობლობით იმსჭვალება, ხოლო მეორე შემთხვევაში ენდობა, უსმენს და მის მიმართ კეთილგანწყობილია (დაწვრ. იხ. მშვიდობაძე 1990). ზღაპრის ან სხვა ჟანრის სიუჟეტური ამბის თხრობისას ყურადღების ცენტრში ექცევა გმირის განსაცდელი, დაბრკოლებათა დაძლევა, საოცარი ფათერაკების გადალახვა და სხვ. ამ ყველაფერს მთქმელი ჰყვება ისე, რომ გააცხოველოს ინტერესი, მძაფრი სიტუაციების ეფექტი აგრძნობინოს მსმენელს; ამიტომაც „აქ [ზღაპარში] გაბატონებულ ადგილს (96%) იჭერს რთული კონსტრუქციები“ (ღლონტი 1991:3); მაშასადამე, როგორც იკვეთება, **ზეპირმეტყველებაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა შეპირობე-**

**ბულია ორი ფაქტორით**: **ადვილად დამახსოვრებისა** და **გამოკვეთილი, ხაზგასმული** (**ფოკუსირებული**) **ინფორმაციის გადმოცემის აუცილებლობით.**

ქართულ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ქვეწყობა, კავშირების დიფერენცირებული სისტემით, დიალექტთა შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაც არის ახსნილი და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედებით (დაწვრ. იხ. ძიძიგური 1973:1989). ამგვარი მსჯელობის მართებულობა ნათლად ჩანს მაშინ, როცა ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ერთი, თუნდაც მონათესავე, ენობრივი სისტემიდან მეორეში გადაგვაქვს: [მეგრულიდან ქართულად] „თარგმნისას ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (დანელია 1991:8) (იხ.16).

ზეპირმეტყველებაში დადასტურებული მაქვემდებარებელკავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების ძირითადი თავისებურება განპირობებულია იმით, რომ ბევრ მათგანში ჭირს ტრადიციული სინტაქსის მიხედვით დამკვიდრებული დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების განსაზღვრა; შეიძლება ითქვას, რომ ეს არც არის საჭირო, რადგან მთლიანად წინადადება, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ინფორმაციის სტრუქტურირების სპეციფიკური სტრატეგიის გამომხატველია; განვიხილავთ რამდენიმეს:

**1**. **კითხვითსიტყვიანი**

მეგრულში დასტურდება კითხვის გამომხატველი ორი ტიპის წინადადება: მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურისა. მათ შორის მსგავსება ის არის, რომ მარტივი წინადადების კომპონენტები მონაწილეობენ ჰიპოტაქსური სტრუქტურის აგებაშიც. წინადადების სტრუქტურული ცვლილება კი განსხვავებული ინფორმაციის ჩამოყალიბების საფუძველია.

*მარტივი სტრუქტურის კითხვითი წინადადება:*

(1) მეგრ. *სო მეურქ?,* შდრ.: (2) ქართ. *სად მიდიხარ?*

ორივე ენაში ეს კონტექსტი გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე პირველი პირი კითხვას უსვამს თანამოსაუბრე მეორე პირს და აინტერესებს, კონკრეტულად სად მიდის იგი; შესაბამისად, წინადადება მარკირებულია კითხვითი სიტყვით, კითხვითი ინტონაციით და ნეიტრალურია ემოციურად; მაშასადმე, ამ თვალსაზრისით არასალიტერატურო და სალიტერატურო ენები ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებენ და მათ შორის სხვაობა არ არის.

როცა ფონური ცოდნის საფუძველზე იცვლება კონტექსტი, მოლაპარაკე პირს აინტერესებს არა ის, სად მიდის მეორე პირი, არამედ ის, რატომ მიდის იქ, სადაც მიდის; ჩნდება დამატებითი ემოციურ-ინფორმაციული ნიუანსები: გაბრაზება, აღშფოთება. ამ შემთხვევაში ქართული ცვლის მხოლოდ ინტონაციას, ხოლო მარტივი წინადადების სტრუქტურას უცვლელად ტოვებს; მაგალითად, (3) ქართ. *სად მიდიხარ?!* შინაარსობრივი ცვლილების პარალელურად მეგრული ცვლის კონსტრუქციასაც, კერძოდ, იყენებს ჰიპოტაქსურ სტრუქტურას; შდრ.:

(4) მეგრ. *სო რე, მეურქუნი?!* [1], სიტყვასიტყვით: *„სად არის, რომ მიდიხარ?!“* შინაარსობრივად ნიშნავს: *„რატომ მიდიხარ?!“*.

მეგრულში ჰიპოტაქსური სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები (მთავარში *რე* „არის“, დამოკიდებულში *-ნი* „რომ“) ასრულებენ ინფორმაციის აქტუალიზების ფუნქციას; ეს ვითარება იძლევა შესაძლებლობას, მთლიანად ჰიპოტაქსური სტრუქტურა განვიხილოთ გათიშული (Cleft) კონსტრუქციის დეფინიციის მიხედვით; აღსანიშნავია, რომ სტრუქტურათა ცვლა, ინფორმაციის შინაარსობრივი ცვლილების პარალელურად, მეგრულის გავლენით დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის დასავლურ დიალექტებშიც: იმერულში, გურულში; დასავ-

[1] სასვენი ნიშანი მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტებს შორის დასმულია ტრადიციული სინტაქსის მიხედვით; რეალურად, აღნიშნული წინადადება ერთიანი ინტონაციით, პაუზის გარეშე წარმოითქმის.

ლური არეალის წარმომადგენელთა ქართულ ზეპირმეტყველებაში, ამ არეალის მწერალთა ენაში.

მაგალითები:

(5) *რასაა, რომ ახვერწნიებთ, დაჯედით ვინცხამ* (იმერული დიალექტი, ექსპედიციის მასალები).

(6) *ვისაა, რომ მიყობი?* (ქართული ზეპირმეტყველება, ექსპედიციის მასალები).

(7) *ვისაა, რომ უყვირი?! – იქაჩება ილარიონი* (დუმბაძე, 1966, 10).

(8) *ვის ლუკმასაა, რომ ითვლი და ანაწილებო?!* (ჭეიშვილი, 1982, 95).

**2**. **გამეორებულსიტყვიანი** (იხ. მონოგრაფიაში სპეციალური პარაგრაფი).

**3. ინიციალური სახელობითის შემცველი** (იხ. მონოგრაფიაში სპეციალური პარაგრაფი) და სხვ.

### 3. გენეზისის საკითხი

მეცნიერებაში მიღებულია დებულება ჰიპოტაქსის მეორეულობის შესახებ: „ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მხოლოდ მარტივი წინადადებები იყვნენ ერთმანეთთან შეპირისპირებულნი, შემდეგ და შემდეგ გამომუშავდა რთული სინტაქსური მიმართებანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჰიპოტაქსის რთული სისტემის ჩამოყალიბებაში“ (ძიძიგური 1989:9). ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გენეზისს სხვაგვარად წარმოგვიდგენს ფ. ერთელიშვილი: „დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრი მთავარ წინადადებაში ისაზღვრება, ზუსტდება ცალკეული სიტყვის (არსებითის, საწყისის, ნაცვალსახელის, შემასმენელი-ზმნის) მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპი-

რობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა, და, თუ დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი დაისმის დღის წესრიგში, ჩვენი აზრით, კვლევა განსაზღვრების სპეციფიკისა და გენეზისის ძიების მიმართულებით უნდა წარიმართოს“ (ერთელიშვილი 1963:214).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გენეზისს კითხვით წინადადებასთან აკავშირებს გიორგი როგავა: „დამოკიდებული წინადადება კითხვითი წინადადებისგან მომდინარეობს. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვითს წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (როგავა 1948:365). აღსანიშნავია, რომ „ენის ძველ საფეხურებზე კითხვითი წინადადება ასინდეტურად უკავშირდებოდა გრძნობისა და თქმის სემანტიკის ზმნათა შემცველ წინადადებას, **კითხვითი ინტონაცია წარმოადგენდა სინტაქსური დაკავშირების საფუძველს**“ (ძიძიგური 1989:443); ეს ვითარება განსაკუთრებით სვანურშია თვალსაჩინო. სვანურში უკავშირო ქვეწყობილ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადების ინტონაცია კითხვითობისკენ იხრება, ხოლო კავშირის გამოყენების შემთხვევაში ინტონაცია აღარ შეიმჩნევა.

სვანური ენის მონაცემებს, არქაული ვითარების გათვალისწინებით, ცალკე საგანგებოდ მიმოვიხილავთ.

## 4. სვანური ენისა და ქართული დიალექტური მასალების ანალიზი დამოკიდებული წინადადების გენეზისთან დაკავშირებით

კითხვითი ინტონაციის, როგორც სინტაქსური დაკავშირების ფუნქციის, თვალსაზრისით სვანური ენის ვითარება განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის მონაცემებთან მიმართებითაც, რომელთაც შ. ძიძიგური „არსე-

ბითად მნიშვნელოვნად“ მიიჩნევს: „ინგილოურ, გურულ და აჭარულ დიალექტებს დაუცავთ დამოკიდებული წინადადების გენეზისის თვალსაზრისით უაღრესად ანგარიშგასაწევი ფორმა, რომელიც პირველ მათგანს დღეს უკვე დავიწყებული აქვს (ვიცნობთ მოსე ჯანაშვილის ტექსტების მიხედვით), ხოლო გურულ-აჭარული ტიპობრივი მეტყველებისათვის იგი ნიშანდობლივია განვითარების თანამედროვე საფეხურზე“ (ძიძიგური 1989:448).

მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ ინგილოურ კილოში დამოკიდებული წინადადება კითხვითი წინადადების სტრუქტურულ ნიშანს ავლენს ქართულ ენაში კარგად ცნობილი **-ა** კითხვითობის ნაწილაკის სახით. მისი აზრით, „ეს გარემოება მანიშნებელია იმ უძველესი ვითარებისა, როდესაც მარტივი წინადადებანი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ და ერთ-ერთი მათგანი, კითხვითობის მატარებელი, შემდეგ დამოკიდებულ წინადადებად ჩამოყალიბდა; მასში კავშირი გამომუშავდა, კითხვითი ნიშანი მოიშალა და ორი წინადადება ერთმანეთს დაუკავშირდა გრამატიკული საშუალებებით – დასრულდა დაქვემდებარების პროცესი“ (ძიძიგური 1989:450).

სვანურში, როგორც ცნობილია, აღნიშნული კითხვითობის **-ა** ელემენტი ცოცხალია: ბზ. მ̈ამ ადეი̯-ა? „არ წახვედი-ა?“/ „არ წახვედი, თუ?“ უჩხე-ა? „წვიმს-ა?“ / „წვიმს, თუ?“ ბქ. ლ̈ა̈ი̯რ ქ’ა̈ხიჭ̌უდა? „წიგნი წაიკითხე-ა?“ / „წიგნი თუ წაიკითხე?“ აღნიშნული ნაწილაკი დამოუკიდებლადაც გვხვდება წინადადებაში სწორედ „თუ“-ს მნიშვნელობით (ბზ. ა < ჰა): ბზ. ალა ჯაკუ ჰა ეჯა? „ეს გინდა თუ ის?“ ბქ. ჯ̌უედი კაბს ხიქ̌უემ ა კუდ̈ას? „გრძელ კაბას იცვამ თუ მოკლეს?“ მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ აღნიშნული ელემენტი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც გვხვდება, ოღონდ დღეს მისი ფუნქცია მთლად ნათელი არაა, რადგანაც წინადადების შინაარსი უმისოდაც (ინტონაციურად) იგივეა: ბზ. სი ადრიი̯-ა, მი ამჩუ მ̈ამ ხ̌უიჩრ̈ა̈ხ̌უ! ბქ. სი ად-

რინე-ა, მი ამეჩუ დემის ხუიჩრაუი! „შენ [თუ] წახვალ (“წახვალა?“ / „შენ წახვალ, ხომ?“), მე აქ არ გავჩერდები!“

მოსე ჯანაშვილის მიერ დადასტურებულ მოვლენას – კავშირისა და კითხვითი ნაწილაკის თანაარსებობას ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე შ. ძიძიგური ანაქრონიზმად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ „უკანასკნელი დიალექტოლოგიური ძიებების მიხედვით, ეს თავისებურება ინგილოურს აღარ ახასიათებს“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, სალიტერატურო ენის გავლენით თუ მის გარეშე, დიალექტებშიც გაერთმნიშვნელიანებისკენ მიისწრაფვის და ახალ მოდელს ირგებს; როგორც აღვნიშნეთ, კითხვითობის **-ა** სვანურშიც აუცილებლობას აღარ წარმოადგენს დამოკიდებულ წინადადებაში, უფრო მეტიც, ის ნაკლებადღა გვხვდება. რაც შეეხება აჭარულ და გურულ მონაცემებს, იქ, როგორც ჩანს, სწორედ სვანური ენის მსგავსი ვითარებაა: „აჭარულ-გურულში სათანადო წინადადება, აგრეთვე, კითხვითი ინტონაციისაა, მაგრამ **-ა** ნაწილაკი კი არ ერთვის (რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ხანია დასავლურ კილოებში ხმარებიდან გადავარდნილა), არამედ კითხვა გამოხატულია წინადადების უკანასკნელი მარცვლის გაგრძელებით“ (ძიძიგური 1989:449), თუმცა, სვანურთან შედარებით, ამ შემთხვევაშიც უფრო ახალი ტიპის კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე, რადგან კავშირი სავალდებულოა: „აგი ქალიზა **რუმ** შეგეხედა**ა**, მაშინათვე იტყოდი...“ (აჭარ.). ამრიგად, მხოლოდ ინტონაციურობითა და უკავშირობითაც, აშკარაა, რომ **სვანურს ძველი და საშუალი ქართულისებრი დამოკიდებული (შესაბამისად – რთული ქვეწყობილი) წინადადება ახასიათებს.**

მაშასადამე, სვანურში ჰიპოტაქსური კონსტრუციის შედარებით არქაული ტიპის შენარჩუნებას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: ა) ინფერენციული (ეპისტემიკურობის, პირობითობის შემცველი) ზმნების არსებობამ ენაში; ბ) სალიტერატურო

ენისგან განსხვავებით, ახალი რთული კონსტრუქციის ჩამოყალიბებისთვის მოტივაციის არარსებობამ: წიგნის ენამ სხვა მოთხოვნები წამოაყენა, სხვა სივრცე მოითხოვა და იგი საანალიზო მიმართულებითაც უფრო მეტად განვითარდა, არასალიტერატურო ენამ კი მხოლოდ ზმნის განსაკუთრებული მოქნილობითა და ტევაობით „ისარგებლა“ და ბევრი რამ ორგანულ ფორმებში ასახა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესი სვანურში ჯერაც არ დასრულებულა, თუმცა არც უძველეს საფეხურზე გაყინულა, რასაც ადასტურებს საანალიზო კონსტრუქციის ძველი და ახალი ტიპების თანაარსებობა სვანურში.

## 5. ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ქართველურ ენებში ტრადიციული სინტაქსის საკითხები კარგად არის შესწავლილი; კვლევის შედეგები ასახულია ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და ცალკეულ სტატიებში; აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომებში ასევე აქცენტირებულია ჰიპოტაქსური მოდელების აგების თავისებურებანი ფუნქციურ-სტილური თვალსაზრისით. წინამდებარე მონოგრაფიაში ყველა საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა დამოწმებულია სათანადო ადგილას.

ჰიპოტაქსური მოდელების ანალიზი, საკომუნიკაციო პრინციპების გათვალისწინებით, ტრადიციული სინტაქსის ახლებური გააზრებაა. ტერმინოლოგიური შესიტყვება „ინფორმაციის სტრუქტურირება“ ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში აქტიურად გამოიყენება ამ თემაზე ფუნდამენტური პროექტების განხორციელების შემდეგ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფ. რ. ასათიანი), რომელთა ფარგლებში გამოიცა სამეცნიერო სტატიების ორი კრებული: „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“ (2009) და „ინ-

ფორმაციის სტრუქტურირება: ლაზური“ (2011). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ადრე გამოქვეყნებული ნაშრომებიც; სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმეს: ნ. შენგელაია, „ძველი და ახალი ინფორმაცია ტექსტში“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N2, 1985, გვ. 119-128; ვ. ბოედერი, „პროტასისი და აპოდოსისი ქართველურ ენებში“ (გერმანულ ენაზე), კრებული „ვარლამ თოფურია-100“, გვ. 31-41, 2001. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ლ.კვანტალიანი, ქართული ზეპირმეტყველების სინტაქსის საკითხები, 1990. მნიშვნელოვანია მ. კრიფკას ნაშრომის („საინფორმაციო სრუქტურის ძირითადი ცნებები“) ქართული თარგმანი (თარგმნა ე. სოსელიამ; დაბეჭდილია კრებულში „ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, II, გვ. 7-57, 2008. თბილისი, გამომცემლობა „დეგაპრინტი“).

ქართველ ავტორებს ქართული ენის მასალაზე აღწერილი აქვთ, ხოლო სხვა ქართველური ენების მიხედვით შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, ფოკუსირებული წევრის მარკირების ენობრივი საშუალებები; განხილულია ძირითადად მარტივი წინადადების მოდელები, თუმცა ცალკეული საკითხები გაანალიზებულია ქვეწყობილი წინადადების მიხედვითაც.

წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში სისტემურად პირველად განიხილება ინფორმაციული სტრუქტურის საკითხები ჰიპოტაქსური მოდელების მიხედვით. ეს არჩევანი განპირობებულია იმით, რომ ინფორმაციის სტრუქტურირება წინადადების შემადგენელი კომპონენტების ოპოზიციის საფუძველზე საშუალებას იძლევა ერთი ნაწილი გამოიყოს პრაგმატულ-ფუნქციური თვალსაზრისით; სწორედ გამოკვეთილი ნაწილი არის აქტუალიზებული და წარმოგვიდგენს საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულ ინფორმაცის.

# თავი I

## ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა განვითარებისა და ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში

## 1. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ჩამოყალიბების დინამიკა სალიტერატურო და არასალიტერატურო ენათა მონაცემების მიხედვით

სალიტერატურო და არასალიტერატურო ენები ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის მიზნით სხვადასხვა ენობრივ სტრატეგიას ირჩევენ; ამ პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ზოგჯერ სალიტერატურო ენის დიაქრონიული და არასალიტერატურო ენის სინქრონიული მონაცემები ერთმანეთის მსგავსია.
- არასალიტერატურო ენა ნორმით არ არის შეზღუდული, ამიტომ უფრო მეტად და თავისუფლად იყენებს გრამატიკულად ჭარბ საშუალებებს.
- გრამატიკულად ჭარბ საშუალებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის სტრუქტურირებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა სალიტერატურო და არასალიტერატურო ენათა მონაცემების შედარება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ჩამოყალიბების დინამიკისა და დიაქრონიული და სინქრონიული პერიოდების მიხედვით.

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდებად დაყოფასთან დაკავშირებით ცნობილია ქართველ მეცნიერთა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე)[1] განსხვავებული თვალსაზრისები; თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ სალიტერატურო ენა, ცალკეულ მონაკვეთებად დაყოფის მიუხედავად, განვითარები-

[1] **აკაკი შანიძე** სამ პერიოდს გამოყოფს: ძველს, საშუალს (გარდამავალს) და ახალს; **არნ. ჩიქობავა** კი ორს: ძველსა და ახალს; **ბ. ჯორბენაძე** უფრო მეტად – ხუთ პერიოდად ანაწევრებს.

სა და ცვლილების პირობებშიც ინარჩუნებდა ერთიანობას; ამიტომაც ვითარდებოდა და დროთა განმავლობაში იცვლებოდა; შესაბამისად, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მინიმუმ ორი პერიოდი მაინც გამოიყოფა: ძველი და ახალი. სხვა ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური საუკუნეების განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა. ზეპირი მონათხრობის (ტექსტების) ჩაწერა მოგვიანებით – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. როდესაც შედარებაზეა საუბარი, მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის განვითარების ადრეული (ძველი და გარდამავალი) პერიოდები, ხოლო, მეორე მხრივ, მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების მონაცემები; არასალიტერატურო ქართველური ენები ზეპირმეტყველების ქარგაზეა აგებული. ამ თვალსაზრისით მათთან ერთად განიხილება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებიც.

რთული წინადადების ჩამოყალიბების დინამიკას წარმოვაჩენთ ოთხი ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა მიხედვით; ესენია: **განსაზღვრებითი, პირობით-შედეგობითი, მიზეზისა და მიზნის გარემოებითი და ვითარებით-შედეგობითი სემანტიკის გამომხატველი.** ქვეწყობილ წინადადებათა ტიპების სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს მათი სტრუქტურული და ფუნქციური პარამეტრების ანალიზს, რაც იძლევა საანალიზო კონსტრუქციათა გენეზისის გარკვევის და, ზოგადად, დიაქრონიული მონაცემების, ისტორიული სინტაქსის საკითხების წინა პლანზე წამოწევის საშუალებას. დიაქრონიული ჭრილის გამოყენება იძლევა სინქრონიული მოვლენების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას.

## 1.1. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგების სტრატეგია და განვითარების გზები ქართველურ ენებში

სალიტერატურო და არასალიტერატურო ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი საერთო ენობრივი მოვლენა არის „სინტაქსური ასიმილაცია“, რომელიც ჩნდება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ამ ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია სიხშირით გამოირჩევა, რაც განპირობებულია იმით, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მიემართება სახელს და ახასიათებს არსებითი სახელით გადმოცემულ ნებისმიერ წევრს [1].

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ფორმალური მახასიათებლებია: არსებითი სახელით გადმოცემული მისამართი სიტყვა [2] და კავშირი (წევრ-კავშირი ან მაქვემდებარებელი კავშირი). „სინტაქსური ასიმილაციის“ დროს შეერთება მხოლოდ წევრ-კავშირით ხდება; მისამართ სიტყვას თავკიდურა პოზიცია უჭირავს კონსტრუქციაში, ხოლო დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაშია ჩართული (ინტერპოზიცია). ამგვარი განლაგების ხარჯზე მისამართი სიტყვა და წევრ-კავშირი გვერდიგვერდაა მოცემული.

[1] „განსაზღვრებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც რაიმე ნიშნის მიხედვით. ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს ასეთ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს; მოგვიგებს განსაზღვრების კითხვებზე: რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით)“ (კვაჭაძე 1988:356).

[2] „მისამართი სიტყვა“ თარგმნილი ტერმინია და კ. დონდუას ეკუთვნის (იხ. დონდუა 1940).

### *1.1.1. „სინტაქსური ასიმილაციის“ პრობლემური საკითხები*

- *„სინტაქსური ასიმილაციის“ რაობა*

ტერმინი *„სინტაქსური ასიმილაცია“* კ. ბრუგმანს ეკუთვნის (K.Brugmann) და შექმნილია ფონეტიკური ასიმილაციის ანალოგიით; „სინტაქსურ ასიმილაციას“ „ატრაქციასაც“ უწოდებენ. იგი ითვალისწინებს რთული წინადადების პირველ ნაწილში მოცემული მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ერთსა და იმავე ბრუნვაში დასმას, ანუ მათ ფორმობრივ მსგავსებას (დონდუა 1940:331-333). ამ შინაარსს ატარებს ზემოაღნიშნული ტერმინი „სინტაქსური ასიმილაცია“.

მისამართი სიტყვის შეცვლას მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის შესაბამისად (ერთელიშვილი 1962:17) უპირატესად მაშინ ვხვდებით, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია ჩართული; არ არის გამორიცხული მაშინაც, როცა დამოკიდებული მოსდევს მთავარს. „სინტაქსური ასიმილაციის“ არსებობას ძველ ქართულში აკაკი შანიძე შემდეგი ფრაზით ახასიათებს: „ძველად სხვა მდგომარეობა იყო“ (შანიძე 1950:316), რომელსაც აზუსტებს ფ. ერთელიშვილი და აღნიშნავს: ძველად კი იყო ასეთი მდგომარეობა, მაგრამ იგი ნორმა არ ყოფილა, თუმცა არაიშვიათად გვხვდებოდა (ერთელიშვილი 1962:17-18).

მოცემული განმარტებები მიანიშნებს იმაზე, რომ მსგავსი ტიპის კონსტრუქციები აჩვენებს ჰიპოტაქსის ჩამოყალიბების პროცესს; შესაბამისად,

**საანალიზო საკითხთან დაკავშირებით არაერთი თავისებურება იკვეთება**; **კერძოდ**:

ა. „სინტაქსური ასიმილაციის“ დროს ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, როგორც აღინიშნა, ძირითადად ინტერპოზიციით არის წარმოდგენილი, რაც მთავარი წინადადების გახლეჩის ხარჯზე ფორმალურად სამკომპონენტიან დაყოფას ითვალის-

წინებს (მთავარი + დამოკიდებული + მთავარი); მიუხედავად ამისა, მთლიანად წინადადება პირობითად მაინც ორ ნაწილად იყოფა მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ერთიანი ინტონაციით წარმოთქმის ხარჯზე; შეიძლება ითქვას, რომ სინტაქსური საზღვარი და წარმოთქმისას ბუნებრივად შექმნილი პაუზა არ ემთხვევა ერთმანეთს.

ბ. მისამართი სიტყვის ფორმალური (ბრუნვის მიხედვით) მსგავსება მიმართებით ნაცვალსახელთან ავტომატურად იმასაც ნიშნავს, რომ მისამართი სიტყვა ბრუნვაში მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისგან, ნაცვლად მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლისა; მაშასადამე, ასეთ დროს მთავარი წინადადების კომპონენტებს (მისამართი სიტყვა და ზმნა-შემასმენელი) შორის ბრუნვაში მართვა დარღვეულია.

ამგვარი დარღვევის შემაპირობებელ ფაქტორს კარგად წარმოაჩენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისები ძველი ქართული ენის მაგალითების მოხმობით:

***შენიშვნა 1**: „თუ დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარში, მაშინ **რომელი** და მის წინ მდგომი მის მიერ საზღვრული სახელი – ორივე ერთად ეფარდება მომდევნო შემასმენელს: „ყოველმან **წულმან რომელმან განაღოს** საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს“ ლკ. 2,23 (მ. შანიძე 1948:97).*

***შენიშვნა 2**: „თუ სახელს ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და შემდეგ მოდის მთავარი წინადადება, ეს სახელი ეთანხმება დამოკიდებული წინადადების ზმნას და არა მთავრისას, სულერთია, სუბიექტია სახელი თუ ობიექტი... ითქმის: **სანადირომან შეიპყრას**, მაგრამ [სინამდვილეში უნდა იყოს] **სანადიროჲ რომელ** დაარწყუეს, **შეიპყრას** ფერჯი მათი (ფს. 34,8)“ (ა. შანიძე 1976:167).*

*აკაკი შანიძე წარმოდგენილი მაგალითებით (**სანადირო-მან** შეიპყრას შდრ.: **სანადირო-ჲ რომელ**... შეიპყრას) ხაზს უსვამს,*

*რომ სახელსა და სახელს შორის ბრუნვაში შეთანხმება ხელს უშლის სახელის მართვას ზმნისგან სათანადო ბრუნვაში.*

**თავისებურებათა რიგში განიხილება შემდეგი საკითხებიც:**

გ. კონსტრუქციის მეორე ნაწილში – დამოკიდებულის მომდევნო მთავარში ჩნდება „პლეონასტურად გავრცობილი პირის ნაცვალსახელი“[1], რომელიც მისამართი სიტყვის (არსებითი სახელის) ფარდია.

დ. პლეონასტურად გაჩენილი ნაცვალსახელი მართულია მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მიერ.

„სინტაქსური ასიმილაცია“ და „კორელატის პლეონასტური გავრცობა“, როგორც აღინიშნა, დამახასიათებელი იყო ქართული სალიტერატურო ენისთვის განვითარების ადრეულ ეტაპზე; ძველ ქართულში ეს მოვლენა პირველად შენიშნა ჰ. შუხარდტმა (Шухардт 1950:62); შემდგომ უფრო ვრცლად განიხილეს: ა. შანიძემ, ფ. ერთელიშვილმა, ა. კიზირიამ (შანიძე 1950:315-316; 1976:167; ერთელიშვილი 1962:17-19; კიზირია 1969:77); საშუალ ქართულშიც დაადასტურა ა. კიზირიამ (კიზირია 1969:77), ხოლო ახალ ქართულში, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში, აღწერა და გააანალიზა ვ. თოფურიამ (თოფურია 1988:97-98); აღნიშნული ენობრივი მოვლენა ასევე ხშირად გვხვდება მეგრულსა და სვანურ ენებში, ქართული ენის დიალექტებში (აბესაძე 1962; კვანტალიანი 1990; ლომია 2005).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

*ძველი ქართული სალიტერატურო ენა:*

(1) ს ი ტ ყ უ ა ს ა . DAT რ ო მ ე ლ ს ა . DAT[2] ვიტყოდე,

**მან. ERG** საჯოს იგი უკანაჲსკნელსა დღესა (იოვანე 12,48).

[1] კ. დონდუას ტერმინით, იგივე „კომპრომისული ფორმა“ (დონდუა 1940:12).

[2] მისამართი სიტყვა და მიმართებითი ნაცვალსახელი აღიქმება, რო-

*საშუალი ქართული სალიტერატურო ენა:*

(2) ...კ ა ც ი . NOM რ ო მ ე ლ ი . NOM წინამძღვარი არის მათი, **მისგან. GEN** არის ყველაი... (ამირანდარეჯანიანი, 97).

*მეგრული ენა:*

(3) დათაში მ ო ც ვ ე ნ ჯ ი. NOM, ნ ა მ უ თ ი . NOM დიხას ხონგნდგ ვითოჟირი უღუ კამეჩეფით დო ნახონა დიხას ყინტგნდგნი, **თიქ. ERG** არწორო ხორცი გეცინტგ (ყიფშიძე, 17,13) „დათას მომყოლი, რომელიც მიწას ხნავდა თორმეტი უღელი კამეჩით და ნახნავ მიწას ყლაპავდა, **იმან** ერთიანად ხორცი გადაყლაპა“.

*სვანური ენა:*

(7) მ ე თ ხ უ̈ რ . NOM ხ ე დ ა . NOM ღვაშს ადგა̈რი, **ამნემდ. ERG** ნა̈თხურა ისგდ აყუ̈ილ.
„მონადირე რომელიც ჯიხვს კლავს, **ამან** ნანადირევი შუაზე გაყო“.

- ***ძირითადი და ალტერნატიული ჰიპოტაქსური მოდელების ანალიზი***

ძირითადი საანალიზო კონსტრუქცია „სინტაქსური ასიმილაციის“ შემცველი და პლეონასტურად გავრცობილი კონსტრუქციაა; მისი მახასიათებელი ზემოჩამოთვლილი თავისებურებები კარგად ჩანს, როცა მას სინტაქსურად და პუნქტუაციურად ნორმის მიხედვით გამართულ ალტერნატიულ ვარიანტს შევუდარებთ:

---

გორც მსაზღვრელ-საზღვრული და ძველ ქართულ ტექსტებში მათ შორის მძიმე არ დაისმის (იხ. აგრეთვე შენიშვნა 1 და შენიშვნა 2). მეგრულ და სვანურ გამოცემულ ტექსტებში ამ და სხვა შემთხვევაში პუნქტუაციის ნიშანი უმთავრესად დასმულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით.

*ძირითადი კონსტრუქცია:*

( 8 ) ს ი ტ ყ უ ა ს ა რ ო მ ე ლ ს ა . DAT ვიტყოდე, **მან.ERG** საჯოს იგი უკანაჲსკნელსა დღესა (იოვანე 12,48).

ა. ს ი ტ ყ უ ა ს ა რ ო მ ე ლ ს ა (მისამართი სიტყვა და წევრკავშირი), ფაქტობრივად, პოსტპოზიციური შესიტყვებაა, შდრ.: რ ო მ ე ლ ს ა ს ი ტ ყ უ ა ს ა; წარმოითქმის ერთიანი ინტონაციით და მათ შორის მძიმე არ იწერება.

ბ. *ს ი ტ ყ უ ა ს ა* მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისაგან:

ს ი ტ ყ უ ა ს ა . . . ვიტყოდე.

გ. **მან** ნაცვალსახელი (კორელატი) გრამატიკულად „ჭარბია“, მაგრამ მისი გაჩენა ფუნქციურად აუცილებელია. **მან** არის ს ი ტ ყ უ ა ს ა ლექსემის ფარდი და მონაცვლე მთავარ წინადადებაში *(სიტყუასა.DAT = **მან**.ERG)*[1] *იმართვის* მთავარი წინადადების შემასმენლისაგან: **მან**... საჯოს.

შდრ.:

*ალტერნატიული კონსტრუქცია:*

(8ა) ს ი ტ ყ უ ა მ ა ნ . E R G , რ ო მ ე ლ ს ა . D A T ვიტყოდე, საჯოს იგი უკანაჲსკნელსა დღესა.

ასევე უნდა იყოს გაგებული სხვა საილუსტრაციო მაგალითების სემანტიკაც.

- *განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი – ა და ბ შემთხვევით; კერძოდ:*

***ა. ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობის გარეშე,*** რაც მხოლოდ მისამართი სიტყვის ბრუნვაში მართვის დარღვევას ნიშნავს:

[1]ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ორი ტოლფასი (resp. ეკვივალენტური) სეგმენტი წინამდებარე მონოგრაფიაში სხვაგანაც არის შენიშნული და გაანალიზებული.

*ძველი ქართული ენა*

(9) ყოველმან ***ხემან რომელმან*** არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ***მოეკვეთოს*** და ცეცხლსა ***დაედვას*** (მ.3,10).

(10) **მამაჲ შენი რომელი** ჰხედავს დაფარულთა, **მოგაგოს** შენ ცხადად (მ. 6,4).

ძველ ქართულში (9) და (10) მაგალითებით დამოწმებული მოვლენა სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

***ბ. ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობით,*** მაშინაც კი, როცა, წესისამებრ, მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ არის ბრუნვაში მართული; ეს მოვლენა ძირითადად მეგრულსა და სვანურში შეინიშნება:

*მეგრული ენა:*

(11) ხვილირ **კოჩიქ** დინახალენქ, **ნამუთ** დიხას ჭკუმუნდგნ, **ათექ** ნაჭკუმა დიხა დაარღუ (ხუბუა 271,18) „შიგნით გამომწყვდეულმა კაცმა, რომელიც მიწას ჭამდა, ამან ნაჭამი მიწა დაყარა“.

(12) ათე დროს **თი მაცალექ**, **ნამუთ** ქაშქვილც ოცოთანდგნ, **ეთიქ** ქააცოთგ ქაშქვილი დო მახვამილუუ წყარშა გოტებულს (ხუბუა 272, 17-18) „ამ დროს იმ (ახალ)მოსულმა, რომელიც მშვილდს ისროდა, იმან ესროლა მშვილდი და მოახვედრა წყალზე გაშვებულს“.

*სვანური ენა:*

(13) ყუიჟიაქ ფიკვ მადეჲ ღუნ ხად ლეჯდე ეჯ **მეზგა**, ხერას იშეშთე ირიუ̈, **ეჯის** (სვ. პროზ. ტ. II 1957: 238,2) „სამსხვერპლოდ ვაცი ან ხბო უნდა მოეყვანა (მოსაყვანი ჰყავდა) იმ **ოჯახს**, ჯერი ვისკენაც იქნებოდა, **იმას**“.

### *1.1.2. „სინტაქსური ასიმილაციის“ გაჩენის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები*

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, რა განაპირობებს მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვაში შეთანხმება-დამსგავსებას; შესაბამისად, „სინტაქსური ასიმილაციის“ გაჩენის სხვადასხვა მიზეზია დასახელებული:

***ა. ლინგვისტურ დონეზე იგი უკავშირდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩასახვის ადრეულ პერიოდს***: განსაზღვრებითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბების დინამიკა ჰქონდა მხედველობაში კ. დონდუას, როცა აღნიშნავდა: „ჩვენ წინაშე არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადადებას შორის“ (დონდუა 1940:335-336; 1949:198-199). კ. დონდუას, ა. პოტებნიას აზრის გათვალისწინებით, სარწმუნოდ მიაჩნდა, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების საბოლოოდ ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ის პერიოდი, როცა „მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს“ (დონდუა 1940:335); ა. კიზირიაც ამ მოვლენას ლინგვისტურ ახსნას უძებნიდა, თუმცა, მისი აზრით, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან საურთიერთოდ იმავე წესის გამოყენებით, როგორიც არსებობს ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში (კიზირია 1969:74).

„სინტაქსური ასიმილაციის“ დროს, როცა მისამართი სიტყვა კავშირს წყვეტს თავის შემასმენელთან და დამოკიდებული წინადადების შემასმენელს უწევს ანგარიშს, მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ

არის მართული. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ჩვენებითი ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობა, კ. დონდუას ტერმინით, არის „კომპრომისული ფორმების“ გაჩენა (დონდუა 1940:12).

***ბ. ექსტრალინგვისტურ დონეზე გადამწყვეტი შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორი***

ფსიქოლოგების აზრით, ამ მოვლენას ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს, რის შედეგადაც იკვეთება პროგრესული და რეგრესული ასიმილაციის სახეები[1]. ზეპირი მეტყველების დროს „გაბმულ ტექსტებში გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მეხსიერებაში“ (ენუქიძე 1987:121).

### *1.1.3. მისამართი სიტყვის გამეორება*

ქართველურ ენებში „კომპრომისული ფორმების“ გვერდით ისეთი ჰიპოტაქსური კონსტრუქციაც დასტურდება, სადაც უცვლელად ხდება თვით მისამართი სიტყვის გამეორება დამოკიდებულ წინადადებაში. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია მეგრულში, სვანურში და ქართული ენის დიალექტებშიც:

*მეგრული:*

(1) ექ უწუუ **ხენწიფეში სახელი, ნამუ ხენწიფეში** სქუათი რდგნი „ამან უთხრა ხელმწიფის სახელი, რომელი ხელმწიფის შვილიც იყო“ (ტ. II, 220, 7).

(2) შქასერი ბორჯის ქიმუჯღონ აჯიაქ **თი ახალგაზრდას**, **ნამუ ახალგაზრდას** იჩინენდგ წოხოლენი დო ორდგ მუში ქომონჯინ (ხუბუა 220,3-4) „შუაღამეს მიუგზავნა აჯიამ იმ

[1] პროგრესული და რეგრესული ასიმილაცია განსაზღვრებით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ძველი ბერძნულის მაგალითზე მიმოხილული აქვს კ. დონდუას (დონდუა 1940:330-333).

ახალგაზრდას, რომელ ახალგაზრდას(აც) იცნობდა ადრე და იყო მისი ქმარი“.

(3) მიდართგ მინისტერქ **თი ქალაქიშა**, **ნამ ქალაქის** ეკატერინე ცხოვრენდგნი (ხუბუა 291 37-38) „წავიდა მინისტრი იმ ქალაქში, რომელ ქალაქშიც ეკატერინე ცხოვრობდა“.

*სვანური:*

(4) ათხე ალ მეთხუიარდ ესწუენე **ეჯ ზურალ**, **ხედუაჲ ზურალს** ოქურა ლუსდგუარ ეშ ხოთირდა (ექსპედიციის მასალები) „ახლა ამ მონადირემ დაინახა **ის ქალი**, **რომელ ქალს(აც)** ოქროს ნაწნავები დასთრევდა“.

*ქართული ენის დიალექტები:*

(5) მე მოვხანი **ის მიწა**, **რომელი მიწაც** მამაჩემმა დოუტია ბაღნეფს (იმერული, ექსპედიციის მასალები).

ამგვარ კონსტრუქციებში პლეონასტურად გავრცობილი კორელატიც გვხვდება:

*მეგრული:*

(6) **ათე შარა**, **ნამ შარას** გიორგი გეცუნდუნი, **ათენა ხოლო** მეურს ვიშო (ტ. II, 204, 20-21 „ეს გზა, რომელ გზას(აც) გიორგი მიუყვებოდა, ესეც იქ(ით) მიდის“.

*სვანური:*

(7) დაუ აარი აშხუ აგის **ეჯგვაარ**, **ერე** ეჩა მენწირ მამაგვეშ წვა, **ეჯგვაარ** (სვ. პროზ. ტ. II 1957:35, 30) – „დევი არის ერთ ადგილას **ისეთი**, **რომ** იმის მომრევი არაფერია („არაფერი იპოვება“), **ისეთი**“.

(8) ეშხუ **ლჷქაჩ**, **ხედუას** კუჭ ხაშხენა, **ალი** ტყუედ ოხჯიდახ მინეშთე (სვ. პროზ. ტ. II 1957: 125, 16) „ერთი **დაჭრილი**, **რომელსაც** კუჭი რქმევია, **ეს** ტყვედ წამოუყვანიათ თავისთან“.

მისამართი წევრის გამეორება ნათელს ხდის და მეტ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს წინადადებით გადმოცემულ აზრს (ქავთარაძე 1954:19); ცნობილია, რომ ჰიპოტაქსური სტრუქტურის განვითარებამ ქართულში სამი საფეხური გაიარა; აქედან, გარდამავალ საფეხურზე მიმართებით ნაცვალსახელთან მოცემული ნომინალური ელემენტი შეიძლება გაუჩინარდეს, ენკლიტიკური ნაწილაკი გადაინაცვლებს კითხვით ნაცვალსახელთან. ამ ეტაპზე კორელატი კრავს წინადადებას, ხელს უწყობს ქვეწყობის კონსტრუქციის გაფორმებას (ძიძიგური 1959:365-369, 373). ამ დროსაა მოსალოდნელი სწორედ კომპრომისული ფორმების გაჩენა (აბესაძე 1962:59).

„სინტაქსური ასიმილაცია“ და ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობა ქვეწყობილ წინადადებაში ძირითადად პოზიციით, კერძოდ, ინტერპოზიციით, არის განპირობებული (კვანტალიანი 1983:13). „ასეთ შემთხვევაში მთავარი წინადადების მისათითებელი სიტყვა ძალიან შორდება შემასმენელს და ეს უკანასკნელი კვლავ იჩენს ახლოს ნაცვალსახელურ ან ზმნიზედურ კორელატს“ (შესავალი წერილი, ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1991:9); ამავე დროს, ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია წინადადებისეული აზრის კონკრეტიზაცია-დეტალიზაცია. ამ მიზნით კი ნებისმიერი წევრი შეიძლება განმეორდეს და არა მხოლოდ ინტერპოზიციის დროს. ზეპირი მეტყველების დროს გაბმულ ტექსტში განმეორების მნიშვნელობასა და ამ მოვლენის ფსიქოლოგიურ საფუძველზე მსჯელობა ლ. ენუქიძის მიხედვით (ენუქიძე 1987:121) მოცემულია ამავე თავში (იხ. 1.1.2). სულხან-საბას ენაში დადასტურებული ამგვარი კონსტრუქციების წარმოქმნის ერთ-ერთ გზად ასევე ზეპირმეტყველება არის მიჩნეული (კობალაძე 1971:239).

### *1.1.4. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა თავისებური განლაგების ფორმალური მახასიათებლები*

ტრადიციულ სინტაქსში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა განლაგების სამ სახეს გამოყოფენ იმის მიხედვით, დამოკიდებული უსწრებს მთავარს, მოსდევს მას თუ ორ ნაწილად გაყოფილი მთავრის შუაშია მოქცეული; თავისებურებას განსაზღვრავს არა მხოლოდ განლაგების განსხვავებული ვერსიები, არამედ შეზღუდვა მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა პოზიციური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ქართულ სალიტერატურო ენაში მიმართებითნაცვალსახელიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტების განლაგებასთან დაკავშირებით ფ. ერთელიშვილს დადგენილი აქვს შემდეგი კანონზომიერება: როდესაც **მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულებია (არსებითი სახელი, საწყისი) მოცემული, დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების მომდევნოდ ექცევა**, ხოლო, როდესაც მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები არ გვაქვს, დამოკიდებული წიადადება მთავარი წინადადების წინ არის გადმონაცვლებული (ერთელიშვილი 1962:31).

ქართულში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს ყველაზე ხშირად „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელით უერთდება. აღნიშნული წევრ-კავშირი მიემართება სახელით გადმოცემულ მისამართ სიტყვას, რის გამოც „რომელიც“ კავშირიან დამოკიდებულს მყარად უჭირავს ადგილი მთავრის მომდევნოდ. მსგავსი მოვლენა შენიშნულია მეგრულშიც (იხ. ფაჩულია 1997:85; ლომია 2005:55-56).

*მეგრული:*

(3) ბოშიქ... ხე ქჳმოკიდჳ ათე **ძღაბის**, **ნამუთ** კუჩხის უქაცუანდუნ „ბიჭმა... ხელი მოკიდა ამ გოგოს, რომელიც ფეხს ატოკებდა“ (ტ. II, 186, 13-14).

(4) ქოძირეს ბირგულიშ მაგინძა **კოჩი**, **ნამუთი** ცურდგელეფცჳ ჭყიშჳნდჳ (ყიფშიძე, 16, 9) „ნახეს მუხლის სიმაღლის /„სიგრძის“ კაცი, რომელიც კურდღლებს მწყემსავდა“.

*სვანური:*

(5) მიჩ’ესერ ქუ̈ეყანას ლჳმა̈რდელი ეშხუ ესერ **ჯა̈ნ**, **ხედჳას** სგებნე ჭჳშხა̈რ ზუღჳას ამხენ ხოგა̈ნ ი ღეშგმე – ეჩხენ (სვ. პროზ. ტ. II, 1957:139, 28) „ჩემს ქვეყანაში ყოფილაო ერთი ხარი, რომელსაც წინა ფეხები ზღვას აქეთ ედგა და უკანა – იქით“.

საკუთრივ მიმართებითი ნაცვალსახელის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაში თავისუფალია, თუმცა სიხშირით თავკიდურა პოზიცია ჭარბობს; თავშია მაშინაც, როცა დამოკიდებულით იწყება ჰიპოტაქსური სტრუქტურა, რადგან ასეთ დროს წევრ-კავშირი ფაქტობრივად სახელით გადმოცემული მისამართი სიტყვის ერთ-ერთი მსაზღვრელია, პირის ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი კი მთავარ წინადადებაშია.

**მაგალითები**:

*მეგრული:*

(5) **ნამუთ** *საორინჯო* **რაში** თაქი რჳუნსჳნ, **თის** ოკო ქიგედოხოდე „რომელი სანაშენო /„სადგამური“ რაში აქ გყავს, იმას უნდა დააჯდე“ (ტ. II, 116, 13-14).

შდრ.: ტრადიციული გრამატიკის მიხედვით დალაგებული კონსტრუქცია:

(5ა) **თი** საორინჯო **რაშის** ოკო ქიგედოხოდე, **ნამუთ** თაქი რცუნსგნ, „იმ სანაშენო რაშს უნდა დააჯდე, რომელიც აქ გყავს“.

(6) **ნამუთ** მედაჩხირე **მეზობელი** გიცუნს, **თის** ვააწყინებაფუე ოკო (ექსპედიციის მასალები) „რომელი მეცეცხლური მეზობელი გყავს, იმას არ აწყენინო უნდა“.

***შენიშვნა 1****: საკავშირებელი სიტყვა დამოკიდებული წინადადების ბოლოშიც შეიძლება მოექცეს, მაგრამ მხოლოდ ლექსში, ამ უკანაკსკნელის სპეციფიკიდან გამომდინარე; მაგალითად,*

*(7) „უოსურე კოჩი უჯგუ ოსურამცუ მუზმათგნი. მა სო მაანგარიშებე.... (სამუშია 108, 24).*

*„უცოლო კაცი სჯობია ცოლიანს რამდენადაც, მე სად შემიძლია ვიანგარიშო (განვსაზღვრო)...“*

*ამგვარი შემთხვევები ჩვეულებრივია ქართული და სვანური პოეზიის ნიმუშებშიც (ლომია 2005:57).*

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა თავისებური განლაგება ყველაზე თვალსაჩინოდ იკვეთება მაშინ, როცა **კორელატი დგას წინადადების ბოლოს**. ეს ვითარება იძლევა შემდეგ თანმიმდევრობას: *მთავარი + დამოკიდებული +კორელატი,* რაც სალიტერატურო ენისგან განასხვავებს ზეპირმეტყველების ენებსა და დიალექტებს; მართალია, კორელატი მთავარი წინადადების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ზემოაღნიშნულ თანმიმდევრობას ტრადიციული ინტერპოზიციისგან ვასხვავებთ და ცალკე განვიხილავთ, რადგან კორელატის ბოლოში დასმით „,მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მიჯნა ერთგვარად იშლება და რთული წინადადების ორივე კომპონენტი ერთ მთლიან ინტონაციურ-არტიკულაციურ მონაკვეთად იქცევა“ (იხ. ვრცლად შესავალი წერილი წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1991:9). მთავარ და დამოკიდე-

ბულ კომპონენტთა ამგვარი ეფექტური განლაგების ხარჯზე მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნის დასმის კანონზომიერება. მეგრულ და სვანურ ბეჭდურ ტექსტებში სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით დასმულ სასვენ ნიშანზე აღვნიშნეთ „სინტაქსურ ასიმილაციაზე“ მსჯელობისას. ამჯერადაც ასეთივე ვითარებაა მეგრულ და ქართული ენის დიალექტურ ტექსტებში. განსაკუთრებით წინადადების ბოლოს მოცემული კორელატი ბუნებრივად უერთდება წინამავალი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს; ამიტომ, წესით, წინადადების ბოლოს კორელატი არ უნდა გამოიყოს მძიმით.

**მაგალითები**:

*მეგრული* [1]*:*

(8) რაგადუუ მაჟირა მულირი **კოჩქ**, **ნამუთი** დუდენდუნი **თიქ** (ხუბუა, 16, 2-3) „ისაუბრა მეორედ მოსულმა კაცმა, რომელიც მეთაურობდა (პირველობდა), იმან“.

(9) უწუუ უჩაში ბოშიშ **სქუაქ, ნამუთი** სუმარო რდუ დიკუირი **თიქ** (ექსპედიციის მასალები) „უთხრა უფროსი ბიჭის ძმამ, რომელიც სტუმრად იყო ჩამოსული, იმან“.

(10) თე შარას გეცუნდუ ტარიელიჯგურა **ბოში**, **ნამუთი** მითინს ვადარაგვედუ **ფერი** (ექსპედიციის მასალები) „ამ გზას მიუყვებოდა ტარიელივით ბიჭი, რომლის წაქცევასაც ვერავინ შეძლებდა, ისეთი“.

„ფერ“ კორელატის განსაკუთრებულ თვისებაზე, ბოლოკიდური პოზიცია დაიჭიროს განსაზღვრებით ჰიპოტაქსურ წინადადებაში, ვრცლად იხ. ჯიქია 2009:131-137.

[1]ქართული ენის დიალექტებში ამგვარი კონსტრუქციები სხვა შინაარსის ჰიპოტაქსურ მოდელებშიც დასტურდება: [კოტოტიანს] დავასახურავებთ, **რაცხა** სუფთა იქნება, **იმით** (ლეჩხუმური, ქართული დიალექტოლოგია 495, 28); ...გათხუეფ, მე **რაცხაით** ვიყავი, **იმას** (ქვ. გურული, ქართული დიალექტოლოგია 422, 35-36).

## 1.2. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში განსაზღვრებისა და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მიმართების საკითხი მეგრული მასალების მიხედვით

წინადადების წევრის ჩანაცვლება დამოკიდებული წინადადებით ინფორმაციის სტრუქტურირების ერთ-ერთი გავრცელებული სტრატეგიაა და დამახასიათებელია ზეპირმეტყველების ენებისთვის. ამგვარი ხერხით ენა ხაზს უსვამს საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებული წევრის მახასიათებელ ნიშნებს. აღნიშნული საშუალება ენამ შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი (სინტაქსურად მთავარი თუ არამთავარი) წევრის დასახასიათებლად. ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის ზემოაღნიშნული სტრატეგია გაანალიზებულია მეგრული მასალების მიხედვით; კერძოდ, განხილულია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ატრიბუტული განსაზღვრებისა და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მიმართების საკითხი.

მეგრულში ატრიბუტული განსაზღვრება შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, რომელთა შორის მრავალფეროვნებით გამოირჩევა ზედსართავით გადმოცემული მსაზღვრელები, რადგან ზედსართავი სახელი აერთიანებს ვითარებით (პირველად) და მიმართებით (წარმოქმნილ) ჯგუფებს; დამოკიდებულ წინადადებად გარდაქმნის მიდრეკილებას განსაკუთრებით წარმოქმნილი სახელები იჩენენ, რომელთა შორის მოიაზრება მიმღეობებიც; შესაბამისად, პარალელურ კონსტრუქციებსაც ამ ტიპის ზედსართავების მონაწილეობით წარმოვადგენთ:

მაგალითები:

(1) **ჭითაკაბამი** ძღაბი აშო მურს „**წითელკაბიანი** გოგო აქეთ მოდის“ *(მარტივი წინადადება)*, შდრ.:

(1ა) **ჭითა კაბა** მიკაქუნსუ**ნი** *ფერი* ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა რომ აცვია, *(იმ)ფერი* გოგო აქეთ მოდის“ *(ჰიპოტაქსური კონსტრუქცია).*

(1ბ) **ჭითა კაბა** მიკაქუნსუ**ნი** *თიგვარი* ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა რომ აცვია, *იმგვარი* გოგო აქეთ მოდის“ *(ჰიპოტაქსური კონსტრუქცია).*

(1გ) **ჭითა კაბა** მიკაქუნსუ**ნი** *თი* ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა რომ აცვია, *ის* გოგო აქეთ მოდის“ *(ჰიპოტაქსური კონსტრუქცია).*

(1დ) აშო მურს ძღაბი, **ჭითა კაბა** მიკაქუნსუ**ნი** *ფერი* „აქეთ მოდის გოგო, წითელი კაბა რომ აცვია, *(იმ)ფერი*“ *(ჰიპოტაქსური კონსტრუქცია).*

ატრიბუტული განსაზღვრების ჩანაცვლება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით ეფუძნება კანონზომიერებას, რომელსაც ზემოთ მოხმობილი მაგალითების მიხედვით წარმოვადგენთ; კერძოდ:

1. მარტივ წინადადებაში რთული სიტყვით გადმოცემული განსაზღვრება *(ჭითაკაბამი „წითელკაბიანი“)*[1] იშლება მსაზღვრელ-საზღვრულად *(ჭითა კაბა „წითელი კაბა“)* [2].
2. იგი ზმნასთან ერთად -ნი „რომ“ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ნაწილი ხდება *(ჭითა კაბა მიკაქუნსუ-ნი... „წითელი კაბა რომ აცვია“...)* [3].
3. მარტივ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემული საზღვრული წევრი (ძღაბი „გოგო“) გადაინაცვლებს მთავარ წინადადებაში.
4. მას მსაზღვრელად უჩნდება ახალი ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც სინტაქსური ფუნქციით კორელატია

[1] იხ. მაგალითი (1).

[2] იხ. მაგალითები : (1ა), (1ბ), (1გ), (1დ).

[3] იხ. მაგალითები : (1ა), (1ბ), (1გ), (1დ).

*((თი)ფერი ძღაბი „იმფერი გოგო“)* [1].

5. კორელატის ფუნქციით დატვირთული სიტყვა-ფორმების ჩამონათვალი გასაზღვრულია; ესენია: *(თი)ფერი „იმფერი“, თიგვარი „იმგვარი“, თინერი „იმნაირი“* და ჩვენებითი ნაცვალსახელი *თი „ის“* [2].

აგებულების მიხედვით განსხვავებული კონსტრუქციები სემანტიკურად ერთმანეთის მსგავსია, ამიტომაც „ჭარბია“ ჰიპოტაქსურ სტრუქტურაში გაჩენილი გრამატიკული ფუნქციის მონაცემები; თუმცა ცნობილია, რომ სპონტანური მეტყველება თამამად იყენებს გრამატიკულად „ჭარბ“ საშუალებებს, როგორც ინფორმაციულად დატვირთულ და მნიშვნელოვან ელემენტებს; შესაბამისად, **ატრიბუტული განსაზღვრების ჩანაცვლებას განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით აქვს ფოკუსირებული წევრის მარკირების ფუნქცია. განსაზღვრებით გადმოცემული ნიშან-თვისების ფოკუსირება ხდება დამოკიდებული წინადადებით.**

საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებული წევრის მარკირება სინტაქსურ დონეზე **სიტყვათა რიგითაც** არის შესაძლებელი. მოცემულ ვითარებაში ამ თვალსაზრისით ორ შემთხვევას გამოვყოფთ:

1. ატრიბუტული განსაზღვრებისა *(ჭითაკაბამი „წითელკაბიანი“)* თუ მისგან მომდინარე მსაზღვრელ-საზღვრულის *(ჭითა კაბა „წითელი კაბა“ )* **თავკიდურა პოზიცია** (იხ. მაგალითები (1), (1ა), (1ბ), (1გ), (1დ).
2. ჰიპოტაქსური სტრუქტურის ერთ მთლიან ერთეულად აღქმა, რასაც ხელს უწყობს შემადგენელი კომპონენტების სპეციფიკური განლაგება.

მეგრულში როცა გვაქვს მიმდევრობა *-ნი კავშირიანი დამო-*

[1] იხ. მაგალითი (1ა).

[2] იხ. მაგალითები : (1ა), (1ბ), (1გ), (1დ).

*კიდებული + მთავარი,* ქვეწყობილი წინადადებისთვის სპეციფიკურია კორელატის მოთავსება წინადადებათა საზღვარზე, რადგან კორელატი იწყებს მთავარ წინადადებას (დაწვრ. იხ. ლომია 2005:95). სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული ეს თავისებური წესი მუშაობს მოცემულ შემთხვევაშიც: *-ნი „რომ“* კავშირ-ენკლიტიკით დასრულებული დამოკიდებული წინადადება კორელატთან მეზობლობის ხარჯზე აყალიბებს მყარ შესიტყვებას; მათი პოზიციურ-ინტონაციური კავშირის საფუძველზე მთლიანად ჰიპოტაქსური წინადადება ერთ ფრაზემად აღიქმება, რაც უგამონაკლისოა *დამოკიდებული + მთავარი* მიმდევრობის დროს (იხ. მაგალითები: (1ა), (1ბ), (1გ), (1დ). ფრაზის ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელია მაშინაც, როცა დამოკიდებული მოსდევს მთავარს; განსაკუთრებით ეს ეხება *ფერი* კორელატის მოთავსებას ჰიპოტაქსური წინადადების ბოლოს[1] (იხ. მაგალითი (1დ), როცა სასვენი ნიშნის დასმა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტებს შორის პრაქტიკულად შეუძლებელია[2].

მეგრულ ბეჭდურ ტექსტებშიც კი ერთი კონსტრუქციის ფარგლებში ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი ენობრივი მონაცემის (განსაზღვრებისა და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების) არსებობა უტყუარად ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და უპირატესია ზეპირმეტყველებისთვის დამოკიდებული წინადადებებით თხრობა; მაგალითად,

(2) შარას **თოლელაღალირი** ირემი ქოძირუ, **თოლი ვაუღუდუ-ნ ფერი** (ხუბუა 242,2) „გზაზე **თვალამოღებული** ირემი ნახა, **თვალი რომ არ ჰქონდა, ისეთი**“.

[1] *ფერი* კორელატიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა განლაგების შესახებ პროფ. მ ჯიქიას სტატიაზე მივუთითეთ წინა პარაგრაფში (ჯიქია 2009:131-137).

[2] ქართულ თარგმანებში, თვალსაჩინოებისთვის, მძიმით გამოყოფილია კორელატი კანონიკური სინტაქსის წესების მიხედვით.

განსაზღვრებით გადმოცემული თვისება განმარტებულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით.
შდრ.:

- ***თოლელალალირი*** *„თვალამოღებული“ (განსაზღვრება) =*
- ***თოლი ვაულუდუ-ნ ფერი*** *„თვალი რომ არ ჰქონდა, ისეთი“ (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება).*

მეგრულისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ განსაზღვრების, არამედ სხვა წევრების გაშიფვრაც დამოკიდებული წინადადებით[1] (ამავე მოვლენის ანალიზი არამთავარი წევრების მაგალითზე დაწვრილებით იხ. თ. ქაროსანიძის საბაკალავრო ნაშრომში: ქაროსანიძე 2013).

ლაზურში ამ ტიპის კონსტრუქცია ერთგვარად შემოკლებულია, კერძოდ, მოცემულია კორელატის გარეშე:

**კულანიქ-ნაი ბიჭის** უწუ-ქი – **გოგომ რომაა** ბიჭს უთხრა (კარტოზია 41, 30).

*შ ე ჯ ა მ ე ბ ა*

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ჩამოყალიბების დინამიკა საინტერესო სურათს გვიჩვენებს განსაზღვრებითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მაგალითზე. „სინტაქსური ასიმილაციის“ სახელით ცნობილი მოვლენა, რომელიც ჰიპოტაქსის განვითარების ადრეულ ეტაპს წარმოაჩენს, საერთოქართველურია, რადგან ერთნაირად დასტურდება ძველ ქართულში, მეგრულში, სვანურსა და ქართული ენის დიალექტებში. საინტერესოა მეგრულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურებული ზე-

[1] *ჩაიში შუმა დროს, ძღაბიში დიდა დო მუმა* ***ჩაის შუნდესგნი თეში****, მინიილგ ბოშიქ ზალაშა (ხუბუა 215, 11-12) „ჩაის სმის დროს, გოგოს დედ-მამა ჩაის რომ სვამდნენ ისე, შევიდა ბიჭი ზალაში“.*

პირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ორი სეგმენტის ეკვივალენტურობა, რომელთაგან ერთი მეორეხარისხოვანი წევრია (განსაზღვრება), ხოლო მეორე – იმავე შინაარსის დამოკიდებული (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება).

## 1.3. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგების სტრატეგია ქართველურ ენებში: სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტები

ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა პირობისა და შედეგის ურთიერთმიმართება. ამგვარი კონტექსტის არსებობა ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ენები მას განსხვავებულად გამოხატავენ. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ორი – მთავარი და დამოკიდებული კომპონენტისაგან შედგება; მათგან პირობა დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული, რომლის პრედიკატი მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებად. პირობას ახლავს შედეგი, რომელიც საანალიზო კონსტრუქციაში მთავარ წინადადებაშია მოცემული და გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდება, თუ შესაბამისი პირობა იქნება შესრულებული. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია შემადგენელ კომპონენტთა მჭიდრო აზრობრივი კავშირით ხასიათდება, რის შედეგადაც მთლიანი წინადადება ერთ მთლიან ერთეულად გაიგება; ამის მიხედვით განსაზღვრულია კონსტრუქციის ძირითადი სტრუქტურა და წარმოჩენილია სემანტიკური მრავალფეროვნება. ქართველურ ენათა ვრცელი ემპირიული მასალის მიხედვით, დიაქრონიული და სინქრონიული მონაცემების გათვალისწინებით, გაანალიზებულია პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია: გარკვეულია მისი

გენეზისი, დადასტურებულია უდამწერლობო ქართველურ ენებში სინქრონიულ დონეზე ჯერ კიდევ არსებული არქაული მოვლენები, გამოვლენილია მრავალპრედიკატიანი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება-გამარტივებისა და რთული კავშირის შექმნის გზები; საანალიზო კონსტრუქცია შეფასებულია ევიდენციალობის კატეგორიისა და წართქმით-უკუთქმითი პირობა-შედეგის ურთიერთმიმართების მიხედვითაც.

### 1.3.1. პირობისა და შედეგის რაობა, ურთიერთმიმართება და ჩამოყალიბების გზები

პირობა და შედეგი აზრობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ენობრივი მოცემულობაა. აკაკი შანიძე ქართულში პირობით და შედეგობით კილოებსაც კი გამოყოფს, რომლებიც ზმნური ფორმებით გადმოიცემა რთული ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში. „ამათ გადმოსაცემად ორი ზმნაა საჭირო, რომელთაგანაც ერთი აღნიშნავს მოქმედებას, როგორც პირობას, მეორე კი – ამ პირობიდან გამომდინარე შედეგს სხვა მოქმედების სახით“ (შანიძე 2024, 272-273). პირობის შესრულება ან შეუსრულებლობა განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება შედეგი. „ურთიერთობა პირობით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს შორის ჩვეულებრივ ასეთია: დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი“ (კვაჭაძე 1988:390); შესაბამისად, პირობის შემცველი ზმნა დამოკიდებული წინადადების პრედიკატია, შედეგის გამომხატველი ზმნური ფორმა კი მთავარი წინადადებისა, თუმცა პირობა მიემართება არა რომელიმე ერთ წევრს, არამედ მთლიანად მთავარ წინადადებას.

ცნობილია, რომ ქართულში დროის სამწევროვანი სისტემა გვიან ჩამოყალიბდა; ადრეულ ეტაპზე მოვლენათა შორის არსებობდა ასპექტური დაპირისპირება, რომელიც გამოხატული იყო

წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული) მოქმედებისა თუ მდგომარეობის სახით. მოქმედების მომენტობრივი სახე წარსულ დროს აღნიშნავს, განგრძობითისა კი – ახლანდელს; ისინი მომხდარ ან არსებულ რეალურ ფაქტებს გადმოსცემენ, თუმცა განგრძობითს შეუძლია გადმოსცეს ირეალური ვითარებაც, კერძოდ ის, რაც მომავალში მოხდება; შესაბამისად, მომავალი დროის გაგებასთან ერთად ჩნდება მოქმედებისადმი მოქმედი პირის სათუო, საეჭვო დამოკიდებულების შინაარსი, რამაც პირობისა და შედეგის ჰიპოტაქსურ სტრუქტურად ჩამოყალიბება განაპირობა (ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობა იხ. მელიქიშვილი 2014:46-55).

### 1.3.2. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შეერთების საშუალებები, სტრუქტურა და გენეზისის საკითხი

პირობითი დამოკიდებული წინადადება ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში მთავარს უერთდება მრავალფეროვანი კავშირებით, რომელთა შორის ახალ ქართულ ენაში ძირითადია **თუ** და **რომ**[1]. „თუ“ კავშირის მნიშვნელობის „-და“ დასტურდება ძველ ქართულში, ახალ ქართულშიც, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში, ასევე მეგრულში; ლაზურში არნ. ჩიქობავას მეგრული -და-ს ფარდად -ნა მიაჩნია: [ლაზური] „-ნა ნაწილაკი მეგრულსაც მოეპოვება -და ნაწილაკის სახით; ეს უკანასკნელი ქართულისთვისაც არ არის უცხო: ნოშქვერს გიმოჩანქდა, სუმ შაურს მერჩა თუ ნახშირს ყიდი, სამ შაურს მოგცემ... „ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს!“ „მიდის-და, წავიდეს!“ – ამგვარს მაგალითებში და, რა

[1]ქართულის მაგალითზე დეტალური მიმოხილვა მოცემულია ლ. სამუშიას ნაშრომში (Samuschia 2018:90-111).

თქმა უნდა, ჩვეულებრივს -და კავშირს არ წარმოადგენს“ (ჩიქობავა 1936:184–185/2008:190). ენკლიტიკურად მიერთვის დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდურ წევრს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა „-და“-ს ფუნქციური დატვირთვის უწინარესობაზე, კერძოდ:

ა. -და კავშირს ნაწილაკოვანი დასაბამი აქვს (ჩიქობავა 1936:205; ძიძიგური 1973:450).

ბ. -და წარმოშობით კავშირია და ნაწილაკად შემდეგ იქცა (შანიძე 1980:605).

გ. არსებობს ერთგვარად შეჯერებული პოზიციის გამომხატველი თვალსაზრისიც, რომლის თანახმად, „-და ნაწილაკი იყო იმთავითვე ამ ფუნქციით“ (ახალაია 1999:183).

ნაწილაკოვან გენეზისზე საუბრის დროს გათვალისწინებულია მეგრულის მონაცემები, სადაც პირობის გამომხატველი -და კავშირი ნაწილაკია (resp. კლიტიკაა). „მეგრული უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას: *ნოშქვერს გიმოჩანქ-და, სუმ შაურს მერჩა „ნახშირს თუ გაყიდი / გაყიდი-და, სამ შაურს მოგცემ“* (ჩიქობავა 1936:185); ამგვარი კონსტრუქციები ბუნებრივია დღევანდელ სასაუბრო მეტყველებაშიც.

პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სტრუქტურას განსაზღვრავს ურთიერთმიმართება პირობასა და შედეგს შორის; სუბიექტი ჯერ გარკვეულ დაშვებას აკეთებს, ანუ აყენებს პირობას და შემდგომ დგება შედეგი; ამიტომ ამ ტიპის ქვეწყობილ წინადადებაში ძირითადი თანმიმდევრობაა *დამოკიდებული + მთავარი,* თუმცა შესაძლებელია დამოკიდებული კომპონენტის პოსტპოზიცია მთავართან მიმართებით და ინტერპოზიცია მთავარში. „ძველ სალიტერატურო ენაში პირობითი დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებდა მთავარ წინადადებას; ინვერსია განხორციელებულია ენის განვითარების მომდევნო საფეხურებზე და ამის საფუძველია გრამატიკული დაქ-

ვემდებარების განმტკიცებული სისტემა“ (ძიძიგური 1973:453). ქართულში *თუ* კავშირის ადგილიც განსაზღვრულია, იგი დამოკიდებული წინადადების თავში დგას, მაგრამ ასევე შესაძლებელია შუაში ან ბოლოში მოექცეს (აღნიშნული კავშირი ადგილს იცვლის უფრო მეტად პოეტური მეტყველების დროს); პირობის კავშირ-ნაწილაკი მეგრულსა და სვანურში ფიქსირებულია, იგი ყოველთვის დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს დაერთვის.

**მაგალითები:**

(1) ქართული: **თუ** კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (დ. გურამიშვილი).

(2) *მეგრული: სქანი ძაგარქ **ქემმალინუ-და**, ხათე ხოლო დოსქიდუ „შენი ჯაგარი თუ მივუტანე, მაშინვე მორჩება“ (დან., ცან. 96,38).*

(3) *სვანური: ეჩჲარ (მაღლავარ)ესერ **ლახ ჩუნდაგრიხ-ი**, ეჩქა ესერ ჯად ჩუ იდგარი „ისინი (ყვავები) თუ მოკვდებიან, მაშინ მეც მოვკვდებიო“ (სვ. ენ. ქრ., 160,23)*

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში დაქვემდებარებას განაპირობებს კითხვითი სემანტიკის კავშირი (ქართულში *თუ*, მეგრულში *-და*, *სვანურში -ი*), რაც იმაზე მიუთითებს, რომ „პირობითი წინადადება კითხვით წინადადებას წარმოადგენდა. შესაძლებელია, ეს კითხვითი სიტყვა წინადადებაში არც ყოფილიყო, მაგრამ ინტონაციის მომენტი გარკვეულ როლს ასრულებდა (ძიძიგური 1989:446). მკვლევარი უკავშირო შეერთების ნიმუშებს იმოწმებს „ვეფხისტყაოსნიდან“[1] და ასკვნის, რომ პირობითი დამოკიდებული კითხვის გამომხატველი წინადადებაა; იგი ასინდეტურად უკავშირდება მთავარს და ინტონაციით გამიჯ-

[1] ა. „აქათ სამ წელ **არ მოვიდე**, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი“ (რუსთაველი 1974:169,3)

ბ. „**მოვკვდე**, თავსა ნუ მოიკლავ“ (რუსთაველი 1974:787,3).

ნულია მისგან (ძიძიგური 1989:447). აღსანიშნავია, რომ უკავშირო შეერთების დროს დამოკიდებულში მოცემული პირობა ინტონაციასთან ერთად გამოხატულია კავშირებითი კილოს ზმნითაც; შდრ.: *არ მოვიდე, მოვკვდე* (იხ. სქოლიოში მითითებული „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითები).

### 1.3.3. კავშირის პრედიკატთან შეხამების საკითხი პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ზმნურ ფორმათა კილოური დიფერენციაცია განსაზღვრავს კავშირების პრედიკატთან შეხამების კანონზომიერებას; კერძოდ, პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში „რომ“ კავშირი კავშირებითი კილოს ზმნას ეხამება, ხოლო „თუ“ კავშირი თხრობითისას (ძიძიგური 1973:272)[1]; იშვიათად შესაძლებელია „თუ“ კავშირთან ზმნა მოცემული იყოს კავშირებითი კილოს ფორმით (იქვე:272). ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე „თუ“ კავშირი უფრო ხშირად დასტურდებოდა პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, ვიდრე „რომ“ კავშირი. ამის მიზეზი ის იყო, რომ „თუ“ კავშირი „რომ“ კავშირის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (კიზირია 1956:154); აღნიშნული კავშირების ამგვარი მონაცვლეობა შენიშნული აქვს ა. შანიძესაც გიორგი მთაწმინდლის ენაში[2] (შანიძე 1946:154).

[1] მოგვიანებით ეს მოსაზრება დაადასტურა ჯ. ჰიუიტის კვლევამაც (Hewitt 1987:73).

[2] იგულისხმება გიორგი მთაწმინდლის ნაწარმოები „იოვანესა და ეფთუიმეს ცხოვრება“. გიორგი მთაწმინდელი, იგივე გიორგი ათონელი, იყო XI საუკუნის ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი; ქართული ეროვნული კულტურის მოამაგე, საბერძნეთში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი; დაკრძალულია იქვე: https://ka.wikipedia.org/wiki/

სვანურშიც ზოგჯერ ჰე „თუ“ კავშირი პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ქართული „რომ“-ის ფარდია (აბესაძე 1962).

საინტერესოა, „რომ“ და „თუ“ კავშირიან პირობით დამოკიდებულ წინადადებებს შორის რა განსხვავებაა შინაარსობრივი თვალსაზრისით? როგორც ჰ. ფოგტი აღნიშნავს, „რომ“ კავშირიან პრედიკატს შემოაქვს ჰიპოთეტიკური პროპოზიცია, ხოლო „თუ“ კავშირი თხრობითი კილოს ზმნასთან ერთად გადმოსცემს აუცილებელ პირობებს მთავარ წინადადებაში მოცემული შედეგის მისაღწევად; მეცნიერს შენიშნული აქვს ერთერთი საყურადღებო დეტალიც: როცა „თუ“ კავშირს კავშირებითი კილოს ზმნა ახლავს, დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობა უახლოვდება „რომ“ კავშირიანი დამოკიდებულისას (Vogt 1971:209-210).

მეგრულშიც ზმნურ ფორმებთან ქართულის მსგავსად ნაწილდება -და „თუ“ და -ნი „რომ“ კავშირები; მათ შორის შინაარსობრივი სხვაობაც ქართულისებურია (მეგრულის მონაცემებზე მსჯელობა ვრცლად იხ. ლომია 2005).

### 1.3.4. ფორმალური და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებანი ქართულ-ინგლისურ შესატყვისობათა კონტექსტში[1]

პირობით დამოკიდებულ წინადადებებს შორის ფორმალური და ნიუანსური სხვაობა კარგად ჩანს ქართული ენის მასალების ურთიერთშედარებისა და სათანადო ინგლისური შესატყვისების შერჩევის დროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგების მექანიზმს განსაზღვრავს

[1]1.3.4 პარაგრაფი დამუშავდა FR-21-352 გრანტის (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში: მოხსენება წაკითხულია კაპადოკიის საერთაშორისო კონფერენციაზე (CAPELT-I), ნევშეჰირი, თურქეთი, 1-2.09.2023.

ზმნის კილოს შეხამება მაქვემდებარებელ კავშირთან; განხილულია სამი ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართულში და მათი შინაარსობრივი შესატყვისები ინგლისურში, გამოკვეთილია მსგავსება-განსხვავებანი.

| | |
|---|---|
| Geo | 1.**თუ** (if). SBOR კარგი ამინდი **იქნება**. FUT.INDC, გარეთ **ვითამაშებთ**. FUT.INDC<br>**tu**(if). SBOR kargi amindi **ikneba**. FUT.INDC,garet **vitamašebt**. FUT.INDC |
| Eng | (1ა). **If.**SBOR the weather **is**.PRS. INDC fine, we **will play.** FUT.INDCoutside. |
| Geo | 2.კარგი ამინდი **რომ** (that).SBOR**იყოს.** CONJ, გარეთ **ვითამაშებდით**. CONJ<br>kargi amindi **rom**(that).SBOR**iq'os.** CONJ, garet **vitamashebdit.** CONJ |
| Eng | (2ა).**If.** SBORthe weather **were.** CONJ fine, we **would play.**CONJ outside. |
| Geo | 3. კარგი ამინდი **რომ** (that).SUB **ყოფილიყო.** CONJ , გარეთ **ვითამაშებდით.** CONJ<br>kargi amindi **rom**(that).SBOR**q'opiliq'o.** CONJ garet vitamashebdit**.** |
| Eng | (3ა).**If.**SBOR the weather **had been.** CONJ fine, we **wouldhaveplayed.** CONJ outside. |

(გოლიცინსკი & გოლიცინსკაია 2006:294-308)

ქართულის სამივე ტიპის კონსტრუქციას ინგლისურში მხოლოდ „თუ“ კავშირიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება შეესაბამება; ზმნის კილო ინგლისურშიც სამივე ტიპის წინადადებაში ქართულის მსგავსად არის წარმოდგენილი; აღსანიშნავია ქართულსა და ინგლისურში ზმნის დროებს შორის სხვაობა (1) და (1ა) მაგალითებში; კერძოდ, ქართულში მომავალი დროა, ინგლისურში – ახლანდელი. ქართულ-ინგლისური ემპირიული მასალების შედარებით თეორიულ ანალიზს აქვს პრაქტიკული ღირებულება მთარგმნელ-ლინგვისტებისათვის.

### 1.3.5. პირობა-შედეგის გამოხატვა სვანურ ენაში არქაული ენობრივი მონაცემებით

სვანური ენა არასალიტერატურო ქართველურ ენათა შორის გამოირჩევა არქაულობით; სვანურში ხშირად შემორჩენილია ისეთი ენობრივი მონაცემები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში სინქრონიულ დონეზე აღარ დასტურდება; ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა სწორედ -ოლჶ, -ოჶ,-უ „-მცა“ ნაწილაკიანი ფორმების არსებობა; ამიტომ საინტერესოა მათი ფუნქციური დანიშნულებისა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან მიმართების გარკვევა. აღნიშნული ნაწილაკების მქონე ფორმები ქმნიან უკავშირო ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას; მაგალითად,

(1) მიჩა დრეჶჟი *ქ'**ოლჶ**-ოხკერნანხ* მიჩა გეზლირს პეტრე თბილისთე, ამეჩუშ ექიმჳარ ჟ'ჳჰდურიჶხ (ექსპედიციის მასალები) „თავის დროზე *[რომ] ჩამოეყვანათ* (ზედმიწევნით: ჩამო-მცა-ეყვანათ) თავის შვილებს პეტრე თბილისში, აქაური ექიმები გამოაჯანმრთელებდნენ“.

სვანურ ენაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნაწილებს შორის უკავშირო შეერთება განსაკუთრებით ბალსქვემოური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი; აღსანიშნავია, რომ ბალ-

სქვემოური სვანური ენის დიალექტთა შორის ყველაზე ნაკლებად განიცდის სალიტერატურო ენის გავლენას და არქაულ მოვლენებს სხვა დიალექტებზე მეტად ინარჩუნებს.

ძველ ქართულში -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნები კავშირებითის ფუნქციისა იყო და წინადადებაში პირობითი კილოს სემანტიკას გამოხატავდა; მას შემდეგ, რაც ენაში კავშირებითი კილო გრამატიკულად ჩამოყალიბდა, ქართულ სალიტერატურო ენაში -მცა ნაწილაკიანმა ფორმებმა თანდათან დაკარგეს აღნიშნული ფუნქცია.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -მცა ნაწილაკი ძირითადად ფრაზეოლოგიაში, გაქვავებულ ფორმებში გვხვდება; ასევე შემორჩენილია ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებში (თუმცა, ისემც, ნეტამც...). ქართულში „-მცა“ ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნები ჩაანაცვლა კავშირებითი კილოს ფორმებმა. კავშირებითი კილოს ფორმები სვანურსაც მოეპოვება, მაგრამ ისინი ქართულთან შედარებით ნაკლებპროდუქტიულია; -ოღუ̂, -ოუ̂, -უ „-მცა“ ნაწილაკიანმა ფორმებმა კი სრულად შეინარჩუნეს აქტუალობა თხრობითი კილოს გამომხატველ მწკრივებთან.

-ოღუ̂, -ოუ̂, -უ „*-მცა*“ ნაწილაკის ადგილი საერთოდ წინადადებაში თავისუფალია, იგი ნებისმიერ წევრთან შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა ზმნასთან მის ადგილს მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით:

ა. თუ აღნიშნული ნაწილაკი ზმნას აუსლაუტში დაერთვის, მაშინ ნატვრით კილოს გამოხატავს: *ჩუ̂ანჯა̆დ**უ*** / *ჩუ̂ანჯად**ოღ**!... „ჩამოვიდამცა“ = „ნეტავ ჩამოვიდეს!“*.

ბ. თუ აღნიშნული ნაწილაკი ჩართულია ტმესის წესით ე. წ. წინდებულ-თანდებულის შემდეგ დამოკიდებული წინადადების ზმნურ (II თურმეობითის) ფორმაში, მაშინ პირობას გამოხატავს; მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტებს შო-

რის შეერთება უკავშიროა, ქართულ თარგმანში შეიძლება აღდგეს „რომ“ კავშირი: *ჲ’**ოღუ**-ოხყიდან „[რომ] ეყიდა“...*

(ბ) ტიპი მიუთითებს იმაზე, რომ სვანურ ენაში არქაული ენობრივი მოვლენა ჯერ კიდევ ცოცხალია; პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის უკავშირო შეერთება ძველი და საშუალი ქართულისებურ ვითარებას ასახავს. ამავე პერიოდის არქაული მოვლენაა სვანურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში უკავშირო შეერთება ოდენ ინტონაციითაც, რაც საანალიზო ნაწილაკიან ფორმებთან სრულებით არ არის სავალდებულო.

-ოღუ, -ოუ, -უ „-მცა“ ნაწილაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სინტაქსური ფუნქციაა არქაული ტიპის, უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შექმნა; ეს კი მნიშვნელოვანია დიაქრონიის თვალსაზრისით, რადგან ცოცხლად აჩვენებს ქართველურ ენებში ჰიპოტაქსის ჩასახვისა და განვითარების ადრეულ ეტაპს, რომელიც სალიტერატურო ენაში დღეს დაჩრდილულია.

სვანურში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შედარებით არქაული ტიპის შენარჩუნებას ხელი შეუწყო რამდენიმე გარემოებამ:

1. ქართულისგან განსხვავებული ინფერენციული მწკრივების არსებობამ, რომლებიც პირობითობის (/საეჭვოობის, დაუდასტურებლობის) გაგებას თავად შეიცავენ და აღარ საჭიროებენ სათანადო კავშირს (რომ, თუ, თუკი...).
2. -ოღუ, -ოუ, -უ „-მცა“ ნაწილაკიან კონსტრუქციათა აქტუალობამ თანამედროვე სვანურ მეტყველებაში.

ყველა დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესი სვანურში ჯერაც არ დასრულებულა, ხოლო ეს პროცესი უძველეს საფეხურზეც რომ არ გაყინულა, ამის დასტურია საანალიზო კონსტრუქციის ძველი და ახალი ტიპების თანაარსებობა ენაში.

### *1.3.6. პირობითობის გამომხატველი რთული კავშირი სამკომპონენტიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში*

ჰიპოტაქსური კონსტრუქცია პოლიპრედიკატული ერთეულია, რაც დასაშვებს ხდის პრედიკატის გამეორებას და კონსტრუქციის შემადგენელი კომპონენტების გაზრდას; აღნიშნული თავისებურება დამახასიათებელია პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციისთვის, რაც ლ. კვაჭაძეს ადრეულ ეტაპზევე ჰქონდა შენიშნული: „ზოგჯერ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება[1] გამოხატავს შედეგს არა ერთ წინადადებაში გამოხატული მოქმედებისას, არამედ რამდენიმე წინადადებისას“ (კვაჭაძე 1950:71); თუმცა „დროთა ვითარებაში ერთი და იმავე ლექსიკური მასალის პრედიკატთა ტავტოლოგიური გამეორება საფუძველს იძლეოდა ერთ-ერთის გაუჩინარებისთვის“ (ძიძიგური 1973:452); ჰიპოტაქსური კონსტრუქციების კვეცას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, ერთ-ერთია განმეორებული პრედიკატების რიცხვის შემცირება; ამ დროს წარმოიქმნება პირობითობის გამომხატველი რთული კავშირი, რომლის მიღება გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება; ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ერთ მაგალითს გაშიფრულად (ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით) წარმოვადგენთ:

(1) (ა). **თუ წამოხვალ**, კარგი იქნება,

(ბ). **თუ არ წამოხვალ (→ თუ არა და),** საჩუქარს დაკარგავო.

როგორც დამოწმებული მაგალითიდან ჩანს, ერთმანეთთან აზრობრივად მჭიდროდ დაკავშირებულ ორ დამოკიდებულ წინადადებას ერთნაირი პრედიკატი აქვს; განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ერთი დადებითი ფორმით არის მოცემული, მეორე კი – უარყოფითით; შდრ.: (*ა). თუ წამოხვალ – (ბ). თუ არ წამოხვალ.*

[1] იგულისხმება პირობით-შედეგობითი წინადადება.

კონსტრუქციის მეორე – (ბ) ნაწილში გაუჩინარებული პრედიკატის საკომპენსაციოდ უარყოფითი ნაწილაკი აღდგება სრული სახით (არ წამოხვალ → არა), რომელსაც ემატება -და კავშირ-ენკლიტიკა (ადრეულ ეტაპზე პირობითობის გამომხატველი ნაწილაკი); საბოლოოდ, აზრობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული *თუ არა და-ს* ბოლოკიდური წევრი გრძლივად, აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, გამოხატავს ჩაკითხვას და ქმნის დაუმთავრებელი ინფორმაციის შთაბეჭდილებას. ჩაკითხვაზე პასუხი მოცემულია მომდევნო წინადადებაში, რომელიც შედეგის გამომხატველია.

გამარტივებულ (პრედიკატდაკარგულ) კონსტრუქციას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: *სამკომპონენტიანი* ან *შეკვეცილკომპონენტიანი;* ცხადია, ეს სახელდებები ფორმალურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთს ავსებენ და აზუსტებენ. გამეორებული პრედიკატის მქონე ჰიპოტაქსური კონსტრუქცია (სრული თუ შეკვეცილი სახით) დამახასიათებელია ზეპირმეტყველებისთვის; კერძოდ, ქართული ზეპირმეტყველებისთვის, ქართული ენის დიალექტებისთვის, არასალიტერატურო ქართველური ენებისთვის; აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის წინადადება ზეპირმეტყველებაშიც სამკომპონენტიანი – შეკვეცილი სახით დაწინაურდა. კვეცის საფუძველი ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპია, რაც სასაუბრო ენისთვის არის დამახასიათებელი (ქართული ენის მასალის მიხედვით აღნიშნული საკითხის შესახებ დაწვრ. იხ. კვანტალიანი 1990:7-12).

მეგრულში სამკომპონენტიანი ჰიპოტაქსის წინა ნაწილი -და „თუ“ კავშირ-ენკლიტიკის შემცველი დამოკიდებული წინადადებაა; მას მოსდევს *ვარდა „არა და“* რთული კავშირით გადმოცემული რთული ქვეწყობილი წინადადება; ასეთივე ვითარებაა სვანურშიც (აბესაძე 1962:120).

**მაგალითები:**

(1) სამ წლამდე **თუ მოვიდეო**, **მოვიდე**, **თუ არა და,** სამ წელს იქით გათხოვდიო (ქართული დიალექტოლოგია, ქართლური, 292).

(2) **მეგრული: გეიანწყგ-და,** ჩილო მიდააცუნუნია, **ვარია-და**, დუდი ოკო მეკვათასიე „თუ შეძლო ამოხსნა, ცოლად გაჰყვება, თუ არა და, თავი უნდა მოჰკვეთოსო“ (დან., ცან. 52, 4-5).

(3) **სვანური:** გადანს ესერ მგშლადაღუ̂ **ჰე ქალახტიხე** – ხოჩა, **მადე-ი** ქ’ესერ ხოშჩივლე „ვალსო კვირამდე თუ დამიბრუნებ – [ხომ] კარგი, თუ არა და, გიჩივლებო“ (ექსპედიციის მასალები).

***შენიშვნა 1:*** *მეგრული ვარ-და „არა-და“, სვანური მადე-ი „არა-და“ ქართულ თარგმანში „თუ არა და“-ს სახით ქართულის გავლენით გადმოდის.*

***შენიშვნა 2:*** *ნ. აბესაძის ნაშრომში მოცემული ჰე მოდეჲ „თუ არა და“* კავშირი არ არის ბუნებრივი სვანურისთვის.

რთული კავშირი ქართულ სალიტერატურო ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა „თორემ“ კავშირის სახით, რომელიც *თუ არა-ს* საფუძველზეა აღმოცენებული და თავისთავად ორი წინადადების შენაზავს უნდა წარმოადგენდეს (ძიძიგური 1973:451); მეგრულში *ვარა* კავშირიც, რომელიც *ვარდა-სგან* მომდინარეობს *(ვარდა → ვარა),* სამკომპონენტიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში გვხვდება; მეგრული *ვარა* ქართული *თორემ* კავშირის ფარდია; მაგალითად,

(1) ოშურეთიშა ქაღარდი მიდეელი, **ვარა** ოსურს მიდაიღანქია, – თქუა ხენწიფექ (ხუბუა, 110, 3) „სულეთში წერილი წაიღე, თორემ ცოლს წაგართმევო, – თქვაო ხელმწიფემ“.

ლაზურშიც „ვანა“ კავშირი ქართულში გადმოიცემა „თორემ“ კავშირით (ქირია და სხვები 2015:739).

(2) ოხორიშა ქომოხთი, **ვანა** ჩქვა ვარ გოჩქუმერ „სახლში მოდი, თორემ სხვა დროს არ გაგიშვებ“ (ქირია და სხვები, 2015:739).

ამრიგად, ქართველურ ენათა ზეპირმეტყველებაში სამკომპონენტიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით.

### *1.3.7. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სემანტიკის გააზრებისათვის*

პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ბევრი თავისებურებით ხასიათდება, მათ შორისაა შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური ურთიერთმიმართების საკითხი, რაც მთლიანად კონსტრუქციის სემანტიკას განსაზღვრავს. ეს საკითხი ქართული ენის მასალაზე განხილულია რამდენიმე მიმართულებით; კერძოდ, პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია შეფასებულია:

1. რეალური და ირეალური მოქმედების გამომხატველი პირობითი წინადადებების მიხედვით (Hewitt 1987).
2. ევიდენციალობის თვალსაზრისით (მარგიანი და სხვები 2019).
3. პირობა-შედეგის წართქმითობა-უკუთქმითობის მიხედვით (შანიძე 1980; Lomia & Tchumburidze 2018:13-19; ქურდაძე და სხვები 2022).

- პირობის შემცველ დამოკიდებულ წინადადებათა სემანტიკა დიფერენცირებულია იმის გათვალისწინებით, რეალურ მოქმედებას გამოხატავენ ისინი თუ ირეალურს. ამგვარ შინაარსობრივ დაყოფაში მონაწილეობენ „რომ“ და „თუ“ კავშირები: „თუ“ რეალურ პირობით წინადადებას ქმნის, „რომ“ კი – ირეალურს (Hewitt 1987:73).

- პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების დახასიათება ევიდენციალურად გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ ყველა პირობა ეპისტემიკური მოდალობისაა, შედეგი კი – სხვადასხვაგვარი სემანტიკისა; სემანტიკური მრავალფეროვნება განისაზღვრება იმის მიხედვით, რას ემყარება პირობა-შედეგის ლოგიკური კავშირი: მთქმელის ფონურ ცოდნა-გამოცდილებას თუ პერცეფციულ ფაქტებს (მარგიანი და სხვები 2019).

### *1.3.7.1. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში*[1]

ევიდენციალობის კატეგორიის სინტაქსურ დონეზე შესწავლის მიზნით ქართველურ ენებში მნიშვნელოვანია პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ანალიზი. ქართველურ ენებში ევიდენციალობის შინაარსი სხვადასხვა ენობრივ დონეზე სხვადასხვაგვარადაა გამოხატული; მაგალითად, ქართულში: მომავლის, ხოლმეობითის, პერფექტის ზმნური ფორმებით, ლექსიკური საშუალებებით, სხვათა სიტყვისა და ევიდენციალური ნაწილაკებითა და სხვ. (ტოფაძე 2011). პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების განხილვა ევიდენციალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ საჭიროა გაირკვეს, ამ ტიპის კონსტრუქციის კომპონენტთა შორის არსებული ურთიერთშეპირობებული ლოგიკური

[1] წაკითხულია ქ. ლუბლინში (პოლონეთში) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „Linguistics Beyond and Within 2018“, 18-19 ოქტომბერი, 2018. სტატიის სახით დაბეჭდილია მრავალენობრივი განათლების საერთაშორისო ჟურნალში, № 13, 2019, გვ. 66-72. http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles/last-version-full..pdf შეტანილია წიგნში „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (მარგიანი და სხვები 2019).

კავშირი აღიქმება თუ არა ინფერენციული ტიპის ევიდენციალურ ფორმად; შესაძლებელია გამოვყოთ ორი ჯგუფი. ამისათვის საჭიროა ცალ-ცალკე დავაკვირდეთ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ ყველა პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკური მოდალობისაა, მთავარი წინადადებები (resp. შედეგი) კი – სხვადასხვაგვარი; სწორედ მთავარ წინადადებათა სხვადასხვაგვაროვნება ორი ჯგუფის გამოყოფის საფუძველი; კერძოდ, თუ ინფერენციული ევიდენციალობის ფაქტორს გავითვალისწინებთ, მივიღებთ ორ ჯგუფს: (I) პირველი იქნება დამყარებული *მთქმელის ფონურ ცოდნაზე/გამოცდილებაზე*, ხოლო მეორე – *რეალურ ფაქტებზე*. პირველ ჯგუფში აღმოჩნდება ის პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადებანი, რომელთა მთავარ წინადადებებში პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა ან ვარაუდი, რომელიც ემყარება მთქმელის ფონურ ცოდნას/გამოცდილებას (და არა პერცეფციულ ფაქტებს), ამ ჯგუფში აღმოჩნდება ევიდენციალური შინაარსისა და ეპისტემიკური მოდალობის მქონე მთავარი წინადადებები და, შესაბამისად, მთლიანი რთული ქვეწყობილი წინადადებაც ან ევიდენციალურია ან ეპისტემიკური მოდალობისა; მეორე ჯგუფი (II), რომლის მთავარი წინადადებაც რეალურ ფაქტებზეა დამყარებული, მოიცავს ყველა დანარჩენ შემთხვევას: *ბრძანების, მოწოდების/შეთავაზების, განცხადების / დაპირების, შეძახილის / მუქარის, ან რაიმე ფაქტის* გამომხატველს (ამგვარი ჯგუფები დამატებით სხვაც შეიძლება გამოიყოს), რადგან პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირი ემყარება არა ფონურ ცოდნას, არამედ რეალურ ფაქტებს.

მაშასადამე, კონსტრუქციის მთლიან სემანტიკას განსაზღვრავს შედეგობითი წინადადება. ისმის კითხვა, ასე მჭიდროდ

შეხამებული კომპონენტების (როგორიცაა პირობა და შედეგი) ერთიანობა რატომ და როგორ იძლევა სემანტიკურ მრავალფეროვნებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ამ კომპონენტების ცალ-ცალკე დახასიათება და მათ შორის ურთიერთმიმართებათა კანონზომიერების დადგენა:

**I ჯგუფი:**

*(ა). დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადება (resp. შედეგი) ევიდენციალურია.*

*მაგალითად,*

*(1) კოლოც კი წააქცევს ცხენს, თუ დიდი მგელი უშველის (ანდ.). (კვაჭაძე 1988:390).*

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როდესაც ერთი კონკრეტული პირობა ცალსახად საკმარისია აბსოლუტური შედეგისთვის, ამ დროს დამოკიდებული წინადადება ერთგვარ ჩარჩოში აქცევს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას და ზღუდავს; მხოლოდ იმ მიმართულებით აძლევს მოქმედების საშუალებას, რაც ამ პირობაშია მოცემული; შესაბამისად, აღარ რჩება ადგილი ვარაუდისა და დაეჭვებისთვის და მთავარი წინადადება არაეპისტემიკურია; ასევე, მთლიანად კონსტრუქციის სემანტიკაც არაა ეპისტემიკური, არამედ ევიდენციალურია.

**I ჯგუფი:**

*(ბ) დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადებაც (resp. შედეგიც) ეპისტემიკურია.*

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როდესაც ერთი კონკრეტული პირობა არ არის საკმარისი აბსოლუტური შედეგის დასადგომად და საჭიროა დამატებითი პირობა-გარემოებები, დამოკიდებული წინადადება უშვებს, რომ მთავარი

იყოს ეპისტემიკური მოდალობის; შესაბამისად, მთავარში ჩნდება ან ორგანული ევიდენციალურ-ეპისტემიკური ზმნური ფორმები, ან ნაწილაკები, რის გამოც მთავარი წინადადებაც ეპისტემიკური ხდება; შესაბამისად, მთლიანად კონსტრუქცია ეპისტემიკურია.

**II ჯგუფი:**

*(გ). დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადება (resp. შედეგი) არც ევიდენციალურია, არც ეპისტემიკური.*

დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის მაგალითებს:

**ბრძანება:**

*(2) მოსპე, თორემ მოგსპობს! (ბარ., 3, 58). (კვაჭაძე 1988:394).*

**დაპირება:**

*(3) თუ ძალიან მოგწონს, გაჩუქებ! (ჯავახიშვილი, 2,577) (კვაჭაძე 1998).*

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როცა პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომელიც ემყარება რეალურ ფაქტებს, შედეგობითი წინადადება არც ევიდენციალურია, არც ეპისტემიკური, არამედ სხვა სემანტიკისაა და შეუძლია გადმოსცეს ბრძანება, მოწოდება/შეთავაზება, განცხადება/დაპირება, შეძახილი/მუქარა ან რაიმე ფაქტი. დამოკიდებული წინადადების ეპისტემიკურობა მხოლოდ იმას ემსახურება, რომ წინადადება იყოს პირობით-შედეგობითი.

**ქართველურ ენათა ტიპოლოგიის წარმოსაჩენად** საინტერესოა სხვა ქართველური ენების მონაცემებიც. მეგრული, ლაზური, სვანური ენების ემპირიული მასალა დამუშავებულია როგორც ბეჭდური წყაროებიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველური ენები ტიპოლოგიურ მსგავსებას აჩვენებენ პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის

სემანტიკური ჯგუფების გამოყოფის თვალსაზრისით. ეს მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ჯგუფების მიხედვით, რადგან ქართულში გამოყოფილი სხვა სემანტიკური ჯგუფები ნაკლებად პროდუქტიულია უმწერლობო ენებში.

შდრ.: **I ჯგუფი, ფორმულირება (ა):**

**მეგრული:** *(4) ჩხანას იშულებუდუკონი, თექიანობას განათენდუ.*

**ლაზური:** *(5) მჟუა ნა ეშახტატუ, ოთანეპტუ.*

**სვანური**: *(6) მიჟ ჟ'ა̈ნჯდენიუ̈, დეცეგიმს ქანარჰა.*
„მზე რომ ამოსულიყო, იქაურობას / „ცას და დედამიწას“ გაანათებდა“.

შდრ.: **I ჯგუფი, ფორმულირება (ბ):**

**მეგრული:** *(7) თიმუ დღას, ონჯუა ბორჯის ქიმეურთუმუდუკონი, ეგება ქიმეჩუკო პიროობა.*

**ლაზური:** (8) *ემ დღას ლიმჯის მოხტეეტუკონ, ბექიმ ნენა მეჩატუ.*
„იმ დღესვე, საღამო ხანს რომ მისულიყო, იქნებ მიეცა პირობა“.

**სვანური**: *(9) ხოჩილდ ლა̈ჯჟგრასგუ̈, დემის ა̈დდაგრიუ̈.*
„უკეთ [რომ] ემკურნალა (/[თუ] იმკურნალებდა), [იქნებ] არ მომკვდარიყო (/[იქნებ] არ მოკვდებოდა“).

ქართველურ ენებში ერთგვარი ვითარებაა მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ურთიერთმიმართებათა კანონზომიერების მიხედვითაც. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საერთო სურათს ვერ ცვლის, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი:

1. მეგრულში დასტურდება ორგანული წარმოების მოდალიზებული (ეპისტემიკური) ზმნური ფორმები (აშენენდას იცი „აშენებდეს იქნება“ = „ალბათ აშენებს“ ტიპის), თუმცა ისინი პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის შექმნაში არ მონაწილეობენ.
2. მოდალიზებული (ეპისტემიკური) ზმნური ფორმები სვანურშიც დასტურდება და, მეგრულისაგან განსხვავებით, პირობით-შედეგობითი კონსტრუქციები ამგვარი ზმნური ფორმებით გადმოიცემა; უფრო მეტიც, იმდენად ძლიერია ამგვარ ზმნურ ფორმათა გამომსახველობითი ძალა, რომ პირობით-შედეგობითი კომპონენტების შეერთება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში უკავშიროა; იხ. მაგალითები (6), (9).

### *1.3.7.2. უარყოფა და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში* [1]

პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში **პირობას** გადმოსცემს დამოკიდებული წინადადება, ხოლო **შედეგს** – მთავარი (შანიძე 1973:209). ქართველურ ენებში ამ ტიპის წინადადება წართქმითიც შეიძლება იყოს და უკუთქმითიც (უარყოფითნაწილაკიანი); იგი ბევრი თავისებურებით ხასიათდება, ერთერთია შემადგენელ კომპონენტთა მჭიდრო სემანტიკური ურთიერთშეხამების საკითხი, რის შედეგადაც მთლიანი წინადადება ერთ აზრობრივ ერთეულად გაიგება. რთული წინადადების ნაწილებს შორის ამგვარი მჭიდრო კავშირის მიუხედავად, საბოლოო შედეგისთვის მნიშვნელოვანია მათი სემანტიკის გააზრება ცალცალკეც, პირობით-შედეგობითი ქვეწყობილი წინადადება, სხვა

[1] დამუშავებულია FR-17-388 გრანტის ფარგლებში. შეტანილია წიგნში „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ (ქურდაძე და სხვები, 2022).

კონსტრუქციათა მსგავსად, ეყრდნობა დამოკიდებული და მთავარი კომპონენტების პრედიკატებს არა მხოლოდ მათი წართქმითობა-უკუთქმითობის, არამედ დრო-კილოთა კატეგორიების მიხედვითაც; წინადადების საბოლოო სემანტიკას განსაზღვრავს პირობა-შედეგის გამომხატველ ნაწილებს შორის აზრობრივი მიმართება და გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის კონტექსტი.

ყველა ქართველურ ენაში დასტურდება კილოს სამი ფორმა: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა არა მხოლოდ კილოს სახეების რაოდენობასთან დაკავშირებით, არამედ კილოს ცალკე კატეგორიად გამოყოფასთან დაკავშირებითაც (ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობა იხ. შანიძე 1930, 1980; კვაჭაძე 1981; ჩიქობავა 1950, 1952, 1979; კოტინოვი, 1963; პაპიძე 1979, 1984; თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011). ზოგიერთი მკვლევარი პირობითი კილოს ცალკე სახეობად გამოყოფას სათუოდ მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირობითის გამომხატველი ორგანული ზმნური ფორმები დასტურდება ენაში. იგი კავშირებითი კილოს მოდალურ ფორმად განიხილება (ამ საკითხთან დაკავშირებით მეგრული მასალის ანალიზი იხ. ქობალავა 2001; დადიანი 2005). ამგვარი მოსაზრების გაჩენის საფუძველი ისიც არის, რომ კავშირებითისა და პირობითის სემანტიკა საზიაროა ირეალურობის თვალსაზრისით.

*საკითხის შესწავლის ისტორია*

ახალი ქართული ენის მასალაზე პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, კერძოდ, მის დამოკიდებულ კომპონენტში უარყოფითნაწილაკიანი პრედიკატის არსებობა-არარსებობას და ამის მიხედვით სემანტიკათა სხვაობას პირველად ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება და დამოკიდებული წინადადების მიხედვით ფაქტობრივად გამოყო ორი ტიპის კონტექსტი:

**დადებითი**

(1) მე რომ **არ მივშველებოდი**, სულ ლუკმა-ლუკმად დაგლეჯდა. „თუ მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს, შესრულებულია, ის ზმნის უკუთქმითი ფორმით უნდა იყოს გადმოცემული“ (შანიძე 1973:209).

**უარყოფითი**

(2) მე რომ **მივშველებოდი**, ლუკმა-ლუკმად არ დაგლეჯდა. „თუ მოქმედება არ არის შესრულებული, ზმნა წართქმითი ფორმით უნდა იყოს მოცემული (შანიძე 1973:209).

*კვლევის პერსპექტივა და სიახლეები*

ა. შანიძის მიერ დასმული საკითხი პერსპექტიულია კვლევის შემდგომი გაღრმავებისა და არსებულის საფუძველზე ახალი დასკვნების მისაღებად; კერძოდ, მნიშვნელოვანია:

1. უარყოფითპრედიკატიანი დამოკიდებულისა (resp. პირობა) და დადებითპრედიკატიანი მთავრის (resp. შედეგი) სემანტიკური ურთიერთმიმართების საკითხი.
2. პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის საბოლოო სემანტიკის განსაზღვრა.
3. უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური ცვლილების შემაპირობებელი ფაქტორების დადგენა.
4. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის ენობრივი სურათის წარმოჩენა.

**მაგალითები და ცხრილები**

(1)

**ქართული**: მამაჩემს სახლი რომ **არ აეშენებინა**, მე ავაშენებდი.

**მეგრული**: მუაჩქიმს ცუდე **ვეუგაფუდუკონი**, მა გევოგანდი.

**ლაზური**: ბაბაჩქიმიქ ოხოი **ვა კიდატუნა**, მა პკიდუპტი.

**სვანური**: მიშგუმუ ლახ **მრმ ადგამნა** ქორს, მი ხუგამდას.

ცხრილი №1

| | პირობა ფორმალურად | პირობა სემანტიკურად | შედეგი ფორმალურად | შედეგი სემანტიკურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | არ აეშენებინა | ააშენა | ავაშენებდი | არ ავაშენე |

მამაჩემმა ააშენა, მე არ ავაშენე.

(2)

**ქართული**: მამაჩემს რომ სახლი აეშენებინა, მე **არ ავაშენებდი**.

**მეგრული**: მუაჩქიმს ცუდე გეუგაფუდუკონი, მა **ვევოგანდი**.

**ლაზური**: ბაბაჩქიმიქ ოხოი კიდატუნა, მა **ვა პკიდუპტი**.

**სვანური**: მიშგუმუ ლახ ჩუადგამნა ქორს, მი **მმ ხუგამდას**.

ცხრილი №2

| | პირობა ფორმალურად | პირობა სემანტიკურად | შედეგი ფორმალურად | შედეგი სემანტიკურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | აეშენებინა | არ ააშენა | არ ავაშენებდი | ავაშენე |

მამაჩემმა არ ააშენა, მე ავაშენე.

(3)

**ქართული**: მამაჩემს რომ სახლი **არ აეშენებინა**, მეც **არ ავაშენებდი**.

**მეგრული**: მუაჩქიმს ცუდე **ვეუგაფუდუკონი**, მა ხოლო **ვევოგანდი**.

**ლაზური**: ბაბაჩქიმიქ ოხოი **ვა კიდატუნა**, მანთი **ვა პკიდუპტი**.

**სვანური**: მიშგუმუ ლახ **მრმ ადგამნა** ქორს, მიდ **მმ ხუგამდას**.

ცხრილი №3

| | პირობა ფორმალურად | პირობა სემანტიკურად | შედეგი ფორმალურად | შედეგი სემანტიკურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | არ აეშენებინა | ააშენა | არ ავაშენებდი | ავაშენე |

მამაჩემმა ააშენა, მეც ავაშენე.

(4)

**ქართული**: მამაჩემს რომ სახლი **აეშენებინა**, მეც **ავაშენებდი**.

**მეგრული**: მუაჩქიმს ცუდე **გეუგაფუდუკონი**, მა ხოლო **გევოგანდი**.

**ლაზური**: ბაბაჩქიმიქ ოხოი **კიდატუნა**, მანთი **პკიდუპტი**.

**სვანური**: მიშგუმუ ლახ **ჩუადგაშმნა** ქორს, მიჲ **ჩუხუგაშმდას**.

ცხრილი №4

| | პირობა ფორმალურად | პირობა სემანტიკურად | შედეგი ფორმალურად | შედეგი სემანტიკურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | აეშენებინა | არ ააშენა | ავაშენებდი | არ ავაშენე |

მამაჩემმა არ ააშენა, მეც არ ავაშენე.

ქართველურ ენათა ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ახალ ქართულში დამატებით გამოიყო ორი ტიპის კონტექსტი, სხვა ქართველურ ენებში – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დადასტურდა ახალი ქართულისთვის ბუნებრივი ოთხივე ტიპი. კვლევის შედეგები ასახულია სპეციალურ ტაბულებსა და მაგალითებში; კერძოდ,

უარყოფითი ნაწილაკი **დადასტურების** ფუნქციით მოცემულია:

ა) *დამოკიდებულ წინადადებაში:* პირობა სემანტიკურად დადებითია, ხოლო შედეგი – უარყოფითი (იხ. მაგალითი (1), ტაბულა I);

ბ) *მთავარ წინადადებაში:* პირობა სემანტიკურად უარყოფითია, შედეგი კი – დადებითი (იხ. მაგალითი (2), ტაბულა II);

გ) *დამოკიდებულ და მთავარ წინადადებებში:* სემანტიკურად პირობაც დადებითია და შედეგიც (იხ.მაგალითი (3), ტაბულა III);

ამ შემთხვევების გარდა გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა დამოკიდებული და მთავარი კომპონენტების პრედიკატები მოცემულია **წართქმითი ფორმით:** ამ ტიპის კონსტრუქციაში არ მონაწილეობს უარყოფითი ნაწილაკი, თუმცა სემანტიკურად პირობაც უარყოფითია და შედეგიც (იხ. მაგალითი (4), ტაბულა IV).

კანონზომიერ პირობით-შედეგობით ურთიერთმიმართებას ქმნიან ზმნური ფორმები, რომლებიც აერთიანებენ დროის, ასპექტისა და კილოს (TAM) კატეგორიებს; ამ კატეგორიათაგან საანალიზო საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია **კილო**. პირობით-შედეგობით კონსტრუქციაში კავშირებითი კილოს ფორმით გადმოცემული პრედიკატები მოქმედებას ირეალურ დროში წარმოგვიდგენენ. რადგან კავშირებითი კილოს ერთ-ერთი ფუნქციაა ფაქტის საწინააღმდეგო მოქმედების გამოხატვა, ამიტომ არის მასთან შესაძლებელი უარყოფითი ნაწილაკის საპირისპირო – დადასტურებითი ფუნქციით გამოყენება და უარყოფის გამოხატვა წართქმითი ზმნური ფორმით. ეს უნივერსალია საერთოქართველური მოვლენაა, რადგან დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ენებშიც – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში.

*შ ე ჯ ა მ ე ბ ა*

ქართველურ ენათა მასალაზე პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა დიაქრონიული და სინქრონიული ეტაპების გათვალისწინებით გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

1. პირობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს კითხვას, ჩაკითხვას, ვარაუდს, ეჭვს; ამიტომ მისი გენეზისი მჭიდროდ უკავშირდება კითხვით წინადადებას.
2. კონსტრუქციის კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართება მყარია; ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელია *დამოკიდებული* + *მთავარი* თანმიმდევრობა.
3. არქაულ ვითარებას ასახავს დამოკიდებულ და მთავარ წინადადებებს შორის შეერთება კავშირ-ენკლიტიკით ან ინტონაციით, ან ერთდროულად ორივე საშუალებით (ქართულ სასაუბრო მეტყველებაში, მეგრულში, ლაზურში, სვანურში).
4. სვანურ ენაში სხვა არქაული მოვლენაცაა შემორჩენილი: ქართული *-მცა*-ს ფარდი *-ოღუ, -ოუ, -უ* ნაწილაკები აქტიურად ქმნიან პირობით-შედეგობით მიმართებებს, რითიც ძველი ქართულის ენობრივ მოვლენებს ასახავენ.
5. პირობის გამომხატველ კომპონენტში მოცემული კავშირისა და პრედიკატის შეხამების კანონზომიერება განსაზღვრულია კილოების მიხედვით: ქართველურ ენებში „რომ“ და მისი ფარდი კავშირები კავშირებით კილოს ეხამება, ხოლო „თუ“ და მისი ფარდი კავშირები – თხრობით კილოს.
6. *„რომ“* და *„თუ“* კავშირების მიხედვით ფორმალური და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებები კარგად ჩანს ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებისა და მათი ინგლისური თარგმანების შედარების დროს.
7. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციისთვის დამახასიათებელია:
   ა. შემადგენელი კომპონენტების გაზრდა პრედიკატის გამეორების ხარჯზე.
   ბ. შემდგომ ეტაპზე ერთ-ერთი გამეორებული პრედიკატის დაკარგვა და რთული კავშირის შექმნა.

8. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სემანტიკა მისი მრავალმხრივი დახასიათების საფუძველს იძლევა; კერძოდ:
   ა. *რეალური და ირეალური მოქმედების გამოხატვის თვალსაზრისით.*
   ბ. *ევიდენციალობის კატეგორიის მიხედვით.*
   გ. *დადებითი და უარყოფითი ფორმით გამოხატული პირობა-შედეგის მიხედვით.*

ქართველურ ენათა მასალაზე პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მნიშვნელოვანია ჰიპოტაქსის ჩასახვისა და განვითარების, ენის ისტორიისა და ზოგადად ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით; კვლევა ღირებულია ინტერდისციპლინური პერსპექტივითაც.

## 1.4. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განვითარების ადრეული საფეხურის ენობრივი ასახვა ქართველურ ენებში

ენობრივი მოვლენა, საზოგადოდ, ცოცხალ ორგანიზმს ჰგავს: ისახება და განვითარების სხვადასხვა ეტაპს გადის, თანდათან იხვეწება. ამგვარი პროცესი სალიტერატურო ენაში უფრო სწრაფად მიმდინარეობს და ფორმალურ საშუალებებს ფუნქციები ეცვლებათ; არასალიტერატურო ენები კი მეტხანს ინარჩუნებს ადრეული საფეხურის მოვლენებს; ამიტომაც, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განვითარების ადრეული საფეხური თავისებურად და საინტერესოდ არის ასახული ქართველურ ენებში; კერძოდ, ის, რაც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი, სინქრონიულ დონეზე ბუნებრივია ქართული ზეპირმეტყველებისთვის და არასალიტერატურო ქართველური ენებისთვის; შესაძლებელია თავი იჩინოს მწერლის ენაშიც (მხატვრულ ტექსტებში).

### 1.4.1. მეგრული დო „და“ კავშირი ჰიპოტაქსურ წინადადებაში და ენობრივი პარალელები

ქართული „და“ კავშირის ფარდი „დო“ კავშირი მეგრულში სინქრონიულ დონეზე მაერთებელი კავშირია; თუმცა ამავდროულად იგი გვხვდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც, ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ ქვეწყობის საკავშირებელ საშუალებებთან ერთად. ამგვარი მოვლენა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურს გამოხატავს, როცა კავშირთა ფუნქციები ჯერ კიდევ მკვეთრად გამოკვეთილი და გადანაწილებული არ იყო.

დო „და“ კავშირი დამოუკიდებლად და თან კორელატის გარეშე მხოლოდ **მიზეზის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების კონტექსტს ქმნის; კონსტრუქცია ორი ნაწილისგან შედგება; კავშირიანი ზმნა მოცემულია მეორე ნაწილში, კონსტრუქციის ბოლოს; დო „და“ ამ კონტექსტში მიზეზის გამომხატველი ქართული „რადგან“ კავშირის ფარდია[1]. აღნიშნული კავშირი სხვადასხვა ფონეტიკური ვერსიით *(რადგანს, რახანც, რაღან)* მოგვიანებით ჩანს შესული ქართულიდან მეგრულში (ამ საკითხზე ვრცლად იხ. ლომია 2005:129-131).

(1) ცირენქ კჷჟინი ქიდიიჭყეს, **აშქურინეს დო** (ხუბუა 210,24) „გოგონებმა ყვირილი დაიწყეს, შეეშინდათ და [=რადგან შეეშინდათ]“.

(2) ჟირი თიშო მოკონია სქანი სქუალეფი და ართი ჩქიმოვა, სუმი **ნორცვენია დო** (ხუბუა 210,31) ორი იმისთვის [=ძმებისთვის] მინდა შენი შვილები და ერთი ჩემთვისო, სამი გყოლიაო და [= რადგან სამი გყოლიაო]“.

[1] რადგან“ კავშირი ადრინდელ ძეგლებში თავდაპირველად „რათგან“ ფორმით დასტურდება. ადრინდელ პერიოდშივე ჩნდება „რადგან“, ხოლო საშუალი ქართულის მოგვიანო ხანაში ფართოდ იკიდებს ფეხს (ძიძიგური 1973:103-104).

როცა დო „და“ კავშირი მოცემულია **ხათე ხოლო** „მაშინვე“ კორელატთან ერთად, დამოკიდებული წინადადება **დროის გარემოებითია**; დო „და“ საწყისს დაერთვის და კონსტრუქციის მარცხენა პერიფერიაში იკავებს ბოლოკიდურ ადგილს; მომდევნო ზმნა-შემასმენელს ისე მიემართება, როგორც თანაჟამიერი (ერთდროული) მოქმედების გამომხატველი:

(3) ნდიქ **მიკორაცაფა დო,** ვიშო ეკირთუ **ხათე ხოლო** (ხუბუა 5,3) „დევი შეხება და, წაიქცა მაშინვე“.

(4) **მულა დო**, **ხათე** ქაატაკუ, ეკოსოფუ (ექსპედიციის მასალები). „მოსვლა და, მაშინვე ეცა, დაგლიჯა“.

შდრ.: **ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები** ექსპედიციის მასალებიდან:

(5) იმათი **წასვლა და**, დედამისი **მაშინვე** მოვარდა.; (6) **გადაწოდება და,** თვალი ჰკიდა; (7) კაკანათის **დადგმა და**, ბეღურებიც მოგროვდნენ.

ახალი სალიტერატურო ქართული, იშვიათად საშუალი, მსგავსი კონტექსტის გადმოსაცემად იყენებს „თუ არა“ კავშირს, რომელსაც შემასმენლის მომდევნო პოზიცია უჭირავს (ერთელიშვილი 1962:119).

**დო „და“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კონკრეტულ საკავშირებელ საშუალებებთან ერთადაც გვხვდება;** ესენია: **მუჭოთ** „როგორც კი“, **ოღონდ** || **ოღონ** „ოღონდ“, **ვითამ** || **ითამ** || **ითომ** „ვითომც“ || „ვითომ“; აქედან *ოღონდ* და *ვითომ,* გარკვეული ფორმაცვლილებით, ქართულიდანაა შესული მეგრულში; აღსანიშნავია ისიც, რომ მეგრულში *ვითამ* || *ითამ* || *ითომ* ფორმებმა შეიძლება დაირთოს „დო“ კავშირი; მსგავსი მოვლენა დამახასიათებელია ქართულისთვისაც და მხატვრული ლიტერატურის ტექსტებში ***ვითამ-და*** კავშირი დასტურდება (ვრცლად იხ. ერთელიშვილი 1962:93).

დო „და“ კავშირი დამოუკიდებლად გამოყენების დროს დაერთვოდა ზმნას ან ნაზმნარ სახელს (მსჯელობა და მაგალითები იხ. ზევით), ხოლო კონკრეტული კავშირის შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დო „და“ კავშირი გვხვდება წინადადებათა საზღვარზე, დამოკიდებული უსწრებს მთავარს. დამოკიდებული წინადადების ტიპი განისაზღვრება კონკრეტული საკავშირებელი საშუალების მიხედვით; კერძოდ:

**მუჭოთ** „როგორც კი“ კავშირიანი **დროის გარემოებითია;** კონსტრუქციის ნაწილები აქაც **თანადროულობას** გამოხატავენ; მაგალითები:

(8) ბაღანაქ **მუჭო** გინირთუ ვით წანერო-**დო**, იში გარზექ მუთუნქ ვეცუ (ხუბუა 1,9) ბავშვი როგორც კი გახდა ათი წლის და, იმისი გამძლები არაფერი შეიქნა“.

(9) ლევანქ **მუჭო** დუდი ქიგედუ თე ბალიშის-**დო**, ხათე შური გოფარსალუ „ლევანმა როგორც კი თავი დადო ამ ბალიშზედა, მაშინვე სული განუტევა (დანელია, ცანავა 104,17).

(10) დიდაქ **მუჭო** ართი ლუკა ოჭკომგ-**დო**, **ხათე ხოლო** დოღურგ (ხუბუა 101, 34-35) „დედამ როგორც კი ერთი ლუკმა შეჭამა და, მაშინვე მოკვდა“.

**ოღონდ** || **ოღონ** „ოღონდ“ კავშირიანი დამოკიდებული **პირობის** გამომხატველია:

(11) **ოღონ** ასე ქაწააზადას სუმარენს-**დო,** ღორონთი თანდებო მემიჩამუ, მუთუნს ვაუწიინქ (ექსპედიციის მასალები) „ოღონდ ახლა შეხვდეს სტუმრებს-და, ღმერთი მიმიცია თავდებად, არაფერს ვეტყვი“.

ვითომ || ითომ კავშირიანი კონსტრუქცია **ვითარების გარემოებითია:**

(12) თე ოსურეფი დო თე ძღაბეფიშ ხოლოს დოთვადოხოდგ, **ითამ დო,** ვააკო (ხუბუა 175, 6) „ამ ქალებისა და გოგონების ახლოს არ ჯდება, ვითომდა, არ უნდა“.

• **ენობრივი პარალელები**

„და“ კავშირის მრავალფუნქციური ბუნება ჩანს ძველ ქართულშიც; კერძოდ:

ა. „და“ კავშირი მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირის ფუნქციისაა (იმნაიშვილი 1986:117).

ბ. „და“ კავშირი გაწყვილებული კავშირის ნაწილია: *და რომელმან..., და უკუეთუ..., და თუ..., და რაჟამს...* და-ს თავკიდურა პოზიცია უჭირავს დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც უსწრებს მთავარს (ერთელიშვილი 1963:109-119; ახალაია 1996:151).

მსგავსი ტიპის მოვლენა – **და**, **ხოლო** მაერთებელი (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი) კავშირების არსებობა ძველი ქართულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში დაადასტურა ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი 1949:112-116) [1] .

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჯერ კიდევ ამ კუთხით არ იყო შესწავლილი ძველი ქართულის ტექსტები, ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები, სვანურისა და მეგრულის მასალები, არ იყო გაანალიზებული უდაბნოს მრავალთავში „და“ კავშირის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები თანამედროვე ქართულის ნორმებთან მიმართებით (ჭუმბურიძე 1994:34), ს. ყაუხჩიშვილმა ძველი ქართულის მონაცემები მაინც ქართულის სინტაქსური ბუნებით ახსნა და არა ბერძნულის გავლენით (იქვე:116). მოგვიანებით ეს საკითხი სვანური ჰიპოტაქსის მი-

[1] ს. ყაუხჩიშვილის მაგალითები ყველა ზემოაღნიშნულისგან იმით განსხვავდება, რომ „და, ხოლო ან ზოგჯერ სხვა კავშირით“ იწყება მთავარი წინადადება, როცა დამოკიდებული უსწრებს მთავარს (ყაუხჩიშვილი 1949:112); მსგავსებაა ისაა, რომ სინქრონიული დონის მაერთებელი კავშირ(ებ)ი, რომელთა ადგილი პარატაქსულ კონსტრუქციაშია, ადრეულ ეტაპზე ჰიპოტაქსურში დასტურდება.

ხედვით შეისწავლა ნ. აბესაძემ. სვანურშიც ამგვარ პოზიციაში **ი** „და“ მაერთებელი კავშირი დასტურდება (აბესაძე 1960:129). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, სვანური **ი** *დი-საგან მომდინარეობს, ხოლო მასალობრივად უკავშირდება ქართულ „და“-ს და ზანურ „დო“-ს (ჩანტლაძე 1995:81-85). ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას დღეს ყველა ზემოდასახელებული მონაცემი უჭერს მხარს. ეს არის ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განვითარების ადრეული საფეხურის მაჩვენებელი, რადგან ამგვარი რამ „სრულიად უცხოა თანამედროვე ქართულისთვის“, მაგრამ ეს კანონზომიერება, ჩანს, „ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ძალაში იყო“ (ჭუმბურიძე 1994:34).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირი დასტურდება რუსულ ხალხურ მეტყველებაშიც (დაწვრ. იხ. Черных 1952:301, Шапиро 1953:107).

### 1.4.2. სვანური -ი „-ც“ ნაწილაკიანი წინდებულების როლი უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში

როგორც ცნობილია, სვანურ ენაში არსებობს ზმნისწინთა ორი ტიპი: ძირითადი პრევერბები (ან-, ად-, ლა-, ეს-) და ე. წ. წინდებულ-თანდებულები (ჟი, ჩუ, სგა, ქა). ისინი ერთმანეთისგან განირჩევიან არა მხოლოდ დაწერილობით (წინდებულ-თანდებულები ფუძეს მხოლოდ ელიზიის შემთხვევაში უერთდება), არამედ ფუნქციებითაც; ასევე, მიჩნეულია, რომ საანალიზო ელემენტები ენის განვითარების უფრო ადრეული საფეხურია ძირითად პრევერბებთან შედარებით (ჩანტლაძე 1971:129-144; მარგიანი 2016:58-62). ფუნქციური თვალსაზრისით თანდებულ-წინდებულები, ძირითად პრევერბებთან შედარებით, მეტ მრავალფეროვნებას ავლენენ. მათი ფუნქციები მხოლოდ ასპექტისა და მომავალი დროის წარმოების საკითხებში კვეთენ ერთმა-

ნეთს; მიუხედავად ამ მიმართულებით არაერთი კვლევისა, დღემდე არ არის გაანალიზებული წინდებულთა კიდევ ერთი ფუნქცია: -ი „-ც“ ნაწილაკთან ერთად უკავშირო ჰიპოტაქსური წყობის შექმნის უნარი; მაგალითად,

(1) ***ქა-ი ადზგრე*** *კლას, შიშდ უნივერსიტეტთე ლახბაწრჲე* „[**როგორც კი**] **დაამთავრა** სკოლა, ხელად უნივერსიტეტში ჩააბარა“ ან: „**დაამთავრა [თუ არა]...**“

საანალიზო ტიპის ქვეწყობილი წინადადებები უმეტეს შემთხვევაში მთავარ წინადადებაშიც იჩენენ **ი**’ნაწილაკიან წინდებულიან ფორმებს, რაც მთლიანობაში ქართულად ასე ჟღერს: **როგორც კი..., კიდევაც...:**

(2) *მერაბდ* ***ქაჲ ანსკინე*** *ყოწრქა,* ***ჩუი ახუჲწრ*** *ქორ* (ბზ.) – „მერაბი [**როგორც კი**] **გამოვარდა** (გამოხტა) კარში, [**კიდევაც**] **დაინგრა** სახლი“;

ან ასე: „...**თუ არა, მაშინვე/კიდევაც**...“:

(3) *ალი* ***ქაი რაჭქუე*** *ი* ***ჟიი ოხჩად*** *ქუჩინ* (ბქ.) – „ეს თქვა [**თუ არა**] და ამოსძვრა [**კიდევაც**] სული“.

საანალიზო ტიპის რთულ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადება უმეტესად **დროის გარემოებითია**, ზოგჯერ – **პირობითიც**, კორელატი ხან წარმოდგენილია, ხან – არა. რთული წინადადების კომპონენტები ხშირად **ი** „და“ კავშირით არის შეერთებული, რაც ქართულშიც დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისთვის და ეს სრულიად ვერ ცვლის კონსტრუქციის ტიპს: ის კვლავაც ჰიპოტაქსურია, ვინაიდან ქართულში მაქვემდებარებელი კავშირი და ხშირად კორელატიც შენარჩუნებულია, სვანურში კი ასეთ შემთხვევაში ქვეწყობის საფუძველი სწორედ **ი** „-ც“ ’ნაწილაკიანი წინდებულია. ასე მაგალითად:

**(4)** ***ქაჲ*** *აბდგვალჭნ ი შიშდ სგ’ოხოგაწნხ ლაჯჭნს* (ბზ.) /***ქაი*** *აბდგვალან ი შიშდ სგ’ოხოგანხ ლაჯნის* (ბქ.) – „[**როგორც კი**]გა-

მოიდარა **და მაშინვე** შეუდგნენ ხვნას“. ან: „გამოიდარა [**თუ არა**] **და** მაშინვე შეუდგნენ ხვნას“.

**მსგავსი კონსტრუქციები უხვად გვხვდება როგორც სვანური ტექსტების ადრინდელ პუბლიკაციებში, ასევე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში.**

ვფიქრობთ, ამჯერადაც სვანური ენისთვის დამახასიათებელ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: **-ი** „-ც“ ნაწილაკი დღეს წინდებულ-თანდებულებად წოდებულ ელემენტებს მათი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ლექსემებად არსებობის პერიოდში უნდა დართვოდა. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ წინდებულ-თანდებულები სვანურში, თანამედროვე ქართულისგან განსხვავებით, მხოლოდ „ოდესღაც დამოუკიდებელი სიტყვები“ (ა. შანიძე) კი არ არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ არქაული მდგომარეობაც.

ასევე არქაულ ვითარებას აჩვენებს უკავშირო ქვეწყობილი წინადადების აქტიურად გამოყენება სვანურში, განსაკუთრებით, ბალსქვემოურ დიალექტში. უკავშირო შეერთების დროს ჩვენ განვიხილავდით ორ ფაქტორს: **ინტონაციას** და **ინფერენციული ზმნა-შემასმენლის** როლს კონსტრუქციაში, რომელიც თავად ითავსებს *ხოლმე თუ, თუკი, რომ*... და სხვა მაქვემდებარებელი კავშირების ნიუანსს; ახლა კი **გამოვლინდა უკავშირო შეერთების კიდევ ერთი საშუალება: ი „-ც“ ნაწილაკიანი წინდებული დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც ქართულად „როგორც კი“, „თუ არა“-დ ითარგმნება**, თუმცა სვანურ წინადადებაში დასახელებული კავშირები არ მოიპოვება, ანუ ფორმალურად ეს წინადადებები უკავშიროა, ქართულად გადმოცემის დროს კი მათი თარგმნა მხოლოდ კავშირის ჩართვით არის შესაძლებელი.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში წინდებული არქაული სახით არის წარმოდგენილი, როცა ის ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილია, ამასთან, ის

მორფოსინტაქსური ელემენტია: ქმნის უკავშირო ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ასევე რთული კონსტრუქციის განვითარების ადრეულ საფეხურს განეკუთვნება.

## 1.5. რთულკავშირიანი ჰიპოტაქსური წინადადების აგების სტრატეგია და განვითარების გზები ქართველურ ენებში

რთულკავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას ქმნის მიზეზის გარემოებითი, მიზნის გარემოებითი და ვითარებით-შედეგობითი დამოკიდებული წინადადებები.

სუბიექტი მთავარ წინადადებაში ასახელებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიზეზს ან მიზანს, რომლის შედეგი ჩანს დამოკიდებულში. ვითარებით-შედეგობითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც ზოგჯერ მხოლოდ შედეგობითის სახელით მოიხსენიებენ, ასევე აჯამებს მთავარ წინადადებაში განვითარებულ მოქმედებას. სამივე შემთხვევაში მთავარი და დამოკიდებული კომპონენტები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს[1], რაც ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა-ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

### 1.5.1. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და მიზეზის, მიზნის დამოკიდებული წინადადებები ქართულ სალიტერატურო ენაში

რთული კავშირი ორკომპონენტიანია; შედგება **კორელატისა** და **მაქვემდებარებელი კავშირისაგან**, რაც, ცხადია, გულისხმობს ჰიპოტაქსური კონსტრუქციის არსებობას.

[1]ასეთივე მჭიდრო ურთიერთმიმართებაა პირობასა და შედეგს შორის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. დაწვრილებით იხ. ამავე თავში § 1.3.

მიზეზის და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში რთული კავშირი შედგება **მიზეზის** (ან **მიზნის**) **ზმნიზედა** (კორელატი) + **მაქვემდებარებელი კავშირი** (ქართულში „რომ“); კერძოდ, ესენია: ***იმიტომ რომ***, ***იმის გამო რომ, იმისთვის რომ;*** ორივე ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მაინც ყველაზე მეტად გავრცელებული კავშირია ***იმიტომ რომ.***

ამ ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში მთავარი წინადადება ყოველთვის პირველ ადგილზე დგას, რომლის ბოლოკიდური წევრია კორელატი; მთავრის მომდევნო დამოკიდებულში თავკიდურა პოზიცია უჭირავს მაქვემდებარებელ კავშირს, რაც განაპირობებს კორელატისა და კავშირის პოზიციურ სიახლოვეს და ხელს უწყობს რთული კავშირის შექმნას; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ამგვარი რთული კავშირების მისაღებად კორელატის პოზიცია ერთ-ერთი ძირითადი, თუმცა არასაკმარისი პირობათაგანია. ლოგიკური მახვილის მქონე კორელატი, თუნდაც კავშირის მეზობლობაში, ძველ მნიშვნელობას ინარჩუნებს, თუკი კორელატის წარმოთქმას მოსდევს **პაუზა**; როცა კორელატი და კავშირი **ერთ ინტონაციურ ერთეულად** აღიქმება, მაშინ თანშეზრდის პროცესი დამთავრებულია (ვრცლად იხ. ძიძიგური 1973:345). ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ნაკლები პრობლემა იქმნება ზეპირმეტყველებაში, რადგან რიტმო-მელოდიკური ფაქტი იქ ადვილად აღიქმება; ხოლო, როცა საქმე გვაქვს დაწერილთან, ამ შემთხვევაში სასვენი ნიშანი შეიძლება არ ასახავდეს წარმოთქმას. უფრო რთული ვითარებაა ძველ წერილობით ძეგლებში, როცა პუნქტუაციის არადიფერენცირებულ სისტემას არ ძალუძს გადმოსცეს ფრაზის ინტონაციური თავისებურება (იქვე: 346). მაშასადამე, რთული კავშირის მისაღებად ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია **ინტონაცია**, რომელიც ზეპირმეტყვე-

ლებაში გვეძლევა, ამიტომ „ზოგჯერ ტექსტი არავითარ სემანტიკურ ანდა ფორმალურ ნიშნებს არ შეიცავს გარკვეული დასკვნის გამოსატანად“ (იქვე: 346); შესაბამისად, რთული კავშირი ორნაირად შეიძლება წავიკითხოთ: პაუზით ან ერთიანი ინტონაციით; შესაბამისად, განსხვავებული იქნება **ჩანაწერიც** და **კვალიფიკაციაც:**

ა. *...იმიტომ, რომ... (მათ შორის პაუზაა, კავშირი რთული არ არის).*

*(11) მე მოვედი იმიტომ, რომ დედამ დამიბარა.*

ბ. *...იმიტომ რომ... (ინტონაცია ერთიანია, კავშირი რთულია).*

*(12) მე მოვედი, იმიტომ რომ დედამ დამიბარა.*

### 1.5.2. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და მიზეზის, მიზნის დამოკიდებული წინადადებები სხვა ქართველურ ენებში

**მეგრულშიც** დასტურდება მიზეზის ან მიზნის გამომხატველი რთული კავშირი, რომელიც შემადგენელი კომპონენტებით ემსგავსება ქართულს.

*ნამუდა „რომ“* კავშირს **მიზეზის კავშირის** მნიშვნელობა აქვს, როცა მთავარში კორელატად მოცემულია მიზეზის ზმნიზედები: **თიშენი** „იმიტომ“, **თეშენი** „ამიტომ“[1]; მაგალითად,

(1) [ღორონთქ] ქგგაპატიუა სქანი სქუა **თიშენი**, **ნამდა** სი წირუას გერდია დო სქანი სქუაში დინაფა ქიმეგიღესია, შუ-

[1] მეგრულში რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემადგენლობაში თანაბრად მონაწილეობენ როგორც **თიშენი** „იმიტომ“, ისე **თეშენი** „ამიტომ“ მიზეზის ზმნიზედები, ხოლო ქართულში „რომ“ კავშირთან ნიშანდობლივია **იმიტომ, მიტომ** კორელატი (ძიძიგური 1973:345), რის გამოც მეგრული **„თეშენი ნამუდა“**-ც ქართულში **„იმიტომ რომ**“-ით გადმოდის.

რი ვაგიქალგნია [ღმერთმა] შეგინარჩუნა/ „გაპატია“ შენი შვილი იმიტომ, რომ შენ წირვაზე იდექიო და შენი შვილის დაკარგვის [ამბავი] რომ მოგიტანეს, ხმა/„სული“ არ ამოგიღიაო (ტ. II, 306, 23-24).

ზოგჯერ კორელატი და კავშირი გათიშულია ზმნით:

(2) „მარა“ **თიშენი** ფთქვიია, **ნამდა** გაგიჭირდგნა თქვა თი ბოში-ში შენახავა „მაგრამ“ იმიტომ ვთქვიო, რომ გაგიჭირდებათ თქვენ ამ ბიჭის შენახვაო“ (ტ. II, 48-38).

კორელატად, მიზეზის ზმნიზედის ნაცვლად, შეიძლება ვითარების ზმნიზედა იყოს გამოყენებული:

(3) თით ქიჩინუ, მუჭო მუშ თხუალაქ უაზროთ იცუუნი. უაზროთ **ათენერო ნამუდა**, თხუ სქუაში ერჩქინა, ხოლო მუში დასწრება – ვარ „ისიც შეიცნო, რომ მისი თხოვნა უაზრო აღმოჩნდა /„უაზროდ შეიქნა“. უაზრო **იმიტომ /„იმნაირად“, რომ** სთხოვა შვილის გაჩენა, ხოლო თავისი დასწრება – არა“ (ტ. II, 106, 151).

მიზეზის დამოკიდებული წინადადების კორელატი **თიშენი /თეშენი** „იმიტომ“/„ამიტომ“ მეგრულში, ქართულის მსგავსად, მთავარი წინადადების ბოლოს მოქცევისა და იქ ადგილის დამკვიდრების ტენდენციას იჩენს, რაც დროთა განმავლობაში კავშირთან შეერთებით მთავრდება. კორელატისა და კავშირის ერთ რიტმულ-მელოდიკურ მთლიანობად აღქმა დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისთვის, მაგრამ ეს პროცესი თანდათანობითია; შდრ.: ლაზურის ვითარება, სადაც ჰემუშენი „იმიტომ“ ხან გამოყოფილია კავშირისგან მძიმით – ***ჰემუშენი, ქი***[1] = ***იმიტომ, რომ***, ხან – არა: ***ჰემუშენი ქი*** „იმიტომ რომ“. მეგრულში კავშირის კომპონენტად ქცევის ტენდენციას განსაკუთრებულად **თიშგურშენი** „იმის გამო / იმის გულისთვის“ კორელატი ამჟღავ-

[1] ქი ნასესხებია თურქულიდან, „ნამუდა“ ლაზურში არ დასტურდება.

ნებს: **თიშგურშენი ნამუდა** „იმის გულისთვის რომ“ (ფაჩულია 1997:65). ასეთი გზით მიიღება **თიშენი ნამუდა**, **თეშენი ნამუდა** რთული კავშირებიც, ისევე, როგორც მათი ქართული ფარდი ***იმიტომ რომ, ამიტომ რომ*** [1] (ძიძიგური 1973: 245-346); თუმცა ზოგჯერ მძიმითაც არის გამოყოფილი: **თიშენი, ნამუდა** „იმიტომ, რომ“, **თეშენი, ნამუდა** „ამიტომ, რომ“.

მიზეზის კავშირისა და კორელატის შემცველი რთული კავშირი მიზეზთან ერთად შედეგზეც მიუთითებს და ქვეწყობილი წინადადება მიზეზ-შედეგობრივია[2], მაგალითად,

(5) ოზეში კარეფიშა ვემგნიირთე, **თიშენი ნამუდა** თითო ჭიშკარი ანთასი ფუთიანი რე „ეზოს კარებში არ შეისვლება, იმიტომ რომ თითო ჭიშკარი ათასი ფუთიანი არის“ (ტ. II, 66, 17).

(6) ათე ჟამსგ ცვამურიცხამქგ ქიდეელახგ დო შურიმალაფუო გინიირთგ, **თეშენი ნამუდა** თიში შური ცოფე თურმე თენა „ამ დროს ცვამურიცხამი ავად გახდა და სიკვდილის პირას მივიდა, იმიტომ რომ მისი სული ყოფილა თურმე ეს“ (ტ. II, 26, 9).

---

[1] თავად იმიტომ/ამიტომ რთული შედგენილობისაა და იშლება შემდეგნაირად: *იმით რომ > იმიტომ, ამით რომ >ამიტომ* (გ. როგავა). გ. როგავა წარმოშობით ასევე რთული შედგენლობისად მიიჩნევს მეგრულში გამოყენებულ მიზეზის კავშირის კორელატებს: თი-შე-რე-ნი („იმისთვისაც რომ არის“) > თიშენი „იმისთვის“/„იმიტომ“; თე-შე-რე-ნი („ამისთვისაც რომ არის“) > თეშენი „ამისთვის“/„ამიტომ“ (როგავა 1987:47).

[2] მეგრულში რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემადგენლობაში თანაბრად მონაწილეობს როგორც **თიშენი** „იმიტომ“, ისე **თეშენი** „ამიტომ“ მიზეზის ზმნიზედები, ხოლო ახალ ქართულში „რომ“კავშირთან ნიშანდობლივია **იმიტომ, მიტომ** კორელატი“ (ძიძიგური 1973:345), რის გამოც მეგრული **„თეშენი ნამუდა“**-ც ქართულში **„იმიტომ** რომ“-ით გადმოდის.

(7) მუქუ ხვალე გიმელასგ გვალაშე დო ქიიძირუასი, ოშქურუ, **თეშენი ნამდა** ბჟა ოლე მეურცუ „თვითონ რომ მარტო ჩამოვიდეს მთიდან და ნახოს, ეშინია, **იმიტომ რომ** მზე აღმოსავლეთისკენ /„მზის აღმოსავალისკენ“ მიდის“ (ტ. II, 40, 27-28).

(8) თი ჩილიში ოთხუუშა მიიშგნი, მაფაში სქუაქ კოჩი ქუმუჩქუ თე ბოშისგ დო მუუჩინგ: „შარა ქგმოთხიია“, **ათეშენი ნამუდა** შარაპიც გილახედგ დო შხვა არდგილით ვემიშაართედგ ცხენამი კოსგნი „ამ მეფის შვილმა, ცოლის სათხოვნელად რომ მიდიოდა, კაცი მიუგზავნა ამ ბიჭს და შეუთვალა: „გზა დამითმეო“ / „მათხოვეო“, **იმიტომ რომ** გზის პირას იჯდა და სხვა ადგილიდან ვერ გაივლიდა ცხენოსანი კაცი“ (ტ. II, 220, 3-5).

**მიზნის გარემოებით** დამოკიდებულ წინადადებასაც მთავარში **თიშენი/თეშენი** „იმიტომ/ამიტომ“ კორელატები შეეფარდება, ოღონდ აქ მათი ქართული მნიშვნელობებია „იმისათვის/ამისათვის“, ხოლო დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნითაა გადმოცემული (აბესაძე 1965:248); მაგალითად,

(9) მა თაქ **თიშენ** მოფრთი, ლაზუტი (ლაიტი) ქომიციდირგდგკო**ნი** (ყიფშიძე 2,26) „მე აქ **იმისთვის** მოვედი, სიმინდი **რომ** მეყიდა“.

- **მიზეზისა და მიზნის დამოკიდებული წინადადებები სვანურში**

მიზეზისა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებთან კორელატისა და მაქვემდებარებელი კავშირის სწორად გამოყენება ქართულ ზეპირმეტყველებაში პრობლემურია: მიუხედავად კავშირების (რადგან, რათა) და კორელატების (იმიტომ, იმისთვის) ფორმობრივი განსხვავებისა, მათი ფუნქციური

აღრევა ხშირია. სვანურში მით უფრო მოსალოდნელია მათი გაერთმნიშვნელიანება, რადგან ***ეჯლა*** ნიშნავს როგორც *იმიტომ*'ს, ისე *იმისთვის*'ს. მიუხედავად იმისა, რომ ზმნიზედა *ეჯ-ღა* შედგენილია და მისი მეორე კომპონენტი არის სწორედ -ღა („-თვის"), თანდებულის მნიშვნელობა ნიველირებულია. ამიტომაც თავისუფლად ენაცვლება *ეჯ-ნარ-(დ)* (ბზ. ქსვ.), *ეჯ+იაქ+დ (ბქ.)* („იმისთვისად") ზმნიზედებს.

ბზ.: – *(გაკს)* ***ეჯლ**'ესერ შგდე ჩუქუანთე, ერე მგხარ ესერ ჰაუდარ ორი ი ეჩქ'ესერ მიჩ შგნ ხეღუენი ლენკული* „(კაკალს) **იმიტომ/იმისთვის** ვყრი დაბლა, რომ ხვალ ავდარი იქნება და მაშინ მე საკენკი მექნებაო" (სვ. პროზ. ტ., I, 1939:98, 17);

ბქ.: *მიშგომუდ* ***ეჯლა** ადიგ ამზუ სუირილ ქორ, ერე ნა როქ ჩიგარ მაგ უშხუდ ხუირდიდ (ექსპედიციის მასალები)* „მამაჩემმა **იმიტომ/იმისთვის** ააშენა ამხელა სახლი, რომ თქვენ ყოველთვის ყველა ერთად იქნებითო".

*ჯუინელ ქორხენქა* ***ეჯლა** ონქახდ, ერე დეშ ხუასკგდდ (ექსპედიციის მასალები)* „ძველი სახლიდან **იმიტომ** გადმოვედით, რომ ვერ ვეტეოდით".

მაქვემდებარებელი კავშირი ძირითადად არის ***ერე***, რომელიც ელიფსის შედეგად ხშირად მხოლოდ **ე** ხმოვნით არის წარმოდგენილი. ასევე გვხვდება ***ლახ*** კავშირი, რომელიც „თუ" უფროა, ვიდრე „რომ", ამიტომაც *ლახ*'კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კიდევ უფრო ჭირს დამოკიდებული წინადადებების დიფერენცირება და გარკვევა იმისა, პირობითია, განსაზღვრებითი თუ გარემობითი (მიზეზისა თუ მიზნისა). სვანურში, განსაკუთრებით კი სალიტერატურო ქართულის გავლენისგან შედარებით თავისუფალ ბალსქვემოურ დიალექტში, ხშირია ასინდეტური კავშირი მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის (ეს ეხება ყველა ტიპის დამოკიდებულ წინადადებას):

ჯიმილდ მოდე ლამო, **ეჯღა** ჯეყარ ბლი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978:212) „მარილი [რომ] არ მომეცი, **იმიტომ** დაგემართა ეს“.

### 1.5.3. რთული კავშირის ჩამოყალიბების გზა და ვითარებით-შედეგობითი დამოკიდებული წინადადება ქართველურ ენებში

ქართულში **ვითარებით-შედეგობითი** კავშირიც რთული შედგენილობისაა და ვითარების ზმნიზედისა და „რომ“ კავშირის შერწყმით მიიღება. მეგრულშიც მიიღება ვითარების ზმნიზედებისა – **თეშ** „ისე“, **თაშ** „ასე“ და **ნამუდა** კავშირის შერწყმით: **თეში ნამუდა** „ისე რომ“, **თაში ნამუდა** „ასე რომ“[1]. აღნიშნული კავშირები გვხვდება **შედეგობითი დამოკიდებული წინადადების** შემცველ ქვეწყობილ წინადადებაში. შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარება სუსტად არის გამოხატული. ამ სახის დამოკიდებული მთავარ წინადადებას მიემართება მთლიანად და არა მის რომელიმე წევრს (კვაჭაძე 1977:379-380). მთლიანად წინადადება წარმოადგენს ამოცანის შესრულებისა და მისგან გამომდინარე შედეგის ფაქტის კონსტატაციას (ძიძიგური 1973:349).

**შედეგობითი დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარია;** პირველ ადგილზე ყოველთვის მთავარი წინადადებაა, მეორეზე – დამოკიდებული; საგულისხმოა, რომ ამ ტიპის წინადადებაში რთული კავშირის წინ დაისმის მძიმე ან წერტილ-მძიმე[2]; მაგალითად,

[1] ასეთივე გზით მიიღება ქართულშიც ვითარებით-შედეგობითი კავშირები: ***ასე რომ, ისე რომ.*** იხ. შ. ძიძიგური 1973:34; ფ. ერთელიშვილი 1962:158-159.

[2] გამოცემულ მეგრულ ტექსტებში ეს წესია გატარებული ორიოდე გამონაკლისის გარდა; იხ. მ. ხუბუა 1937:74,14; 230, 24-25.

(10) ათე რაშიში ნაფოლე დიხას გიოხე, ირ დიხას, **თეში ნამუდა** თითო ნაფოლეს თითო კოჩი ინინტირე „ამ რაშის ნაფლოქვარი მიწას ატყვია ყველგან, **ისე რომ** თითო ნაფლოქვარში თითო კაცი ჩაეტევა“ (ტ. II, 82,39).

(11) მოუსვეს დო ჭკირეს [დუდეფი], **თაში ნამუდა** ჟირხოლო ტარიელეფი ონჯუაშა ქოცვილგნდესგ ნდემემცგ „მოუსვეს და ჭრეს თავები, **ასე რომ** ორივე გმირი საღამომდე კლავდა დევებს“ (ტ.II,68,2).

(12) მარა გამოთხუალა თინეფიში ვეერაგადე, მუ წუხარებაქ იცუუნი; **თაში ნამუდა** ირიფელიქ ქიშიიტყუ ინეფიში გამოთხუალა დო ნგარა: ბჟა დო თუთაქ, ცა დო დიხაქ, ზღვა დო ქვიშაქ „მაგრამ მათი გამოთხოვებისას არ ითქმის, თუ რა მწუხარება შეიქმნა; **ასე რომ** ყველაფერმა შეიტყო მათი გამოთხოვება და ტირილი: მზემ და მთვარემ, ცამ და მიწამ, ზღვამ და ქვიშამ“ (ტ.II,18-20, 40-1).

ლაზურისთვის არ არის დამახასიათებელი ვითარებით-შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია.

საანალიზო ტიპის დამოკიდებული წინადადებები სვანურში კი იძებნება, თუმცა მხოლოდ თანამედროვე, უმცროსი თაობის სვანთა მეტყველებაში და ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას, ვინაიდან სალიტერატურო ენის გავლენით არის გაჩენილი, შეიძლება ითქვას, კალკია: *გუშიშგეშს ქუერწილ აშხუ თეუისგა ხარხ,* ***ამჟი ერე*** *ჟ'ოლმარენედ, ხოჩამდ გუარხ ლესჩქუარი* (ექსპედიციის მასალები) „ჩვენებს ქორწილი ერთ თვეში აქვთ, **ასე რომ** მოვემზადოთ, კარგად უნდა დავასაჩუქროთ“.

# თავი II

## წინადადების სტრუქტურა და შემადგენელ კომპონენტთა პოზიცია – ინფორმაციის მარკირების სტრატეგია ქართველურ ენებში

## 1. ინიციალური სახელობითის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში

ინიციალური სახელობითი (resp. ემფატიკური პრეპოზიცია) აქტუალიზაციის კერძო შემთხვევაა (კვანტალიანი (1990:98) და დამახასიათებელია ზოგადად ზეპირმეტყველებისთვის; ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია დასტურდება ქართულ სპონტანურ (წინასწარმოუმზადებელ) მეტყველებაში, ასევე უმწერლობო ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში.

ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია თავისებური სტრუქტურისაა: კონსტრუქციის თავში დგას სახელობითში მდგარი სახელი ან სახელური შესიტყვება, იგი „გამონათქვამის თემაა“ და მომდევნო წინადადებას **სასვენი ნიშნითა** და ***ალმავალი*** ინტონაციით გამოეყოფა; მაშასადამე, სახელობითში მდგარი სახელის აქტუალიზება ხდება ***პაუზით*** (გამოხატულია **სასვენი ნიშნით**), ***ინტონაციითა*** და ***პოზიციით*** (კვანტალიანი 1990:106-108); *ინიციალური სახელობითის* მომდევნო წინადადება შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (ჰიპოტაქსური სტრუქტურის). სახელობითში მდგარი სახელი მხოლოდ **აზრობრივად** უკავშირდება მომდევნო წინადადებას და მათ შორის სინტაქსური კავშირი არ არის. მომდევნო წინადადებაში, განსაკუთრებით რთულ ქვეწყობილში, სახელობითში მდგარ სახელს შეიძლება ჩაენაცვლოს ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი; მაგალითად,

(1) ***მეზობელი***. ***მას*** რომ შეეძლოს, შენ არ დაგავალებს; აქედან, ***მეზობელი*** = ***მას***.

აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ გამონათქვამის ორი სეგმენტი ***(მეზობელი*** და ***მას)*** ეკვივალენტურია („ტოლფასია“), ანუ ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენს, ამიტომაც თავისუფლად მონაცვლეობენ; რაც ითქმის ერთის შესახებ, თანაბრად ვრცელდება მეორეზეც (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გამყრელიძე და სხვები 2008:134).

სწორედ ეკვივალენტური მონაცვლეობა[1] იძლევა გამონათქვამის ერთ-ერთი სეგმენტის აქტუალიზების საშუალებას; შდრ.:

(1ა) ***მეზობელს*** რომ შეეძლოს, შენ არ დაგავალებს.

სახელობითში მდგარი აქტუალიზებული სახელი (**მეზობელი**) როგორც კი სინტაქსურ კავშირს დაამყარებს დანარჩენ წევრებთან (იხ. მაგალითი 1ა), იხსნება ყველა ის მახასიათებელი, რაც მის აქტუალიზებას განაპირობებს; ე.ი. იშლება ეკვივალენტური სეგმენტების თავისუფალი მონაცვლეობა და იკარგება ნაცვალსახელით გადმოცემული მისი ჩამნაცვლებელი კორელატიც.

**საკითხის კვლევის ისტორია** ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ივანე გიგინეიშვილის დაკვირვებით იწყება. აღნიშნული საკითხის განხილვას მეცნიერმა სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნა სახელწოდებით: *„რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში“* (იხ. მონოგრაფიული კვლევა გიგინეიშვილი 1975:321-335).

[1] ეკვივალენტური მონაცვლეობის მაგალითები განხილულია აგრეთვე გახლეჩილი (გაყოფილი) ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მაგალითზე ქალაქური ზეპირმეტყველებისა და არასალიტერატურო ქართველური ენების მიხედვით (იხ. ამავე თავში შესაბამისი პარაგრაფები).

## 1.1. *ინიციალური სახელობითის* შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული „ინიციალური სახელობითის“ შემცველი ჰიპოტაქსური წინადადებების **სტრუქტურულ-სემანტიკური** და **ფუნქციური** ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც ფრაზის მნიშვნელობის დასაზუსტებლად, ასევე ჰიპოტაქსის გენეზისის გასარკვევად, ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური მოდელების თავისებურებათა წარმოსაჩენად.

„რთულ დაქვემდებარებულ წინადადებათა სფეროში „ვეფხისტყაოსანში“ შესაძლოა შემჩნეულ იქნეს გარკვეული თავისებურება, რომელსაც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ინტერესი ახლავს, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის ჯეროვნად გაგებისა და, მაშასადამე, დადგენის თვალსაზრისით“ (გიგინეიშვილი 1975:323). გამოკვლევის ავტორს მხედველობაში აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში დადასტურებული ისეთი სტრიქონები, რომელთა ერთი ნაწილი მთავარ წინადადებას უტოლდება, მეორე კი – დამოკიდებულს.

სანიმუშოდ დავიმოწმებთ ყველაზე თავისებურად მიჩნეულ ერთ-ერთ სტროფს:

(2) **დედოფალი** ზღვასა შეიქმს, **მას** რომ ცრემლი დაუღვრია (რუსთაველი 1974:110, 358).

***შენიშვნა 1:*** *ფრაზაში პუნქტუაცია შენარჩუნებულია მითითებული გამოცემის მიხედვით; ეს პრინციპული საკითხია, რადგან თავდაპირველად ივანე გიგინეიშვილის ყურადღება, არსებული პუნქტუაციის პირობებში, სწორედ ფრაზის აზრობრივმა გაუმართაობამ მიიქცია.*

ივანე გიგინეიშვილის მიხედვით, ზემოაღნიშნულ სტრიქონში სამი ერთეული გამოიყოფა:

*I. დედოფალი. II. ზღვასა შეიქმს. III. მას რომ ცრემლი დაუღვრია.*

„მთავარია მეორე [წინადადება], დამოკიდებული – მესამე. ამ მესამესთან არის დაკავშირებული პირველი ნაწილი **დედოფალი,** რომელიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელითაა წარმოდგენილი“ (გიგინეიშვილი 1975:333). ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქციის სტრუქტურული ანალიზი ითვალისწინებს სახელობითში მდგარი სახელის **სასვენი ნიშნით** გამოყოფის საკითხს. „დამოკიდებული წინადადების ბადალი ცალკე სახელობითში დასმული სახელი [„დედოფალი“] თუ მთელი სახელური შესიტყვებები[1] სხვათაგან **წერტილით**[2] უნდა გამოიყოს“ (გიგინეიშვილი 1975:333-334); წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრაზის აზრი გაუგებარი დარჩება. სახელობითში მდგარი სახელი პოემის ტექსტშიც, ცხადია, „გამონათქვამის თემაა“, რომლის აქტუალიზება, როგორც აღვნიშნეთ, ხდება **პაუზით**, **აღმავალი** ინტონაციით[3] და თავკიდურა **პოზიციით**.[4]

სახელობითში მდგარ სახელს (იხ. **I**. **დედოფალი**) დამოკიდებულ წინადადებაში ენაცვლება ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი „**მას**“; (იხ.**III**: „...**მას** რომ ცრემლი დაუღვრია“). თუ

[1] ინიციალური სახელობითი შესაძლებელია სახელური შესიტყვებითაც იყოს გადმოცემული; იხ. მაგალითები: (3), (4).

[2]წერტილის ნაცვლად, შესაძლოა, სხვა სასვენი ნიშანი განიხილებოდეს; კერძოდ, **მძიმე** (ქობალავა 1998), **ტირე** (დ. მელიქიშვილი, ზეპირი საუბრიდან). ქართველ პოეტთა შემოქმედებაში **კითხვა-ძახილის** ნიშანსაც ვხვდებით (იხ. მაგალითი (8)).

[3] ***აღმავალი ინტონაცია*** დამახასიათებელია პრეპოზიციური დამოკიდებული წინადადებისთვის; ამგვარი ინტონაცია სათქმელის დაუსრულებლობაზე მიუთითებს (კიზირია 1988:22).

[4] ***თავკიდურა პოზიციაც***, ინტონაციის მსგავსად, ინფორმაციის სტრუქტურირების მნიშვნელოვანი მახასიათებელია (ივანიშვილი 2009:69-81).

„კორელატს ამოვიღებთ, ინიციალური სახელობითი მაშინვე შეუერთდება [დამოკიდებულ] წინადადებას და არააქტუალური წევრი გახდება“ (კვანტალიანი 1990:108).

ზემოაღნიშნულ მსჯელობაში სიცხადეს შეიტანს კონსტრუქციების ერთმანეთთან შედარება:

*„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი:*

- ***„დედოფალი**. ზღვასა შეიქმს, **მას** რომ ცრემლი დაუღვრია“ (**დედოფალი** აქტუალიზებული წევრია და მომდევნო კონსტრუქციისგან გამოყოფილია წერტილით),*

შდრ.:

- ***დედოფალს** რომ ცრემლი დაუღვრია, ზღვას შექმნის.*

*ან:*

- *ზღვას შექმნის, **დედოფალს** რომ ცრემლი დაუღვრია. (**დედოფალს** ბოლო ორ შემთხვევაში არააქტუალიზებული, ნეიტრალური წევრია).*

ივანე გიგინეიშვილის აზრით, საქმე გვაქვს თავისებური სახის ჰიპოტაქსთან. „რაკი ეს კონსტრუქცია ლექსის ენაში გვხვდება, უნდა გვეფიქრა, რომ იგი [პოემის ავტორთან] გარკვეული სტილებრივი მიზნით არის გამოყენებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია **რთული დაქვემდებარებული წინადადების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობდეს** (გიგინეიშვილი 1975:324).

- ***„ვეფხისტყაოსანში“ სხვა ამ ტიპის კონსტრუქციათა მაგალითებია:*** [1]

[1]დამოწმებულია ივ. გიგინეიშვილის შერჩეული მაგალითები გიგინეიშვილი 1975: 334-ის მიხედვით.

(3) **„პატრონი ჩემი გამზრდელი**, ღვთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი, **მას** ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი...“
(რუსთაველი 1974:276, 866)

(4) „მან უთხრა: **„ფრიდონ ხელმწიფე,** მეფე მულღაზანზარისა, **იგი** ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“.
(რუსთაველი 1974:317, 987)

- ***პარალელური მაგალითები ქართული ენის დიალექტებიდან:***

(5) **საშუბი**. **ის** კი ზოკან-ზოკან კინჭუხიანია, მაღალი (თ. ხელაშვილი, ფშაური დიალექტი). [1]

(6) **ბოწახი**. **ის** კი ძალიან კარგი ადგილია, საძოვარი (თ. ხელაშვილი, ფშაური დიალექტი).[2]

„ამგვარი მაგალითების გამრავლება შეიძლება სხვა დიალექტების მონაცემებითაც, რაც ეჭვმიუტანელს ხდის მოსაზრებას ასეთი კონსტრუქციების ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობის შესახებ“ (კვანტალიანი 1990:108).

(7) **მამაჩემი**. რო წევეით ტყეში, **ისიც** გაგუყვა (ო. მიქიაშვილი, იმერული დიალექტი).[3]

(8) **ჩემი მამა**. დამამიწყდა, ახლა **ის** სად არი (ო. მიქიაშვილი, ლეჩხუმური დიალექტი).[4]

---

[1]თამარ ხელაშვილის დიალექტური მასალა დამოწმებულია გიგინეიშვილი 1974 : 324-ის მიხედვით.

[2] თამარ ხელაშვილის დიალექტური მასალა დამოწმებულია გიგინეიშვილი 1974 : 324-ის მიხედვით.

[3] ო. მიქიაშვილის დიალექტური მასალა დამოწმებულია ლომია 2005:180-ის მიხედვით.

[4] ო. მიქიაშვილის დიალექტური მასალა დამოწმებულია ლომია 2005:180-ის მიხედვით.

## 1.2. *ინიციალური სახელობითის* შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართულ ზეპირმეტყველებაში, უდამწერლობო ქართველურ ენებში

ლეილა კვანტალიანმა, ივანე გიგინეიშვილის ზემოხსენებულ კვლევაზე დაყრდნობით, *ინიციალური სახელობითის* შემცველი კონსტრუქციები განიხილა ქართული ზეპირმეტყველების მასალებისა და ქართველ კლასიკოსთა ნაშრომების მიხედვით (კვანტალიანი 1990:106-107). მაგალითები:

**ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან:** [1]

(8) **სინანული**?! ცოდვილთათვის არ არსებობს **იგი** (ვაჟა, VII, 287).

(9) მე წყნეთის ქუჩაზე გეახლები.
– **წყნეთი.** ეს მცხეთასთან არ არის განა? (ნ. ლორთქიფანიძე, II, 1959, 455).

**ქართული ზეპირმეტყველებიდან**: [2]

(10) **შვილი**?! **მასაც** მობეზრდა ავადმყოფი.

*ინიციალური სახელობითის* შემცველი კონსტრუქცია ძირითადად არ დასტურდება ბეჭდურად გამოქვეყნებულ ნარატიულ წყაროებში, რადგან საუბარში ამ ტიპის კონსტრუქციის გამოყენებას თხრობის სპეციფიკური გარემო და თანამოსაუბრე სჭირდება; *ინიციალური სახელობითის* შემცველი კონსტრუქცია რომ დიალოგური მეტყველების ნაწილია, კერძოდ, მე-2 პირის რეპლიკაა, შენიშნული აქვს ლ. კვანტალიანს: „ინიციალური სახელობითი გვხვდება დიალოგშიც, კერძოდ, მეორე რეპლიკაში, რომელშიც გამოყოფილია პოზიციით ის სიტყვა პირველი

[1] დამოწმებულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიის მიხედვით: კვანტალიანი 1990: 106-107.

[2] დამოწმებულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიის მიხედვით: კვანტალიანი 1990: 106.

რეპლიკისა, რომელიც თანამოსაუბრისთვის ხაზგასასმელია“ (კვანტალიანი 1990:109). ამ განმარტებიდან ჩანს, რომ მეცნიერს ინიციალური სახელობითი დიალოგური მეტყველების ნაწილად გარკვეულ შემთხვევებში მიაჩნია; ჩვენი აზრით, ინიციალური სახელობითის შემცველი ერთგვარი შემაჯამებელი ფრაზა ყოველთვის მე-2 პირის რეპლიკაა და ასევე აუცილებლობით გულისხმობს წინამავალ ტექსტს; სხვა საკითხია, ამგვარი ტექსტის შექმნაში რეალური თანამოსაუბრე პირები მონაწილეობენ თუ ერთი პირი ითავსებს ორივეს ფუნქციას; სწორედ ამიტომ, მთქმელი ნებისმიერი ტექსტის თხრობისას არ და ვერ იყენებს საანალიზო კონსტრუქციას და ბეჭდურ ტექსტებშიც თითქმის არ დასტურდება.

**მეგრულში** ზემოაღნიშნული ტიპის კონსტრუქციას, დასახელებული ნაშრომების გათვალისწინებით, პირველად მიექცა ყურადღება მ. ლომიას დისერტაციაში (ლომია 1998), საიდანაც აისახა მონოგრაფიულ კვლევებში: ლომია 2005:179-180; კარტოზია და სხვები 2010:401-403; მაგალითები:

(11) **ოსურკოჩი**. **თის** ქეშულებუდასინ, მითინს ვემიაშქვანს, თიგვარიე (ექსპედიციის მასალები) „**დედაკაცი**. **იმას** რომ შეეძლოს, არავის არ მიუშვებს, იმგვარია“.

(12) **დიდა ბედიჭვირი**. თიშ არდგირს ვორდე, შურო ვემკვოჯინექ (ექსპედიციის მასალები) **„დედა ბედდამწვარი**. იმის ადგილას [რომ] ვიყო, საერთოდ არ მივაქცევ ყურადღებას“.

(13) **სირჩინუე**. კარდოკარ გილურს / თე ლახალა უჩურცხელი, / ირკოც მოძენცუნი ფერი, / ქოთი ირკოჩიში ტერი (ექსპედიციის მასალები) „სიბერე. კარდაკარ დადის / ეს ავადმყოფობა მოუცილებელი, / ყველას რომ მოელის ისეთი, / კიდეც ყველასი მტერი“. /

**სვანური მაგალითებიც** ლინგვისტური ექსპედიციის მასალებში დასტურდება:

(14) **შუკუ.** გუნ ლიმარგუ ხაკუ მარა, ერე ქორთე ლგარ ათჰიას (ექსპედიციის მასალები) „**გზა**. მაგარი („ძალიან“) სიმარჯვე უნდა (/მართებს) კაცს, რომ სახლში ცოცხალმა მიაღწიოს“.

(15) **ვერსკიან**. ლახვატთე აჩად ალიარე თან ი ათხე ეშხუ-ჲორი მეზგე გარ სიდხ ბეჩუისი (ექსპედიციის მასალები) „**ვერსკიანი**. ამოწყვეტისკენ წავიდა ამათი მოდგმა და ახლა ერთი-ორი ოჯახიღა არიან დარჩენილი ბეჩოშიც“.

(16) **თხერე**. თხეროლდ ეჯ ლინთუ ჩი ჟოხხუიტხ ღოლაქ შუბინისგა (ექსპედიციის მასალები) „**მგელი**. მგლებმა იმ ზამთარს ყველას გაუწყვიტეს ცხვარი სვანეთში“.

ვფიქრობთ, *ინიციალური გამონათქვამის* ნიმუშად გამოდგება სვანური ხალხური ზღაპრის დასაწყისი სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მიხედვით. ეს არის ერთადერთი, არსებითად განსხვავებული სახე, როცა ზღაპრის დასაწყისში დალოცვის გამომხატველ ფრაზას მოსდევს უშემასმენლო ფრაზა, უფრო სწორად, ოდენ ზღაპრის მთავარი პერსონაჟის სახელი, რომელიც გადმოცემულია ანთროპონიმით, შესიტყვებით ან რთული სახელით:

(17) ლგმზგრეუ ხიშდ ი **დაუით** (სვ. პროზ. ტ. I 1939:270) „დალოცვილიმც ხართ და **დავითი**“.

(18) ლგმზგრეუ ხიშდ ი **სიმონ** (სვ. პროზ. ტ. I 1939:295)„დალოცვილიმც ხართ და **სიმონი**.“

(19) ლგმზგრეუ ხი ი **ჩხარა ლახუბა** (სვ. პროზ. ტ. I 1939:337; 241; 309; 347) „დალოცვილიმც ხარ და **ცხრა ძმა**“.

(20) ლგმზგრეუ ხი ი **ხეხუ-ჭაშ** (სვ. პროზ. ტ. I 1939:262; 349) „დალოცვილიმც ხარ და **ცოლ-ქმარი**“.

სვანური ზღაპრის მონაცემები გარკვეულწილად განსხვავებულია ზემოაღნიშნული მაგალითებისგან და ამავე დროს ემსგავსება მათ; მსგავსებას განაპირობებს ის, რომ „ამხსნელი წინადადება“ არსებითად არცაა წინადადება. იგი წინადადების ეკვივალენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ მასში არ მოიპოვება ზმნა და სიტყვათა მთელი ეს ნაერთი პრედიკაციას მოკლებულია. აქ პირველ რიგში დასახელებულია საგნის სახელი, არსებითი სახელია წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმით“ (გიგინეიშვილი 1975:324).

ჩვენი მხრით დავძენთ, რომ დასახელებული ენობრივი მოვლენა სვანურის აღნიშნულ დიალექტში საკმაოდ ხშირია; კვლევამ დაადასტურა, რომ იგი არც იდეოლექტია, რადგან ამ ტიპის დასაწყისი დასტურდება ბალსზემოურის სხვადასხვა კილოკავში და ეკუთვნის სხვადასხვა ასაკის მთქმელს. სტილისა და ჟანრის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ამ ტიპის ფრაზის ფუნქციაა უშემასმენლო სიტყვით თუ შესიტყვებით გამოყოს სათქმელი და მსმენელის ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს.

## 2. ზეპირმეტყველების ჰიპოტაქსური მოდელის ტიპოლოგია ქალაქურ მეტყველებასა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში

ქალაქის მოსახლეობა ყოველთვის მრავალრიცხოვანი და ჭრელია, რაც განაპირობებს მრავალფეროვნებას. იგი, როგორც წესი, პირველ რიგში ქალაქურ მეტყველებაში ვლინდება. ქალაქის მეტყველება ეროვნული ენის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ზოგადი ენობრივი კანონზომიერებანი, რაც ქალაქურ მეტყველებას ახასიათებს, გლობალური და უნივერსალურიც შეიძლება იყოს. ქალაქური მეტყველება ყალიბდება, ვითარდება და იცვლება დროსა და სივრცეში სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის ურთიერთობისას. ქალაქური მეტყველება, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქის მეტყველებას გულისხმობს, რადგან მრავალეროვანი და, შესაბამისად, მრავალენოვანი მოსახლეობა დედაქალაქში იყრის ხოლმე თავს.

საქართველოს დედაქალაქი და, შესაბამისად, მისი ადგილმდებარეობა პერიოდულად იცვლებოდა; კერძოდ, სხვადასხვა დროს იყო: მცხეთა (აღმოსავლეთი ნაწილი), მერე გადავიდა ქუთაისში (დასავლეთი ნაწილი), ახლა თბილისია (ისევ აღმოსავლეთი ნაწილი). თბილისი V საუკუნეში დაარსდა. მას „ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა ქართველი ერის ცხოვრებაში...; **თბილისი, რომელმაც მრავალი უცხო კულტურული ნაკადი შემოიერთა, ქართულ ყაიდაზე გარდაქმნა და გადაახალისა, მუდამ გამოირჩეოდა თავისი ზნით, ჩაცმულობით, სიმღერით, ენით, საუბრის კილოთი**“ (ჯორბენაძე 1987:198). ერთ სივრცეში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ურთიერთობაში ძირითადი პრობლემა სწორედ ეს არის: მასპინძელმა არ იგრძნოს თავი დაჩაგრულად და მოსულმა არ იგრძნოს თავი უც-

ხოდ. მათ შორის დაბალანსებული ურთიერთობის განმსაზღვრელი პირველ რიგში არის ენა, განსაკუთრებით მასპინძელი ენა: **„თბილისის მოსახლეობა მუდამ ჭრელი იყო ეროვნული შედგენილობით, მაგრამ ყოფაცხოვრების ქართული იერი და, რაც მთავარია, ქართული ენა, ყველთვის წარმართავდა მის სულისკვეთებას“** (ჯორბენაძე 1987:200). თბილისურ ქართულ მეტყველებაში ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთს ორი ენობრივი ნაკადი – აღმოსავლური და დასავლური. **„თბილისის განუმეორებელი კოლორიტი, საოცარი უნარი – შეერწყა და თავის ყაიდაზე გარდაექმნა აღმოსავლურ-დასავლური ყოფისა და კულტურის მძლავრი ნაკადები, თბილისური მეტყველება, ქცევის მანერები, მრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას და ამიტომაც მათ მკვლევარი და მჩხრეკელი არ დაჰკლებია“** (ჯორბენაძე 1987:200).

*ქალაქური მეტყველება* ინტერდისციპლინური საკითხია. მეტყველების შესწავლა ქალაქის ურბანიზაციის პირობების გათვალისწინებით განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია; ფაქტობრივად, ეს არის სოციუმის ენობრივი მონაცემების სოციოლინგვისტური ანალიზი ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან.

ქალაქური მეტყველების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამყაროს აღქმის „ადამიანისეულ ხედვას“, რომელიც აისახება ენაში, კერძოდ, მის ფონოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურებში, სემანტიკაში და სხვ. ეს არის ის ღერძი, რომელსაც ეფუძნება კომუნიკაცია ქალაქში სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის, რისი საშუალებითაც მცირდება კონფლიქტები და ადვილად მიმდინარეობს თანაცხოვრება-ადაპტაციის რთული პროცესი. აქედან გამომდინარე, მიღებული დასკვნები საინტერესო და საჭიროა **ფსიქოლინგვისტებისთვის**, **სოციოლინგვისტებისთვის**, ასევე, **ანთროპოლოგიური ლინ-**

**გვისტიკის**, **დისკურსის ანალიზის**, **ისტორიული ლინგვისტიკის** საკითხების მკვლევართათვისაც.

„თბილისის მრავალეროვნობა არასდროს უშლიდა ხელს იმას, რომ დროთა განმავლობაში ეროვნული საზღვარი წაშლილიყო და ჩამოყალიბებულიყო საკუთრივ თბილისელი მოქალაქის ტიპი, რომელშიც ორგანულად იყო შეხამებული სხვადასხვა ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი ქართული ენისა და ქართული ხასიათის პრიმატით“ (ჯორბენაძე 1987:201).

## 2.1. საანალიზო საკითხი ქალაქური მეტყველების მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, თბილისურ მეტყველებაში ერთმანეთს შეერწყა ქართულისა და სხვა ენების ორი ენობრივი ნაკადი: ამგვარი შერწყმა აისახა ორ დიდ ენობრივ შრეში – ლექსიკასა და სინტაქსში. „ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან“ (გრიშაშვილი 1927:13). რა თქმა უნდა, თბილისური მეტყველება მხოლოდ ლექსიკით არ იყო თავისებური და გამორჩეული. მას თავისებური სინტაქსიც ჰქონდა, რასაც ზეპირი საუბრისას იყენებდა ყველა – ერთ ან სხვადასხვა უბანში ერთმანეთის გვერდით მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანი.

ცნობილია, რომ ენა ეყრდნობა სინტაქსს. სინტაქსური კონსტრუქციები ყველაზე უკეთ ახერხებენ სხვადასხვა ენებს შორის ე.წ. „განსხვავებების“ წარმოჩენასაც და მოშლასაც. ამ განაცხადის დამადასტურებელ კლასიკურ ნიმუშად გამოდგება თბილისურ მეტყველებაში გაჩენილი წინადადება:

- *უგლავოში საპოჟნიკი პოლსაპოშკებს აპაჩინკებს* (გაჩეჩილაძე 1977).

მიუხედავად იმისა, რომ მასში არც ერთი სიტყვა არ არის ქართული, ქართველები ქართულად აღიქვამდნენ, იმიტომ რომ კონსტრუქციის აგების წესი იყო ქართული, გაფორმებული შესაბამისი მორფოლოგიური მარკერებით, კერძოდ,

- ლოკაციის აღმნიშვნელი **-ში** თანდებულით: *უგლავო-ში*
- სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშნით : *საპოჟნიკ-ი*
- სახელის მრავლობითი რიცხვის **-ებ** ფორმანტითა და მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნით:
  *პოლსაპოშკ-**ებ-ს***
- ქართული ზმნური აფიქსებით (ქცევის, თემის, პირის ნიშნებით): ***ა-**პაჩინკ-**ებ-ს***
  (როგორც ცნობილია, უცხოურ ძირზე დაფუძნებული ზმნური ლექსემა ენაში ე.წ. ავტონომიას მოიპოვებს გაზმნავების (ზმნად გადაქცევის) გზით).

ეს წინადადება იმის გასარკვევადაც არის საინტერესო, როგორ აღიქვამდნენ მას სხვა ეროვნების თბილისელი მოქალაქეები; ამგვარი ფრაზებით მეტყველება შლიდა თუ არა საზღვარს ქალაქის ერთი უბნის სხვადასხვა ეროვნების მაცხოვრებლებს შორის? კითხვას დადებითი პასუხი შეიძლება გაეცეს, რადგან დამოწმებულ მაგალითში ლექსემათა ძირები რუსულია, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შინაარსობრივად ეს კონსტრუქცია მეტ-ნაკლებად გასაგები იქნებოდა რუსი ეროვნების და, საერთოდ, რუსულენოვანი ადამიანებისთვის.

რაც შეეხება ***ზეპირმეტყველების მოდელებს***, ცნობილია, რომ ისინი ყველა ენაში დასტურდება, თუმცა მსგავსება-განსხვავებები და თავისებური სპეციფიკა შეიძლება გამოიკვეთოს როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე, თუმცა ერთ გეოგრაფიულ არეალში მოქცეულ ენებში. სწორედ არეალური ლინგვისტიკის პერსპექტივიდან არის მნიშვნელოვანი ქალაქური (თბილისური) მეტყველებისა და არასალიტერატურო ქარ-

თველური ენებისთვის (მეგრული, ლაზური და სვანური, რომლებიც ფაქტობრივად ზეპირმეტყველების ენებია), ქართული სპონტანური (ზეპირ) მეტყველებისთვის ქართული ენის დიალექტებისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციების ანალიზი. აღნიშნული კონსტრუქციები ყურადღებას იქცევს **უარყოფითი ან დადებითი ფორმით გადმოცემული ჩანართებით,** რომელთა პრაგმატული საჭიროება კარგად ჩანს მთლიანად კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის შედეგად.

ქალაქური მეტყველების ნიმუში:

(1) ეს ჩვენი საწყალი *გ ო გ ი ა* ***არ არის****? ი მ ა ს* თურმე ქალი დაუნიშნავს[1].

ამგვარი აგებულების წინადადებაში თავისებურებას შემადგენელ კომპონენტთა განლაგება ქმნის და უნივერსალური ენობრივი თვალსაზრისით იგი განიხილება, როგორც გაყოფილი, გახლეჩილი (Cleft) კონსტრუქცია (მეგრულში ამ ტიპის წინადადებების აგებულებაზე, როგორც უნივერსალურ მოვლენაზე იხ. Harris 1991:385; პარალელები მეგრულ და სხვა ქართველურ ენათა მასალასთან იხ. ქვემოთ).

მოცემული წინადადება პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ და ცალ-ცალკე გავაანალიზოთ:

- *I ნაწილი*: ეს ჩვენი საწყალი *გ ო გ ი ა* ***არ არის****?*

აქედან:

„*გ ო გ ი ა*“ მოქმედია, სუბიექტია, მთავარი წინადადების წევრია, თუმცა ბრუნვაში იმართვის არა თავისივე ზმნა-შემასმენლისგან („*დაუნიშნავს*“), არამედ დამოკიდებული წინადადე-

[1] **წყარო:** ქართული კინოფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მაგალითი აღებულია თბილისელი ვაჭართა უსტაბაშის მეტყველებიდან. ფილმი გადაღებულია 1965 წელს ავქსენტი ცაგარლის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. სცენარის ავტორები: ნოდარ წულეისკირი (მწერალი) და მიხეილ ჭიაურელი (რეჟისორი). ფილმის რეჟისორი: მიხეილ ჭიაურელი.

ბის ზმნა-შემასმენლისგან, რომელიც ყოველთვის „ყოფნა“ ზმნის აწმყოს მე-3 პირის ფორმითაა გადმოცემული (*„არის“*). შესაბამისად, *„გ ო გ ი ა“* სახელობითში დგას. ზმნის წინ გაჩენილ უარყოფით ნაწილაკს ჩაკითხვის შინაარსი და ინტონაცია შემოაქვს. ამის მიხედვით უფრო სწორი და ზუსტია, ეს მონაკვეთი ამგვარად ჩავწეროთ: *„გოგია არ არის?“*

რაც მთავარია, ჩაკითხვა ფრაზას აძლევს **საპირისპირო – დადასტურების** მნიშვნელობას (=„გოგია ხომ არის“/ „გოგია რომ არის“). ამგვარი შინაარსი ხელს უწყობს „გოგიას“ აქტუალიზებას. „არ არის?“ **ჩაკითხვის ინტონაციისა** და **Neg V სტრუქტურის მორფოლოგიური ინვენტარია**, რომელიც ხლეჩს/ყოფს კონსტრუქციას და გამოყოფს ინფორმაციულად მნიშვნელოვან წევრს. ასეთი წევრი, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის **სახელობით ბრუნვაში** დგას, რაც ასევე ერთ-ერთი ნიშანია აქტუალიზებისა; მიუხედავად იმისა, რომ მააქტუალიზებელი საშუალება სტრუქტურულად მორფოლოგიური წარმონაქმნია, სწორედ მყარი ფორმობრივი მონაცემის და სინტაქსური ფუნქციის არქონის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში მას განიხილავენ ერთ მთლიან ერთეულად (მაშინაც კი, როცა ორი ან მეტი სეგმენტია) და სახელდებულია: **ნაწილაკად** (კვანტალიანი 1990:99-100), **პროსოდიულ ნაწილად** (Samushia 2018:202).

• *II ნაწილი* : *ი მ ა ს თურმე ქალი დ ა უ ნ ი შ ნ ა ვ ს*

*„ი მ ა ს“* მთავარ წინადადებაში გაჩენილია „გ ო გ ი ა“-ს მონაცვლედ: *„გ ო გ ი ა“ / NOM = „ი მ ა ს“ / DAT*, ამიტომაც *„იმას“* მართულია მთავარი წინადადების შემასმენლისაგან (*„დაუნიშნავს“*). ის, რაც ყოფს წინადადებას (*„არ არის“*), რომ ამოვიღოთ კონსტრუქციიდან, მივიღებთ გრამატიკულად გამართულ მარტივ გავრცობილ წინადადებას, ოღონდ აქტუალიზებისა და სპეციფიკური ინტონაციის გარეშე.

ამგვარი ცვლილების შედეგად მიღწეული ფუნქციური ელე-

მენტების ტრანსფორმაცია კარგად ჩანს საანალიზო კონსტრუქციის ძირითადი და ალტერნატიული ვარიანტების შედარებისას:

***ძირითადი***:

- ეს ჩვენი საწყალი *გ ო გ ი ა (N / S. NOM) [ა რ (NEG) ა რ ი ს (be.PRS.S3.SG)]. PTCL*
- *ი მ ა ს (PersPrn3. DAT)* თურმე ქალი *დ ა უ ნ ი შ ნ ა ვ ს (V. EvidPrft I. S3. SG)*
  *ა. გ ო გ ი ა (N / S. NOM) = ი მ ა ს (PersPrn3 / S. DAT)*
  *ბ. [ა რ (NEG) ა რ ი ს (be.PRS.S3.SG)]. PTCL*
  *გ. დ ა უ ნ ი შ ნ ა ვ ს (V. EvidPrft I.S3.SG)*

***ალტერნატიული***:

- „ამ ჩვენს საწყალ *გ ო გ ი ა ს ( N / S. DAT)* ქალი *დ ა უ ნ ი შ ნ ა ვ ს (V. EvidPrft I. S3. SG)“.*

ქალაქური მეტყველებისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციის მსგავსი მოდელი დასტურდება არასალიტერატურო ქართველურ ენებში. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ მიუთითებს ზეპირმეტყველების მოდელების სტრუქტურისა და შემადგენელ ელემენტთა ფუნქციის ერთგვაროვნებაზე. ამგვარ საკითხებზე ყურადღება გაამახვილა ლ. კვანტალიანმა ქართული ზეპირი მეტყველების საკითხებზე მსჯელობისას და გამოყო აქტუალიზაციის რამდენიმე შემთხვევა ქართულში; კერძოდ, *„არის“* ზმნა განიხილა, როგორც აქტუალიზაციის ლექსიკური საშუალება ქართულში. პარალელები მოიხმო სხვა ქართველური ენების მონაცემების მიხედვითაც (დაწვრ. იხ. კვანტალიანი 1990:98-105).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანია მეგრულის მონაცემები, თუმცა, პირველ რიგში, მეტი თვალსაჩინოებისთვის, მხოლოდ ზემოაღნიშნული მოდელის პარალელურ ვარიანტებს განვიხილავთ.

## 2.2. პარალელური ჰიპოტაქსური მოდელები მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით

**მ ე გ რ უ ლ შ ი** სპეციფიკური სტილური ფუნქციის ჩანართი მოცემულია არა მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკითა და „ყოფნა“ ზმნის მე-3 პირის ფორმით, არამედ კითხვითობის გამომხატველი მორფოლოგიური მარკერითაც, რომელიც ჩაკითხვის ინტონაციის განმსაზღვრელიცაა. მეგრულში „ყოფნა“ ზმნა დასტურდება როგორც აწმყოს (რენ „არის“), ასევე უწყვეტლის (რდუ „იყო“) ფორმით.

*მეგრულის მაგალითები* წარმოდგენილია ძირითადი და ალტერნატიული ვარიანტების შედარებით (ზევით წარმოდგენილი შედარებითი მოდელების მსგავსად).

(2) ჩქინი ოთარიშ *ძ ღ ა ბ ი ვ ა რ ე ნ ო? თ ე ს გ ი ნ უ ტ ე ბ უ* ჩქიმი დეიდასკუა (ექსპედიციის მასალები).
„ჩვენი ოთარის გოგო არ არის, ამას გადაურჩენია ჩემი დეიდაშვილი“.

***ძირითადი**:*

- ჩქინი ოთარიშ *ძ ღ ა ბ ი (N / S. NOM) [ვ ა (NEG) - რ ე ნ (be.PRS.S3.SG)-ო (QPTCL]. PTCL*
- *თ ე ს (PersPrn3 / S. DAT) გ ი ნ უ ტ ე ბ უ (V. EvidPrft I. S3. SG)* ჩქიმი დეიდასკუა.
  *ა. ძ ღ ა ბ ი „გოგო“ (N / S. NOM) = თ ე ს „იმას“ (PersPrn3 /S. DAT)*
  *ბ. [ვ ა- „არ“ (NEG) - რ ე ნ „არის“ (be.PRS.S3.SG)-ო. QPTCL]. PTCL*
  *გ. გ ი ნ უ ტ ე ბ უ „გადაურჩენია“ (V. EvidPrft I.S3.SG)*

***ალტერნატიული**:*

- ჩქინი ოთარიშ *ძ ღ ა ბ ი ს (N / S. DAT) გ ი ნ უ ტ ე ბ უ (V. EvidPrft I. S3. SG)* ჩქიმი დეიდასკუა.

„ჩვენი ოთარის *გოგოს გადაურჩენია* ჩემი დეიდაშვილი“.

მეგრულის მონაცემების მრავალფეროვნებაზე როცა არის საუბარი, მხედველობაში გვაქვს წინადადებაში ორივე (***უარყოფითი*** და ***დადებითი***) ფორმით წარმოდგენილი ჩანართი. ასეთი შემთხვევა შეიძლება შეფასდეს, როგორც სუბიექტის/ობიექტის ფოკუსირება ***ორმაგი აქტუალიზაციით*** (ლომია 2010:393). აღსანიშნავია, რომ დადებითი ფორმით მოცემულ ჩანართში კითხვითობის მარკერის ადგილს ქართული „რომ“ კავშირის ფარდი კლიტიკა **-ნი** იკავებს.

(3) ათე მონადირე *კოჩი ვარენო რენი, თექ* იფიქრუ (დან., ცან. 242,48)

„ეს მონადირე *კაცი არ არის რომ არის* [1]*, მან* იფიქრა“.

**ძირითადი**:

- ათე მონადირე *კოჩი (N / S. NOM) ვა-(NEG)-რენ „არის“ (be.PRS.S3.SG) -ო.QPTCL). PTCL*
  *რე „არის“ (be.PRS.S3.SG) -ნი „რომ“. SUB(that)]. PTCL ,*
- *თექ (PersPrn3 / S. ERG) იფიქრუ (V. AOR.S3.SG)*
  *ა. კოჩი „კაცი“ (N / S. NOM) = თექ „მან“ (PersPrn3 / S. ERG)*
  *ბ. (ვა- „არ“ (NEG) – რენ „არის“ (be. PRS. S3. SG)-ო. QPTCL) რე „არის“ (be. PRS. S3. SG) -ნი „რომ“. SUB (that)]. PTCL*
  *გ. იფიქრუ „იფიქრა“ (V. AOR.S3.SG)*

***ალტერნატიული***:

- ათე მონადირე *კოჩქ (N / S. ERG) იფიქრუ (V. AOR. S3. SG)*
  ამ მონადირე *კაც მაი ფიქრა*.

[1] ქართულ ჩანართთან *(არ არის რომ არის)* მძიმე არ დავსვით, რადგან მეგრული *ვარენო რენი* პაუზის გარეშე წარმოითქმის.

(4) ...თეშ დ ა-ყ ო ნ ე რ ი ვ ა რ დ უ ო რ დ გ ნ, თ ი ნ ა ქ ი მ ე ჩ გ
მაზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის (დან. ცან. 200, 27)
„...ამის *ნახევარდა არ იყო რომ იყო, ის მიათხოვა* მზაკვარმა ქალმა ქმარს, იმ ბიჭს“.

**ძირითადი:**

- ...თეშ დ ა-ყ ო ნ ე რ ი (N / $O^{dir}$ . NOM) ვა-(NEG)-რდუ „იყო“ (be.IMPF. S3. SG) -ო.QPTCL]
  რდგ „იყო“ (be.IMPF.S3.SG) -ნ „რომ“. SUB(that)]. PTCL ,
- თ ი ნ ა (PersPrn3 / $O^{dir}$ . NOM) ქ ი მ ე ჩ გ (V. AOR.S3.SG)
  მაზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის.
  ა. დ ა-ყ ო ნ ე რ ი (N / $O^{dir}$ . NOM) = თ ი ნ ა (PersPrn3 / $O^{dir}$ . NOM)
  ბ. ვა-(NEG)-რდუ „იყო“ (be.IMPF.S3.SG)-ო. QPTCL)
  რდგ „იყო“ (be.IMPF.S3.SG) -ნ „რომ“. SUB(that)]. PTCL
  გ. ქ ი მ ე ჩ გ (V. AOR.S3.SG)

***ალტერნატიული**:*

- ...თეშ დ ა-ყ ო ნ ე რ ი (N / $O^{dir}$ . NOM) ქ ი მ ე ჩ გ (V. AOR.S3.SG) მაზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის (დან. ცან. 200, 27)
  „...ამის *ნახევარდა მიათხოვა* მზაკვარმა ქალმა ქმარს, იმ ბიჭს“.

***ვარენო*** „არ არის?“ / ***ვარდუო*** „არ იყო?“ ფორმათა დამოკიდებულ წინადადებაში ჩართვის თვისება თავის დროზე შენიშნა ი. ყიფშიძემ და მათ „წინადადებაში ჩართული წინადადებები“ უწოდა (Кипшидзе 1914:0144-0145, 301). აღნიშნული ფორმების ფუნქცია – წინადადების წევრთა (ქვემდებარე, დამატება-ობიექტები, გარემოებები...) აქტუალიზება განხილულია აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში (ლომია 2005; ლომია 2010; Samuschia 2018). გარდა ზემოთ განხილული მაგალითებისა, არ-

სებობს ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ჯგუფები, სადაც ინფორმაციულად დაწინაურებული წევრის გამოსაყოფად გამოყენებულია:

***I.*** ***ვარენო*** *„არ არის?“/* ***ვარდუო*** *„არ იყო?“ ფორმები მხოლოდ სხვა „დამატებითი“ საშუალებების (შდრ.: მაგალითები: (2), (3), (4)) გარეშე*[1].

***II***. რიტორიკული შინაარსის წინადადებებშიც ჩაერთვიან ფორმები უარყოფითი ნაწილაკითა *(****ვარენო*** *„არ არის?“ / **ვარდუო** „არ იყო?“)* და უარყოფითი ნაწილაკის გარეშე *(****რენი*** *„არის რომ“ / **რდუო** „იყო რომ“),* რითიც განსაზღვრულია კონსტრუქციის კომპონენტთა აზრობრივი მიმართება: კერძოდ, უარყოფითი ფორმით გადმოიცემა დადებითი აზრი და პირიქით, დადებითი ფორმით – უარყოფითი აზრი.

***პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი*** ძირითადი და ალტერნატიული ვარიანტების შედარებით წარმოდგენილია

**ლ ა ზ უ რ ი მასალების მიხედვით:**

(5) *კ უ ლ ა ნ ი ს-ნ ა ე ნ*, ჩქინისთეი თოლი უღუტტეენ (ლაზ. ტექსტ. 154, 97) „გოგო რომ არის, ჩვენისთანა თვალი ჰქონია“ (დამოწმებულია კვანტალიანის ნაშრომიდან, 1990:103)

**ძირითადი**:

- *კ უ ლ ა ნ ი ს* (N / S. DAT) – *ნ ა* (SUB(that) – *ე ნ* (V. PRS. S3. SG),

---

[1] *თვალსაჩინოებისთვის, დავიმოწმებეთ ცალკეულ ნიმუშებს ნაშრომიდან (ლომია 2010: 392-393):*

*ა. ხენწიფექ (N / S. ERG)* ***ვარენო*** *ვარია ქუწუასგ-ნი (V. CONJ I. S3. SG - SUB (that)) თელი ქალაქის მოსპენს გვერშაპი (დან., ცან. 242, 28) „ხელმწიფემ (+არ არის?) უარი რომ უთხრას, მთელ ქალაქს მოსპობს გველეშაპი“.*

*ბ. სი მუთ (N / O [idir]. NOM)* ***ვარდუო*** *ქომიწი-ნი (V. AOR. S3. SG - SUB (that)), ირფელი მართალი ცოფე (ხუბ. 18:5) „შენ რაც (+არ იყო?) რომ მითხარი, ყველაფერი მართალი ყოფილა“.*

- ჩქინისთეი თოლი უ ღ უ ტ ე ე ნ *(V. EvidPrft I. S3. SG)* (ლაზ. ტექსტ.154, 97).
  „გოგოს რომ არის, ჩვენისთანა თვალი ჰქონია“.
  ა. კ უ ლ ა ნ ი ს (N /S. DAT**)**
  ბ. -ნ ა *(SUB(that)-*ე ნ *(V. PRS. S3. SG)*
  გ. უ ღ უ ტ ე ე ნ *(V. EvidPrft I. S3. SG)*

**ალტერნატიული**:

- კ უ ლ ა ნ ი ს (N / S. DAT**)** ჩქინისთეი თოლი უ ღ უ ტ ე ე ნ *(V. EvidPrft I. S3. SG)*
  „გოგოს ჩვენისთანა თვალი ჰქონია“.

## 2.3. პარალელური ჰიპოტაქსური მოდელები სვანური მასალების მიხედვით

ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტების მონაცემები მსგავსია მეგრულში დადასტურებული მოდელისა (იხ. მაგალითი (2)). ეს, ერთი მხრივ, იძლევა თავად სვანური ენის მონაცემების ერთმანეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, მეგრულთან შედარების შესაძლებლობას.

(6) გუშგუ̄ეჲ ოთარი დრ̄ნა მ̄ჳდჲა ლი, ეჩას ოხმ̄ჴს-დუნაქა მიშგუ გიგჳ̄გეზ̄ლ (ბზ.) (ექსპ. მასალები).
„ჩვენი ოთარის გოგო არ (/ხომ) არის (?), იმას გადაურჩენია ჩემი დეიდაშვილი“.

**ძირითადი:**

- გუშგუ̄ეჲ ოთარი დრ̄ნა *(N/S.NOM) (*მ̄ჳდ*(NEG)-*ჲა*(QPTCL)* ლი*(V.be.PRS. S3. SG)).PTCL*
- ეჩას *(PersPrn3/S.DAT)* ოხმ̄ჴსდუნა *(V.EvidPrft I.S3. SG)* ქა მიშგუ გიგჳ̄გეზ̄ლ (ბზ.)
  ა. დ რ̄ ნ ა „გოგო“ *(N / S. NOM) =* ე ჩ ა ს „იმას“ *(PersPrn3/S.DAT)*

ბ. *(მან(NEG)-და(QPTCL) ლი(V.be.PRS. S3. SG)). PTCL*

გ. *ოხმარსდუნაქა (V.EvidPrft I. S3. SG)*

**ალტერნატიული**:

- გუშგუნდ ოთარი დ ი ნ ა ს *(N / S. DAT)* ო ხ მ ა რ ს დ უ ნ ა ქა *(V. EvidPrft I. S3. SG)* მიშგუ გიგაზგეზალ

„ჩვენი ოთარის გ ო გ ო ს გ ა დ ა უ რ ჩ ე ნ ი ა ჩემი დეიდაშვილი“.

(7) გუშიშგე ოთარიშ დ ი ნ ა ლ ი, ე ჯ ი ს ო ხ მ ე ს დ უ ნ ა ქა მიშგუა გიგაშგეზალ (ბქ.) (ექსპედიციის მასალები).

„ჩვენი ოთარის გოგო [რომ] არის, იმას გადურჩენია ჩემი დეიდაშვილი“.

**ძირითადი:**

- გუშიშგე ოთარიშ *დინა(N/S. NOM) ლი(V.be.PRS. S3. SG)*,
- *ე ჯ ი ს (PersPrn3.DAT) ო ხ მ ე ს დ უ ნ ა ქა (V. EvidPrft I. S3. SG)* მიშგუა გიგაშგეზალ (ბქ.)

ა. დ ი ნ ა *„გოგო“ (N / S. NOM) = ე ჯ ი ს „იმას“ (PersPrn3/S. DAT)*

ბ. *[ლი(V.be.PRS. S3. SG)]. PTCL*

გ. *ოხმესდუნაქა (V.EvidPrft I. S3. SG)*

**ალტერნატიული**:

- გუშიშგე ოთარიშ *დინას (N/S. DAT) ო ხ მ ე ს დ უ ნ ა ქა (V.EvidPrft I. S3. SG)* მიშგუა გიგაშგეზალ.

„ჩვენი ოთარის გოგოს გადურჩენია ჩემი დეიდაშვილი“.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ინფორმაციულად მნიშვნელოვანი წევრის გამოყოფა-აქტუალიზაციაში სხვადასხვა ენობრივი საშუალებაა ჩართული, მათგან ერთ-ერთი ძირითადია „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი და წარსული დროის ფორმები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „არის“ ზმნის გამოყენება დადასტურებით-გაძლიერებითი მნიშვნელო-

ბით განსაზღვრულია მისი სემანტიკით (ფოჩხუა 1974:134). „არის“ ზმნა ზეპირმა მეტყველებამაც ამ მიზნით თავისუფლად გამოიყენა; აქედან შემოვიდა მწერლობაშიც“ (კვანტალიანი 1990:100).

### 2.4. სხვა პარალელური ნიმუშები და დასკვნები

სხვა პარალელური მონაცემები განამტკიცებს ზემოაღნიშნულ მსჯელობას; კერძოდ, ესენია:

- *ქართული ზ ე პ ი რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ნიმუშები:*

(8) *მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი* ***რომაა***, ხომ უნდა იცოდეს თავისი საქმე?

(9) *ც უ დ დ რ ო ს* ***არის***, აქ ***რომ*** არ მყავს.
(დამოწმებულია მ. ლომიას ნაშრომიდან, 2010:390)

იშვიათად, მაგრამ მაინც I პირის ფორმაც არის ამ ფუნქციით:

(10) ფიროსმანს ყველაფერი გულუხვადა აქვს: *პ უ რ ი* ***ვარო***, *ღ ვ ი ნ ო* ***ვარო*** ! (ლ. ასათიანი, 127)(იქვე, გვ. 390).

- *ქართული ენის დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ი ს ნიმუშები :*

(11) ეს დიდი *ქ ვ ე ბ ი* ***რო არი***, იქითგან ჩამოტანილია (ლეჩხ., 489,28) (იქვე, გვ. 390).
ამავე ფუნქციით „იყო“ ინგილოურში დაადასტურა გრ. იმნაიშვილმა:

(12) ერთი***ც იყო*** აჲტან (იმნაიშვილი 1966:131) .

- *ქართველ მ წ ე რ ა ლ თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მასალები :*

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებულ „არის“ ზმნას აძლიერებს **ც** ნაწილაკი (კვანტალიანი 1990:100).

(13) *თ ქ ვ ე ნ ც* ***არის*** გებრალებოდეთ! (ვასილ ბარნოვი, „იესე“, 587).

(14) *ე რ თ ხ ე ლ ა* ***ც არის*** ქეთინოს ნაზი გულიც დაიქუხებდა (შატბ., 311).

(დამოწმებულია კვანტალიანის ნაშრომიდან, 1990:98-99)

*შ ე ჯ ა მ ე ბ ა*

ქალაქური მეტყველებისა და არასალიტერატურო ქართველური ენების, ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშების, ქართული ენის დიალექტების მონაცემების ანალიზმა გამოკვეთა საერთო ინფორმაციული სტრუქტურის ზეპირმეტყველების მოდელები, სადაც დიფერენცირებულია მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია; კერძოდ, განხილულ ემპირიულ მასალებში მნიშვნელოვანი ინფორმაცია მარკირებულია

**1. *ფონეტიკა-ფონოლოგიის* დონეზე:**

- ინტონაციით (ჩაკითხვით).

**2. *მორფოლოგია-სინტაქსის* დონეზე:**

- „ყოფნა“ ზმნის III პირის ახლანდელი / წარსული დროის ფორმით.
- უარყოფის ნაწილაკით, რომელიც პროკლიტიკაა მეგრულსა და სვანურში.
- კითხვითობის ნაწილაკით (ენკლიტიკით)
- მაქვემდებარებელი კავშირით, რომელიც ენკლიტიკაა მეგრულში.

**3. *ლექსიკა-სემანტიკის* დონეზე:**

- -ც ნაწილაკით (ქართულში).

აღსანიშნავია, რომ აქტუალიზებული წევრის ფორმალიზება სხვადასხვა სტრატეგიული დაგეგმვით ხორციელდება; კერძოდ, შესაძლებელია გამოყენებული იყოს:

- ყველა ზემოჩამოთვლილი საშუალების კომბინაცია, ან კომბინაციათა გაორმაგება (ეს უკანასკნელი მეგრულისთვისაა დამახასიათებელი).
- არასრული / ნაკლული კომბინაცია, თუმცა ერთზე მეტი მონაცემით.

ენობრივი სტრატეგიის ნაწილია აგრეთვე ამ საშუალებათა გამოყენება თავისებური, კერძოდ, გახლეჩილი/გაყოფილი სინტაქსური კონსტრუქციის ასაგებად.

## 3. სინტაქსური საზღვრის გადაწევა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში სინტაქსური საზღვრის დარღვევის (გადაწევის) საკითხი ფართო მოცულობის თემაა. მონოგრაფიაში ამ თვალსაზრისით განხილულია მოკლე მთავარი წინადადების ჩართვა დამოკიდებულში; პოლისემანტური „რომ“ კავშირის ფარდი კავშირების ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში უდამწერლობო ქართველური ენების მასალაზე.

### 3.1. ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადება ინტერპოზიციაში

რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა თავისებური განლაგება მთავარი წინადადების **ინტერპოზიციითაც** გამოიხატება; ინტერპოზიციაში მოცემული მთავარი ძირითადად ერთი, მაქსიმუმ, ორწევრიანია.

ერთწევრიანი მთავარი სუბიექტის გუნება-განწყობისა და გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნა-შემასმენლებით გადმოიცემა. მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების გავრცობა, განსაკუთრებით ზეპირმეტყველების ჰიპოტაქსურ მოდელებში, ყოველთვის ერთნაირად დაბალანსებული არ არის; ასიმეტრიის პირობებში დამოკიდებული წინადადება გრძელი და გავრცობილია, ხოლო მთავარი წინადადება – შედარებით მოკლე და გაუვრცობელი; შესაბამისად, დამოკიდებული მეტი ინფორმაციის შემცველია და კომუნიკაციისას გადამწყვეტ როლსაც ის ასრულებს, ამიტომაც მოსაუბრე თხრობას დამოკიდებულით იწყებს, მოკლე მთავარს კი საჭიროებისამებრ ჩაურთავს. კომუნიკაციური თვალსაზრისით, „რთული ქვეწყობილი წინადადების

სტრუქტურული აგებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ნაწილების განლაგება“ (გაბუნია 2000:60).

კანონიკური სინტაქსის მიხედვით განსაზღვრული მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების პოზიციების შეცვლა ჰიპოტაქსურ წინადადებას წარმოაჩენს მოქნილი და არამოქნილი სტრუქტურის მოცემულობად[1], რომელსაც „ახასიათებს კომუნიკაციური მთლიანობა“ (გაბუნია 2000:64).

მაგალითები:

**ქართული**

(1) ამ გოგო-ბიჭებს **ვხედავ** სულ არ ენაღვლებათ ეს ამბავი (ექსპედიციის მასალები)[2].

(2) ჩემს უმცროს შვილს **ვამჩნევ** განსაკუთრებით უხარია სოფელში წასვლა (ექსპედიციის მასალები).

**მეგრული**

(3) კოჩი **მოკო** იფქირუევე (დან., ცან. II, 154,26-27) „კაცი მინდა დავიქირავო“.

(4) სქან დიარას **ქობძირუნქ** დაბა მუნერს აკეთენქი (ექსპედიციის მასალები) „შენს ქორწილს ვნახავ აბა როგორს გააკეთებ“.

**ლაზური**

(5) ბეე **ვოჩქვამინონ** ქვალიშა (ექსპედიციის მასალები) „ბავშვი გავაგზავნო მინდა პურზე“.

**სვანური**

(6) ალას **ქა ლოსგდიდ** ლითური მჳმა ხაკუ (ბზ.) (ექსპედიციის მასალები) „ამას ქე ვხედავთ სწავლა არ უნდა“.

---

[1] ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Адмони 1974; Гостюк 1977; Хованская 1980.

[2] მთავარი კომპონენტი გამუქებულია; ის, სხვა კომპონენტებთან ერთად, ერთიანი ინტონაციით წარმოითქმის, ამიტომ სასვენი ნიშნით არ არის გამოყოფილი.

(7) ალ დინას **ხეწდენი** მაზუ მგჰრიოღ ხორდეს (ბქ.) (ექსპედიციის მასალები) „ამ გოგოს ნახავ რამდენი მთხოვნელი ეყოლება („ეყოლოს“)“.

ინტერპოზიციაში ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადება გვხვდება ქართული მწერლობის ნიმუშებში; ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითა გ. კარტოზიამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (კარტოზია 1975:23-24):

(8) ექვსნი რამე ცხენოსანნი, **ნახა**, მისკე მოვიდოდეს.

(9) უცხო ფერთა საჭურჭლეთა, **დავშვრები**, თუ მოვსთვალვიდე.

(კარტოზია 1975-ის მიხედვით).

ლ. კვანტალიანმა მსგავსი ფაქტი სხვა მხატვრულ ტექსტებშიც დაადასტურა, რომლის მიზეზად ზეპირი მეტყველება დაასახელა (დაწვრილებით იხ. კვანტალიანი 1991:60-70):

(10) ავი და კარგი გარჩევით, **ვხედავ**, რომ ახლოს მიწყვია (დ. გურ., 21).

(11) შენს თოვლდაბამბულ ხეებშიც, **მესმის**, მაისი შრიალებს (გ. ლეონ., 21).

(კვანტალიანი 1990-ის მიხედვით).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, ინტერპოზიციაში ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადებით, კავშირიანიც შეიძლება იყოს და უკავშიროც. კომპონენტებს შორის კავშირიანი შეერთება უფრო მკვეთრად გამოხატავს დაქვემდებარებას, უკავშირო კი – შედარებით სუსტად; ამ უკანასკნელი მოცემულობიდან გამომდინარე ისმის კითხვა: უკავშირო შეერთების დროს მთავარ კომპონენტად მიჩნეული ზმნა-შემასმენელი ჩართული ხომ არ არის? როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ჩართულად სახელდებული ზმნა ან ზმნის შემცველი ყოველგვარი შესიტყვება ამოსავლად ვარაუდობს ჰიპოტაქსს, რომლის მთავარი ნაწილი მყარ სიტყვათშეხამებად ქცეულა

დროთა განმავლობაში ხშირი, ავტომატური ხმარების გამო (ცქიტიშვილი 1988:245, 258).

ლ. კვანტალიანი განასახვავებს ინტერპოზიციაში მოცემულ ერთკომპონენტიან მთავრს ჩართულისაგან და აღნიშნავს, რომ მთავარი კომპონენტის გავრცობა შეიძლება, ჩართულისა კი – არა (კვანტალიანი 1991:67-69), თუმცა იზიარებს იმ აზრს, რომ „ყველა ამ ტიპის კონსტრუქციაში ინტერპოზიაციაში მოცემული მთავარი ჩართულად ქცევის გზას ადგას“ (იქვე:68).

ინტერპოზიციაში მოცემული ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადება ადვილად არღვევს მიჯნას მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის; ამის შედეგია ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბება მოქნილ ერთეულად და მისი გაფორმება ერთი საერთო ინტონაციით.

## 3.2. მეგრული -ნი „რომ“კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ძირითადი და ფაკულტატიური მნიშვნელობები

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მეგრული **-ნი** „რომ“კავშირის ფუნქციური დანიშნულება ორი რამის გამო იქცევს ყურადღებას: ერთი, მეგრული ზეპირმეტყველების ენაა, მეორე, **-ნი** კავშირი კლიტიკაა. ცნობილია, რომ კლიტიკა უფრო მეტად მოქნილია ინფორმაციული (გრამატიკულ-პრაგმატიკული) თვალსაზრისით; შესაბამისად, ზეპირმეტყველებაში, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ხშირად გამოიყენება ფაკულტატიური მნიშვნელობითაც. მეგრულშიც **-ნი** კავშირ-ენკლიტიკაც ადვილად ახერხებს ძირითადი სინტაქსური ფუნქციისა და ფაკულტატიური დანიშნულების შეთავსებას. **-ნი**-ს პოლიფუნქციურობას განსაზღვრავს ისიც, რომ იგი ზოგადი მნიშვნელობისაა. **-ნი** კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია გამოირჩევა მთავარი და

დამოკიდებული კომპონენტების თავისებური განლაგებითაც; კერძოდ, კავშირ-კლიტიკის მქონე კონსტრუქციისთვის დამახასიათებელია **სინტაქსური საზღვრის გადაწევა**. ასეთი შემთხვევის დროს ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებაში ძირითადად აღწერილია დამოკიდებული წინადადების მდებარეობა მარცხენა პერიფერიაში. მეგრული ამ თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს: მეგრულში მნიშვნელობა არა აქვს დამოკიდებული წინადადების ადგილს (პოზიციას). მთავარს უსწრებს იგი თუ მოსდევს, ტრადიციული სინტაქსური საზღვარი ორივე შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს.

- ***-ნი კავშირის დახასიათება: პოზიცია, სტრუქტურა, გენეზისი***

მეგრულში დადასტურებულ **-ნი**-ს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კავშირ-ნაწილაკს უწოდებენ. იგი „რომ“-ის მნიშვნელობისაა. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში -ნი ენკლიტიკურად დაერთვის წინამავალ სიტყვას, რომელიც ძირითადად ზმნა-შემასმენელია; პრაგმატული დანიშნულებით შესაძლებელია იყოს სხვა წევრიც. ბეჭდურად გამოცემულ მეგრულ ტექსტებში განსხვავებულია -ნი კავშირის დაწერილობა: ხან ცალკეა, ხან დეფისით არის გამოყოფილი, ხანაც თანმხლებ სიტყვასთან ერთად არის მოცემული.

-ნი-ს ცვეთა ახასიათებს, ამიტომ ფორმალურად არ არის სტაბილური; გამარტივების შედეგად რჩება ოდენ თანხმოვანი ან ხმოვანი: -ნ//-ი (Кипшидзе 1914:0140-0141); შესაძლებელია -ნი საერთოდ დაიკარგოს, თუმცა მისი არსებობა ივარაუდება გადაწეული მახვილით. -ნი კავშირის ამ თვისებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი, -ნი კავშირის ოდინდელი, სრული სახე *-ინი ხომ არ იყო? (კარტოზია 1996:79-82). -ნი კავშირ-ნაწილაკს ს. ჯანაშია აფხაზურიდან ნასესხებად

მიიჩნევდა (ჯანაშია 1959:226), თუმცა გ. კარტოზიამ სცადა -ნი-ს წარმომავლობა ქართველურ ნიადაგზე აეხსნა. მისი აზრით, იგი ნაცვალსახელური წარმოშობისაა, მასალობრივად ემთხვევა კითხვით *მინ/მინი* „ვინ“ ნაცვალსახელს და უნდა მომდინარეობდეს ადრინდელი *ვინ /ვი ნი ფორმისგან (კარტოზია 1996:81).

- ***დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები -ნი კავშირის მიხედვით***

-ნი კავშირი ზოგადი მნიშვნელობისაა, იგი პოლისემანტური კავშირია. -ნი კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია კორელატი, რომელიც მთავარ წინადადებაშია მოცემული. -ნი კავშირი დასტურდება ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით, გარემოებით (ყველა ტიპის: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის), პირობით დამოკიდებულ წინადადებებში.

> ***შენიშვნა 1:*** *დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში -ნი კავშირი გვხვდება მაშინ, როცა მთავარში თქმა-ბრძანებისა და გრძნობა-აღქმის ზმნებია გამოყენებული: უწუ „უთხრა“, თქუ „თქვა“, იფირქუ „იფიქრა“ და მისთანანი:*
>
> *(1) ირი კეთილეფქ ხოლო <u>უწიის</u> თე ძღაბის, მუთუნინერო ვედუკონი (ექსპედიციის მასალები) „ყველა მოკეთემ <u>უთხრა</u> ამ გოგოს, როგორმე <u>რომ</u> არ წასულიყო“.*
>
> ***შენიშვნა 2:*** *-ნი კავშირი ყველაზე ხშირად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში დასტურდება:*

*(2) თე ბოშიქ იფირქუ, თე ამბე ძღაბის გუცხადუკო.V-ნი.SUB (ექსპედიციის მასალები) „ამ ბიჭმა იფიქრა, ეს ამბავი გოგოსთვის რომ გაემხილა“.*

*(3) ეფერი ონჯუა ვეცუაფუდუ, ნადირეფი შხვადოშხვა ვამიიღგკონი „ისეთი საღამო არ იქნებოდა, სხვადასხვა ნანადირევი/„ნადირები“ რომ არ მოეტანა“ (ტ. II, 60, 33-34).*

- ***მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების საკითხი***

-ნი კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების სამი შემთხვევა საერთოა სალიტერატურო ქართულთან; კერძოდ, ესენია:

*მთავარი + დამოკიდებული*

*(4) თი ხენწიფექ თეში დიირჩინგ, სქუა ვაცუნდუნი (ტ. II, 218, 5) „ის ხელმწიფე ისე დაბერდა, რომ შვილი არ ჰყავდა“.*

*დამოკიდებული + მთავარი*

*(5) თიწკუმა ქუმორთუ დიდაქ, თე ძღაბი ვიშო მეცუნდესუნი (ექსპედიციის მასალები) „მაშინ მოვიდა დედა, ეს გოგო იქით რომ მიჰყავდათ“.*

*მთავარი + დამოკიდებული+მთავარი*

*(6) ხენწიფექგ, სოლე გური გამკურთინუკონი, თიშენი დააღორგ... „ხელმწიფემ, როგორმე ქალის გული რომ მოებრუნებინა, იმიტომ მოატყუა...“ (ტ. II, 31, 21-22).*

-ნი კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში კომპონენტთა განლაგების თავისებურებას განსაზღვრავს კავშირ-ენკლიტიკით მარკირებული დამოკიდებული წინადადება და კორელატის პოზიცია; კერძოდ, **-ნი** კავშირ-ენკლიტიკა დაერთვის დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს, რომელსაც მოსდევს

კორელატი; ამიტომ მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგება შემდეგი სახისაა:

*ა. მთავარი+დამოკიდებული+კორელატი:*

(7) ბოშიქ დო ძღაბიქ ქიდირულეს, **ქილაცაფესგ.**V- **ნი**.SUB **უკუ-ლი.** CORR (ხუბუა, 207, 34-35) „ბიჭმა დო გოგომ დაიძინეს, რომ ითამაშეს მერე“.

*ბ. დამოკიდებული+კორელატი+მთავარი:*

(8) ოსერშექ **გეეთუ**.V-**ნ**.SUB **უკული.**CORR, თე ბოში მიდეცონეს დანჯირუშა (ხუბუა, 280, 24) „ვახშამი რომ დამთავრდა მერმე, ეს ბიჭი წაიყვანეს დასაწოლად“.

***შენიშვნა 3:*** *ბ. შემთხვევაშიც შენარჩუნებულია კორელატი დამოკიდებულის მომდევნოდ; ეს ხდება იმის ხარჯზე, რომ მთავარი წინადადება იწყება კორელატით.*

***შენიშვნა 4:*** *კორელატი შეიძლება იყოს გადმოცემული საგარემოებო სიტყვებით – ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის ზმნიზედებით, ან ჩვენებითი ნაცვალსახელითა და არსებითი სახელით.*

ორივე (ა. და ბ.) შემთხვევაში ტრადიციული სინტაქსური საზღვარი გადაწეულია: -ნი კავშირიანი ზმნა-შემასმენელი კორელატთან ქმნის სინტაგმას, რაც ერთი საერთო ინტონაციით ფორმდება. საანალიზო სტრუქტურები განსხვავებულია, თუმცა სინტაქსური საზღვრის გადაწევის საფუძველი ორივე მათგანში ერთგვაროვანია, რაც განპირობებულია -ნი კავშირისა და კორელატის კონტაქტური პოზიციით.

- ***-ნი კავშირი ფაკულტატიური მნიშვნელობით: ორმაგი სუბორდინაციის საკითხი***

როგორც შესავალშია აღნიშნული, მეგრული ზეპირმეტყველების ენაა. ზეპირმეტყველებაში კლიტიკის სახით წარმოდგენილი კავშირი ხშირად გამოიყენება ფაკულტატიური ფუნქციითაც. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში წევრ-კავშირებისა თუ მაქვემდებარებელი კავშირების (გარდა -და კავშირ-ენკლიტიკისა!) მნიშვნელობას -ნი კავშირი აძლიერებს. „მეგრულში -ნი-ს გარეშე არ არის ბუნებრივი მიმართებითნაცვალსახელიანი და მიმართებითზმნიზედიანი რთული ქვეწყობილი წინადადება“ (როგავა 1988:222). ქართულში „მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედების გამოყენება საკავშირებელ სიტყვებად მეორეულია“ (კიზირია 1956:55). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთივე ვითარებაა მეგრულშიც (ფაჩულია 1997; ლომია 2005:100). არგუმენტაციის სისწორეს ადასტურებს ქვეწყობილი წინადადებიდან კონკრეტული მნიშვნელობის კავშირის (საკავშირებელი სიტყვის) ამოღება; მაგალითად:

(9) ჯოღორი <u>მის</u>.SUB ოცვილაფესი.V-ნი.CLTC, თის.CORR ოღალაფესია (ტ. II, 462:36) „ძაღლი ვისაც მოაკვლევინეს (+რომ), იმას წააღებინესო“; შდრ.:

(10) ჯოღორი ოცვილაფესი.V-ნი.SUB თის.CORR ოღალაფესია „ძაღლი რომ მოაკვლევინეს, იმას წააღებინესო“.

სხვა კავშირთან ერთად *-ნი-ს* სინტაქსური ფუნქცია არა აქვს. ამას მოწმობს ასევე „რომ“-ის მნიშვნელობის *ნამუდა* კავშირიანი კონსტრუქცია. ასეთ შემთხვევაში ორმაგ სუბორდინაციაზე პირობითად შეიძლება საუბარი, რადგან სინტაქსური ფუნქცია მხოლოდ ნამუდა კავშირს აქვს, ხოლო -ნი ფაკულტატიური დანიშნულებისაა:

(11) დაჩხირი.CORR აკომირზი ფერი, ნამდა.SUB თაქ მატგბან-
დასგ.V-ნი.CLTC „ცეცხლი დამინთე ისეთი, რომ აქ მათ-
ბობდეს“ (ტ. II, 296,39).

***დასკვნა***

-ნი „რომ“კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დასტურდება ძირითადი და ფაკულტატიური მნიშვნელობებით. ძირითადია სინტაქსური მნიშვნელობა – ქვეწყობის გამოხატვა; ფაკულტატიურია ქვეწყობის გამოხატვის გაძლიერება. ასეთ დროს -ნი წინადადებაში სხვა მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად არის მოცემული.

ემპირიული მასალის ანალიზი არკვევს, რომ -ნი კავშირისთვის სინტაქსური ფუნქცია პირველადია; ამასთან, ენაში -ნი კავშირის ამ ფუნქციით არსებობა უსწრებს წევრ-კავშირების არსებობასაც (იხ. მაგალითები (9) და (10)). სინტაქსური ფუნქციით მოცემული -ნი კავშირიანი კონსტრუქცია თავისებურია მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგების თვალსაზრისითაც; თავისებურებას ქმნის გადაწეული სინტაქსური საზღვარი, რის ხარჯზეც ჰიპოტაქსური კონსტრუქცია სტრატეგიულად მოქნილი და ინფორმაციულად დატვირთულია.

### 3.3. ლაზური -*ნა „რომ“* კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

**-ნა** ენკლიტიკური ნაწილაკია ლაზურში. „ის მიერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის. მისი პირდაპირი მნიშვნელობა „რა“ უნდა იყოს“ (ჩიქობავა 2008:190). არნ. ჩიქობავა ლაზურის -ნა ნაწილაკს მეგრულის -და ნაწილაკის ფარდად მიიჩნევს (ჩიქობავა, იქვე); სხვა თვალსაზრისის თანახ-

მად, ლაზური -ნა ტოლფარდია მეგრული -ნი კავშირ-ენკლიტიკისა (იხ. ვრცლად ლომია 2005). -ნა ლაზურის ყველა კილოკავშია გავრცელებული; ქართულ თარგმანებში ქართული „რომ“ და „თუ“ კავშირების ფარდია; მაგალითად,

(1) ცხენის-**ნა** მობუნ, მუდა ონუ „ცხენს რომ ჰკიდია, რა არის?“[1]

ლაზურს „რომ კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული აქვს აგრეთვე თურქულიდან ნასესხები -**ქი** // -**ჩი** -ათინ.) და ბერძნულიდან გადმოღებული **ოტი**. აქედან, -**ქი** // -**ჩი** კლიტიკებია; მაგალითად,

(2) ოხორჯაქ ბერე მუშის უწუ-**ქი** „გზას ოწკედი“[2] „ქალმა თავის შვილს უთხრა, რომ „გზას უყურე“.

(3) ღობერი დოღობარ, **ოტი** ფუტი მო ამიტად „ღობეს შემოავლებ („დაღობავ“), რომ ძროხა არ შემოვიდეს[3].

ლაზურში ქართული „რომ“ კავშირის როლში გამოდის -**ში** და -**ის** || -**სი** ნაწილაკებიც. -**ში** ნაწილაკი მეტ-ნაკლებად ყველა კილოკავშია გამოყენებული. ხშირად ამ ნაწილაკს მიერთვის -უკულე||-კულე „შემდეგ“.

(4) არა მეკვათუ-შ-უკულე ხოჯა ჯოლუ „ტოტი რომ მოჭრა („მას შემდეგ, რაც ტოტი მოჭრა“), ხოჯა ჩამოვარდა“. სიტყვასიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: „ტოტი მოჭრა-ს-შემდეგ ხოჯა ჩამოვარდა“[4], რაც ლაზურში თურქულის სინტაქსურ კალკად ითვლება (დაწვრილებით იხ. ჯიქია 1976).

[1] არნ. ჩიქობავა 2008:190.
[2] არნ. ჩიქობავა 2008:190.
[3] არნ. ჩიქობავა 2008:190.
[4] არნ. ჩიქობავა 2008:191.

### 3.4. მეგრული *ნამუდა „რომ“* კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

**ნამუდა** ასევე ქართული „რომ“ კავშირის შესატყვისი კავშირია მეგრულში. იგი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით დასტურდება: **ნამუდა || ნამჷდა || ნამდა.** *ნამუდა* რთული აგებულების დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია; შედგება ორი ნაწილისაგან: *ნამუ „რომელი“* + *-და „თუ“*. ნ. აბესაძის აზრით, ნამუდა-ს პირველადი მნიშვნელობაა „თუ რომელი“ (აბესაძე 1965:250).

„მართალია, მაერთებელი კავშირის გაგებით მეგრულში „დო“ გვხვდება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა „და“ ვარიანტიც გვქონოდა და ამ ვარიანტს „თუ“-ს გაგება შემდგომ მიეღო (ძიძიგური 1973:362).

მეგრულში *ნამუდა* ფართო მოხმარების სინტაქსური ფუნქციით დატვირთული მაქვემდებარებელი კავშირია. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია აღნიშნული კავშირის სამი ძირითადი მნიშვნელობა: что, чтобы, когда. ამას გარდა, სხვადასხვა კორელატთან სხვადასხვაგვარ მნიშვნელობასაც იძენს (Кипшидзе 1914: 0122, 286).

**„ნამუდა“ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ტიპები:**

„ნამუდა“ გამოიყენება ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით, ვითარების გარემოებით, მიზეზისა და მიზნის გარემოებით, ვითარებით-შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებში. ყველაზე ხშირად დამატებით და განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში ვხვდებით. რამდენიმე მაგალითში „ნამუდა“ კავშირი უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებაშიც დავადასტურეთ.

„ნამუდა“ კავშირის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ზოგჯერ მასთან ერთად -ნი კავშირიც იხმარება.

*ქვემდებარული*

(1) ხოლო უმოსი გასაკვირი რე **თინა, ნამდა** ხეჩოში გუდას ანთასი ფუთიში უმოსი ღვინქ ქინინტირუ „კიდევ უფრო მეტად გასაკვირი არის ის, რომ ხეჩოს გუდაში ათას ფუთზე მეტი ღვინო ჩაეტია“ (ტ. II, 44, 33-34).

*განსაზღვრებითი*

(2) რაში **ფერი** რდილი რე, **ნამდა** გოხიოლუ მევჯინა (ექსპ. მასალები, 2019) „რაში ისეთი გაზრდილია, რომ გიხარია შეხედვა“.

*უბრალო დამატებითი*

(3) დიდაქ დუდი იმართუ **თით, ნამდა** ვააკოდუ სკუაშ გოტება „დედამ თავი იმართლა იმით, რომ არ უნდოდა შვილის გაშვება(ტ. II, 45, 25).

*ვითარების გარემოებითი*

(4) **თეში** მიდაართუ, **ნამდა** ჩქიმდა ვამურთუმუ „ისე წავიდა, რომ ჩემთან არ მოსულა“ (ტ. II, 50, 20).
(ნამუდა-ს მონაწილეობით დამოკიდებულ წინადადებათა ტიპებზე ვრცლად იხ. ლომია 2005: 107-115).

*მიზნის გარემოებითი*

(5) მა თაქ თიშენ მოფრთი, ნამდა ლაზუტი კომოგიღიკონი (ყიფ. 1914, 2, 26) „მე აქ იმიტომ მოვედი, რომ სიმინდი მომეტანა“

- **„ნამუდა“ პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში**

„ნამუდა“ კავშირი დამატებით (პირდაპირ დამატებით) დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აკავშირებს მაშინ, როცა ამ უკანასკნელში გარკვეული ჯგუფის, კერძოდ, თქმაბრძანების გამომხატველი ზმნებია მოცემული.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმნები მრავალფეროვანია მეგრულში, ისევე როგორც ქართულსა და სხვა ქართველურ ენებშიც; კერძოდ, ესენია:

***უწუუ*** *„უთხრა“,* ***თქუუ*** *„თქვა“,* ***იჩუუ*** *„ისაუბრა“,* ***რაგადუუ*** *„ილაპარაკა“,* ***ზოჯუ*** *„ბრძანა“ და სხვ.*

თქმა-ბრძანების ზმნებით გადმოიცემა მთავარი წინადადების პრედიკატი (ზმნა-შემასმენელი):

(6) ოსურქ **უწუუ, ნამდა** ჩქი თექ მალას მევურთი-**ა** (ხუბუა 22, 14) „ცოლმა უთხრა, რომ ჩვენ იქ ალე მივალთო“.

(7) მეზობელი მეზობელს **ურაგადუ,** ნამდა ჩქიმი მინდორით გინილი-**ა** (ექსპედიციის მასალები, 2019) „მეზობელი მეზობელს ეუბნება, რომ ჩემი მინდვრით (მინდვრის გავლით) გადადიო.

(8) **დიიძახეს, ნამდა** მის გოკინია ჭკირილ ტყები თუმანიშავ-**ა**? (ხუბ. 118, 23) „დაიძახეს, რომ ვის გინდათო დაჭრილი ტყავი თუმნადო“?

დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, რომ თქმა-ბრძანების გამომხატველ მთავარ წინადადებას *ნამუდა* კავშირით უერთდება დამოკიდებული წინადადება, რომელიც პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს.

- ერთი წევრის (პირდაპირი დამატების) ჩანაცვლება მთლიანად დამოკიდებული წინადადებით არის **ერთ-ერთი თავისებურება** თქმა-ბრძანების გამომხატველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა.

(დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. აბესაძე 1965; ლომია 2005).

- პირდაპირი დამატების ჩამნაცვლებელი დამოკიდებული წინადადება ამავდროულად არის პირდაპირი სხვისი ნათქვამი, რომელსაც ყოველთვის ახლავს III პირის სხვათა სიტყვის **-ა** ნაწილაკი, რომელიც ქართული **-ო** ნაწილაკის ფარდია (იხ. მაგალითები (6), (7), (8)).
- ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მაქვემდებარებელი კავშირისა და III პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკის ერთდროულად დადასტურება არის **მეორე თავისებურება.**

„როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მარტო გრამატიკა არ წყვეტს საქმეს, თითქოს რაღაც ფსიქოლოგიური ფაქტორიც იჩენს თავს; შესაძლოა, სხვათა სიტყვა თავდაპირველად მხოლოდ III პირის ნათქვამს გულისხმობდა, რაკიღა სხვების ნათქვამია და, როგორც წესი, ვიღაც სხვას, ე. ი. III პირს ეკუთვნის“ (ჩანტლაძე 1998:225).

ზემოაღნიშნული თავისებურებანი – პირდაპირი დამოკიდებული წინადადება და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მაქვემდებარებელი კავშირისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის ერთდროულად გამოყენება წარმოაჩენს შუალედურ საფეხურს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს შორის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ასახავს „პირდაპირსხვისინათქვამიანი წინადადებიდან ირიბსხვისნათქვამიანზე გარდამავალ საფეხურს“(ლომია 2005:154).

გარდამავალი საფეხურის არსებობა წარმოდგენას იძლევა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებსა და კანონზომიერებებზე.

### 3.5. სვანური *ერე „რომ“* კავშირის ადგილი და ფუნქცია ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

**ზოგადი დახასიათება**. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მაქვემდებარებელი კავშირების გამოყენების არე სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებაში გაცილებით ფართოა, ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედებისა. მაგალითად, **ერე** „რომ“ კავშირი თითქმის თანაბარი სიხშირით იხმარება როგორც სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ, ისე შემასმენელ-ზმნის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში (აბესაძე 1960:132); ქართული *რომ* კავშირის და სხვა მისი ფარდი კავშირების ეტიმოლოგია სამივე ქართველურ ენაში ერთგვარია: ისინი ნაცვალსახელურ ძირებს შეიცავენ, სვანურში ეს არის **იᲐრ** „ვინ“ ნაცვალსახელი.

***ერე*** „რომ“კავშირი, რომლის ალომორფებია ***ერ*** და ***ე***, ყველა ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება; ფუნქციურად ისინი ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ დიალექტებისა და წინადადებაში მათი ადგილის მიხედვით შეინიშნება, რაზეც უკვე დამოკიდებულია წინადადების სტილური გამართულობა. ლენტეხური და ბალსქვემოური დიალექტები ***ერე*** ვარიანტს ანიჭებენ უპირატესობას, ბალსზემორსა და ლაშხურში კი *ერე*-სთან ერთად *ერ* ვარიანტიც გამოიყენება; მათი ადგილი კონსტრუქციაში სხვადასხვაა: ლენტეხურში *ერე „რომ“* კავშირი გვხვდება ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში და ნებისმიერ პოზიციაში (ბალსქვემოურისგან განსხვავებით). ეს შეიძლება აიხსნას ლენტეხური კილოსთვის დამახასიათებელი არქაული, ურედუქციო ფორმებით და, ასევე, სალიტერატურო ქართული ენის გავლენით, სადაც *რომ*-ს არ მოეპოვება ალომორფები და მისი პოზიციაც თავისუფალია.

**ერე/ერ „რომ“ ვარიანტების პოზიცია სვანურ რთულ კონსტრუქციაში (ლენტეხური დიალექტის გამოკლებით) ასეთია:**

ა) **ერე** „რომ“ კავშირი მხოლოდ მაშინ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, თუ ეს წინადადება მოსდევს მთავარს *(მთავარი + დამოკიდებული):*

*(1) ეჯღა დეშ აჩ̈ად,* ***ერე*** *უჩ̈ხა* (ექსპედიცის მასალები) „იმიტომ ვერ წავიდა, **რომ** წვიმდა“.

ბ) **ერ** „რომ“ მხოლოდ მაშინ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, თუ ის წინ უსწრებს მთავარს *(დამოკიდებული + მთავარი):*

*(2)* ***ერ*** *უჩ̈ხა, ეჯჟი აჩ̈ად ქორხ̈ნქა* **„რომ** წვიმდა, ისე წავიდა სახლიდან“.

გ) თუ **ერე** კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია, მაშინ ამ წინადადების ადგილი მთავრის მიმართ თავისუფალია, ხოლო თუ ეს კავშირი დამოკიდებულის თავშია, მაშინ დამოკიდებული აუცილებლად უსწრებს მთავარს.

აღნიშნული წესების დარღვევა სტილური გაუმართაობის საფუძველია, რაც ქართულად ვერ აიხსნება მსგავსი მოვლენის არარსებობის გამო.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ მაგალითებს:

**სწორია**: *(3) ნაუჩ̈ხჟი ლილაშ̈ი* ***ეჯღა*** *ხოჩა,* ***ერე*** *ნალაშ̈ჳ შიშდ ჟი ჴედნი...* (ექსპედიციის მასალები) *„ნაწვიმარზე თესვა* ***იმიტომ*** *ჯობია,* ***რომ*** *ნათესი ხელად ამოდის“...*

**არასწორია**: *(3ა) ნაუჩ̈ხჟი ლილაშ̈ი* ***ეჯღა*** *ლი ხოჩა,* ***ერ****...*

**სწორია**: *(4) ჩუ* ***ერ*** *აუჩ̈ხე, ეჩ̈უნღო ხაკუ ლილაშ̈ი –* ***„რომ*** *მოწვიმს, მერე უნდა თესვა..*“.

**არასწორია**: (4ა) *ჩუ* ***ერე*** *აუჩ̈ხე...*

ცნობილია, რომ რთული წინადადების კომპონენტებს შორის საზღვარი ფორმალურია და, სემანტიკის გათვალისწინე-

ბით, ის ხშირად დარღვეულია/გადაწეულია. ტერმინთა (მთავარი, დამოკიდებული...) ფუნქციური შეუსაბამობის გამო ვ. ბოედერი გვთავაზობს კლასიკური რიტორიკისა და გრამატიკის ტერმინებს: „პროტასისი“ და „აპოდოსისი“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ისინი, დანარჩენი ტერმინებისაგან განსხვავებით, ნეიტრალური ტერმინებია. მათ შორის განსხვავების (ასიმეტრიულობის) საფუძველი არა სინტაქსური, არამედ კომუნიკაციურ-ფუნქციური ხასიათისაა: დასაწყისში პროტასისი „ქმნის დაძაბულობას“, რომელსაც აპოდოსისი „აქარწყლებს“; მაგალითები:

*(5) ჩუ ჰე ა̈თუ̈დაგრი, **ეჯლა** დემ ოფშენი (BZ 68, 6) „**რომ** მოვკვდე, იმასაც არ ვიდარდებ“.*

*(6) მგლხა̈ ჟელა̈რ **ერ** ა̈ნჯდენიხ, / **ეჯლა** ლაშგა̈რს უ̈შგდ დემ ტუ̈იხე!(SvP 48, Nr. 13,53-54)*
*„მულახის ძაღლები **რომ** მოვლენ, / იმისთვის ლაშქარს უკან არ გავაბრუნებ!“*

(Boeder 2001).

კიდევ უფრო აშკარა გახდება კომუნიკაციური ხასიათის საზღვრის დარღვევა, თუ მოყვანილ ილუსტრაციებს ბალსქვემოურად გადავაკეთებთ, ვინაიდან ეს დიალექტი სვანური ენის დიალექტებს შორის ხშირ შემთხვევაში არქაული ენობრივი მოვლენებით გამოირჩევა და, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ასეთი მოვლენა სწორედ ინტონაციის რელევანტურობაა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში (დაწვრილებით იხ. მარგიანი 2012:175); შდრ.:

*(5ა) ჩ’ოთდაგრი, **ეჯლაი** დემ ონფშენი „[რომც] მოვკვდე, იმასაც არ ვიდარდებ!“*

*(6ა) მგლხიშ ჟელა̈რ ა̈ნჯდენიხ, **ეჯლა** ლაშგა̈რს ღოშგდ დემის ტუ̈იხე! „მულახის ძაღლები **[რომ]** მოვლენ ([რომც] მოვიდნენ/ თუ მოვლენ...), / იმისთვის ლაშქარს უკან არ გავაბრუნებ!“*

**წინადადებების ურთიერთკავშირი წინა წინადადებაშია მარკირებული მაშინაც, როცა მომდევნო წინადადება კავშირით იწყება და მაშინაც, როცა წინადადება ელიფსურია და კავშირი გამოტოვებულია:**

*(7)* *ნაუჩხჟი ლილაში* ***ეჯღა*** *ხოჩა,* ***ერე*** *ნალაშუ შიშდ ჟი ჯედნი* (ექსპედიციის მასალები) *„ნაწვიმარზე თესვა იმიტომ ჯობია, რომ ნათესი ხელად ამოდის...“.*

*(8)* *სი ა̈ნტხენი,* ***ეჩქას*** *ლა̈წსიდ ლა̈სუნაია* (ექსპედიციის მასალები) *„შენ [რომ] დაბრუნდები,* ***მაშინ*** *დავპატიჟოთ ნათლიები“.*

ჰიპოტაქსური წინადადების კომპონენტებს შორის საზღვრის დარღვევაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პუნქტუაციის წესების ნაკლებად მცოდნე ადამიანი (ზოგჯერ შეიძლება მცოდნეც!) ქართულში ხშირად მძიმეს სვამს „...იმიტომ რომ...“ შესიტყვების წინ, რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია სვანურისთვის: **სვანური კავშირი *ერე* წინა წინადადებას რომ მივაკუთვნოთ, ამისათვის არის სიმპტომატური ნიშანი, კერძოდ, მისი ანლაუტის ელიზია** (ქალდანი, 1953):

*(9)* *ბზ.: რა̈ჭვ ეჯღა ოხვზიზ* ***ა̈გით’ერე*** *(< ა̈გითე ერე) სა̈დილ ა̈ჯჯიდენს (BZ 334, 33 აბესაძე 1960:134) „კურდღელი იმისთვის გამოვგზავნე* ***შინ, რომ*** *სადილი მოგეტანა“.*

*(10)* *ბქ.: ეჯღა მა̈ჰიალნი* ***ქორთ’ერე*** *(< ქორთე ერე) მუშგურია̈რ მარხ ბაცს (ექსპედიციის მასალები) „იმიტომ მეჩქარება* ***სახლში, რომ*** *სტუმრებს ველოდები“.*

პროტასისისა და აპოდოსისის არსის გათვალისწინებით, დასახელებული შემთხვევების მსგავსად, ის, რაც სინტაქსური თვალსაზრისით დარღვევაა, ლოგიკურად სწორია.

როგორც აღვნიშნეთ, ბალსქვემოურ დიალექტში **ერ** კავშირის გამოყენება შეზღუდულია. ის შეიძლება შეგვხვდეს ამ დიალექტის მხოლოდ გარდამავალ კილოკავებში – ცხუმარულსა და

ბეჩოურში, იქაც არა სისტემურად; კერძოდ, იოსტ გიპერტისეული ბალსქვემოური ტექსტების ინდექსში ***ერ*** *„რომ“* კავშირი მხოლოდ ექვსჯერ ფიქსირდება – ხუთჯერ ბეჩოურში, რომელიც უფრო მეტად განიცდის ბალსზემოური დიალექტის გავლენას (სვ.პრ. ტ. II,. 29, 26; 49,25; 53, 26; 66,24; 106,12) და მხოლოდ ერთხელ – ცხუმარულში (იქვე,189,120).

დანარჩენ კილოკავებში ***ერ*** *„რომ“* კავშირს ანაცვლებს **ინტონაცია**, რომელიც გულისხმობს კონსტრუქციის პირველი კომპონენტის ბოლო სიტყვის ბოლო მარცვლის დაგრძელებას (ბოედერის ტერმინოლოგიით, პროტასისის ბოლო ხმოვნის გაგრძელებას ან ხმოვანზე მახვილს), და ტონალობის კითხვითობისკენ გადახრას, რაც ეხმაურება ქ. ლომთათიძის (1946) გურულში შენიშნულ მსგავს მოვლენას, რომელიც მეცნიერს დაქვემდებარების გამოხატულებად მიაჩნია (იხ. დაწვრილებით ლომთათიძე 1946). შ. ძიძიგურის აზრითაც, ენის ძველ საფეხურებზე კითხვითი წინადადება ასინდეტურად უკავშირდებოდა გრძნობისა და თქმის სემანტიკის ზმნათა შემცველ წინადადებას, **კითხვითი წინადადება წარმოადგენდა სინტაქსური დაკავშირების საფუძველს** (ძიძიგური 1989:443). სვანურ ენაში ეს მოვლენა, გარდა გრძნობისა და თქმის სემანტიკის ზმნებისა, სხვა ზმნებზეც ვრცელდება, რაც ამ ენაში ინფერენციული (/საეჭვოობა-სავარუდოობის) მწკრივების არსებობას უნდა უკავშირდებოდეს (მარგიანი 2012:174-184).


უკავშირო შეერთების შემთხვევაში მეორე კომპონენტში ხშირია კონიუნქტიური ფორმების ან სვანურისთვის ნიშანდობლივი ინფერენციული ზმნების გამოყენება, რაც ეხმიანება ვ. ბოედერის მსჯელობას: „ის, რომ წინა წინადადება მართლაც პროტასისს ქმნის, გამომდინარეობს აქამდე შენიშნული პრინციპის შებრუნებით: წინა წინადადებაში კავშირის მარკირების გადატანასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მეორე წინადადებაში კავშირი აკლია, ე. ი. გვაქვს „ასინდეზია“, ანუ ასინდეტური და-

კავშირება, რომლის დროსაც ნაწილობრივ მარკირება ხდება მოდალობით, რომელიც შენარჩუნებულია მომდევნო წინადადებაში კონიუნქტივით“ (Boeder 2001): ***ეჯიშ*** *დრეუქა ოლაგენედ შუკუს, ლიბურაწლდ სგ’ოლჰიად ქორთე* **„ისეთ** დროს დავადგეთ გზას, დაღამებამდე [რომ] მივაღწიოთ სახლში“, ანუ: „წინა წინადადებაში კორელატს ნაწილობრივ ეკისრება დაქვემდებარების გამოხატვა, კონიუნქტივური მარკირება მომდევნო წინადადებისა და წინა წინადადებას პროტასისად აქცევს; ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს ნ. აბესაძე სტატიაში „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“ (აბესაძე 1977) და მართებულად აღნიშნავს, რომ „უკავშირო შეერთების დროს მოდალურ ზმნასა და ძირითადი მოქმედების გამომხატველ ზმნას შორის ისეთი მჭიდრო ურთიერთობაა, რომ საეჭვო ხდება თვით საკითხი იმის შესახებ, გვაქვს თუ არა აქ ჩვეულებრივი ქვეწყობა, ძირითადი ზმნა ამ შემთხვევაშიც კავშირებითი კილოს ფორმით არის წარმოდგენილი“ (აბესაძე 1978). ეს მოვლენა, ცხადია, საერთოა ქართველური ენებისთვის, თუმცა არასალიტერატურო, არანორმირებულ ენებში ის უფრო სისტემურია, ყველაზე მეტად კი, როგორც ჩანს, მეგრულისთვისაა დამახასიათებელი (იხ. ლომია 1999).

ამრიგად, **სვანურის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში *ერე „რომ“* კავშირისა და მისი *ერ* ვარიანტის ადგილი და ფუნქცია განსხვავებულია არა მხოლოდ დიალექტების, არამედ ზოგჯერ კილოკავების მიხედვითაც, რომელთა დარღვევის შემთხვევაში ვიღებთ სტილურად გაუმართავ (არასწორ) წინადადებებს.**

*შ ე ნ ი შ ვ ნ ა*

ქართული „რომ“ და მისი ფარდი კავშირები სხვა ქართველურ ენებში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ორ ძირითად პოზიციას ირჩევენ: შიდას და გარეს (ფინალურს). ინფორმაციულად დატვირთული ფინალური პოზიციის კავშირ-ენკლიტიკაა, განსაკუთრებით მეგრულში.




*Schema: Subordinations modelle in den Kartwelsprachen (L. Samuschia)*

სქემა დამოწმებულია მანანა თანდაშვილის საჯარო ლექციის მიხედვით (თანდაშვილი 2019).

# თავი III

## *ფორმალური საშუალებების ინფორმაციული დატვირთვა ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში*

## 1. პროსოდიული საშუალებების ფუნქცია ზეპირმეტყველებაში

სიტყვიერ საშუალებებთან ერთად, მეტყველებაში ინფორმაციის სრული აღწერისთვის მნიშვნელოვანია პროსოდიული საშუალებების გამოყენება. პროსოდია კომუნიკაციური თვალსაზრისით ტექსტის მნიშვნელოვანი სეგმენტია. პროსოდიული საშუალებები ხელს უწყობს ტექსტის ადეკვატურ გაგებას, რაც გულისხმობს შინაარსის სწორ გაშიფვრას. პროსოდიული ელემენტების ფუნქციის გამოვლენას მეტყველებაში. კვლევა აჩვენებს სხვადასხვა შედეგს სხვადასხვა ჟანრისთვის, კერძოდ, ანდაზებში პაუზის წინა ელემენტი პროსოდიულია, ხოლო ფრაზის ბოლოს რეალური პაუზის გამომხატველი ელემენტი ასრულებს სინტაქსურ ფუნქციას, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროსოდიული ელემენტი ენის სინტაქსური სტრუქტურის გამო გაჩნდა ანდაზაში. ხალხურ ლექსებში პროსოდიული ელემენტი დამოუკიდებლად ჩნდება და ყოველთვის ბოლო (რეალური პაუზის) პოზიციას იკავებს. ზეპირ ტექსტებში – ხალხურ ლექსებსა და ანდაზებში პროსოდიული ელემენტების პოზიცია განსხვავებულია, მაგრამ რიტმა-რითმის ფუნქცია მსგავსია.

ზეპირმეტყველება ფართო ცნებაა. იგი აერთიანებს როგორც სპონტანურ მეტყველებას, ასევე ხალხური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნიმუშებს. ანდაზა, გამოცანა, ხალხური ლექსი ზეპირი ტექსტებია და ზეპირმეტყველებაში გვეძლევა დღესაც. ზეპირმეტყველების ტექსტს ნარატიულისგან განსხვავებული სპეციფიკური სტრუქტურა და შინაარსის გადმოცემის თავისებური საშუალებები აქვს; მათ შორისაა პროსოდიული ელემენტები.

ინფორმაციის ზუსტი სტრუქტურირებისათვის ზეპირ ტექსტში ვერბალურ საშუალებებთან ერთად მნიშვნელოვანია პროსოდიისა თუ პროსოდიული ელემენტების გამოყენება, რაც ხელს უწყობს შინაარსის სწორ დეკოდირებას და თავის მხრივ განაპირობებს ტექსტის ადეკვატურად აღქმა-გაგებას. ყოველივე ამის გამო პროსოდია და პროსოდიული ელემენტები ზეპირი ტექსტის || ზეპირმეტყველების საკომუნიკაციო დანიშნულებისათვის მნიშვნელოვან სეგმენტებად გვევლინებიან.

ზეპირ ტექსტებში წარმოჩენილია გრამატიკულ ელემენტთა თავდაპირველი მნიშვნელობა და მათი პროსოდიული დანიშნულება.

• ***თეორიული ჩარჩო***:

პროსოდია ინდივიდუალური და, ამავე დროს, სოციალურად ღირებული საკომუნიკაციო ნიშანია. ცნობილია, რომ პროსოდიული ელემენტი ტექსტს სძენს მელოდიურობას, რომელიც ეროვნული ელფერითა და ხასიათით გამოირჩევა. მელოდიკის მახასიათებლებია: *პაუზა, მახვილი, ინტონაცია, ტემპი;* აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ღირებულებისაა (თედორაძე 1978:12; შდრ.: ჟღენტი 1963:19-20). ქართველურ ენებში პროსოდიული ელემენტები წმინდა სახით (მხოლოდ პროსოდიული ფუნქციით) არ არსებობს. ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია საერთოდ ენათა უმრავლესობისთვის. ჩვეულებრივ მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტები ენამ შეიძლება პროსოდიული დანიშნულებითაც გამოიყენოს.

ინფორმაციული სტრუქტურის (IS) აგებისას მნიშვნელოვანია სინტაქსური და პროსოდიული ელემენტების ურთიერთმიმართება არა მარტო ფუნქციური თვალსაზრისით, არამედ წინადადებაში მათი ადგილის მიხედვითაც; ტრადიციულად, ინ-

ფორმაციული სტრუქტურის (IS) გამორჩეული კომპონენტების განაწილება ფუნქციური იერარქიით განისაზღვრება (Rizzi 1997); ალტერნატიული მიდგომის მიხედვით, სინტაქსური სტრუქტურის აგება კომპონენტების ინფორმაციული სტრუქტურის (IS) სტატუსზე არ არის დამოკიდებული (Chomsky 1995:202).

ქართულსა და მეგრულში სინტაქსური და პროსოდიული ელემენტების განაწილებისას ერთგვარი კანონზომიერება იკვეთება ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით (შანიძე (1980), კვაჭაძე (1988); Boeder (1991); აფრიდონიძე (1991; 2023) ჟღენტი (1963), თედორაძე (1978)' გუდავა (1975); სილაგაძე (2014); კერძოდ, ქართული ანდაზებისა და ქართულ-მეგრული ხალხური ლექსების მიხედვით განხილულია რამდენიმე პროსოდიული ელემენტი; წარმოდგენილია ახალი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ კლიტიკით გადმოცემული პროსოდია არის მოქნილი; ზეპირ ტექსტებში იგი გრაფემულ-გრაფიკული ასპექტის ფუნქციას ასრულებს (Lyons 1992:24) და კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი სეგმენტის აქტუალიზების საშუალებაა (თედორაძე 1978:24; მუჯირი 2006:72-79, 115-188).

- ***პროსოდიულ ელემენტთა ამოსავალი მნიშვნელობა და ფუნქციური დანიშნულების საკითხი ანდაზებში***

ანდაზა ზოგადსაკაცობრიო და, ამავე დროს, ეროვნული ფენომენია. თანამედროვე ლინგვისტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანდაზის ენობრივი ანალიზი; ცნობილია, რომ ანდაზაში ვლინდება როგორც უნივერსალური, ასევე ინდივიდუალური სპეციფიკური ენობრივი ასპექტები; მათი საშუალებით ანდაზური მეტყველება მეტად მკაფიო, გამომსახველობითი და ექსპრესიულია.

ანდაზა ერთი პირის – პირველი პირის მიერ შექმნილი და შემდგომ განზოგადებული სახით გავრცელებული, ფონურ ცოდნაზე დამყარებული ევიდენციალური ფრაზაა; იგი ქართველურ ენებში სპეციალური – „სხვათა სიტყვის“ **-ო** ნაწილაკით მარკირებული კონსტრუქციით გვხვდება (მარგიანი და სხვები 2019:266). -ო ნაწილაკს „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკს (შანიძე 1980:610; კვაჭაძე 1988:455-456) ან „ციტირების ნაწილაკს“ (Boeder 1991:145) უწოდებენ.

-ო ნაწილაკიან კონსტრუქციას აქვს **განზოგადებული აზრის გადმოცემის უნარი** და **ამიტომ იგი დამახასიათებელია ანდაზის ენისთვის** (მარგიანი და სხვები 2019:222): „-ო ხმოვნიანი ფინალური კონსტრუქცია ქართულში საერთოდ ანდაზებს ახასიათებს“ (აფრიდონიძე 2023:157). შესაბამისად, -ო ნაწილაკის ბუნებრივი ადგილი წინადადების ბოლოკიდური და, მაშასადამე, პაუზისწინა პოზიციაა (აფრიდონიძე 2023:158).

პროსოდიული ელემენტების მიხედვით ანდაზის სტრუქტურა შეიძლება იყოს სპეციფიკურ-განსხვავებული ენებს შორის, მათ შორის, მონათესავე ენებს შორის და თვით ერთი ენის შიგნითაც. ეს არის მიზეზი, რომ საანალიზო მასალა დიფერენცირებულია და ჩვენ მხოლოდ ერთი ტიპის ქართულ ანდაზებს ვიხილავთ.

**I. ქართულ ენაში** ანდაზების ერთი ჯგუფი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ფრაზის შუაში მოცემულ ლექსემასაც (ძირითადად სახელურ მიმართვას) დართული აქვს **-ო** ნაწილაკი. იგი ერითმება ბოლოკიდური სინტაქსური ფუნქციის **-ო** ნაწილაკიან სიტყვა-ფორმას და მთლიანად ანდაზურ ფრაზაში შემოაქვს რიტმულობა და მელოდიკურობა.

მაშასადამე, **ქართული ანდაზის ბოლოში** რეგულარულად მოცემული სინტაქსური დანიშნულების **-ო** ნაწილაკი ენამ შეიძლება გამოიყენოს პროსოდიული ფუნქციითაც, როცა იგი სიტ-

ყვის შუაშია. მაშასადამე, ანდაზის ფრაზაში მოცემულია ფორმალურად ორი ერთნაირი, თუმცა ფუნქციების მიხედვით განსხვავებული ელემენტები; -ო ელემენტისთვის სინტაქსური ფუნქცია ძირითადია, ხოლო მისი გამოყენება პროსოდიული დანიშნულებით ფაკულტატიურია.

სხვადასხვა ფუნქციით დატვირთული ელემენტები ანდაზის ფრაზას მარცვალთა რაოდენობის მიხედვით აბალანსებენ.

**მაგალითები:**

(1) *რაც მოგივა დავითა**ო** 4/4, ყველა შენი თავითა**ო** 4/4. 8/8*

(2) *ეგრე არ არის თაყა**ო** 4/4, შენ რომ ვენახი გაყა**ო** 4/4. 8/8*

ამ ტიპის ანდაზებში ორნაირი პაუზა გვაქვს: რეალური (ბოლოკიდურ პოზიციაში) და ნახევრად რეალური (შუა პოზიციაში). ნახევრად რეალურ პაუზას ფსიქოლოგიურ-წარმოსახვითს უწოდებს შ. აფრიდონიძე (აფრიდონიძე 2023:159).

ამრიგად, რეალურ პოზიციაში (ბოლოკიდურ პოზიციაში) მოცემული **-ო** ნაწილაკი **სინტაქსური ფუნქციისაა**, ხოლო ნახევრად რეალურ პოზიციაში (შუა პოზიციაში) მოცემული **-ო** ელემენტი **პროსოდიული დანიშნულებითაა** გამოყენებული. **ფრაზის შუა პოზიციაში პროსოდიული ფუნქციის -ო ნაწილაკის გაჩენა შეპირობებულია სინტაქსური ფუნქციის ბოლოკიდური -ო ნაწილაკით.**

ცნობილია, რომ ანდაზა ფიგურალური პოეტური ნათქვამია. აღსანიშნავია, რომ საანალიზო ანდაზები (იხ. მაგალითები: (1), (2)) მაღალი შაირითაა აგებული, რასაც სწორედ ბოლოკიდური და შუა ელემენტების გაჩენა განაპირობებს.

პროსოდიული და სინტაქსური ფუნქციის ელემენტები ანდაზის ფრაზას პირობითად ორ ნაწილად ყოფს; ხმოვნითი ელემენტების საშუალებით სარითმო ერთეულებში მარცვალთა რა-

ოდენობა თანაბარია და მთლიანად ფრაზა რიტმულად მოწესრიგებულია:

(1ა) რაც მოგივა, დავითა**ო**, ყველა შენი თავითა**ო** 8/8
შდრ.: და-ვი-თა-**ო** – თა-ვი-თა-**ო** (4/4)

(2ა) ეგრე არ არის თაყა**ო**, შენ რომ ვენახი გაყა**ო** 8/8
შდრ.: თა-ყა-**ო** – გა-ყა-**ო** (3/3)

როგორც აღინიშნა, ბოლოკიდური **-ო** ნაწილაკის არსებობა ანდაზაში აუცილებელია, რადგან ის სინტაქსური ფუნქციისაა და აზრის განზოგადებას უწყობს ხელს; შუა ნაწილში გაჩენილი პროსოდიული **-ო** ელემენტი კი აბალანსებს ფრაზას ხან 3-მარცვლიანი, ხანაც 4-მარცვლიანი სარითმო ლექსიკური ერთეულებით.

ექსპერიმენტით დადასტურებულია, რომ ქართულში სიტყვათმახვილი დინამიკურია და ყოველთვის სიტყვის დასაწყის მარცვალს მოუდის. ეს გარემოება არ არის დამოკიდებული მარცვალთრაოდენობაზე, ამას ადასტურებს ხმოვანთგრძლიობაც. სარითმო ერთეულების შედარება ცხადყოფს, რომ მახვილიანი ხმოვნის გრძლივობა აღემატება სიტყვაში შემავალი დანარჩენი ხმოვნების გრძლივობას (დაწვრ. იხ. თედორაძე 1978:19-61).

*(1ა) და-ვი-თა-ო – თა-ვი-თა-ო (4/4).*

*(2ა) თა-ყა-ო – გა-ყა-ო (3/3).*

დასაწყისი მარცვლის მახვილიანობა განაპირობებს სიტყვის ლოგიკურად გამოყოფას: „ლოგიკური მახვილის დასმა სიტყვაში აღინიშნება მახვილიანი მარცვლის ინტენსივობის გაზრდით“ (თედორაძე 1978:24). მახვილი, თავის მხრივ, ტონის, ინტონაცი-

ის ცვლილებას იწვევს: „ფრაზაში ტონალური მიმოქცევა გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და მელოდიკის კანონზომიერებას ემორჩილება...; ფრაზაში ტონალურ ცვალებადობას აქვს მთავარი დატვირთვა“ (თედორაძე 1978:41). Hirst 2024:159-191).

- ***პროსოდიულ ელემენტთა ამოსავალი მნიშვნელობა და ფუნქციური დანიშნულების საკითხი ხალხურ ლექსში***

მეტრულ მეტყველებაში პროსოდიული ელემენტის გამოყენება თითქმის ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი და უნივერსალური მოვლენაა. „პროსოდიული ხმოვანი ყველაზე მეტად დამახასიათებელია რითმიანი ლექსისთვის – ისეთი რითმებისთვის, რომლებიც ხშირად მეორდება; ესენია, პირველ ყოვლისა, ხალხური ლექსები, სადაც ლუწი სტრიქონები ინტენსიურად მეორდება“ (აფრიდონიძე 2023:159).

პროსოდიული ხმოვანი ქმნის კანონზომიერებას ლექსით სისტემაში, რადგან იგი მეტრის რეგულირებისთვისაა განკუთვნილი.

**ქართულ ხალხურ ლექსში**, ანდაზის ანალოგიით, პროსოდიულ ელემენტად გამოიყენება **-ო** ხმოვანი, ოღონდ ბოლოკიდურ პოზიციაში.

*(3) ჩიტ**ო**, ჩიტ**ო**, ჩიორა**ო**! 4/4*
*რა**ო**, ბატონ**ო** მელა**ო**? 4/4*
*(ორსტრიქონიანი სალექსო ჩანართი ზღაპარში „მელია და ჩიტი“).*

*ჩიტ**ო** / ჩიტ**ო**/ ჩიორა-**ო** / Pros*
*რა**ო** / ბატონ**ო** / მელა-**ო** / Pros*

აღნიშნული ლექსი პროსოდიული **-ა** ელემენტით გრძელდება, რომელსაც ფინალური (რეალური პაუზის) პოზიცია უჭი-

რავს. ამ შემთხვევაში პროსოდიული ხმოვნის ფუნქციას ასრულებს ემფატიკური ხმოვანი. სპეციალურ ლიტერატურაში ემფატიკურ ხმოვანს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ (სავრცობი || მავრცობი) და მის განსხვავებულ ფუნქციებზეც მიანიშნებენ; მკვეთრად გამოკვეთილი სინტაქსური ფუნქციის (ზურაბიშვილი 1956:228; უთურგაიძე 1985:30-31) გარდა, შენიშნულია, რომ ემფატიკურ ხმოვანს აქვს ფონეტიკურ-რიტმიკული ფუნქციაც (ფოცხიშვილი 1959:22-23).

**მაგალითი:**

*(4) ცულს მოვიტან **ცუნცულასა**, 4/4*
*ხელეჩოს და **წალდუნასა**, 4/4*
*ხესაც მოვჭრი, ხის **ძირსაცა**, 4/4*
*შენც შეგჭამ და შენს **შვილსაცა**. 4/4*

***შენიშვნა 2:** (3) და (4) მაგალითების პროსოდიული მახასიათებლებისთვის იხ. ფოტოები 1 და 2.*

ხალხურ ლექსებში **-ო** და **-ა** ხმოვნები ქმნიან დამატებით მარცვალს, მათი ფუნქციაა სალექსო სტრიქონის შევსება მარცვლით; ამგვარად იქმნება მზა რითმა, რომელიც შემდგომ სხვა სტრიქონებშიც მეორდება და მთელი პასაჟები ერთ რითმაზეა გაწყობილი; მონორითმულობა ხელს უწყობს ლექსის რიტმიკისა და მელოდიურობის შექმნას. საანალიზო მე-(4) მაგალითში რიტმულობას მხოლოდ პროსოდიული **-ა** ხმოვანი კი არ ქმნის, არამედ მოსაზღვრე რითმებიც (*aabb)*:

*(4ა) ცუნცულასა / **c**unculasa – წალდუნასა / c'aldunasa, ძირსაცა / ʒirsaca – შვილსაცა švilsaca*

**II. მეგრულ ენაში** -ა ნაწილაკი III პირის ნათქვამს გადმოსცემს უცვლელად. იგი სინტაქსური ფუნქციისაა და ფორმალურ-ფუნქციურად ქართული „სხვათა სიტყვის“ **-ო** ნაწილაკის შესატყვისია. თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვა-ფორმაში **-ა** ნაწილაკის წინ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩნდება **„ი“**, როგორც გამყარი; **-ი-ა** ორ მარცვალს ქმნის, მაგრამ აკუსტიკურად ერთ **-ია** დაბოლოებად ისმის და შესაბამის რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას ქმნის ტექსტში.

**მეგრულ ხალხურ ლექსშიც** მონოსილაბური რითმისა და რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურის შესაქმნელად გამოიყენება **-ია** რთული სუფიქსი (შედგენილობასა და ამოსავალ ფუნქციაზე მსჯელობა იხ. ზევით).

**მაგალითი:**


*(5) ვო, მარია, მარ**ია** 4/3*
*ქოგიცორქ დო ვარ**ია**; 4/3*
*გიცორქუდა, „ქო“ ქოთქვი, 4/3*
*ვამიწუა ვარ**ია.** 4/3*
*ვო, მარია, მარ**ია** 4/3*
*ჩქიმ ხატი დო ჯვარ**ია...** 4/3*
*გუდავა, №140, გვ. 72-73.*

*ამ ლექსში „მარ-ია“/“Mar-ia” ქალის სახელია; მთქმელი მას მიმართავს და შემდგომ „მარია“-ს ერითმება სხვა ერთეულები: ვარ-ია/var-ia „არაო“, ჯვარ-ია / ǯvar-**ia** „ჯვარიო“ და სხვ.*


***შენიშვნა 3**:* (5) მაგალითის პროსოდიული მახასიათებლებისთვის იხ. ფოტო 3.

**დასკვნები:**


1. ქართულ და მეგრულ ანდაზებსა და ხალხურ ლექსებში პროსოდიული ფუნქციით დასტურდება უმთავრესად სინტაქსური ფუნქციის მქონე გრამატიკული ელემენტები.
2. პროსოდიული ელემენტების სტრუქტურა მარტივია; ან ცალთანხმოვნიანია (V/-ა, -ო), ან ორმარცვლიანია (VV/-ია).
3. პროსოდიული ელემენტების პოზიცია დიფერენცირებულია ჟანრების მიხედვით და მყარია: ანდაზებში შუა პოზიცია უჭირავს, ხოლო ხალხურ ლექსებში – ბოლოკიდური.
4. ანდაზაში ან ხალხურ ლექსში პროსოდიული ელემენტების გაჩენა შეპირობებულია რითმულ-რიტმიკული საჭიროებით.
5. პროსოდიული ელემენტი ტექსტს სძენს მელოდიურობას და გამოყოფს საკომუნიკაციო დანიშნულებისათვის მნიშვნელოვან სეგმენტს, რასაც აღწევს სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით; ესენია: პაუზა, მახვილი, ინტონაცია, ტემპი.


derived pit
modifiable TextG
čit'o, čit'o, čiorao!
rao, bat'ono melao?
čit'o, čit'o, čiora-o/Pros
rao, bat'ono mela-o/Pros
"Bird, bird, little bird!"
"What is it, Fox?"
L+H*
H*
H*
L-
H%
1
1
3
4

*ფოტო (1)*


derived pi
modifiable Text
culs movit'an cunculasa.
culs movit'an cunculas-a/ Pros
"I will bring an axe"
H*
L-
3
xeličos da c'aldunasa.
xeličos da c'aldunas-a/ Pros
"An adze and a bill-hook"
L%
4

ფოტო (2)


derived
modifiable Text
kogi'ork do varia
kogi'ork do var-ia/ Pros
vo. maria. maria.
vo. maria. mar-ia/ Pros
H*
L+H*
H-
H*+L
L%
3
4

ფოტო (3)

## 2. ნაწილაკითა და ინტონაციით ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში

ზეპირმეტყველების საკომუნიკაციო სისტემას ქმნიან არასალიტერატურო ქართველური ენები (მეგრული, ლაზური, სვანური) და ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები, რის შედეგადაც არაერთ ენობრივ მოვლენას გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი აქვს ქართველურ ენებსა და დიალექტებში. ერთ-ერთი ასეთია ნაწილაკითა და ინტონაციით გადმოცემული ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადება, რომელიც დასტურდება მეგრულში, სვანურში, ქართული ენის დიალექტებში. მთქმელები საანალიზო კონსტრუქციას ძირითადად სიუჟეტური ამბის თხრობისას ემოციური დაძაბულობის გადმოსაცემად იყენებენ. ასეთ კონსტრუქციაში დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; ნაწილაკი მის ბოლოკიდურ წევრს დაერთვის და აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, რაც დაუსრულებლობაზე მიუთითებს; შესაბამისად, აზრს ასრულებს მომდევნო მთავარი წინადადება.

ქვეწყობის საფუძველზე ორი წინადადების შესაერთებლად გამოყენებულია შემდეგი ნაწილაკები: **-ო** მეგრულში, **-ი-** და **-ა** სვანურში, **-ა** ინგილოურ დიალექტში; გურულ და აჭარულ დიალექტებში სპეციალური ფორმალური მახასიათებლის მაგივრობას ეწევა წარმოთქმისას დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური წევრის ხმოვნის დაგრძელება; ეს უკანასკნელი შემთხვევა უცხო არ არის სვანურისთვისაც; მასაც ახასიათებს ბოლოკიდურ პოზიციაში ოდენ ინტონაციითა და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელება-გაორმაგებით გამოხატული ქვეწყობა.

ქვეწყობის გამოხატვის ფუნქციური ერთგვარობის მიუხედავად, ნიუანსობრივი სხვაობებისა და მრავალფეროვნების

გათვალისწინებით, ემპირიულ მასალას განვიხილავთ ენებისა და დიალექტების მიხედვით ცალ-ცალკე.

**მეგრულში -ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული, ზემოაღნიშნულის მიხედვით, თავკიდურა პოზიციისაა; **-ო** ნაწილაკიც ბოლოკიდურ წევრს მიერთვის, რომელიც ძირითადად ზმნა-შემასმენელია, იშვიათად – წინადადების სხვა წევრი; მაქვემდებარებელი ფუნქციით გამოყენებული **-ო** ნაწილაკი ქართულ ვერსიაში „რომ“ კავშირის ფარდია; მაგალითად,

*(1) მიოჯინუ**ო**, ქოძირგ ბოშიქგ, ვითოჟირხოლო დუდი კინი ქიირდუუნი „რომ გაიხედა, დაინახა ბიჭმა, რომ თორმეტივე თავი ისევ იზრდება“ (დან., ცან. 644, 9).*

*(2) ქემერთ ხოლოშავ**ო**, ქოძირუ დიდაქ, ბაღანა აშო ქიმირულედუნი (ექსპედიციის მასალები) „რომ მივიდა ახლოს, ნახა დედამ, რომ ბავშვი აქეთ მორბოდა“.*

რამდენადაც „რომ“ ზოგადი მნიშვნელობისაა და ამავე დროს პოლისემანტურია, საანალიზო კონსტრუქციაში იგი შეიძლება დაზუსტდეს დროის გამომხატველი მაქვემდებარებელი კავშირით:

*(1ა) მიოჯინუ**ო** (=მუჟანს მიოჯინუ), ქოძირგ ბოშიქგ.... „შეხედაა (=როცა შეხედა), დაინახა ბიჭმა...“.*

**-ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების შემცველი კონსტრუქცია ზერთულია, რის გამოც ტევადი ინფორმაციის შემცველია; ამავდროულად, ძალზე მოქნილიც არის, რასაც ზმნური ფორმის ელიფსისით გამოხატული ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ეკონომიურობის პრინციპი განაპი-

რობებს; კერძოდ, ხშირად გამოტოვებულია მთავარ კომპონენტად ნაგულისხმევი თქმა-ბრძანების სემანტიკის ზმნა;

**მაგალითები:**

*(3) გააჯინუ**ო**, მუშ ოსურქ იცუ ცვილირქ (ხუბუა, 238, 15) „რომ გახედა, [ნახა], თავისი ცოლი იქნა მოკლული“.*

*(4) კარს მიოჯინუ**ო**, მუდგარენი ქიმკოჭარუ (ხუბუა, 3, 11) „კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაცა აწერია“.*

*(5) ქიმერთ ხოლოშავ**ო**, ა, მუში დელმახორეში ოსური (ხუბუა, 17,8) „ახლოს რომ მივიდა, [დაინახა], აგერ თავისი მეზობლის ცოლი“.*

*(6) ქიმიოდირთ ხოლოშავ**ო**, მინდორი ართო ჩიჩიეფიშ ეფშა ქორე (ხუბუა, 91,29) „რომ მიუახლოვდა, [ნახა], მინდორი ერთიანად სავსეა მათხოვრებით / გლახაკებით“.*

**ინგილოურ დიალექტურ ტექსტებშიც,** რომლებიც თავის დროზე მოსე ჯანაშვილმა ჩაწერა, ცალკე შეიძლება გამოიყოს ის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრი **-ა** ხმოვანს დაირთავს და ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; მაგალითად[1],

*(7) ჯერჯლებთან ჰუმ მისულან**ა** , ყოვს დაუჩხავლნი.*

ინგილოურში დადასტურებულ თავისებურებაზე პირველად ქეთევან ლომთათიძემ გაამახვილა ყურადღება; ასევე, აღნიშნულ ენობრივ ფაქტთან დააკავშირა და ერთნაირ ენობრივ მოვ-

[1] დიალექტურ ტექსტებში დადასტურებული *ჰუმ, რო, უმ* ფორმები ქართული *რომ* კავშირის ტრანსფორმირებული ვარიანტებია.

ლენად მიიჩნია **გურულ** და **აჭარულ** დიალექტებში იმავე პოზიციაში ბოლო ხმოვნის დაგრძელება (ლომთათიძე 1946, 337-344; ლომთათიძე 1988).

**გურული დიალექტის მაგალითები:**

*(8) თქვენ რო ხელც არ მიშლიდ**ეე** [1], ყოლიფერს მუახერხეფ.*

*(9) უმ გადიარს აქიდ**აან**, მერე მიეცემა დიდი გული.*

**აჭარული დიალექტის მაგალითები:**

*(10) ის ტყე რომ მოჩანს შავ**იი**, იმის ძირში არის (სოფელი).*

*(11) ახლა უმ აქ ქალი იყ**ოო**, იმას აქ ჭახრაკი.*

ქ. ლომთათიძის ვარაუდით, ინგილოურში დადასტურებული ენობრივი ფაქტები უფრო ადრინდელი ვითარების გამომხატველია, ხოლო გურულსა და აჭარულში ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის დაგრძელებას ამ **„-ა“**-ს დაკარგვა გამოიწვევდა (ლომთათიძე 1946:342).

**სვანურშიც** ამ ტიპისად შეიძლება ჩაითვალოს **-ი-** ან **-ა** ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური წინადადება, რომელიც სპეციფიკური ინტონაციით წარმოითქმის; მართალია, სვანური **-ი-** ნაწილაკი ქართული „-ც“ -ს ფარდია, თუმცა საანალიზო კონსტრუქციაში იგი ჰიპოტაქსური მნიშვნელობისაა და მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მოქმედების თანადროულობას გამოხატავს; შესაბამისად, მისი ქართული შესატყვისია: „თუ არა“, „როგორც კი“; აღსანიშნავია, რომ სვანურში **-ი-** ნაწილაკი თავკიდურა პოზიციაში მდგარი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის შუაშია მოქცეული, განსხვავებით მეგრული და დიალექტური მასალების მონაცემებისაგან; მაგალითად,

*(12) ზისხს ქა-**ი**-ხეწად, ბაჟ ქ'ოხკად (ექსპედიციის მასალები) სიტყვასიტყვით: „სისხლიც-როგორც კი-ნახა, გული წა-*

[1] გემინაციის პროცესს ყველა მაგალითში გაორმაგებული ხმოვნებით წარმოვადგენთ, განსხვავებით ქ. ლომთათიძის სტატიაში მოცემული ჩანაწერისაგან.

*უვიდა“, შდრ.: „სისხლი როგორც კი დაინახა, გული წაუვიდა“.*

სვანურში **-ი-** „ც“ ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების პარალელურად მთავარ წინადადებაშიც შეიძლება გაჩნდეს კორელატის ფუნქციით და ქართულად გადმოიცეს „კიდევაც“, „მაშინვე“ ფორმაუცვლელი სიტყვების მნიშვნელობით:

*(13) ყორისგა სგა-**ი**-ანსკინე, ჩუ-**ი**-ანშყად მეხ (ექსპედიციის მასალები) „კარში შემოვარდა / შემოხტა თუ არა, ჩამოვარდა კიდევაც/მაშინვე მეხი“.*

სვანურშიც **-ა** ნაწილაკიანი დამოკიდებული აზრობრივად პირობის შემცველ დაშვებას გამოხატავს და, შესაბამისად, პირველ ადგილზე დგას; მოსალოდნელი შედეგი კი მთავარშია მოცემული; საკუთრივ **-ა** ნაწილაკი „თუ“-ს მნიშვნელობისაა. მაგალითად,

*(14) ამის სამსახურ ჩუხელვენივ**ა**, ქვეყანახენქა დემის ღგრდა „ამას სამსახური ექნებოდ**აა** (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავიდოდა“.*

სვანურში გურულ-აჭარულის მსგავსი შემთხვევაც დასტურდება, რაც ოდენ ინტონაციითა და ხმოვნის დაგრძელებით გამოიხატება; დამოკიდებულ წინადადებაში ან ბოლო სიტყვის ბოლო ხმოვანი გრძელდება, ან კიდევ – ბოლო დახურული მარცვლის ხმოვანი (ეს იმ შემთხვევაში, თუ ზმნა თანხმოვანზე მთავრდება):

*(15) ამის სამსახურ ჩუხელვენ**იი**ვ, ქვეყანახენქა დემის ღგრდა „ამას სამსახური ექნებოდ**აა** (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავიდოდა“.*

სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დადასტურებული ნაწილაკებისთვის სინტაქსური ფუნქცია მეორეულია; ამიტომ მათი **გენეზისის** საკითხი დგას.

**მეგრულის -ო** ნაწილაკის წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში: ნია აბესაძის მიხედვით, აქ ქვეწყობის საფუძველზე დაკავშირებულია ორი წინადადება კითხვითი ნაწილაკის საშუალებით: „ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამგვარ კონსტრუქციებში კითხვითობის გაგება მეგრულშიღა შემოგვრჩა, მაგრამ აქაც უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (აბესაძე 1963:19). ამ უკანასკნელი ფრაზის მიუხედავად, აშკარაა, რომ ნ. აბესაძეს ამ კონსტრუქციაში **-ო** კითხვითობის გამომხატველ ნაწილაკად მიაჩნია, ამოსავალ ვითარებაში მაინც. სხვა თვალსაზრისის თანახმად, ამგვარ კონსტრუქციაში **-ო**-ს კითხვითობის გაგება არა აქვს და არც ჰქონდა; იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ორე(ნ) „არის“ მეშველი ზმნისგან: უჯინუ + ორე(ნ) → უჯინუ - ო „გახედა არის“ > გახედა არა!“ განზოგადებული „რომ“ კავშირის ფუნქცია მან შემდგომში შეიძინა გარკვეული ენობრივი რეინტერპრეტაციის შედეგად (ციკოლია 1977:87). **დიალექტურ ტექსტებში** დადასტურებული **-ა** ნაწილაკი შეიძლება მომდინარეობდეს ან „არის“ ზმნისგან, ან „არა“ ნაწილაკისგან: „თავად ეს „ა“ ნაშთია ან „არის“ ზმნისა, ან დადასტურებით-ჩაკითხვითი „არა“ ნაწილაკისა (ლომთათიძე 1946 : 342). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამავე თვალსაზრისს იზიარებს ბ. ჯორბენაძეც (ჯორბენაძე 1989 : 537). **სვანურში -ა** ნაწილაკი მატერიალურად კითხვითი ნაწილაკია, თუმცა საანალიზო წინადადებაში ისიც ჩაკითხვას გამოხატავს.

ამრიგად, არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში დადასტურებული **-ო** და **-ა** ნაწილაკების გენეზისი თანაბრად ითავსებს ორივე ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს; მეგრულსა და სვანურში **-ო** და **-ა** კითხვითობის ფორმალური საშუალებებია სინქრონიულ დონეზეც, თუმცა აღნიშნული ნა-

წილაკების *ო-რენ / ა-რის / არი* ზმნებისგან მომდინარეობა უფრო სარწმუნოა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა. ზეპირმეტყველებაში „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმები (არის, ორე(ნ), არი) გამოიყენება მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქციით (ამ საკითხზე დაწვრ. იხ. კვანტალიანი 1990; ლომია 2005).

ბ. ფორმათა გამარტივება დამახასიათებელია ზოგადად ზმნებისგან მომდინარე ნაწილაკებისთვის, მაგალითად ავიღოთ ქართულში თავად *არის* → -ა პროცესი; აგრეთვე შდრ.: ქართული *ვინძლო, ეგებ, უნდა* მოდალური ნაწილაკების ჩამოყალიბების გზა (იხ. შარაშენიძე 2020).

გ. საანალიზო ფორმები – *მიოჯინუ-ო / შეხედა-ა* და მისთან. კითხვაზე მეტად ჩაკითხვას გამოხატავენ და ფაქტის განსაზღვრულობას უსვამენ ხაზს (შდრ.: „აქაც [მეგრულში] უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (ნ. აბესაძე).

დ. სვანურში ამავე ფუნქციით გამოყენებული ქართული „-ც“-ს ფარდი -ი- დადასტურებითი ნაწილაკია.

**დასკვნები:**

1. არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციურ საფუძველს ქმნის ინტონაცია და ფორმალური საშუალებები (ნაწილაკები).
2. მათ, სინტაქსურის გარდა, აკისრიათ პრაგმატიკულ-სტილისტური ფუნქცია, რაც ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ფაქტის დადასტურება-განსაზღვრულობით გამოიხატება.

## 3. ლექსიკური გამეორება ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში

**სიტყვათა გამეორებას** მთქმელი მიმართავს შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, რთული ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოსაცემად, მაშინ, როცა პერსონაჟის მოქმედების დეფინიცია მსმენელის ყურადღების დაძაბვას მოითხოვს (ღლონტი 1975:22); ასეთ დროს გამეორება წინადადებათა დამაკავშირებელ საშუალებადაც არის მიჩნეული (ქურდაძე 1987:99-100). გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაცაა (Морен, Тетерникова 1960:277). სტილურ-ფუნქციური დანიშნულებით გამოყენებულ **გამეორებას** ანადიპლოზისსაც უწოდებენ. გამეორება-ანადიპლოზისი ბევრნაირი შეიძლება იყოს; კერძოდ: *ბგერითი, ლექსიკური, რითმული;* ამ ტიპის გამეორებათა გამოყენების არეალი ფართოა; დასტურდება პოეტურ და პროზაულ ნიმუშებში, ხოლო აგებულების მიხედვით სხვადასხვა ტიპის წინადადებაში.

გამეორება, როგორც სტილური ხერხი, აძლიერებს შთაბეჭდილებას, კრავს და განამტკიცებს სათქმელს: „თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის... ჯაჭვურად გადაებმება ერთმანეთს სიტყვები, ზოგჯერ შესიტყვებებიც, რომლებიც უფრო რეალიზებულია ლოგიკური სენტენციების სახით მოწოდებულ თხრობაში“ (აფრიდონიძე 1989:63). „ასეთი პაუზიანი გამეორების“ (შ. აფრიდონიძე) შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები დამახასიათებელია როგორც ზეპირი მეტყველებისთვის, ასევე მხატვრული ტექსტის ენისთვის; უფრო მეტიც, ამგვარ შემოქმედთა ნაწერებში „ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაციები“ (ჯორბენაძე 1987:248).

• ***საანალიზო თემა, მასალა და პრობლემატიკა***

**საანალიზო თემაა** ლექსიკური გამეორება კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით. ზეპირმეტყველება, იგივე სპონტანური (წინასწარმოუმზადებელი) მეტყველება, ასახულია: *ქართულ ცოცხალ მეტყველებაში, ქართულ დიალექტურ ტექსტებში, არასალიტერატურო ქართველურ ენებში (მეგრულში, ლაზურსა და სვანურში)*; შესაბამისად, საანალიზო მასალაც დამოწმებულია დასახელებული მონაცემების მიხედვით; ასევე, ემპირიულ მასალად გამოყენებულია ქართველ კლასიკოსთა – ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, რევაზ ინანიშვილის, ოთარ ჩხეიძისა და სხვათა შემოქმედების ნიმუშებიც.

ლექსიკური გამეორების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში საინტერესოა აქტუალიზების ენობრივი საშუალებების განსაზღვრა.

• ***მასალის ანალიზი***

*ლექსიკური ანადიპლოზისი* (= წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება მეორე წინადადების თავში) მთქმელს აძლევს საშუალებას სათქმელი ემოციურად, ხაზგასმით გამოხატოს. სპეციფიკური ინტონაციით გადმოცემული ამგვარი ინფორმაცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე და იზიდავს მას. სტილური ფუნქციით გამოყენებული ლექსიკური გამეორება ქმნის თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც სრულყოფილი და გასაგებია წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით. გამეორებული ლექსიკური ერთეულებით შექმნილი ქვეწყობილი წინადადებები, როგორც წესი, გამოყენებულია სიუჟეტური ამბების თხრობისას.

ამგვარ კონსტრუქციებში ყველაზე ხშირად ქართული მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირი დასტურდება; იშვიათად შეიძლება სხვა კავშირებიც შეგვხვდეს. მეგრულშიც „რომ“-ის ფარდი **-ნი** კავშირ-ენკლიტიკა ან ქვეწყობისთვის დამახასიათებელი სხვა წევრ-კავშირები გამოიყენება.

***შენიშვნა 1**: ქართული ენის დიალექტებში „რომ“ კავშირთან ერთად მისი ფონეტიკური ვარიანტებიც გვხვდება: რომე, რო.*

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საანალიზო კონსტრუქციებში მეორდება ზმნა ან სახელი, ან ორივე ერთად. კავშირი დაერთვის გამეორებულ ლექსემას, რომელზეც ყურადღების გამახვილება სურს მთქმელს. მაგალითად:

(1) [კაცს] მოუვიდა გული და... **თავი გაუტეხა**; **თავი რო გაუტეხა**, ეს კაცი გაიქცა... (ქართლური დიალექტი, ქურდაძე, 1987, 99-100).

(2) აი პურის კეკალი **ქე შეჭამა ქათმემა**. აი **რომ ქათმემა შეჭამა,** მოვიდა დედნაცვალი... (გურული დიალექტი, ნიკოლაიშვილი, 2019, 145).

ლექსიკური გამეორება რომ დამახასიათებელია ზეპირმეტყველებისთვის, ეს კარგად ჩანს დიალექტური ტექსტის ვრცელი ამონარიდიდან, რომელშიც რამდენიმე სხვადასხვა ლექსიკური ერთეული მეორდება:

(3) „[გაცეცხლებული მოურავი] **გუთნისკენ გაიქცა**, **გუთნისკენ რო გაიქცა** და იქ რო მივარდა, **ჩეკი აგლიჯა**, **გუთნის ჩეკი**, **აგლიჯა ჩეკი** და ამ კაცს **უშხუვლა თავში**, **თავში რო უშხუვლა** და ერთი **რო უშხუვლა,** მერე გააბრუნა და მინამ მაასწრებდნენ, მინამა სცემა (ქურდაძე 1987).

ლექსიკური გამეორების თვალსაზრისით სპეციალურად არის შესწავლილი მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“; მიჩნეულია, რომ აღნიშნული მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის „მომხიბლაობის მთელი საიდუმლო მის ღრმა ხალხურობაშია“. ავტორი ამბის თხრობისას იყენებს ქართული ზღაპრის სტილს (ჭუმბურიძე 1962:92-135):

(4) [ოძელაშვილმა] ლურჯა ძლივსღა **შეაჩერა** და **როცა შეაჩერა** და მოიხედა, ამილახორი ბალახში დაინახა... (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“, 1976, 49).

***შენიშვნა 2**:*
*მხატვრულ ტექსტში შესაძლებელია წინადადების თავკიდურა პოზიცია ეჭიროს კავშირიან გამეორებას:*

(5) *...**როცა უყვარდა**, **უყვარდა** ყოველგვარ საზომებსა და ზედსართავებზე უფრო ძლიერადა... **უყვარდა** ისე, რომ... ხელი აიღო ყოველგვარ სიამოვნებაზე...“ (ო. ჩხეიძე, „მიწა“, გვ. 122).*

მაქვემდებარებელკავშირიანი გამეორება განსაკუთრებით დიდი სიხშირით დასტურდება **მეგრულში**. ამას განაპირობებს „რომ“-ის ფარდი **-ნი** კავშირ-ენკლიტიკის მოქნილობა. იგი ხან ზმნას დაერთვის და ხან სახელს.

***1. მეორდება ზმნა***

(6) **მურს** მუშ ქიანაშა. **მურსუ-ნ**, დაასერუ ართ ქიანას (ხუბუა, 229,20) „მოდის თავის ქვეყანაში. რომ მოდის [თავის ქვეყანაში], შემოაღამდა ერთ ქვეყანაში“.

გამეორების დროს ზმნა შეიძლება შეიცვალოს სინონიმური მნიშვნელობის ზმნით:

(7) **მოლართუ** ართიქ. **ეყარუ-ნ**, ათე ჭითა პაპაქ ქოწოხვადუ (ხუბუა, 263,9) „წამოვიდა ერთი [ძმა]. რომ დაიძრა, ეს წითური მღვდელი შემოხვდა“.

***2. მეორდება ს ა ხ ე ლ ი*** (არსებითი სახელი):

(8) ართი **მელეჯე** ქოძირუ. კითხუ ამბე **მელეჯესუ-ნი**, იქ უწუუ „ერთი მელორე ნახა. რომ ჰკითხა ამბავი მელორეს, მან უთხრა (დან., ცან., 1991, 30,35).

ამ ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კავშირი მხოლოდ სუბორდინატორი (SUB), ანუ სინტაქსური ფუნქციის მატარებელი არ არის; მას ფოკუსირებული წევრის მარკირების (FM) ფუნქციაც აქვს; სინტაქსურ-სტილურ ფუნქციათა დიფერენცირება განსაკუთრებით ცხადად ჩანს მეგრულში მაშინ, როცა -ნი „რომ“ კავშირ-ენკლიტიკასთან ერთად წინადადებაში მოცემულია კონკრეტული წევრ-კავშირი:

(9) მა მოკონია აკა **ცხენი** დო **ონანგერი** (N), **სახარჯო ფარა** (N) ტანისამოსიშ ოციდე...; **მუთ**(SUB) ოკო **სახარჯო**(N)-**ნ**(FM), **ცხენი** დო **ონანგერი**(N)-**ნ**(FM), ირფელით დააკმაყოფილგ ე ბოში [ხენწიფექ] „მე მინდაო ერთი **ცხენი** და **უნაგირი**, **სახარჯავი ფული** ტანსაცმლის საყიდლად...; **რაც** უნდა **სახარჯავად-„რომ**“, **ცხენი** და **უნაგირი-„რომ**“, ყველაფრით დააკმაყოფილა ეს ბიჭი ხელმწიფემ“ (დან., ცან., 1991, 212-214, 37-1).

კავშირიანი გამეორებული ერთეული **ალმავალი ინტონაციით** წარმოითქმის; საერთოდ, მაღალი ინტონაცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ფოკუსირებულ და არაფოკუსირებულ ინფორმაციებს; შდრ.: ქართულში მაღალი, ტალღისებური და რბილად დამავალი ინტონაციებით განსხვავებული ინფორმაციების გადმოცემა (დაწვრილებით იხ. ასათიანი 2009:3-13).

საანალიზო მასალა საინტერესოა ასევე **სიტყვათა რიგის** თვალსაზრისითაც. „წინადადების აქტუალიზებული წევრის მოთავსება წინადადების დასაწყისში ინფორმაციის მარკირების ტიპოლოგიურად გავრცელებული სტრატეგიაა, თუმცა იშვიათად ფოკუსირებული წევრი შესაძლებელია ბოლოკიდურ პოზიცია-

შიც იყოს წარმოდგენილი“ (დაწვრილებით იხ. ივანიშვილი 20-09:69-81). ემპირიული მასალა ორივე ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას გვიჩვენებს; გავრცელებული და იშვიათი შემთხვევების ბალანსი ჩვენ მიერ შესწავლილ ემპირიულ მასალაშიც დაცულია.

• ***ლაზური და სვანური მასალების შესახებ***

ლაზურში გამეორებულ ზმნასთან **-ში** ნაწილაკი დასტურდება „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით. „-ში მეტნაკლებად ყველა კილოკავშია გამოყენებული, მარტო ეს ნაწილაკი იცის ხოფურმა“ (ჩიქობავა 2008:190).

(10) აწი აია ოხორჯაქ **ოწიუს ქოგიოჭკუ**. **ოწიუს ქოგიოჭკუ-ში**, სერსი მითიშა ვა აგნაფინუ (ექსპედიციის მასალები). „ახლა ამ ქალმა **კივილი დაიწყო**. **კივილი რომ დაიწყო**, ხმა ვერავის გააგონა.

ამ ტიპის კონსტრუქციათა ძირითადი სპეციფიკა სვანურში მაქვემდებარებელი კავშირის იგნორირებაა; ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მთავარში მოცემული იყოს კორელატი, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირისა და ასევე აქტუალიზატორის ფუნქციას **ინტონაცია** ასრულებს; ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ბალსქვემოურისთვის, რომელიც სალიტერატურო ენის გავლენას ნაკლებად განიცდის:

(11) ათხე ამის ეჯ ლეთ **ქრისდე-ღერმეთ ლაბმუშგურან** ი **ქრისდე-ღერმეთ ლაბმუშგურან**, ეჯის ალ მარე გუდ დეშ აჯად, დეშ ათირ (ბქ. ექსპედიციის მასალები) „ახლა ამას **ქრისტე-ღმერთი ესტუმრა** და **ქრისტე-ღმერთი** [**რომ**] **ესტუმრა**, იმას ეს კაცი ვერ მიხვდა, ვერ იცნო“.

• ***„რომ“ კავშირისა და „და“ კავშირის მონაცვლეობა***

აღსანიშნავია, რომ სტილური ფუნქციით გამოყენებულ მაქვემდებარებელ „რომ“ კავშირს ძირითადად მაერთებელი „და“ კავშირი ენაცვლება, თუმცა შესაძლოა ამავე ფუნქციით მაპი-

რისპირებელი კავშირიც დადასტურდეს. „ამგვარი გამეორება-ანადიპლოზისი დასტურდება გიორგი ლეონიძის პროზაშიც: ჩვენს ეზოში ია **შემოვიდა**. **შემოვიდა და** შემოეფინა...“ (კოშორიძე 1995:144), რაც გიორგი ლეონიძის მეტყველებას ზღაპრის სტილთან აახლოებს (უთურგაიძე და სხვები, 1979:91-98).

*მეგრული:*

(12) **ქიმერთუ** ათე ბოშიქ. **ქიმერთუ დო**, მესთი მააძუნ, თეშა ვიშო ქალეხუნუუ თენა... (ხუბუა, 295,10) „**მივიდა** ეს ბიჭი. **მივიდა და**, წუღა რომ აცვია, ამაში ჩაისვა ეს...“.

*ლაზური:*

(13) ავჯი დაღის გონდინეი კულანის **ქონარგუ**. **ქონარგუ დო** ახელუ (ექსპედიციის მასალები). „მონადირე ტყეში დაკარგულ გოგოს **შეხვდა**. **შეხვდა და** გაუხარდა“.

*სვანური:*

(14) ალ მეთხუ̈ვა̈რს **ლახხუ̈იდ და̈ლ**. **და̈ლ ლახხუ̈იდ ი** ეჩა ოქრეშ ფა̈თურე ნა̈რჰიდ თერა̈რ ჩ’ოთბურე (ბქ. ექსპედიციის მასალები). „ამ მონადირეს **შეხვდა დალი**. **დალი შეხვდა და** იმის თმების სინათლემ/ნათელმა თვალები დაუბნელა.

*დიალექტური მასალა:*

(15) წამეველი ტყვიასავით და **დავასკტი** ბეტონზე. **დავასკტი**, **მარა** გევიარე დედომიწა, მარა გადავჩი (გურული დიალექტი, ნიკოლაიშვილი, გვ. 142).

### *დასკვნა*

ამრიგად, ლექსიკური გამეორების შემცველ ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში წინადადების აქტუალიზებული წევრი ფორმალურად შეიძლება მარკირებული იყოს ფონეტიკურ-ფონოლოგიური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ენობრივი საშუალებებით; ესენია: ინტონაცია, კავშირ-კლიტიკა, სიტყვათა რიგი.

## 4. „ვილაცა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში და ჰიპოტაქსთან დაკავშირებული საკითხები

ენის სტრუქტურული მოდელების დადგენა თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემაა. ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაცია-კვალიფიკაცია რელევანტურია ზოგადად ენის არსის, ენობრივი ფენომენის განსაზღვრად. ქართველურ ენათა საანალიზო ემპირიული მასალა ვრცელია, რადგან ოთხ ქართველურ ენას აერთიანებს: ქართულს, მეგრულს, ლაზურს, სვანურს.

ქართველური ენები სამხრეთკავკასიური მონათესავე ენებია. მათ შორის სალიტერატურო ენა ქართულია, რომელსაც მოეპოვება დიალექტები; სხვა ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური არასალიტერატურო ენებია; არასალიტერატურო ენები და დიალექტები ზეპირმეტყველების სახითაა წარმოდგენილი. სოციალური სტატუსით განსხვავებული ქართველური ენები ლინგვისტურ-გამომსახველობითი საშუალებებით ქმნიან მრავალფეროვან ენობრივ სურათს. ემპირიული მასალის მრავალფეროვნება ზრდის პრობლემათა მასშტაბურობასა და საკვლევი თემის აქტუალურობას. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ნებისმიერ ენაში საინტერესოა სახელი და ზმნა, როგორც რთული სტრუქტურული ენობრივი ერთეულები. რთული სტრუქტურა ფართო გრამატიკულ შესაძლებლობებსა და მორფემული ანალიზის საინტერესო შედეგებზე მიუთითებს.

სახელებს შორის ყურადღებას იქცევს პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაში დასტურდება; 40 ენის მიხედვით მათი ფორმა-

ლური აგებულებისა და ფუნქციური განაწილების შესახებ იხ. Haspelmath 1997.

მონოგრაფიაში განხილულია ქართული ***ვიღაცა*** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი და მისი ფორმალურ-შინაარსობრივი შესატყვისები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. ყველა ქართველურ ენაში *„ვიღაცა“ ტიპის* განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები რთული აგებულებისაა; განსხვავებულია ნაცვალსახელთა შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა და სტრუქტურული განვითარების დინამიკა დიაქრონიიდან სინქრონიამდე.

- ***„ვიღაცა“ ნაცვალსახელის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში***

*ვიღაცა* სამშემადგენლიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია თანამედროვე ქართულში; შედგება:

**ვი-** – „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელისა (*QPRN(Ag)* და **-ღა** (PTCL), **-ცა** (PTCL) ნაწილაკებისაგან. *ვიღაცა-ს* ძველი ქართული არ იცნობს. აკაკი შანიძე ძველი ქართული ენის გრამატიკაში მხოლოდ ვინმე-ს ასახელებს (შანიძე 1976:47).

„ვიღაცა“ იბრუნვის, როგორც ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელი, ყველა ბრუნვა აქვს, წოდებითის გარდა; ბრუნვის ნიშანს დაირთავს სიტყვის ბოლოს:

(1) ***ვიღაცამ*** დაუძახა მეზობლის ბავშვს.

ქართულ ზეპირმეტყველებაში, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ყველაზე მეტად გავრცელებულია სალიტერატურო ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი „ვინცხა“, რომელიც ასევე ბოლოს დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

(2) ***ვინცხამ*** დეიძახა სახლთან (იმერული).

აღსანიშნავია, რომ დიალექტებისთვის დამახასიათებელია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ჩართვა **-ღა-ცა** ნაწილაკებს შორის, რაც ასახულია ქართულ მწერლობაშიც.

(3) ...ქვა **ვიღამაც** შეანძრია (ალ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“).
(4) წყნარათ უთხრა **ვიღამაც** ყურში (ნიკო ლორთქიფანიძე, „კერიასათვის“).

- ***მიგიდა, მიგიდენი, მიგიდარენი „ვიღაცა“ ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში***

ი. ყიფშიძემ მეგრულში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა სამი ჯგუფი გამოყო: I ჯგუფში გააერთიანა ქართული „ვინმეს“ ტიპის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, რომელთაც ამჯერად არ განვიხილავთ.

დანარჩენ ორ ჯგუფში მოცემულია:

*II.* ***მიგიდა*** და ამ ტიპის ნაცვალსახელები: მიგიდა = ქართული „ვიღაცა“.

*III.* ***მიგიდარენი, მიგდენი*** და ამ ტიპის ნაცვალსახელები: მიგიდარენი სიტყვასიტყვით: „ვიღაცა არის რომ“ = ქართული „ვიღაცა“; მიგდენი „ვიღაცა“ = ქართული „ვიღაცა“.

III ჯგუფის ***მიგიდარენი*** ნაცვალსახელის აგებულება გამჭვირვალეა, იგი ჰიპოტაქსური სტრუქტურისაა და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

**მი-** = ქართ. „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის შესატყვისი (*QPRN*)(Ag)
**გი-** = ქართ. „-ღა“ ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*
**და-** = ქართ. „-ცა“ ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*
**რე-** = ქართ. „არის“ ზმნის შესატყვისი *(PRS.S3.SG)*
**ნი-** = ქართ. „რომ“ კავშირის შესატყვისი *(SBOR (thet)*

ი. ყიფშიძე III ჯგუფში აერთიანებს აგრეთვე ***მიგიდენი*** *„ვიღაცა“* განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს; იგი ***მიგიდარენი*** ფორმასთან ყველაზე ახლოს დგას ჰიპოტაქსური აგებულების

მიხედვით; როგორც ჩანს, სწორედ ამ ნიშნით გააერთიანა ისინი ი. ყიფშიძემ; უფრო მეტიც, მეცნიერმა აჩვენა, რომ *მიგდენი მი-გიდარენი-საგან* მომდინარეობს მცირეოდენი ფორმალური ცვლილებით: მი-გი-დ(< და)-ე(< რე)-ნი (Кипшидзе 1914:280); მაშასადამე, მიგიდენი-ს სტრუქტურაც ისეთივეა, როგორიც *მი-გიდარენი* ნაცვალსახელისა:

**მი-** = ქართ. „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის შესატყვისი (*QPRN)(Ag)*
**გი-** = ქართ. -ღა ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*
**დ** (< და-) = ქართ. -ცა“ ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*
**ე-** (< -რე) = ქართ. „არის“ ზმნის შესატყვისი *(PRS.S3.SG)*
**ნი-** = ქართ. „რომ“ კავშირის შესატყვისი *(SBOR (thet)*

*მიგიდარენი* ფორმის უფრო მეტად გამარტივებული სახეა II ჯგუფის ***მიგიდა*** ნაცვალსახელიც, რომელიც ი. ყიფშიძემ ასევე დამოკიდებული წინადადებისაგან მომდინარედ მიიჩნია (Кипшидзе 1914:049):

**მი-** = ქართ. „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის შესატყვისი (*QPRN*)(Ag)
**გი-** = ქართ. „-ღა“ ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*
**და-** = ქართ. „-ცა“ ნაწილაკის შესატყვისი *(PTCL)*

ჩვენი აზრით, III ჯგუფში გაერთიანებული ***მიგიდენი*** ფორმა, ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელია ერთგვარ შუალედურ საფეხურადაც კი ჩაითვალოს და ცალკე ჯგუფად გამოიყოს.

მოგვიანებით, გ. როგავამ განიხილა სამივე (I, II III) ჯგუფის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა აგებულების საკითხი მეგ-

რულში და აღნიშნა: ყველა მათგანი ჰიპოტაქსური აგებულებისაა ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით (როგავა 1988:224)[1].

- ***მიგიდა, მიგიდენი, მიგიდარენი „ვიღაცა“ ნაცვალსახელების სემანტიკური ვარიაციები***

ზემოაღნიშნულ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს მოეპოვებათ შემადგენელი ნაწილაკების ფონეტიკური ტრანსფორმაციის (ხმოვნის დავიწროება, დაკარგვა, თანხმოვნების მეტათეზისი) ხარჯზე მიღებული პარალელური ფორმები; კერძოდ:

ა. *მიგიდა: მიგგდა* || მიგდა || მიდგა

ბ. *მიგიდენი: მიგგდენი*|| მიგდენი || მიდგენი

გ. *მიგიდარენი: მიგგდარენი* || მიგდარენი || მიდგარენი

- ***მიგიდა*** (აგებულებით „ვიღაცა“) სემანტიკურად გადაწეულია და გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით (ლომია 2005:26), შეესატყვისება ქართულ „ვინც“ მიმართებით ნაცვალსახელს.
- ***მიგიდენი*** „ვიღაცა“ მაშინ გამოხატავს განუსაზღვრელ სემანტიკას, თუკი შესიტყვებაში მსაზღვრელის ფუნქციითაა გამოყენებული.

(5) ***მიგიდენი დედიბი*** ქიგლახედუ შარას (ექსპედიციის მასალები) „ვიღაცა დედაბერი იჯდა გზაზე“.

- ***მიგიდარენი*** „ვიღაცა არის რომ“ ინარჩუნებს განუსაზღვრელ სემანტიკას ორ შემთხვევაში:

***ა. შესიტყვებაში; ბ. დამოუკიდებლად.***

**ა**. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ***შესიტყვებაში*** მოცემულია მსაზღვრელის ფუნქციით რამდენიმე სახელურ

[1] ი. ყიფშიძე I ჯგუფის ნაცვალსახელების ჰიპოტაქსურ აგებულებაზე ვარაუდს გამოთქვამდა მხოლოდ (Кипшидзе 1914:049).

მსაზღვრელთან ერთად[1] და დგას თავკიდურა პოზიციაში:

(6) მუჟანს ქიმისვანჯესგნი, **მიდგარენი ართი დედიბი** ოსურქ ქუმორთგ „როცა (+რომ) დაისვენეს, **ვიღაცა** (არის+რომ) **ერთი მოხუცი** ქალი მოვიდა (ტ.II, 146,15).

**ბ**. ***მიგიდარენი*** *„ვიღაცა არის რომ“* განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის დამოუკიდებლად ხმარებისას ყურადღებას იქცევს ორი ტიპის ბრუნება[2]:

*ა. ნაცვალსახელი გაიგება ერთ სიტყვად და ბრუნვის ნიშანი დაერთვის ბოლოში:*

(7) მიგიდარენ-**ქ** ქომორთუ „ვიღაცა-**ERG** მოვიდა“.

*ბ. ნაცვალსახელი არ გაიგება ერთ სიტყვად და ბრუნვის ნიშანი ჩაერთვის შუაში:*

(8) მიგიდა-**ქ**-რე-ნი ქომორთუ „ვიღაცა-**ERG** (+არის რომ) მოვიდა“.

(ბ) შემთხვევის დროს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სტრუქტურაში მოცემული *-რე- „არის“* ასევე შეიძლება შეიცვალოს წარსული ან მომავალი დროის ფორმებით:

(9) მიდგა-**ქ**-რდუ-ნი დიიძახუ „ვიღაცა-მ-**ERG** (+იყო რომ) დაიძახა“.

(10) მიდგა-**ს**-იცი-ნი ქავაჩუქენქ „ვიღაცა-ს-**DAT** (+იქნება რომ) ვაჩუქებ“.

ყურადღებამისაქცევია, რომ (8), (9), (10) მაგალითებში ნაცვალსახელის ბრუნვას (მოთხრობითი, მიცემითი) განაპირობებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი.

[1] შდრ.: მაგალითი (5), ***მიგიდენი*** *მხოლოდ* ერთ მსაზღვრელთან.

[2] განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ორგვარი ბრუნების შესახებ იხ. И. Кипшидзе 1914:049.

აღსანიშნავია, რომ მეგრულის **მიდგარენი** „ვიღაცა არის რომ“ ფორმის ფუნქციური ეკვივალენტი დასტურდება ქართულ ზეპირმეტყველებაში, ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში, ქართული ენის დიალექტებში (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. კვანტალიანი 1990:44-47).

**მაგალითები**[1]:

(11) ეს კი, **ვიღაცა არი**, ბუზადაც არ მაგდებსო (აკაკი).

(12) მევიდეს ეს კაცი, **ვიღაცა არის** (ზემო იმერული).

- ***მითხანი „ვიღაცა“ ნაცვალსახელის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ლაზურში***

*მითხანი „ვიღაცა“* სინქრონიულ დონეზე გამარტივებული ფორმაა, თუმცა მასში დღესაც ჩანს ადრინდელი ჰიპოტაქსური აგებულების კვალი (როგავა 1988:225), კერძოდ, მისი ნაწილებია:

***მი-*** *(< მინ) – ქართ. „ვინ“ კითხვითი ნაცვლსახელის შესატყვისი QPRN(Ag)*

***თ-*** *(< თი) – ქართ. „-ცა“ ნაწილაკის შესატყვისი (PTCL)*

***-ხა*** *(< გა) – ქართ. „-ღა“ ნაწილაკის შესატყვისი (PTCL)*

***-ნი*** *– ქართ. „რომ“ კავშირის შესატყვისი SBOR (thet)*

*მითხანი „ვიღაცა“* ბრუნვის ნიშანს დაირთავს ბოლოში; მაგალითად,

(13) მეზარე დოლოხენ დო **მითხაქ** (< მითხანქ) იბგარს „სამარის შიგნით ზის ვიღაცა ტირის“ (თანდილავა 2013:488).

***დერუშალე, დერე „ვიღაცა“ ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში***

სვანურში სულიერი საგნის აღმნიშვნელ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს შორის გამოვყოფთ ორ პარალელურ

[1] დამოწმებულია კვანტალიანი 1990:44-47-ის მიხედვით.

ფორმას: ***დერჷალე*** და ***დერე*** „ვიღაცა“; *დერე* ზოგჯერ ქართული „ვინმეს“ შესატყვისიც არის, თუმცა ამჯერად ამ ტიპის კონტექსტებს არ განვიხილავთ.

ორივე ნაცვალსახელის სტრუქტურაში ფუნქციურად დაწინაურებულია კითხვითი ნაცვალსახელით გადმოცემული აგენსი, იგივე სუბიექტი *დარ „ვინ“. დერჷალე „ვიღაცა“* ნაცვალსახელში კითხვით ნაცვალსახელს მიერთვის *-ჷა* და *-ლე* ნაწილაკები; მაშასადამე,

*დერ-ჷა-ლე (< *დარ-ჷ-ლე),* აქედან:

***დერ*** *< დარ – ქართ. „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის შესატყვისი (QPRN)(Ag)*

***-ჷა-*** *– ქართ. „-ც“ ნაწილაკის შესატყვისი (PTCL)*

***-ლე*** *– ქართ. განუსაზღვრელობის „-მე“ ნაწილაკის შესატყვისი [1] (PTCL)*

სვანურში ***დერჷალე*** „ვიღაცა“ ნაცვალსახელის ადგილი წინადადებაში თავისუფალია: იგი შეიძლება შეგვხვდეს თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც:

(14) **დერჷალე** ესერ მგხრი ხარჯჲაქს ლაჰჷედნეხ, ადო მარმგჷეშ ესერ ხულჷახ „ვიღაცა ხვალის სახარჯოს მოგვცემს, თორემ არაფერი გვაქვსო“ (სვ. პრ. ტ. I, 407,34).

რაც შეეხება განუსაზღვრელობით ***დერე*** *„ვიღაცა“* ნაცვალსახელს, ის სვანურის მხოლოდ ორ დიალექტში – ბალსზემოურსა და ლაშხურში გვხვდება. მის სტრუქტურაშიც წამყვანი კითხვითი ნაცვალსახელია: *დერ (< დარ),* ხოლო აუსლაუტში დარ-

[1] ქართ. **-მე**-ს ფარდი **-ლე** ნაწილაკი სვანურში სემანტიკურად ითავსებს **-ღა** ნაწილაკის მნიშვნელობასაც. ამის გამო სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, არ არის მკვეთრად გარჩეული **ვიღაცა** და **ვინმე** ნაცვალსახელები.

თული გრძელი „ *ე̄* “ ხმოვნის ფუნქცია საკვლევია. ჰიპოთეტურად დასაშვებია, რომ ის იყოს რედუცირებული *ერე* „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირისა[1] და „*ე̄*“ მისათითებელი ნაწილაკის *(ის, ეს)* კომბინაციით მიღებული. ამ მოსაზრების სისწორეს ისტორიულად საანალიზო ნაცვალსახელის ჰიპოტაქსურ აგებულებამდე მივყავართ: **დ̈ერ-ერე-ე̄ „ვინ რომ ეს“,* თუმცა ამ ეტაპზე სემანტიკურად ამგვარი გაგება არ იკვეთება.

*დერუ̄ალე*-საგან განსხვავებით, *დერე̄*-ს ადგილი წინადადებაში შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არასოდეს გვხვდება ანლაუტში; უმეტესად მოსდევს ზმნას ან შეიძლება უსწრებდეს კიდეც:

(15) *გუ̄ატუ̄ლი დერე̄* (ექსპედიციის მასალები) *„გვეძახის ვიღაცა“.*

(16) კუდირ **დერე̄დ** ა̈ნთირნე (ექსპედიციის მასალები) *„ვიღაცამ მორი მოათრია“.*

თუ ზმნა წინდებულიანია, ნაცვალსახელი ტმესის საფუძველზე წინდებულსა და ზმნურ ფუძეს შორის იკავებს ადგილს:

(17) სგა-**დერე̄დ**-ა̈ნთირნე კუდირ სიტყვასიტყვით: „შე[ვიღაცამ] მოათრია მორი“, შდრ.: „ვიღაცამ შემოათრია მორი“.

განსხვავება საანალიზო პარალელურ ნაცვალსახელურ ფორმებს შორის შეინიშნება სვანური ბრუნებისათვის დამახასიათებელი ორფუძიანობის თვალსაზრისით და არა ფუნქციურად, კერძოდ, *დერუ̄ალე,* ბრუნების თვალსაზრისით, ე’ ბოლოხმოვნიან სახელთა კვალობაზე, მეორე (ორფუძიან) ტიპს მიეკუთვნება: *დესუ̄ალ-ა „ვიღაცას“*, *დესუ̄ლ-ე̄მ-იშ „ვიღაცის“*, თუმცა

[1] ერე „რომ“ კავშირის ელიფსისი სვანურში ხშირი მოვლენაა, *შდრ.: ეჯღე̄< ეჯღა, ერე „იმიტომ, რომ”.*

ირიბ ბრუნვებში გვხვდება ერთფუძიანი ბრუნების შესაბამისი ფორმებითაც: *დერეფალე-ს „ვიღაცას“, დერეფალ-ეშ „ვიღაცის“...*[1]; *დერეფალე-*'საგან განსხვავებით, *დერე* მხოლოდ სხვა ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ბრუნების ერთფუძიანი ტიპით იბრუნვის.

ამ ფორმებს შორის სემანტიკური დაპირისპირება უმნიშვნელოა, ისინი თითქმის ნებისმიერ კონტექსტში ენაცვლებიან ერთმანეთს. გამოყენების თვალსაზრისით, სხვაობა მხოლოდ დიალექტურია – *დერე* იხმარება მხოლოდ იმ დიალექტებში, რომელთაც ხმოვნის სიგრძე ახასიათებთ, ანუ ბალსზემოურსა და ლაშხურში.

- ***ნაცვალსახელის სეგმენტთა ფუნქციური ანალიზი ქართველურ ენებში***

ბუნებრივ ენებში ინფორმაციის ჩამოყალიბება სხვადასხვა კონცეპტუალური განზომილების მიხედვით მიმდინარეობს (Harris 1998). „ვიღაცა“ და მისი ფარდი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველური ენები ირჩევენ ფუნქციონალური აქტუალიზების კონცეფციას; კერძოდ, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სტრუქტურაში ფუნქციურად დაწინაურებულია **კითხვითი ნაცვალსახელით გადმოცემული აგენსი, იგივე სუბიექტი**; **დანარჩენი ელემენტები** (ნაწილაკები, „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმები, მაქვემდებარებელი კავშირი) **კლიტიკური ბუნებისაა და გახაზავენ, რომ აგენსი განუსაზღვრელი (უცნობი), თუმცა, ამავე დროს, კონკრეტული პირია.**

[1]შევნიშნავთ, რომ საანალიზო ლექსემისთვის უფრო ბუნებრივი სწორედ ორფუძიანობაა, ხოლო ერთფუძიანი ბრუნების ტიპი ამ შემთხვევაში უფრო გვიანდელი, გამარტივებისკენ სწრაფვის ან სვანური ენის არასათანადო ცოდნის (განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობაში!) შედეგია.

უცნობი, კონკრეტული აგენსის არსებობა ივარაუდება წინადადებაში, როცა მხოლოდ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია მოცემული: იხ. მეგრულის მაგალითი (7).

უცნობი, კონკრეტული აგენსი მოცემულია წინადადებაში, როცა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი არსებითით გადმოცემული წევრის მსაზღვრელია; ამ შემთხვევაში აგენსის არსებობა თავად ნაცვალსახელითა და არსებითი სახელითაა დადასტურებული: იხ. მეგრულის მაგალითი (6).

საგულისხმოა, რომ მთქმელის დამოკიდებულება უცნობი აგენსის მიმართ ზოგჯერ ნეიტრალური ან დადებითი, მეტწილად კი უარყოფითია. ქართველურ ენებში აგენსის მიმართ გამოკვეთილად უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში (იხ. მაგალითები (11) და (12)).

ფორმალურ საშუალებათა (კლიტიკების) რაოდენობა განსაზღვრავს ფოკუსირებული ინფორმაციის **აქტუალიზაციის სიძლიერეს.** ამ თვალსაზრისით ქართველური ენები ერთმანეთს ჰგვანან; თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ინფორმაციის მატარებელი სეგმენტის („ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელით გამოხატული აგენსის) აქტუალიზაციის ინტენსივობა არასალიტერატურო ქართველურ ენებში უფრო მაღალია, ვიდრე სალიტერატურო ქართულში.

არასალიტერატუროთაგან მეგრული განსაკუთრებით გამოირჩევა განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა სტრუქტურულ-ფორმალური მრავალფეროვნებით.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველურ ენაში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის გრამატიკალიზაციის პროცესი დასრულებულია, გარდა მეგრულის III ჯგუფის ნაცვალსახელებისა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტების მონაცემებიც (იხ. მაგალითები (3) და (4)).

ქართველურ ენებში „ვიღაცა“ და მისი ფარდი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური

ანალიზი მნიშვნელოვანია რთული წინადადების ჩამოყალიბების ისტორიის გასარკვევად; განსაკუთრებით, ზეპირმეტყველებასა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში ჰიპოტაქსური მოდელების მნიშვნელობის განსასაზღვრად.

# თავი IV

## *ინფორმაციის სტრუქტურირება ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით*

## 1. მიმართვის ადგილისათვის რთულ წინადადებაში (ქართული ანდაზების მაგალითზე)

ცნობილია, რომ განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს და გადმოიცემა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელით, **მიმართვა** ეწოდება. მიმართვა არ არის დაკავშირებული სინტაქსურად წინადადების რომელიმე წევრთან; ის შეიძლება შედიოდეს წინადადების შემადგენლობაში: „შენ იცნობ კარგად, ს ო ლ ო მ ო ნ, ჩემს გულს (ბარ., 52)“, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ცალკეც იდგეს: „ – თ ა მ რ ო!.. – შევკივლე მე კანკალით და თრთოლით. – გ ა ბ რ ი ე ლ!.. – მომაძახა იმან და ზედ დამეცა (ჭავ., 317)“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 285).

მაშასადამე, მიმართვა გვხვდება წინადადების შემადგენლობაშიც და ცალკეც. ორივე შემთხვევაში მისი გამოყენება, სხვა გრამატიკულ საშუალებებთან ერთად, აზრის გამართულობას, დამთავრებულობასა და ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემას ემსახურება. ამის გათვალისწინებით, ზემოთ მიმართვის შესახებ ნათქვამი – ...ის შეიძლება შედიდოდეს წინადადების შემადგენლობაში – შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მიმართვა შედის წინადადების შემადგენლობაში, ემსახურება აზრის გამართულობას, დამთავრებულობას, ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემას, თუმცა სინტაქსურად სხვა წევრებს არ უკავშირდება, ხოლო, როდესაც მიმართვა ცალკე დაგს, რასაკვირველია, მაშინაც ამ დანიშნულებით გამოიყენება, ოღონდ ამავე ფუნქციას კონტექსტის დონეზე ასრულებს.

როცა მიმართვა წინადადების შემადგენლობაშია, ის შეიძლება იყოს წინადადების თავში, ბოლოში ანდა – წინადადების შუაში (კვაჭაძე, 1988, გვ. 292-293).

ამ საკითხზე მსჯელობისას უმთავრესად მარტივი წინადადების ნიმუშებია განხილული, იშვიათად წარმოდგენილია რთული თანწყობილი წინადადების მაგალითებიც; თუმცა მიმართვის ადგილი მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებში საგანგებოდ არ ყოფილა შესწავლილი.

მარტივ და შერწყმულ წინადადებებთან შედარებით მიმართვის ადგილის განხილვა მეტად საყურადღებოა რთულ წინადადებაში, რადგან რთული, მათგან განსხვავებით, ორ ან ორზე მეტ მარტივ ან შერწყმულ წინადადებას აერთიანებს. **ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: რთულში შემავალ წინადადებათაგან რომლის შემადგენლობაში შედის მიმართვა?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს მიმართვის ადგილის გამორკვევას ორივე ტიპის რთულ წინადადებაში, რათა სრულყოფილი სურათი შეგვექმნას იმაზე, რთული თანწყობილი თუ რთული ქვეწყობილი წინადადების რომელი ნაწილის შემადგენლობაში შედის მიმართვა და აზრობრივად მთლიანად რთულ წინადადებას უკავშირდება ის თუ მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის შემადგენლობაშიცაა.[1]

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებაზეა გამახვილებული ყურადღება და ნათქვამია, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართვა ჩვეულებრივ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებათა შუაშია: „მიგიხვდი, ჩ ე მ ო მ ო ხ ე ვ ე ვ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი (ჭავ., 262)“; „იცით, ძ მ ე ბ ო, რა მოვიგონე? (რაზ., 272)“; თქვენ იცით, ჩ ე მ ო პ ა ტ ა რ ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ე ბ ო, კოშკი რა არის? (ყაზ., 2, 162)“; „ისიც კარგია, ჩ ე მ ო პ ი რ უ ტ ყ ვ ო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე (ჭავ., 264)“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 293-294).

განსახილველად ქართული ანდაზების ნიმუშები შევარჩიეთ, რადგან მიმართვა ბევრ ანდაზაშია გამოყენებული.

## I. მიმართვის ადგილისათვის რთულ თანწყობილ წინადადებაში

მასალის განხილვის საფუძველზე მიმართვის ადგილის მიხედვით რთულ თანწყობილ წინადადებაში სამი ჯგუფი გამოიყო:

ა) მიმართვა შედის რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტთაგან ერთ-ერთის შემადგენლობაში და მეორესთანაც (ან სხვა დანარჩენთანაც) აქვს აზრობრივი კავშირ-მიმართება. ასეთ შემთხვევაში თანწყობილი წინადადების მეორე წევრთანაც მიმართვის აზრობრივი კავშირის საჩვენებლად იმავე მიმართვას კვადრატულ ფრჩხილებში წარმოვადგენთ; რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, ანდაზა ასეთი ფორმით არ გვხვდება:

(1) „**კოდალავ**, შენ სულ აკაკუნებ, მაგრამ [კოდალავ] შენი გაკეთებული ხარატულები ვერ ვნახეო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 83);

(2) „**მამავ**, გიყვარდა გუთანი, [მამავ] დაჯექ და ბანი უთხარი“ (კანდელაკი, 1999, გვ. 87);

(3) „**ცეცხლო**, ახლოს ხელი დამწვი, [ცეცხლო] შორს გივლი – გული მტკივაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 154).

თუ მიმართვა პირველი წინადადების ბოლოშია, მაშინ მისი გამეორება მეორე წინადადებასთან კავშირის საჩვენებლად აღარცაა საჭირო:

(4) „შენ რას იკვეხნი, **ყმაწვილო**, ყანა ამინდზე ჰკიდია“ (კანდელაკი, 1999, გვ. 147).

მოყვანილ მაგალითებში პირველი წინადადების შემადგენლობაში მყოფი მიმართვა აზრობრივად მეორე წინადადებასაც უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გვხვდება პირიქითაც: მაგ.,

ქვემოთ ანდაზაში მიმართვა – *ექვთიმეო* – რითმის გამო რთული თანწყობილი წინადადების მეორე კომპონენტის ბოლოსაა, თუმცა მიემართება პირველსაც:

(5) „ერთი შენ და ერთი მეო, არ გეწყინოს, **ექვთიმეო!**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 46).

ბ) რთული თანწყობილი წინადადებების კომპონენტების შემადგენლობაში თავ-თავისი სხვადასხვა მიმართვაა, რომლებიც აზრობრივად მხოლოდ იმ ცალკეულ წინადადებებს მიემართებიან, რომლებშიც გვხვდებიან:

(6) „**ალოვ**, გადი – **დღევ**, დაღამდი“ (კანდელაკი, 1999, გვ. 13);

(7) „**ბერო**, მადლი წაგიწყდა და, **მონაზონო**, სალოცავიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 25);

(8) „გეუბნები, **კედელო**, – გაიგონე, **რეგვენო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 32);

(9) „ვაიმე, **დედავ**, გული მტკივა, სადა ხარ, **ჩემო ვარდკაჭკაჭავ**“ (ვარდკაჭკაჭას ძირებს ხარშავენ წამლად) (კანდელაკი, 1999, გვ. 54);

(10) „**წითელო ვაშლო**, შენ გესვრი, **თეთრო**, შენ ჩამოვარდიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 161).

გ) მიმართვა თანწყობილი წინადადების ერთი კომპონენტის შემადგენლობაში გვხვდება და სხვა წინადადებასთან არ ავლენს აზრობრივ მიმართებას:

(11) „ლიტრას ეუბნებოდნენ და – **კოკავ**, შენ გაიგონეო!“ (კანდელაკი, 1999, გვ. 85);

(12) „მულს ელაპარაკებოდნენ, – **რძალო**, შენ გესმოდესო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 97);

(13) „ყველა ჩირი მიჭამია, შენ რაღა ხარ, **ლელვის ჩირო?**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 143);

## II. მიმართვის ადგილისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

მიმართვის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ორი ჯგუფი გამოიყოფა:[1]

ა) მიმართვა მთავარი წინადაების შემადგენლობაშია, მასთანავეა დაკავშირებული აზრობრივად და არ აქვს კავშირი დამოკიდებულთან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სინტაქსურად რთული კონსტრუქციის მქონე ანდაზებში, მათში ავტორის, მთქმელის, სიტყვებიცაა, რაც ცალკე სინტაქსური ერთეულია, თუმცა შემდეგ მას მოსდევს ჩვენთვის საინტერესო მიმართვის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება:

(14) „კატას უთქვამს: **ღმერთო, პატრონი დამიბრმავე**, რომ ჯამიდან მუდამ ლუკმა ამოვაცალოო; ძაღლს უთქვამს: **ღმერთო, პატრონი გამიმრავლე**, [იმიტომ, რომ] ყველა თითო ლუკმას მომიგდებს და მეყოფაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 78), პირველი დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია, მეორე კი – მიზეზის გარემოებითი;

(15) „საქონელმა თქვა: **ღმერთო, პატრონი მომეცი**, რომ მოხმარება შეეძლოსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 118), დამოკიდებული მიზნის გარემოებითია;

(16) „ცხვარს უთქვამს: **ღმერთო, ჩემს პატრონს ისე ნუ გააღარიბებ**, რომ შემოდგომაზე გამკრიჭოსო **და ნურც ისე გაამდიდრებ**, რომ გაზაფხულზე არ გამკრიჭოსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 157), დამოკიდებული წინადადებები ვითარების გარემოებითია.

[1] ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მიმართვის ადგილის მკაფიოდ ჩვენების მიზნით მთავარი წინადადება გამუქებულია, ხოლო მიმართვა ხაზგასმულია. წაკითხულია მოხსენებად თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, თეზისები, 06.02.2023, გვ. 98-100.

ბ) მთავარში მყოფ მიმართვას დამოკიდებულ წინადადებასთანაც აქვს აზრობრივი კავშირი.[1]

(17) „**ეგრე არ უნდა, თაყაო,** შენ რომ მამული გაყაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 9), დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

ამ შემთხვევაში მთავარია: *ეგრე არ უნდა, თაყაო* და მის შემადგენლობაში შედის მიმართვა: *თაყაო.* მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[თაყაო] შენ რომ მამული გაყაო.*

(18) „**სიძევ,** რაც გვიან-გვიან მოხვალ, **უფრო შეგვიყვარდებიო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 123), დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

ამ შემთხვევაში მთავარია: *სიძევ, უფრო შეგვიყვარდებიო* და ბუნებრივია, მის შემადგენლობაში შედის მიმართვა: *სიძევ.* მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[სიძევ] რაც უფრო გვიან მოხვალ.*

ასეთივეა ეს მაგალითიც:

(19) „**მღვდელო,** მე რომ შენს ჯიბეში ლობიოსა ვხედავ, **აღდგომა თავის დღეში არ მოვაო**“ (სახოკია, 1967, გვ. 141), დამოკიდებული მიზეზის გარემოებითია.

აქ მთავარია: *მღვდელო, აღდგომა თავის დღეში არ მოვაო* და მის შემადგენლობაშია მიმართვა: *მღვდელო.* მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[მღვდელო] მე რომ შენს ჯიბეში ლობიოსა ვხედავ.*

ცალკე, საგანგებოდ უნდა განვიხილოთ ერთი შემთხვევა:

(20) „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 111), დამოკიდებული ქვემდებარულია.

[1] ასეთ მაგალითებშიც მიმართვის დამოკიდებულ წინადადებასთანაც კავშირის საჩვენებლად იმავე მიმართვას კვადრატულ ფრჩხილებში ჩამატებულად წარმოვადგენთ.

ამ კონკრეტული მაგალითის შესახებ აღსანიშნავია აზრთა სხვადასხვაობა, რაც სტუდენტებთან გამოკითხვითაც დადასტურდა; კერძოდ, მათი აზრით, აქ „დავითაო“ მიმართვის ფორმა არ არის და მას ორნაირად ხსნიან: 1. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, იგულისხმება: დავით, ჩხუბით რაც მოგივა, ყველაფერი შენი ბრალია; 2. „რაც მოგივა და ვითაო, ყველა შენი თავითაო“, ნიშნავს: რაც მოგივა და როგორც (ვითარც), ყველაფერი შენით მოხდება.

ძნელია რომელიმე ამ ვარაუდის მართებულობის მტკიცება, მაგრამ, თუ ვიფიქრებთ, რომ „დავითაო“ მიმართვაა, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია და არა მთავარში, გამოდის, რომ ზემომოყვანილ მაგალითებთან მიმართებით ეს გამონაკლისია და სხვაგვარად უნდა აიხსნას. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმართვა მთავარ წინადადებაშიცაა და ეს რთული ქვეწყობილი წიანდადება ისეთივეა, როგორიც ზემოთ მოყვანილი (17), (18), (19) მაგალითები, რომლებშიც მიმართვას დამოკიდებულ წინადადებასთანაც აქვს აზრობრივი კავშირ-მიმართება. უბრალოდ ამ ბოლო (20) მაგალითში მიმართვა მთავარში გაუჩინარებულია, მაგრამ იგულისხმება: „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“[1], დამოკიდებული წინადადება მთავარში გაუჩინარებულ მიმართვას რეალურად წარმოგვიდგენს, რითაც გამონათქვამისთვის მორგებული რითმულობა მიიღწევა, რაც ზოგადად ანდაზათა გარკვეული ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი.

საყურადღებოა, რომ მიმართვის შემცველი ზოგიერთი დიალოგის ფორმის ანდაზა შეკუმშული სახით გვხვდება. მათი გაშლის, სრულად გადაკეთების შემთხვევაში ჰიპოტაქსურ

[1] მთავარი წინადადება აქ უსრულია, შემასმენელი აკლია, შეიძლება აღვადგინოთ და თუ მასში ნაგულისხმევ მიმართავსაც ჩავსვამთ, მთავარი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „...ყველა [ყველაფერი] მოხდება შენი თავითაო, დავითაო!“

კონსტრუქციას ვიღებთ, რომელშიც, ზემოთ განხილული ქვეწყობილი წინადადების მსგავსად. მიმართვა მთავარ წინადადებაშია და არ ავლენს კავშირს დამოკიდებულთან.

გადაკეთებისას აზრის მთლიანობა-დასრულებულობის დასაცავად სუბიექტის, კავშირის და გარკვეული ზმნების *(თქვა, უთხრა, უპასუხა, ასძახა და სხვ.)* ჩამატება გვიწევს, რის გამოც სრულად გადაკეთებული წინადადებები ზერთულია, რომელთა მთავარი წინადადებანი თანწყობილია, ხოლო დამოკიდებული – პირდაპირ დამატებითი:[1]

(21) „ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებიო და – მაგდენი არაფერიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 104),
შდრ.: ***ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებიო და [დედამ თქვა,*** *რომ] მაგდენი არაფერიო;*

(22) „მგელო, ჭკუას მოდიო და სათხებოში შევხტეო?“ (კანდელაკი, 1999, გვ. 89),
შდრ.: ***მგელო, ჭკუას მოდიო და [მგელმა თქვა,*** *რომ] სათხებოში შევხტეო?*

(23) „მღვდელო, მოწმე ვინა გყავსო და – დიაკონიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 98),
შდრ.: ***მღვდელო, მოწმე ვინა გყავსო და [ მღვდელმა უპასუხა,*** *რომ ] დიაკონიო;*

(24) „ობოლო, ვის აგინებ და ვინც გამზარდაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 104),
შდრ.: ***ობოლო, ვის აგინებ და [ობოლმა უპასუხა,*** *რომ] ვინც გამზარდაო;*

(25) „პატარა ძღვენო, სად მიხავალო? – საიდანაც დიდს მოველიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 107),

[1] გადაკეთებულ წინადადებებს დახრილად წარმოვადგენთ, ხოლო მათში აღდგენილ სიტყვებს – კვადრატულ ფრჩხილებში.

შდრ.: ***<u>პატარა ძღვენო</u>, სად მიხვალო? [პატარა ძღვენმა უპასუხა,*** *რომ] საიდანაც დიდს მოველიო;*

(26) „სიძევ, წვენი მიირთვიო და – ხორცსაც არა უშავსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 123),
შდრ.: ***<u>სიძევ</u>, წვენი მიირთვიო და [სიძემ თქვა,*** *რომ] ხორცსაც არა უშავსო;*

(27) „ცხვარო, ვისი ხარო და ვის კარზედაც ვბღავიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 157),
შდრ.: ***ცხვარო, ვისი ხარო და [ცხვარმა უპასხუა,*** *რომ] ვის კარზედაც ვბღავიო.*

ამრიგად, რთული წინადადების შემადგენლობაში მიმართვის ადგილის განსაზღვრისა და მიმართვის რთული წინადადების კომპონენტებთან აზრობრივი მიმართება-კავშირის თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი შემთხვევები:

1. მიმართვა რთული წინადადების ერთ ნაწილშია და სხვებთანაც ამყარებს აზრობრივ მიმართებას. ასეთია რთული თანწყობილი წინადადების პირველი შემთხვევა (ა პუნქტი): (1) – (5) და ზოგი რთული ქვეწყობილი წინადადება: (17) – (19).
2. რთული წინადადების ნაწილებს ყველას თავ-თავისი მიმართვა აქვთ. ასეთია ზემოთ განხილული რთული თანწყობილი წინადადების მეორე შემთხვევა (ბ პუნქტი): (6) – (10).
3. მიმართვა რთული წინადადების ერთ ნაწილში გვაქვს, დანარჩენში – არა და არც ამყარებს მათთან აზრობრივ კავშირ-მიმართებას, ასეთია:
    - რთული თანწყობილი წინადადების მესამე შემთხვევა (გ პუნქტი): (11) – (13).
    - რთული ქვეწყობილი წინადადების შემდეგი მაგალითები: (14) – (16); (21) – (27).

## 2. და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში[1]

ანდაზის წარმოთქმის სპეციფიკა – პაუზა, მახვილების სწორად დასმა, ინტონაციის გამოყოფა და ა.შ. ბუნებრივად ითხოვს მის ფრაზებად დაყოფასაც. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ანდაზის ფრაზის დაყოფის ზოგადი საფუძველი არის სინტაქსურ მთლიანობათა შექმნა მასში შემავალი წინადადების წევრთა დაჯგუფებისა და თითოეული ჯგუფის ინტონაციური ერთიანობის საფუძველზე (ლეჟავა 1959:204). ე.ი. ანდაზაში გამოყოფილი ფრაზები შესაბამისი ლოგიკური მახვილით, ინტონაციითა და პაუზით წარმოითქმის, მაგრამ ეს არ არღვევს წინადადების ერთიანობას, არ ირღვევა სინტაქსური მთლიანობა; პირიქით, მისი საშუალებით, შეიძლება ითქვას, უფრო მკაფიოდ გამოიხატება აზრი, ხაზი გაესმის ფრაზის შემადგენელ კომპონენტებს (ქაროსანიძე 2015:37). ანდაზის ფრაზებად დაყოფას, წინადადებაში სათანადო ლოგიკური მახვილების განაწილებას, ეკონომიურობის პრინციპის დაცვასა და, შესაბამისად, ფრაზის მოქნილად გადმოცემას ენაში არსებული ლექსიკურ-გრამატიკული და ინტონაციური საშუალებები უზრუნველყოფს. მათ შორის აღსანიშნავია **და** კავშირის როლი რთული სტრუქტურის ელიფსურ[2] ანდაზებში.

---

[1] ნაშრომი გრანტის ფარგლებში შესრულებულია ახალგაზრდა მკვლევრის, ფილოლოგიის დოქტორ გიორგი ჯღარკავას მიერ.

[2] ლინგვისტიკაში ელიფსისის დეფინიციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ერთი მოსაზრებით, ელიფსური წინადადება იგივე უსრული წინადადებაა, ხოლო სხვა თვალსაზრისით, ელიფსური წინადადება უსრული წინადადების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ზმნა-შემასმენელი აკლია (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. კიზირია 1987:6-26). წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ვიზიარებთ

ზოგადად, კავშირების ადგილი წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში დაწვრილებით არის შესწავლილი (როგავა 1948; ერთელიშვილი 1963; ძიძიგური 1989, 1973, 1959; აბესაძე 1965; კვაჭაძე 1988; ახალაია 1996; ლომია 2005 და სხვ.), ხოლო ქართული ანდაზების ენაში **და** კავშირის სინტაქსური ფუნქციის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ლ. ლეჟავა (ლეჟავა 1959:169-170); გარდა სინტაქსური დატვირთვისა, **და** კავშირის როლი ანდაზაში ზემოხსენებული თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას.

ლ. ლეჟავა ანდაზის ფრაზის შემოკლების ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად მიიჩნევს ელიფსურ გამარტივებას (ლეჟავა 1959:221-225)[1]. ქართული ანდაზების მაგალითზე მკვლევარი განიხილავს დიალოგის, სხვათა სიტყვისა და პოტენციალისის როლს ელიფსური კონსტრუქციების შექმნაში[2]; განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ **დიალოგის**[3] ფორმით წარმოდგენილი ზოგიერთი ანდაზის ნაწილებს **და** კავშირი აერთებს. ასეთ შემთხვევებში ანდაზა „განსაკუთრებუ-

ელიფსისის ზოგად განმარტებას და ელიფსურად მივიჩნევთ იმგვარ წინადადებას, რომელშიც ერთი ან რამდენიმე წევრია გამოტოვებული.

[1] ქართველურ ენათა ანდაზებში ელიფსისის მოვლენაზე იხ. ჭითაშვილი 1998. ამავე საკითხზე, მათ შორის, ქართულ ანდაზებში გამოტოვებული არსებითი სახელისა და ზმნა-შემასმენლის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ იხ. აგრეთვე ღამბაშიძე და სხვები 2017.

[2] გავრცელებული თვალსაზრისით, ქართველურ ენათა ანდაზებში „ძალზე ხშირია ელიფსური წინადადებები, რაც უნივერსალია ჩანს და საინტერესოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც“ (ჩანტლაძე, გულედანი 1997:284).

[3] მოყვანილ მაგალითებში, შეიძლება ითქვას, ანდაზები ერთგვარი „მონოლოგიზებული დიალოგის“ სახითაა გადმოცემული; ზოგადად, მიიჩნევა, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია, ფართო გაგებით, არის დიალოგური ბუნების. ამ მხრივ გამონაკლისი არც მონოლოგია, რომელიც ამავდროულად ადრესატზეცაა ორიენტირებული (ვრცლად იხ. ზექალაშვილი 2012).

ლი ინტონაციით წარმოითქმის, მასზე ექსპირატორული მახვილი მოდის, მის შემდეგ კი საგრძნობი პაუზაა“ (ლეჟავა 1959:179)[1]. მაგალითად:

**ქართული**

(1) პაატავ, ბანი თქვი და – ქუსლი მტკივა, ბატონოო (ჩხენკელი და სხვები 2009:90).

ზემოთ წარმოდგენილ და ამ ტიპის ანდაზებში **და** კავშირი მიჯნას დებს პირობითად გამოყოფილ პირველ და მეორე ფრაზას შორის. აღნიშნული ფრაზები ერთმანეთისგან გამოიყოფა პაუზით, რომელიც გამოტოვებული წევრის ადგილს იკავებს. ამის გათვალისწინებით, **და** კავშირი აწესრიგებს ანდაზის რიტმულ მთლიანობას და განაპირობებს ანდაზის ფრაზებად დაყოფის კანონზომიერებასაც; ამასთან, **და** კავშირი ყოველთვის პაუზის წინაა და აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, რომელიც ფრაზის დაუსრულებლობაზე მიანიშნებს და პასუხად მომდევნო ფრაზას ელოდება. მომდევნო ფრაზის ინტონაცია კი დამავალია; აღმავალი და დამავალი ინტონაციების მონაცვლეობა დამახასიათებელია განსხვავებული ინფორმაციებისთვის (Heusinger 1999; ასათიანი 2009). აღსანიშნავია, რომ ანდაზის პირველი ნაწილი მიმართვის ფორმისა და **და** კავშირის ხარჯზე მაქსიმალურად შეკუმშულია (შდრ. „პაატას უთხრეს...“, „ბატონმა პაატას უბრძანა...“ და მისთ.); ინფორმაციის ლაკონიურად//ეკონომიურად წარმოდგენას ხელს უწყობს ისიც, რომ „დიალოგში აღარაა საჭირო მთქმელის სიტყვა „... ამან უპასუხა“. საპასუხო წინადადება პაუზითა და ინტონაციით გაირჩევა“ (ლეჟავა 1959:164).

[1] ამავე საკითხის ირგვლივ მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ლეჟავა 2008:32.

ანდაზის ზემოაღნიშნული ინტონაციური მახასიათებლები საპილოტე ხასიათის ექსპერიმენტულმა კვლევამაც დაადასტურა.

ექსპერიმენტის არსი ამგვარი იყო: ცდისპირებს მიეცათ წასაკითხად „და“ კავშირიანი, თუმცა ერთმანეთისგან სტრუქტურულ-შინაარსობრივად განსხვავებული ქართული ანდაზები:

ა) თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.


ბ) თავი ვინ მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

როგორც ვხედავთ, ორივე მათგანში **და** კავშირი დასტურდება, თუმცა პირველ ანდაზაში „და“, ჩვეულებრივ, წინადადებაში მაკავშირებელი სიტყვის როლს ასრულებს, ხოლო მეორეში – სპეციფიკური ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები აქვს და ინტონაციურადაც მარკირებულია. ცდისპირებისგან დიქტოფონზე ჩაწერილი მასალა გაანალიზდა სამეცნიერო სივრცეში აპრობირებული პროგრამა „**Praat**“-ის დახმარებით. მიღებული შედეგების საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოვადგენთ ექსპერიმენტში მონაწილე ორი პირის აუდიოჩანაწერის დამუშავების შედეგად მიღებულ სქემებს[1]:

[1] საპილოტედ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების ამსახველი სქემები, დანარჩენ ცდისპირთა მონაცემების გათვალისწინებით, სრულად იხ. მონოგრაფიის დანართ ნაწილში.

A1[1]: თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.


**სქემა 1**




[1] პირობითი ნიშანი **„A1“** მიუთითებს პირველი ცდისპირის მიერ წარმოთქმულ პირველ ანდაზაზე, **„A2“** – პირველი ცდისპირის მიერ წარმოთქმულ მეორე ანდაზაზე. შესაბამისად, **„B1“** და **„B2“** ნიშნებით აღნიშნულია მეორე ცდისპირის მიერ წარმოთქმული პირველი და მეორე ანდაზები. ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირები მონოგრაფიის დანართ ნაწილში წარმოდგენილია ამავე პრინციპით.


A2: თავი ვინ მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

**სქემა 2**




B1: თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.

**სქემა 3**



B2: თავი ვინ მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

**სქემა 4**



სქემებიდან ნათლად ჩანს: პირველ ანდაზაში თხრობითი წინადადებისთვის დამახასიათებელი აღმავალი და დამავალი ინტონაციების მონაცვლეობა გვაქვს; მეორე ანდაზაში კი უმაღლესი ტონით პირველი ფრაზის დასასრული ნაწილი, კერძოდ, **და** კავშირისა და პაუზის მიჯნა ხასიათდება (იხ. სქემებზე მოცემული ტონის მაჩვენებელი ტეხილი). ანალიზის შედეგად, ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში თვალშისაცემია აგრეთვე **და** კავშირის შემდგომი პაუზის ხანგრძლივობა (შდრ. სქემა 2 და სქემა 4), რომელიც ანდაზის პირველი და მეორე ფრაზის შუაში ექცევა.

საინტერესოა ისიც, რომ ორ ფრაზად დაყოფილ ამგვარ ანდაზებში **და** კავშირის მომდევნო გამოტოვებული ერთ-ერთი წევრი აუცილებლად ზმნური ერთეულია. სწორედ გამოტოვებული წევრების საკომპენსაციოდ გამოიყენება პაუზა[1]:

**ქართული**

(2) ობოლო, ვის აგინებ **და** – ვინც გამზარდაო (ჩხენკელი და სხვები 2009:87);

შდრ.: ობოლო, ვის აგინებ და, **[(იმას) ვაგინებ],** ვინც გამზარდაო.

**მეგრული**

(3) ტურაქ ღურა დაჭყუა **დო** – დუდი ოქოთომეშე ქომიღოლითია „ტურა კვდებოდაო **და** – თავი საქათმისკენ მიყავითო“ (შეროზია, მემიშიში 1994:129).

შდრ.: ტურაქ ღურა დაჭყუა დო, **[იჩიებუდუ],** დუდი ოქოთომეშე ქომიღოლითია „ტურა კვდებოდაო და, **[ამბობდა],** თავი საქათმისკენ მიყავითო“.

[1] საინტერესოა, რომ წინადადებაში **და** კავშირის სპეციფიკური გამოყენების ამგვარ შემთხვევებს, ქართული, მეგრული, სვანური და წოვათუშური ენების მაგალითზე, ე.წ. „ექოშეკითხვების“ (გერმ. „Echofragen“) კონტექსტში განიხილავს ი. გიპერტი (Gippert 2009).

**სვანური**

(4) ციცუ̂ ფელიკს ესერ დეშ ლახკუ̂ეფხა **ი** – სურუ ლგჯიმ ესერ ლი, მა̃მ ესერ რ̃მი (ექსპ. მასალები) „კატა ბარკალს ვერ შეწვდა **და** – მლაშეა, არ იჭმევაო“.

შდრ.: ციცუ̂ ფელიკს ესერ დეშ ლახკუ̂ეფხა ი, **[ხოქუ̂ა],** სურუ ლგჯიმ ესერ ლი, მა̃მ ესერ რ̃მი „კატა ბარკალს ვერ შეწვდა და, **[უთქვამს],** მლაშეა, არ იჭმევაო“.

ელიფსურად ჩავარდნილი წევრი სხვა მეტყველების ნაწილიც შეიძლება იყოს. მაგალითად:

**მეგრული**

(5) ცვერეს ოსურიში ღურა მუთ შეუწამუანია **დო** – ვაძირგნცგნი, ვეჩინენციაო? „ბრმას ცოლის სიკვდილი როგორ აცნობონო („შეუცხადონო“) **და** – რომ ვერ ნახავს, ვერ გაიგებსო?“ (შეროზია, მემიშიში 1994:154).

შდრ.: ცვერეს ოსურიში ღურა მუთ შეუწამუანია დო, **[(თ)ინა//თის],** ვაძირგნცგნი, ვეჩინენციაო? „ბრმას ცოლის სიკვდილი როგორ აცნობონო („შეუცხადონო“) და, **[ის//იმას],** რომ ვერ ნახავს, ვერ გაიგებსო?“

ზემოაღნიშნული ფუნქციით **და** კავშირი დასტურდება რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემულ ისეთ ანდაზებშიც, რომელთა სტრუქტურა ასეთია:

**ავტორის ნათქვამი** + **ნაწილაკიანი პირდაპირი სხვისი ნათქვამი:**

**ქართული**

(6) მშიერს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო **და** – მშიერი მუცელიო (ჩხენკელი და სხვები 2009:83).

(7) ქაჩალს ჰკითხეს: ვინ უფრო გძულსო **და** – ვინც თავი დამვარცხნაო (იქვე:119).

(8) ერთმა კაცმა ნალი იპოვნა **და** – ღმერთო, სარკინე ამოაგდეო (იქვე:34).

**მეგრული**

(9) ბაღანა იგარდუა: მუშენი იგარქია **დო** – გუმალე დო თიშენია „ბავშვი ტიროდაო: რატომ ტირიო და – გამდის და იმიტომო“ (შეროზია, მემიშიში 1994:17)[1].

რაც შეეხება ამ ტიპის ანდაზებში **და** კავშირის ფუნქცია-დანიშნულების საკითხს, იგი ამოსავალი შინაარსისგან დაცლილია და ისეთ ფუნქციურ ელემენტადაა ქცეული, რომელიც მიჯნას დებს ანდაზის ნაწილებს (პირობითად დაყოფილ ფრაზებს) შორის.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ჩავარდნილი წევრის ადგილზე აუცილებლად უნდა დაიწეროს *ტირე*. როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბეჭდურად თუ ელექტრონულად გამოცემულ ანდაზებში ეს ნიუანსი ხშირად გათვალისწინებული არ არის, რაც ანდაზური შინაარსის სხვაგვარი ინტერპრეტაციის (ან გაბუნდოვანების) საფუძველი შეიძლება გახდეს.

ამრიგად, ქართველურ ენათა ანდაზებისთვის ნიშანდობლივია **„და“** კავშირიანი ელიფსური სტრუქტურის მოდელი, რომელიც იმავდროულად **დიალოგური** მეტყველების ნიმუშიცაა („ქურდს რა უნდა და – ბნელი ღამეო“ ტიპის ანდაზები). ამგვარი აგებულების ანდაზაში ფრაზის ნაწილებს შორის მიჯნას დებს „და“ კავშირი, რომელიც, ამავდროულად, აწესრიგებს ანდაზის რიტმულ მთლიანობას **ინტონაციითა** და **პაუზით,** კერძოდ:

ა) „და“ კავშირი აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის;

[1] ქართველურ ენათა ანდაზებში ზემოთ წარმოდგენილი ელიფსისის ამსახველი მაგალითები შეიძლება იმ მოსაზრების დამატებით არგუმენტად გამოდგეს, რომლის მიხედვითაც ანდაზა ამოსავალში რთული წინადადებით იყო გადმოცემული და შემდეგ გამარტივდა.

ბ) მის მომდევნოდ ხანგრძლივი პაუზაა, რომელიც გამოტოვებული წევრ(ებ)ის (მაგ., ზმნური ერთეულის) საკომპენსაციოდ გამოიყენება.

საანალიზო მოდელში „და“ კავშირის **სპეციფიკურ-სტილური** ფუნქციით გამოყენება დაადასტურა სპეციალურად ჩატარებულმა ექსპერიმენტმა.

**ბიბლიოგრაფია**


1. **აბესაძე 1965:** ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, გვ. 229-257, თბილისი.
2. **ასათიანი 2009:** რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, კრებულში „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, გვ. 14-29, თბილისი.
3. **ახალაია 1996:** ვ. ახალაია, და კავშირი და რთული ქვეწყობილი წინადადება ქართველურ ენებში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, №5, გვ. 147-154, თბილისი.
4. **ერთელიშვილი 1963:** ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I – ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
5. **ზექალაშვილი 2012:** რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

6. **კვაჭაძე 1988:** ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
7. **კიზირია 1987:** ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
8. **ლეჟავა 2008:** ლ. ლეჟავა, ანდაზა, ენციკლოპედია ქართული ენა, გვ. 32-33, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი.
9. **ლეჟავა 1959:** ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 139-264, თბილისი.
10. **ლომია 2005:** მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
11. **როგავა 1948:** გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი.
12. **ქაროსანიძე 2015:** თ. ქაროსანიძე, მეგრული ანდაზის ენა (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
13. **ღამბაშიძე და სხვები 2017:** მ. ღამბაშიძე, ნ. გელდიაშვილი, ს. ასატუროვი, ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგია (ქართული და რუსული მასალის მიხედვით), გამომცემლობა „წიგნი+ერი“, თბილისი.
14. **შეროზია, მემიშიში 1994:** რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები), გამომცემლობა „მსგეფსი“, თბილისი.
15. **ჩანტლაძე, გულედანი 1997:** ი. ჩანტლაძე, ლ. გულედანი, ქართველური ანდაზები, ჟურნალი „ქართველური მემკვიდ-

რეობა", I, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", გვ. 282-286, ქუთაისი.

16. **ჩხენკელი და სხვები 2009:** ჰ. ჩხენკელი, ვ. ჩხენკელი, ფ. ჩხენკელი, ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები), გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი.
17. **ძიძიგური 1989:** შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში (კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების საფუძველზე), გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.
18. **ძიძიგური 1973:** შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
19. **ძიძიგური 1959:** შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის (კავშირები და საკავშირებელი სიტყვები), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი.
20. **ჭითაშვილი 1998:** ე. ჭითაშვილი, პრედიკატული სახის ელიფსური კონსტრუქციები ქართველურ ანდაზებში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, №4, გვ. 182-192, თბილისი.
21. **Gippert 2009:** J. Gippert, Echos aus dem Kaukasus, Zur Typologie von "Echofragen", M. Kappler, M. Kirchner, P. Zieme (ed.), Trans-Turkic Studies, Festschrift in Honour of Marcel Erdal, Istanbul: Pandora 2010 (Türk Dilleri Araştırmaları Dizisi, 49), pp. 353-378.
22. **Heusinger 1999:** K. von Heusinger, Intonation and Information Structure, Habilitationsschrift, University of Konstanz, Germany.

## ძირითადი დასკვნები

1. ქართველური ენები ინფორმაციის სტრუქტურირებისა და ფოკუსირებისთვის იყენებს ფორმალურ მარკერებს სხვადასხვა ენობრივ დონეზე; ესენია:
   - **ფონეტიკა-ფონოლოგია** (ინტონაცია, მახვილი, ტონი და მისთ.).
   - **მორფოლოგია-სინტაქსი** (ბრუნვა, კლიტიკა, სიტყვათა რიგი, წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგება, სპეციფიკური კონსტრუქციები და მისთ.).
   - **ლექსიკა-სემანტიკა** (სპეციალური სიტყვები, ნაწილაკები და მისთ.).
2. ნათქვამს მეტი გამომსახველობითი ძალა აქვს, თუ ენას ამ მონაცემების კომპლექსურად გამოყენება შეუძლია. ქართველურ ენებს შორის ამ თვალსაზრისით გამოირჩევა მეგრული, რომელიც ინტონაციასთან ერთად ძირითადად რამდენიმე ფორმალურ საშუალებას იყენებს ინფორმაციის აქტუალიზებისთვის. სხვა ქართველურ ენებში, ქართული ენის დიალექტებში, ქართულ ზეპირმეტყველებაში, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია მხოლოდ ინტონაცია ქმნიდეს კონტექსტს; განსაკუთრებით ეს ითქმის სვანურზე.
3. დასახელებული ენობრივი საშუალებების რეალიზება ჰიპოტაქსურ მოდელებში ხდება:
   - სინტაქსური საზღვრის დარღვევით. ტრადიციულ სინტაქსურ ნორმასთან მიმართებით იკვეთება მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების თავისებური განლაგება, რომლის ფარგლებში განიხილება:

   ა. ერთკომპონენტიანი მთავარი წინადადების (ვფიქრობ, ვვარაუდობ და მისთ.) ინტერპოზიცია დამოკიდებულში;

(შდრ.: სალიტერატურო ენის ნორმა – მთავარი წინადადების ინტერპოზიცია).

ბ. კორელატის მოთავსება დამოკიდებულის შემდეგ, წინადადების ბოლოს (ვარიაციები განსაკუთრებით იზრდება მაშინ, თუ მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენებულია კლიტიკა, მაგალითად, -ნი „რომ“ მეგრულისთვის).

გ. საზღვარი დარღვეულია ***რასაა, რომ ამბობ*** ტიპის კონსტრუქციაში, რადგან მთავარ წინადადებაში კითხვითი სიტყვით გადმოცემულ სუბიექტს (რა-ს) მართავს დამოკიდებული წინადადების ზმნა (ამბობ).

4. გახლეჩილ, გაყოფილ ჰიპოტაქსურ მოდელებში ჩართულია ***ვარენო*** *„არ არის?“*კომბინირებული ფრაზა მეგრულში და ქალაქური მეტყველების ტიპოლოგიას იმეორებს (შდრ.: „...ჩვენი საწყალი გოგია არ არის*?* იმას თურმე ქალი დაუნიშნავს...“). ამგვარი მოდელები სხვა (სვანური, ქართული ზეპირმეტყველება, დიალექტები) ემპირიულ მასალაშიც დასტურდება.
5. მასალის ანალიზმა წარმოაჩინა ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი სხვა სახის თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციებიც:

   *ბ. გამეორებულსიტყვიანი.*

   *ა. ინიციალური სახელობითის შემცველი.*

   *გ. პროსოდიული საშუალებებით გაფორმებული.*
6. მეგრულში ჰიპოტაქსური სტრუქტურისაა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, რომელსაც უკავშირდება აქტიური და პასიური კონსტრუქციების მონაცვლეობის საკითხი. როცა სუბიექტი უცნობია, ენა იყენებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს. მეგრული ასახავს ამ უნივერსალიას, რაც პოტსდამ-ბერლინის ტესტების მიხედვით ჩატარებული ექსპერიმენტითაა დადასტურებული.

7. მეგრულისა და სვანურის ჰიპოტაქსური მოდელებით არაერთი არქაული მოვლენაა გადმოცემული; ეს ვითარება განსაკუთრებით სვანურშია ასახული.
8. „სინტაქსური ასიმილაციის“ სახელით ცნობილი ჰიპოტაქსური მოდელის არსებობა ადასტურებს, რომ ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ერთნაირად დასტურდება ჰიპოტაქსის ადრეული ეტაპი.
9. განსაკუთრებით პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში იკვეთება ჰიპოტაქსის კითხვითი წინადადებისგან მომდინარეობა.
10. მხატვრული ტექსტებიდან მოხმობილი პარალელები გვიჩვენებს, რომ მასში ასახულია ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.
11. ქართველურ ენათაგან ლაზური მასალა ყველაზე ნაკლებად იძლევა პარალელების მოხმობის საშუალებას, თუმცა საბოლოო ჯამში მონაწილეობს საერთოქართველური ერთიანი ენობრივი სურათის შექმნაში.
12. ქართველურ ენათა მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ ზეპირი მეტყველებისათვის, ფსიქოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, კომუნიკაციის წარმართვა უფრო ბუნებრივია თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით.

**Summary**

*This part embraces papers (articles and abstracts) in English presented by the authors of the book at local and international conferences as well as other materials reflecting important arguments discussed in the present work. The papers presented here have been jointly reworked by the authors for the purpose of the monograph.*

## 1. "Syntactic Assimilation" in Kartvelian Languages from the Diachronic and Synchronic Viewpoints[1]

*Introduction: Theoretical Framework*

The literary and non-literary languages select diverse strategies of structuring and transfer of information. However, in some cases, the historical data of the literary language and the synchronic data of the non-literary language are similar. The non-literary language is not subject to any norms. Hence, it uses grammatically excessive means, which, as is well known, is important from the informational viewpoint.

The paper focuses on the material of Kartvelian languages, comparing the data of literary and non-literary languages, taking into account the diachronic and synchronic periods.

The Kartvelian group of languages embraces Georgian, Megrelian, Laz and Svan. Out of these, Georgian is the literary language. The following periods of its development have been distinguished: Old, Middle and New. Megrelian, Laz and Svan languages were spread orally for centuries. Recording of texts (oral data) in these languages started at the end of the 19th and beginning of the 20th century.

The common linguistic phenomenon peculiar of the literary and non-literary Kartvelian languages is "syntactic assimilation", which is found in complex sentences containing attributive clauses. Such hypotactic constructions are statistically most widespread because

[1] Read as a paper at the international conference NALANS-9, 3-5.10.2023. Trabzon, Turkey. Published in the conference program, book of abstracts and book of proceedings. See: https://app.oxfordabstracts.com/dashboard https://www.ktu.edu.tr/dosyalar/nalans2023_f9cee.pdf

the attributive clauses pertain to nouns and characterize any member of the sentence that is denoted by a noun. A thorough analysis of a subordinate clause implies the study of its entire structural and functional aspects, based on its genesis and, in general, historical syntax.

The formal features of attributive clauses are as follows: the referred word denoted by a noun and the conjunction (member-conjunction or subordinating conjunction). In case of "syntactic assimilation", the main and subordinate clauses are united only by means of a member-conjunction; the referred word occupies the initial position in the constrution, whereas the subordinate clause is included in the main clause (interposition). Due to this order, the referred word and the member-conjunction are placed together.

*Definition of the term and Problems under Analysis*

The term "syntactic assimilation" was introduced by Brugman and is based on the analogy of phonetic assimilation. Syntactic assimilation is also called "attraction".

The following problematic issues are related to the question under analysis:

a. In case of "syntactic assimilation", the traditional syntactic boundary between and main and the subordinate clauses is destroyed.
b. The hypotactic construction is arbitrarily divided into two parts.
c. In the first part, there is a referred word (noun) and a relative pronoun (member cojunction); they correspond in case-forms and are formally similar (the above-mentioned term reflects this fact).
d. In the second part, there is a pleonastically expanded personal pronoun[1], which is equal to the referred word (noun).

[1]In the terms of K. Dondua, "the compromising form" (Dondua 1940:12).

e. The pleonastically expanded pronoun is governed by the predicate-verb of the main clause.

"Syntactic assimilation" and pleonastic extension of the correlate are usual for oral speech. This phenomenon is widespread on each of the three stages of development of the literary Georgian language. It is found in Old Georgian (Shanidze 1950:315-316; Schuchardt 1950: 62; Ertelishvili 1962:17-19; Kiziria 1969: 70-75), Middle Georgian (Kiziria 1969: 77) and New Georgian, especially in oral speech (Topuria 1988: 97-98); it is also frequent in Megrelian and Svan, as well as dialects of Georgian (Abesadze 1962; Kvantaliani 1990; Lomia 2005).

*E x a m p l e s:*

*Old literary Georgian:*

(1) s i t x'u a s a r o m e l s a vit'x'ode, **man** saǯos igi uk'anajsk'nelsa dγesa (iovane 12, 48).
"the word that I have spoken, it will condemn them at the last day".

*Analysis:*

*a.* s i t x'u a s a "the word" (reffered word) and r o m e l s a "that" (member-conjunction) in fact represent a collocation: they are pronounced with one intonation and are not separated by a comma.

b. the pronoun ***man*** *"it"* (correlate) is grammaticaly "redundant", but its existence is functionally necessary. In the main clause ***man*** *"it"* stands for the lexeme s i t x'u a s a / word.DAT = ***man*** / ***it.ERG*** and is governed by the predicate of the main clause (*saǯos* "condemn").

c. s i t x'u a s a " word" is in the dative case and is governed by the predicate of the subordinate clause (vit'x'ode "spoken"), instead of standing in the ergative case and being governed by the predicate of the main clause (*saǯos* "condemn").

The peculiarity of the chief construction under analysis will become more vivid if we compare it with the alternative version which is more correct from the viewpoints of syntax and punctuation:

*Chief construction:*

(1) s i t x'u a s a . DAT r o m e l s a . DAT vit'x'ode, **man. ERG** saǯos igi uk'anajsk'nelsa dγesa.

*Alternative construction:*

(1a). s i t x'u a m a n . ERG, r o m e l s a . DAT vit'x'ode, saǯos igi uk'anajsk'nelsa dγesa.

The semantics of other examples below should be understood in the same way:

(2) s u l i . NOM r o m e l i . NOM aka ganisc'avlos, **man.ERG** p'oos c'x'alobai sauk'unesa (c'art'x'uen., 6).
"The soul which is enlightened here, it will fund eternal grace".

*Middle literary Georgian:*

(3) …k ' a c i. NOM r o m e l i . NOM c'inamʒγvari aris mati, **misgan.GEN** aris x'velai… (amirandareǯaniani, 97).
"... The man whois their leader, he is the reason for all this..." (Amirandarejaniani, 97): https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/34-amirandarejaniani.pdf

*Megrelian Language:*

(4) o s u r i . NOM n a m u t i . NOM čxubendun, **tik.ERG** xorci mideeγu.
"The woman who was quarrelling, she took the meat".

*Svan Language:*

(5) m e t x w ä r. NOM x e d a . NOM γwašs adgäri, **amnemd. ERG** nätxwra isgd ax'wil.
" Hunter, who killed to tur, he divided the prey into two parts".

*The Linguistic and Extralinguistic factors Leading to the Development of "Syntactic Assimilation"*

Scholarly literature mentions different reasons fo the development of "syntactic assimilation":

a. ***On the linguistic level, it is related to the early period of conception of hypotactic constructions***: "this is a transition stage between compound and complex sentences" (Dondua 1940:335-336; 1949:198-199). K. Dondua shared A. Potebnya's opinion and noted that the final development of the complex sentence was preceded by the period when "the relative pronoun served as an attribute to the referred word" (Dondua 1940:335).
b. ***On the extralinguistic level, the psychological factor has played an important role****:* in oral speech,"in a continuous text, after a certain time, the above-given information is repeated, because the speaker thinks the hearer has forgotten what he/she has said and tries to restore it in the hearer's memory" (Enukidze 1987:121).

*The Typology of "Syntactic Assimilation" and Research Perspectives*

Systemic analysis of the empirical material has proved that the constructions containing "syntactic assimilation" are peculiar of Kartvelian languages. However, it should be noted that such hypotactic patterns are also widespread in European languages (Yartseva 1961: 246). K. Dondua has analyzed the types of "syntactic assimilation" on the example of Old Greek (See Dondua 1940:330-333). The typology of "syntactic assimilation" proves that we are facing a collective (cognitive and linguistic) phenomenon.

The existence of such processes in the Kartvelian languages which differ in social status (literary and non-literary) yields a perspective for the research of genesis and development of hypotactic constructions. As it seems, the initial hypotactic patterns applied a flexible strategy of structuring of information (intonation, word order, pleonastic extension-repetition etc.) without specific

rules of normalization. On the following stage of development, the literary language refined the rules of sentence construction based on grammatical (syntactic) norms, whereas the non-literary languages (colloquial speech) left it unchanged.

***References:***

**Abesadze 1962** − Abesadze N. Member-Conjunctions of Hypotaxis and Conjunctions in the Svan Language. PhD Thesis [with the right of manuscript]. Tbilisi, 1962 (in Georgian).

**Dondua 1940** − Dondua K. The Relation between the Relative Pronoun and the Referred Word in Old Georgian. The Herald of the Institute of Language, History and Material Culture, V-VI, Tbilisi, 1940 (in Georgian).

**Dondua 1949** − Dondua K. The History of Development of Subordinate Clauses in Old Georgian. TSU Papers, volume 37. University Tbilisi Press. Tbilisi, 1949 (in Georgian).

**Enukidze 1987** – Enukidze L. Key Syntactic Theories in Modern Foreign Linguistics. Publishing House "Metsniereba". Tbilisi, 1987 (in Georgian).

**Ertelishvili 1962** − Ertelishvili P. The History of Complex Sentences in Georgian. Issues of Hypotaxis. University Tbilisi Press. Tbilisi, 1962 (in Georgian).

**Topuria V. (1988).** Topuria V. The Georgian Language and Certain Issues of Spelling. Publishing House "Ganatleba". Tbilisi, 1988 [first published in 1965. Publishing House "Nakaduli". Tbilisi] (in Georgian).

**Kvantaliani 1990** − Kvantaliani L. − Issues of Georgian Oral Speech Syntax. Publishing House "Metsniereba". Tbilisi, 1990 (in Georgian).

**Kiziria 1969 − Kiziria A.** The Structure of a Complex Sentence in Old Georgian. Publishing House "Metsniereba". Tbilisi, 1969 (in Georgian).

**Lomia 2005 −** Lomia M. Issues of Hypotaxis in the Megrelian language. Publishing House "Universali". Tbilisi, 2005 (in Georgian).

**Schuchardt 1950 −** Schuchardt N. On the Passive Nature of the Transitive Verb in Caucasian Languages. Ergative Construction of the Sentence. Moscow, 1950 (in Russian).

**Shanidze 1950 −** Shanidze A. Old Georgian Language: A Reader in Old Georgian Language and Literature. University Tbilisi Press. Tbilisi, 1950 (in Georgian).

**Yartseva 1961 −** Yartseva V. N. Historical syntax of the English language. Moscow-Leningrad, 1961 (in Russian).

***Resource:***

"**Amiran-Darejaniani**" by Mose Khoneli, edited by Sargis Kakabadze, 1939.

**c'art'x'uen.:** "The Sack of Jerusalem". published by N. Marr, 1909.

**John's Gospels**: "Two Old Versions of Georgian Gospels Based on Three Manuscripts of Shatberdi (897, 936 and 973), published by A. Shanidze (in the series: "Old Georgian Language Monuments", 2). 1945.

The Megrelian and Svan examples are taken from the materials of linguistic expeditions (2022).

Abbreviations:
DAT – Dative case
ERG – Ergative case
GEN – Genitive case
NOM – Nominative case

## 2. The Simple and Hypotactic Sentence Structures: the Basis for the Distinction of Information (A Comparative Georgian-Megrelian Analysis)[1]

*1. Introduction: The Issue under Analysis and Theoretical Framework*

Unlike the literary language, oral languages are characterized by a more active and live strategy for the structuring, transfer and actualization of information. As a rule, for the formalization of a member actualized in oral speech, this or that language unit is used in a facultative function.

This phenomenon is discussed in the given paper on the example of simple and hypotactic structures in Georgian and Megrelian. Alongside with Svan and Laz, Georgian and Megrelian are related South Caucasian languages. Out of the four, Georgian is a literary language, which has its dialects; whereas other Kartvelian languages − Megrelian, Laz and Svan are non-literary and unwritten.

The paper analyzes interrogative sentences of simple and hypotactic structure in Georgian and Megrelian. It is widely known that there are two types of interrogative sentences: those with and without question words. Such sentences are especially valuable for the structuring of information, because "any information marked by a question word implies a focus, a logical emphasis on the word in the flow of information" (Asatiani 2011: 5-11); In such cases, it is even more interesting to observe the alteration of the formal structures (simple and hypotactic sentences) with question-words, because this alteration yields the difference in the information.

[1] Read as a paper at the international conference NALANS-9, 3-5.10.2023. Trabzon, Turkey. Published in the conference program, book of abstracts and book of proceedings. See: https://app.oxfordabstracts.com/dashboard https://www.ktu.edu.tr/dosyalar/nalans2023_f9cee.pdf

Our aim is to show in which cases the alteration of simple and hypotactic patterns leads to the change in the information and what formal means are used to achieve this result.

2. *Empirical matreials*

Following data bases were used for empirical material:
TITUSI - http://titus.Uni-frankfurt.de
ARMAZI - http://www.Uni-frankfurt.de./armazi/
GNC - http://gnc.gov.ge/gnc/page
(The deadline of data availability is 30.09.2023).
Megrelian, Laz, Svan text publications.
2022-2023 expedition entries.

3. *Analysis of the issue in the Georgian and Megrelian*

*a. An interrogative sentence of simple structure:*

(1) *Georgian: sad midixar?, cf.: Megrelian: so meurk? "Where are you going?"*

In both languages, this context is used when the speaker (first person) asks a question to the hearer (second person) wanting to know where the latter is going. Hence, the sentence is marked with an interrogative intonation and is emotionally neutral. Thus, in this regard, the literary and non-literary language are similar.

*b. The Change of Context and Comparative Analysis of the Georgian and Megrelian Material*

When the context changes due to background knowledge, the speaker is not interested in where the hearer is going. Instead, the speaker wants to know why the hearer is going to a certain place. Based on this, there are additional emotional-informational nuances: anger, irritation. In such cases, the literary Georgian uses only a change in the intonation, leaving the simple sentence structure unchanged:

(2) Georgian: *sad midixar?! Lit.:* "Where are you going?!", *That is semantically: Why are you going?!*

The situation is different in Megrelian: alongside with the change in the content, there is a change in the construction, namely, a hypotactic structure is used instead of a simple one, cf.:

*(3) Megrelian: so re, meurkuni?! Lit.: „Where is it that you are going?!" That is semantically: Why are you going?!*

*Note 1: in the Megrelian example (See example 3), we used the punctuation mark (comma) based on traditional syntax in order to underline the syntactic border (formally divide the main and subordinate clause). In natural oral speech, this construction is unified. This fact is also reflected in printed Megrelian texts.*

Thus, the re are two types of contexts in Georgian and Megrelian; One type of context is expressed in both languages by means of a simple sentence with a question word. The other type of context contains the so-called indirect question:in Georgian, it is expressed by a simple sentence, and the change of the context is expressed by means of intonation (in oral speech) and a punctuation mark (in writing).

In Megrelian language the change in the structure of the sentence forms grounds for the change in the content of information; namely, the simple sentence is replaced by a sentence with a hypotactic structure, uttered with a different intonation.

*Note 2: The intonation structure of the utterance is viewed as one of the universal means of emphasis on the information in natural languages (Chafe 1973:244; 256-260).*

*4. A Sentence with a Hypotactic Structure in Megrelian: Analysis*

In Megrelian, the components of a simple sentence take part in the construction of a hypotactic structure. The question word in the

main clause adds the verb /re/ "is", whereas the predicate-verb in the subordinate clause adds the conjunction enclitic /-ni/ "that". In Megrelian, the components of a hypotactic structure (in the main clause, *re* „is", and, in the subordinate clause, *-ni* „that") perform the function of actualization of information.

It is quite natural that the third person form of the verb *x'opna "to be"* (*re "is"* in Megrelian, resp. *aris "is"* in Georgian) and the subordinating conjunction (*-ni "that"* in Megrelian, resp. *rom"that"* in Georgian) do not perform the ir main syntactic function in the construction under analysis. This can be explained by the neutral meaning of the above-mentioned lexical units which are unmarked.

Decemantization of the verb /re/ "is" and the conjunction /-ni/ "that" is a complex case of structuring of information; namely, these formal means simultaneously mark the new information provided in the main clause (rema/focus) and the old information provided in the subordinate clause (tema/topic). The hypotactic structure under analysis is also peculiar from the morphological and syntactic viewpoints. This is especially vivid when the question word in the main clause in a declined pronoun. This pronoun is governed by the verb in the subordinate clause:

(4) *Megrelian: mu-s. DAT re (F), ortuku.AOR.S3.SG-ni (T)* "what is it that you are doing?!", cf: *mu-s.DAT ortuku.AOR.S3.SG* "what are you doing?!"

*5. Typology*

It should be noted that the change inthe structure (the substitution of the simple structure by the hypotactic one) caused by the change in the information is also widespread in the Western subsystems of the literary Georgian language (dialects of Imereti and Guria). These regions are adjacent to the districts where Megrelian is spoken; such examples are also frequent in the literary works of Georgian writers.

*Examples:*

(5) dialects of Guria: rasaa, ca, ro anbop?! Lit. What are you saying, girl?! Semantics: why are you saying this?!

(6) dialects of Imereti: rasaa, ro axverc'niebt?! Lit: what are you making her to beg for?! Semantics: Why are you making her to beg?!

(7) rasaa, rom mibedavs?! Semantics: why does he dare to do this?! (Nodar Dumbadze, "Granny, Iliko, Ilarion and I", 1966).

(8) ras aris, rom lap'arakob, Data batono?! Semantics: Why are you speaking like that, Data?! (Chabua Amirejibi, "Data Tutashkhia", 1975).

*6. Conclusions*

The above-mentioned enables define the entire hypotactic construction as a cleft construction (Harris 1993).

Many languages worldwide abound in the examples where the focusing of information is based on cleft constructions.The data of the English language form a classical example of this phenomenon (See Harris 1993). According to the universal definition, the hypotactic construction found in Megrelian does not represent acleftpattern, because the nominal member of the main clause is governed by the predicate-verb of the subordinate clause (see examples: (5), (6), (7), (8)). Despite this difference, Alice Harris has raised the issue of expanding the concept of cleft construction, having in mind exactly the Megrelian material (Harris 1993). After making such an assumption, it will be possible to qualify the examples found in Megrelian, Georgian dialects and works of Georgian writers as the examples of the cleft pattern.

Thus, actualization is made in languages by diverse means such as intonation, special lexical units, cleft constructions etc. Out of these, the literary Georgian language uses only intonation, whreas

the non-standard Megrelian language applies all the three means of actualization.

***References:***

**Asatiani 2011** − Asatiani R. Information Structure of a Sentence: "Cleft" questions in Megrelian and Laz, pp. 5-11. Issues of Linguistics. University Tbilisi Press. Tbilisi, 2011 (in Georgian).

**Chafe 1973** − Chafe U. L.Meaning and structure of language. Translated from English into Russian by G. S. Shchura, afterword. S. D. Katsnelson. M.: Progress (Reprints: M.: Editorial URSS, 2003; 2009).

**Harris 1993** − Harris A. Changes in Relativization Strategies: Georgian and Language Universals, Caucasologie et mythologie comparée, ed. by Catherine Paris, 391-403. Paris: Peeters. 1992 [1993].

Abbreviations:
AOR − Aorist
DAT − Dative Case
F − Focus
S3 − Subject person 3
SG−Singular
T – Topic

## 3. Structural-semantic Analysis of Conditional-Resultative Hypotactic Constructions: Synchronic and Diachronic Aspects

*Abstract*

*An important means of formulation and transfer of information is the relation between condition and result. Such contexts are found in every language, although each language expresses them differently. Conditional-resultative hypotactic constructions consist of two components – main and subordinate clauses; The condition is given in the subordinate clause, the predicate of which represents the action which serves as a precondition for the fulfillment of the second action. The condition is followed by the result, which is given in the main clause and takes place if the corresponding condition is fulfilled. The conditional-resultative hypotactic construction is characterized by a close semantic connection between its constituent components, as a result of which, the entire sentence is understood as a single semantic unit. Based on this, the basic structure of the construction is defined and its semantic diversity is revealed. Based on the extensive empirical data from the Kartvelian languages[1] and taking into account both diachronic and synchronic perspectives, the conditional-resultative hypotactic construction sare analyzed. Their genesis is identified; archaic features still present on the synchronic level are confirmed; the processes of formation and simplification of multi-predicate structural units are analyzed, and the ways of development of complex conjunctions are revealed. The analyzed construction is also evaluated in terms of the category of*

[1] The Kartvelian (resp. South Caucasian) group embraces four languages, out of which Georgian is a written literary language, whereas Megrelian, Svan and Laz are non-literary, non-written languages.

*evidentiality; the relationships between affirmative and negative condition and result are identified.*

1. *The Essence and Interrelation of Condition and Result and the Ways of Their Development*

The condition andresult form a semantically interconnected linguistic semantic unit. Akaki Shanidze even distinguishes conditional and resultative moods in Georgian, which are expressed through verbal forms within the structure of complex sentences. “To express these, two verbs are necessary: one denotes the action as a condition, and the other –the result stemming from this condition, in the form of another action” (Shanidze 1980: 208-209). The fulfillment or non-fulfillment of the condition determines the nature of the result. 'The relationship between the conditional clause and the main clause is typically as follows: the subordinate clause expresses the condition, while the main clause – the result” (Kvachadze 1988:390). Accordingly, the verb expressing the condition is the predicate of the subordinate clause, and the verb expressing the result belongs to the main clause. However, the condition does not relate to just one member of the sentence, but to the main clause as a whole.

It is known that the tripartite tense system in Georgian developed relatively late; at earlier stages, the opposition between events was aspectual in nature, expressed through discontinuous (momentary) and continuous (durative) types of action or state. The momentary form of action denoted the past, while the durative one – the present. Both conveyed real events or states that had occurred or existed. However, the durative form could also express unreal situations – specifically, those that would occur in the future. Accordingly, along with the emergence of the concept of future tense, a sense of uncertainty or doubt regarding the agent’s attitude toward the action also arose. This led to the development of a hypotactic structure of

condition and result (For a detailed discussion of this issue, see Melikishvili 2014:46–55).

*2. Means of Connection, Structure, and the Issue of Genesis of Conditional-Resultative Hypotactic Constructions*

The conditional subordinate clause is connected to the main clause by means of various conjunctions, the primary ones in Modern Georgian being *tu* " if " and *rom* "that/if". The meaning of the conjunction *tu* is historically linked to the enclitic *-da*, which is attested in both Old and Modern Georgian, particularly in the spoken language. In Megrelian, and more rarely in Laz, *-da* is added enclitically to the final element of the subordinate clause. Opinions of scholars vary concerning the primary function of *-da* Specifically:

a. According to some scholars, *-da* originated as a particle (Chikobava 1936:205; Dzidziguri 1973:450).
b. Others argue that *-da* was originally a conjunction, which later began to function as a particle (Shanidze 1980:613).

Yet another opinion is a mixture of the two above-mentioned positions. According to this opinion, "*-da* was originally a particle and performed the function of a particle" (Akhalaia 1999:183). In the process of analysis of the genesis of the particle, Megrelian data are taken into account, where the conjunction *-da* expressing the condition is a particle (resp. clitic). "Megrelian must reflect the archaic state: *noškvers gimočank-da, sum šaurs merča = Geo „naxširs tu gaqidi / gaqidi-da, sam šaurs mogcem "If you sell coal, I will give you three coins"* (Chikobava 1936:185). Such constructions are natural even in contemporary oral speech.

The structure of a conditional-resultative hypotactic construction is determined by the relationship between the condition and the result. The subject first makes a certain assumption, i.e. sets a condition, and then the result follows. Therefore, in this type of complex sentence, the typical order is *subordinate clause + main*

*clause.* However, it is also possible for the subordinate component to appear after the main clause (*postposition*) or be inserted within it (*interposition*). "In the old literary language, the conditional subordinate clause would precede the main clause; the inversion occurred in later stages of language development and was based on the reinforcement of the system of grammatical subordination." (Dzidziguri 1973:453). In Georgian, the position of the conjunction *tu* " if " is also fixed: it typically appears at the beginning of the subordinate clause, but it can also occur in the middle or at the end (this variation is more common in poetic language). The conjunction-particle *-da* in Megrelianis fixed in its position: it isalways attached to the final element of the subordinate clause.

Examples:

(1) Georgian: *tu.Conj (if) ḳacsa codna ara akvs, gasṭanžavs ცutisopeli* "If a man has no knowledge, he will suffer in this world " (Guramishvili)(Kvachadze 1988,392).

(2) Megrelian: *skani ʒagark kemmaγin**u**-da /-da.Conj (if), xate xolo doskidu* "If I bring him your hair, he will recover from his illness at once " (Danelia, Canava 96,38).

(3) Svan: *ečjär (maγlavär) eser lax ču ädagrix-i / -i.Conj (if), ečka eser ǯaj ču idgäri* "If the crows die, I will die too" (Crestomathy of the Svan Language 160, 23).

The subordination in the conditional clause is achieved by means of an interrogatve conjunction (Georgian *tu,* Megrelian *-da*). This means that "the conditional clause was initially an interrogative sentence. The question word might have been omitted in the sentence, but the intonation played an important role" (Dzidziguri 1989:466). The scholar brings examples from "The Knight in the Panther's Skin"[1] where the clauses are joined without a conjunction.

[1] *a. akat sam ცel ar movide. AORSubj, mašin gmartebs glova, plasi* "Should I not come within three years, you should start mourning"

He concludes that the conditional clause is an interrogative sentence, asyndetically connected to the main clause and differing from the latter in intonation (Dzidziguri 1989:447). It should be noted that in case of asyndetic connection, the condition in the subordinate clause may be expressed by intonation as well as the verb in the subjunctive mood; cf.: *ar movide, movḳvde "Should I not come; Would I die"* (See the examples from "The Knight in the Panther's Skin" in the footnotes).

*3. The Correspondence of the Conjunction and the Predicate in the Conditional-Resultative Hypotactic Construction* [1]

The type of mood in the conditional-resultative hypotactic construction defines the correspondence between the conjunction and the predicate, in particular, In the conditional-resultative hypotactic construction, the conjunction *rom "that"* corresponds to the subjunctive mood, whereas the conjunction *tu "if "* corresponds to the indicative mood (Dzidziguri 1973:272)[2]. In some rare cases, the verb with the conjunction *tu "if"* may be found in the subjunctive mood (ibid: 272). On the early stage of development of the literary Georgian language, the conjunction *tu "if"* was more frequent in the

(Rustaveli 169, 3); *b. movḳvde. AORSubj, tavsa nu moiḳlav* "Would I die, don't kill yourself " (Rustaveli 787, 3).

